



# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



## ხელშეკრულება

“ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში”

SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020

თბილისი  
2021

## ხელშეკრულება # SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის 18 ივნისს, ერთი მხრივ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „AWARD“-ს (შემდგომში „კონტრაქტორი“-ს) შორის.

ვინაიდან დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა განახორციელოს სამუშაოები - “ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში”- #SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020 და მან მიიღო კონტრაქტორის სატენდერო წინადადება ამ ობიექტის მშენებლობისა და დასრულების და მისი ყველა დეფექტის აღმოფხვრის შესახებ.

დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მათ მინიჭებული აქვს ქვემოთ მითითებულ კონტრაქტის დოკუმენტაციაში.
2. მიჩნეულია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კონტრაქტის დოკუმენტები შეადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს და წაკითხული და ინტერპრეტირებული უნდა იქნას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ხელშეკრულებას უპირატესობა ენიჭება კონტრაქტის სხვა დოკუმენტებთან შედარებით.
  - (ა) ხელშეკრულება
  - (ბ) მიღების წერილი
  - (გ) სატენდერო წინადადება
  - (დ) კონტრაქტის კონკრეტული პირობები,
  - (ე) კონტრაქტის ზოგადი პირობები, დანართის ჩათვლით
  - (ვ) სპეციფიკაციები,
  - (ზ) ნახაზები
  - (თ) სამუშაოთა მოცულობების უწყისები.
  - (ი) კვპ-ში მითითებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც კონტრაქტის ნაწილს წარმოადგენს, და არა მხოლოდ ეს დოკუმენტი.
    - i. ქვევის კოდექსი კონტრაქტორის პერსონალისათვის
3. დამკვეთის მიერ კონტრაქტორისათვის განსახორციელებელი გადახდების გათვალისწინებით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებაშია აღნიშნული, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას დამკვეთის წინაშე განახორციელოს და დაასრულოს ობიექტი და გაასწოროს მისი დეფექტები კონტრაქტის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში.
4. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი იღებს ვალდებულებას ობიექტის განხორციელებისა და დასრულებისათვის და მისი დეფექტების გასწორებისათვის გადაუხადოს კონტრაქტორს კონტრაქტის ფასი ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც



შეიძლება გადასახდელი იყოს კონტრაქტის დებულებების შესაბამისად იმ ვადებში და იმ ფორმით, როგორც მითითებულია კონტრაქტში.

ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოთ მითითებულ დღეს, თვესა და წელს.

ხელმოწერილია დამკვეთის მხრიდან:

ხელმოწერილია კონტრაქტორის მხრიდან:

**გიორგი შენგელია**

**ამირან ლანჩავა**

სსიპ საქართველოს მუნიციპალური  
განვითარების ფონდის აღმასრულებელი  
დირექტორი  
მის: აღმაშენებლის გამზ.#150, ქ. თბილისი,  
საქართველო

შპს „AWARD“-ის დირექტორი.  
მის: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის  
რაიონი, ბროსეს ქ. N6.  
ს/კ: 404406914



გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია



1561-გ-2-202105251409



N 1561-გ

25/05/2021

## მიღების წერილი

ვის: შპს „Award“-ს

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ. N6.

შეტყობინება № SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020 კონტრაქტის მინიჭების შესახებ - **“ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში”**.

წინამდებარე წერილით გატყობინებთ, რომ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი 2021 წლის 15 მარტს - **“ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში” (SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020)** - მიღებულია ჩვენი უწყების მიერ. ზემოხსენებული კონტრაქტის თანხა შეადგენს **8 950 000.00 (რვა მილიონ ცხრაას ორმოცდაათი ათასი ლარი)** ლარს **“ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის”** შესაბამისად განხორციელებული კორექტირებებისა და ცვლილებების გათვალისწინებით.

თქვენ მოგეთხოვებათ კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარდგენა 28 დღის განმავლობაში კონტრაქტის პირობებისა და **“ინსტრუქციები პრეტენდენტთათვის” 47.1** პარაგრაფის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტის X თავის - კონტრაქტის ფორმების ნაწილს.

ჩვენთვის მისაღებია ბ-ნ პაატა სალიას დანიშვნა მომრიგებლად.

დანართი: **ხელშეკრულება (3 გვერდი)**

პატივისცემით,

ნუგა დათუაშვილი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

დირექცია





## სატენდერო განაცხადი

პრედენტმა სატენდერო განაცხადი უნდა მოათავსოს თავის ბლანკზე, რომელზეც გარკვევით იქნება მითითებული პრეტენდენტის სრული სახელი და მისამართი

შენიშვნა: დახრილი შრიფტით მოცემული ტექსტი არის ამ ფორმის შევსების ინსტრუქციები, რაც საბოლოო ფორმაში უნდა წაიშალოს.

სატენდერო წინადადების წარმოდგენის თარიღი: 15 მარტი 2021

სატენდერო წინადადების წარმოდგენის მოთხოვნა (RFB) No.: SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020

მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე No DEP200000100  
SRMIDP-AF/CW/NCB/3-2020

ვის: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

(ა) დათქმები: ჩვენ შევისწავლეთ სატენდერო დოკუმენტაცია და არა გვაქვს რაიმე შენიშვნები მასთან დაკავშირებით, ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის მე-8 პარაგრაფის შესაბამისად გამოცემული ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით;

(ბ) უფლებამოსილება: ჩვენ ვაკმაყოფილებთ უფლებამოსილების მოთხოვნებს და არა გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი "ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის" მე-4 პარაგრაფის შესაბამისად;

(გ) სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია: ჩვენ არ ვიყავით უარყოფილნი ან არაუფლებამოსილად გამოცხადებულნი დამკვეთის მიერ, სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის შესრულების საფუძველზე დამკვეთის ქვეყანაში, "ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის" 4.7 პარაგრაფის შესაბამისად;

(დ) შესატყვისობა: ჩვენ გთავაზობთ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

ახალბადის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში

(ე) ჩვენი სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი, იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც შემოთავაზებულია ქვემოთ (ვ) პუნქტში, შეადგენს:

8,950,000,00 (რვა მილიონ ცხრაასორმოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი,  
დღგ-ს ჩათვლით.


0108, თბილისი მარი ბროსის #6

+995 032 19 21 20

office@award.ge

www.award.ge

ს/კ: 404406914







(ვ) ფასდაკლებები: შემოთავაზებული ფასდაკლებები და მათი გამოყენების მეთოდიკა:

(i) შემოთავაზებული ფასდაკლებებია: **არ განიხილება**

(ii) ფასდაკლების გამოყენების შემდეგ წმინდა ღირებულების განსასაზღვრად გამოთვლების წარმოების კონკრეტული მეთოდი ქვემოთ არის მოყვანილი: **არ განიხილება**

(ზ) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა: ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია 90 დღის განმავლობაში, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და ეს წინადადება სავალდებულოა ჩვენთვის და შეიძლება მიღებული იქნას ნებისმიერ მომენტში მისი მოქმედების ვადის გასვლამდე;

(თ) კონტრაქტის შესრულების გარანტია: თუ ჩვენი სატენდერო წინადადება მიღებული იქნა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, წარმოვადგინოთ კონტრაქტის შესრულების გარანტია სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად;

(ი) ერთი სატენდერო წინადადება ერთ მონაწილეზე: ჩვენ, ამ ტენდერის ფარგლებში არ მიგვიღია მონაწილეობა ერთზე მეტი სატენდერო წინადადების წარდგენაში როგორც ინდივიდუალურ პრეტენდენტს ან ქვეკონტრაქტორს და არ ვმონაწილეობთ სხვა სატენდერო წინადადებაში, როგორც ერთობლივი საწარმოს წევრები „ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის“ , 4.3 პარაგრაფის შესაბამისად, გარდა ალტერნატიული წინადადებებისა, რომლებიც წარმოდგენილი იქნა „ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვის“ 13-ე პარაგრაფის შესაბამისად;

(კ) შეჩერება და აკრძალვა: ჩვენი ფირმა, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილის ყველა ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის, მისი მაკონტროლებელი ინდივიდის ან ორგანიზაციის ჩათვლით, არ არის არაუფლებამოსილად გამოცხადებული ან დროებით აკრძალული მსოფლიო ბანკის მიერ, ბანკსა და სხვა განვითარების ბანკებს შორის გაფორმებული აკრძალვის გადაწყვეტილების ურთიერთაღსრულების ხელშეკრულების შესაბამისად. ასევე, არ ვართ არაუფლებამოსილად გამოცხადებული დამკვეთის ქვეყნის კანონებისა და ოფიციალური დადგენილების თანახმად ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.





(ლ) ჩვენ არა ვართ სახელმწიფო საწარმო/ჩვენ ვართ სახელმწიფო საწარმო, მაგრამ ვაკმაყოფილებთ “ინსტრუქციები პრეტენდენტებისათვისათვის” 4.6 პარაგრაფის მოთხოვნებს;

(მ) საკომისიოები, ფულადი ანაზღაურება და მოსაკრებლები: ჩვენ ვაცხადებთ, რომ გადავიხადებთ ან გადავიხდით ტენდერთან ან კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკომისიო გადასახადებს, ფულად ანაზღაურებას ან მოსაკრებელს [ჩასვით თითოეული მიმღების სრული დასახელება, მისი სრულყოფილი მისამართი, მიზეზი რის გამოც იქნა გადახდილი თითოეული საკომისიო ან ანაზღაურება და თითოეული საკომისიოს ან ანაზღაურების თანხა და ვალუტა].

მიმღების სახელი	მისამართი	მიზეზი	თანხა
არ იქნა გადახდილი	არ იქნა გადახდილი	არ იქნა გადახდილი	არ იქნა გადახდილი

(თუკი ამგვარი რამ არ იქნა გადახდილი, მიუთითეთ “არ იქნა გადახდილი”)

(ნ) იურიდიული ვალდებულება: ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის მომზადებამდე და გაფორმებამდე წინამდებარე სატენდერო წინადადება და თქვენს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ, ჩვენს შორის წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას;

(ო) მიღების ვალდებულების არქონა: ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ არა ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე, ან ყველაზე ხელსაყრელი სატენდერო წინადადება ან ნებისმიერი სხვა თქვენთვის წარმოდგენილი წინადადება;

(პ) თაღლითობა და კორუფცია: ვადასტურებთ, რომ ყველა ძალისხმევას მივმართეთ, რათა ჩვენი სახელით ან ჩვენთან ერთად მოქმედი არც ერთი პირი არ იყოს ჩართული არანაირი სახის კორუფციასა და თაღლითობაში;

(ჟ) არბიტრი: თანხმობას ვაცხადებთ არბიტრად დაინიშნოს ბ-ნი პაატა სალია.







პრეტენდენტის სახელი\* შპს „AWARD“

პირის სახელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას პრეტენდენტის სახელით\*\* ამირან ლანჩავა

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა შპს „AWARD“-ის დირექტორი

ზემოთ მითითებული პირის ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი : 15.03.2021

\*ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ ერთობლივი საწარმოს, როგორც პრეტენდენტის დასახელება.

\*\* სატენდერო წინადადებაზე ხელმომწერ პირს უნდა ჰქონდეს ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, პრეტენდენტის მიერ მინიჭებული მინდობილობა, რომელიც თანდართული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაზე.


0108,თბილისი მარი ბროსებს #6

+995 032 19 21 20

office@award.ge

www.award.ge

ბ/პ: 404406914





თავი IX. კონტრაქტის კონკრეტული პირობები

<b>ა. ზოგადი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (დ)	დამფინანსებელი ინსტიტუტი არის: <b>მსოფლიო ბანკი – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ს)	დამკვეთი არის: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. #150 ადრესატი: ბ-ნი გიორგი შენგელია, აღმასრულებელი დირექტორი
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ი)	კონტრაქტორი არის: შპს „AWARD“ მისამართი: მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ. N6. ქალაქი: თბილისი ქვეყანა: საქართველო ს/კ: 404406914 მომსახურე ბანკი: სს „ტერაბანკი“ ბანკის კოდი: TEBAGE22 ა/ა: GE23KS000000360500709
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ქ)	მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: 12 (თორმეტი) თვე სამუშაოების დაწყებიდან
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (შ)	პროექტის მენეჯერი: საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა სერვისიოს დე ინჟინერია ეს.ელ (ესპანეთი)
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (აა)	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. გორის ცენტრში, გურამიშვილის ქუჩის გასწვრივ. საპროექტო ტერიტორიის მთლიან ნაწილზე მოწყობილია პარკის ინფრასტრუქტურა, რომლის ძირითადი ნაწილი სარეაბილიტაციოა, ხოლო საპროექტო ტერიტორიის პერიფერიული ნაწილები ან ძალზედ დაზიანებულია, ან პარკის ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არსებობს. საპროექტო ტერიტორია დიდ ფართობზეა განვითარებული (დაახლოებით 11,96 ჰა).
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (დე)	სამუშაოების დაწყების თარიღია: კონტრაქტის ხელმოწერიდან 15 დღეში.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (თთ)	სამუშაოების ძირითადი მოცულობებია: <ol style="list-style-type: none"> <li>1. არსებული ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი - 532,6 მ3 თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #2 თავისა</li> <li>2. მიწის სამუშაოები - 7235,4 მ3 თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #3 თავისა</li> <li>3. რკინ-ბეტონის სამუშაოები - 760,0 მ3 თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #4 თავისა</li> <li>4. ასფალტბეტონის საფარის მოწყობა - 18000,0 მ2 თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #9 თავისა</li> <li>5. კაუჩუკის იატაკის მოწყობა - 1870.0 მ2 თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #9 თავისა</li> </ol>

	<p>6. დეკორატიული ბეტონის ფილების მოწყობა - 2585,0 მ2თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #9 თავისა</p> <p>7. ბაზალტის ბორდიურების მოწყობა - 9400,0 მ2თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #9 თავისა</p> <p>8. ქვიშა-ცემენტით ლესვა - 1306,0 მ2თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #7 თავისა</p> <p>9. ბეტონის ფილების მოწყობა - 399,4 მ2თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #4 თავისა</p> <p>10. პოლიეთილენის მილების მოწყობა Ø25-50 მმ - 2120,0 მ2თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #14 თავისა</p> <p>11. სხვადასხვა კვეთის ელ სადენების მოწყობა - 7700,0 გრმ.თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #13 თავისა</p>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.2	ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება: <b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.3 (ი)	შემდეგი დოკუმენტები ასევე წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს: <b>გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა.</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 3.1	კონტრაქტის ენა: <b>ქართული</b> კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა: <b>საქართველოს კანონმდებლობა</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 5.1	პროექტის მენეჯერს <b>არ შეუძლია</b> თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა თუ მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.1	სხვა კონტრაქტორების გრაფიკი: <b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 13.1	<p>დაზღვევის მინიმალური თანხა და სხვა გამოსაქვითი თანხები:</p> <p>(ა) სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების დაკარგვის, ან დაზიანებისთვის: კონტრაქტის ღირებულების <b>110 %</b>.</p> <p>მაქსიმალური სადაზღვევო დასაკავებელი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების დაზღვევისათვის: <b>8,500 ლარი</b>;</p> <p>(ბ) მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: <b>200,000 ლარი</b>.</p> <p>მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მანქანა-დანადგარების დაზღვევისათვის: <b>8,500 ლარი</b>;</p> <p>(გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები კონტრაქტთან დაკავშირებული ქონების (სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების გარდა) დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: <b>150,000 ლარი</b>.</p> <p>მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მესამე სხვა ქონების დაზღვევისათვის: <b>8,500 ლარი</b>;</p> <p>(დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს:</p> <p>(i) კონტრაქტორის პერსონალისათვის: <b>5,000 ლარს/კაცზე</b>, მთლიანობაში მინიმუმ <b>100,000 ლარს</b>;</p>



	(ii) მესამე პირთათვის 50,000 ლარს.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 14.1	ობიექტის მონაცემები: არ გამოიყენება
კონტრაქტის ზოგადი პირობები 20.1	ობიექტის ტერიტორიის გადაცემის თარიღ(ებ): კონტრაქტის ორმხრივად ხელმოწერის დღე.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 23.1 და 23.2	მომრიგებლის დამნიშნავი უწყება: თბილისის საქალაქო სასამართლო თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, ტელ: +995 577 28 35 14; 2 51 03 00 (1488) (1411) ელ-ფოსტა: <a href="mailto:iccinfo@court.ge">iccinfo@court.ge</a>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.3	მომრიგებლის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და ანაზღაურებადი ხარჯების ტიპები: გადახდის თარიღისათვის 150 აშშ დოლარის ექვივალენტი საათში
კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.4	უწყებები, რომელთა არბიტრაჟის რეგლამენტიც იქნება გამოყენებული: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი.  არბიტრაჟის მისამართია: თბილისის საქალაქო სასამართლო თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, ტელ: +995 577 28 35 14; 2 51 03 00 (1488) (1411) ელ-ფოსტა: <a href="mailto:iccinfo@court.ge">iccinfo@court.ge</a>
<b>ბ. ვადების კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 28.1	მიღების წერილის თარიღიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში, კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს სამუშაოების პროგრამა.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 28.3	სამუშაოთა პროგრამის განახლება უნდა მოხდეს 30 დღიანი ინტერვალებით განახლებული სამუშაოთა პროგრამის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში დაკავებული იქნება 20,000 ლარი  სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი ანგარიშების წარმოდგენა უნდა მოხდეს [ჩაწერეთ ციფრი] დღიანი ინტერვალებით.
<b>გ. ხარისხის კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 36.1	დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს.
<b>დ. ხარჯების კონტროლი</b>	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 44.7	არ გამოიყენება



კონტრაქტის ზოგადი პირობები 46.1	დამკვეთის ქვეყნის ვალუტა: <b>ქართული ლარი</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 47.1	კონტრაქტი არ ექვემდებარება ფასის კორექტირებას, კონტრაქტის ზოგადი პირობების 45-ე პარაგრაფის შესაბამისად
კონტრაქტის ზოგადი პირობები 48.1	დაკავებული გადახდების წილი შეადგენს: <b>5%</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 49.1	მთელი ობიექტის სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის <b>0,1 %</b> თითოეულ გადაცილებულ დღეზე. მთელი ობიექტის სამუშაოების ვადაგადაცილების ჯარიმის მაქსიმალური თანხა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის <b>10%</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 50.1	<b>არ გამოიყენება</b>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 51.1	<p>ავანსი შეადგენს კონტრაქტის მიღებული თანხის არაუმეტეს <b>20%-ს</b> და კონტრაქტორისათვის გადახდილი იქნება 28 დღის განმავლობაში, დამკვეთისათვის მისაღები (იგივე ოდენობის) ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ „ავანსის მოთხოვნაში“ დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მოთხოვნილი ავანსის ოდენობა და მიზნობრიობა, 49.2 პარაგრაფის მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>საავანსო გადახდის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ფორმით (იხ. ნაწილი X, საკონტრაქტო ფორმები) და გაცემული უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე.</p> <p>საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: <a href="https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&amp;lng=eng">https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&amp;lng=eng</a></p> <p>შენიშვნა: აღნიშნული ბმულის მითითება ემსახურება შესაფერისი ადგილობრივი ბანკის მოძიების პროცესის გამარტივებას და არ ავალდებულებს დამკვეთს პასუხისმგებლობა აიღოს სიაში მოცემულ რომელიმე და/ან ყველა ბანკის საიმედოობის შესახებ.</p>
კონტრაქტის ზოგადი პირობები 52.1	არ გამოიყენება

<p>კონტრაქტის ზოგადი პირობები 52.1</p>	<p>კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხა შეადგენს კონტრაქტის ღირებულების <b>10%-ს</b> და გაცემული უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე. კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) საბანკო გარანტიის სახით, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ფორმის შესაბამისად (იხ. ნაწილი X, საკონტრაქტო ფორმები).</p> <p>საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: <a href="https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&amp;lng=eng">https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&amp;lng=eng</a></p> <p>შენიშვნა: აღნიშნული ბმულის მითითება ემსახურება შესაფერისი ადგილობრივი ბანკის მოძიების პროცესის გამარტივებას და არ ავალდებულებს დამკვეთს პასუხისმგებლობა აიღოს სიაში მოცემულ რომელიმე და/ან ყველა ბანკის საიმედოობის შესახებ.</p>
<p><b>ე. კონტრაქტის დასრულება</b></p>	
<p>კონტრაქტის ზოგადი პირობები 58.1</p>	<p>თარიღი, რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო: <b>არ გამოიყენება</b></p> <p>თარიღი, რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს საშემსრულებლო ნახაზები <b>არის კონტრაქტის დასრულების თარიღი</b></p>
<p>კონტრაქტის ზოგადი პირობები 58.2</p>	<p>თანხა, რომლის დაკავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარმოდგენილი დამთავრებული საშემსრულებლო ნახაზები და/ან ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოები კონტრაქტის ზოგად პირობებში 58.1 მოთხოვნილი თარიღისათვის არის <b>20,000 ლარი</b></p>
<p>კონტრაქტის ზოგადი პირობები 59.2 (%)</p>	<p>დღეების მაქსიმალური რაოდენობა: <b>100</b></p>
<p>კონტრაქტის ზოგადი პირობები 60.1</p>	<p>პროცენტი, რომელიც გამოიყენება დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულების მიმართ ობიექტის დასასრულებლად დამკვეთის დამატებითი ხარჯებისათვის <b>10%</b></p>





## კონტრაქტის ზოგადი პირობები

### ა ზოგადი ნაწილი

#### 1. განსაზღვრებები

განმარტებული ტერმინები მუქი შრიფტით არის გამოყოფილი.

(ა) კონტრაქტის მიღებული თანხა წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც “მიღების წერილის” საშუალებით იქნა მიღებული სამუშაოების განხორციელებისა და დასრულების და ნებისმიერი დეფექტების გასწორებისათვის.

(ბ) საქმიანობის გრაფიკი წარმოადგენს სამუშაოების მშენებლობის, მონტაჟის, გამოცდის და ექსპლუატაციაში შეყვანის გრაფიკს ფიქსირებულ ფასიან კონტრაქტში. მასში შედის თითოეული საქმიანობის პაუშალური ფასი, რომელიც გამოიყენება შეფასებისათვის და შესწორებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ზეგავლენის შესაფასებლად.

(გ) მომრიგებელი არის პიროვნება, რომელიც ერთობლივად იქნა დანიშნული დამკვეთისა და კონტრაქტორის მიერ პირველ ინსტანციაში დავის გადასაწყვეტად წინამდებარე კონტრაქტის ზოგადი პირობების 23 პარაგრაფის შესაბამისად.

(დ) ბანკი ნიშნავს დამფინანსებელ ინსტიტუტს რომელიც მითითებულია “კონტრაქტის კონკრეტული პირობებ”-ში.

(ე) სამუშაოთა მოცულობების უწყისი ნიშნავს განფასებულ და შევსებულ სამუშაოთა მოცულობების უწყისს, რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადების შემადგენელ ნაწილს.

(ვ) საკომპენსაციო გარემოებები ნიშნავს წინამდებარე კონტრაქტის ზოგადი პირობების” პარაგრაფში 42 განსაზღვრულ გარემოებებს.

(ზ) დასრულების თარიღი ნიშნავს სამუშაოთა დასრულების თარიღს, რომელიც დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტის ზოგადი პირობების” ქვე-პარაგრაფის 55.1 შესაბამისად.

(თ) კონტრაქტი წარმოადგენს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის სამუშაოების განხორციელების, დასრულებისა და უზრუნველყოფის თაობაზე გაფორმებულ კონტრაქტს. ის



შედგება 'კონტრაქტის ზოგადი პირობების' 2.3 ქვე-პარაგრაფში ჩამოთვლილი დოკუმენტებისაგან.

(ი) კონტრაქტორი ნიშნავს მხარეს, რომლის სატენდერო წინადადება სამუშაოთა განხორციელების თაობაზე მიღებული იქნა დამკვეთის მიერ.

(კ) კონტრაქტორის სატენდერო წინადადება ეწოდება შევსებულ სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც კონტრაქტორმა წარუდგინა დამკვეთს.

(ლ) კონტრაქტის ფასი წარმოადგენს კონტრაქტის მიღებულ თანხას, რომელიც აღნიშნულია 'მიღების წერილში', კონტრაქტის პირობების შესაბამისად განხორციელებული შემდგომი კორექტირების ჩათვლით.

(მ) დღეები ეწოდება კალენდარულ დღეებს და თვეები – კალენდარულ თვეებს.

(ნ) დღიური სამუშაოები წარმოადგენს სამუშაოთა სხვადასხვა მოცულობებს, რომელთა ანაზღაურებაც მოხდება კონტრაქტორის მიერ მუშაკებისა და აღჭურვილობის გამოყენების დროის მონაკვეთის საფუძველზე, შესაბამისი მასალებისა და დანადგარებისათვის გადახდებთან ერთად.

(ო) დეფექტი წარმოადგენს სამუშაოთა ნებისმიერ ნაწილს, რომელიც არ არის დასრულებული კონტრაქტის შესაბამისად.

(პ) დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატი წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დეფექტების გასწორების შემდეგ პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ სერთიფიკატს.

(ჟ) დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი წარმოადგენს 'კონტრაქტის კონკრეტული პირობების' ქვე-პარაგრაფში 36.1 მითითებულ პერიოდს, რომელიც იანგარიშება დასრულების თარიღიდან.

(რ) ნახაზები ნიშნავს სამუშაოთა ნახაზებს, რომელიც თანდართულია კონტრაქტზე, და ყველა დამატებით და შეცვლილ ნახაზებს, რომელიც გაცემულია დამკვეთის (ან დამკვეთის სახელით), კონტრაქტის შესაბამისად. რაც მათ შორის, მოიცავს გაანგარიშებებსა და სხვა ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტის განსახორციელებლად.

(ს) დამკვეთი არის მხარე, რომელიც ქირაობს კონტრაქტორს სამუშაოების განსახორციელებლად 'კონტრაქტის კონკრეტული პირობების' შესაბამისად.

(ტ) აღჭურვილობა ნიშნავს კონტრაქტორის ტექნიკასა და მანქანებს, რომლებიც სამუშაოების განხორციელების მიზნით დროებით მიყვანილია სამშენებლო მოედანზე.

(უ) "წერილობით" ან "წერილობითი ფორმით" ნიშნავს ხელით დაწერილს, დაბეჭდილს, ამობეჭდილს ან ელექტრონულ დოკუმენტს, რომელიც შედეგად გარდაიქმნება მუდმივ ჩანაწერად.

(ფ) კონტრაქტის საწყისი ფასი წარმოადგენს დამკვეთის მიერ 'მიღების წერილში' მითითებულ კონტრაქტის ფასს.

(ქ) დასრულების დაგეგმილი თარიღი ეწოდება იმ თარიღს, როდესაც კონტრაქტორს დაგეგმილი აქვს ობიექტის დასრულება. ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი აღნიშნულია 'კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში'. პროექტის მენეჯერს შეუძლია ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღის შეცვლა ვადის გაგრძელების ან დაჩქარების შესახებ ბრძანების გამოცემის გზით.

(ღ) მასალები ეწოდება ყველა მასალას, სახარჯო მასალების ჩათვლით, რომელიც გამოყენებულია კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესასრულებლად.

(ყ) დანადგარები ნიშნავს ობიექტის განუყოფელ ნაწილებს, რომლებიც ასრულებენ მექანიკურ, ელექტრო, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ფუნქციებს.

(შ) პროექტის მენეჯერი არის 'პროექტის კონკრეტულ პირობებში' დასახელებული პირი, (ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური პირი, რომელსაც პროექტის მენეჯერის ნაცვლად დანიშნავს დამკვეთი და შეატყობინებს ამის შესახებ კონტრაქტორს), რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოთა შესრულების ზედამხედველობაზე და კონტრაქტის მართვაზე.

(ჩ) კვპ ნიშნავს კონტრაქტის კონკრეტულ პირობებს.

(აა) ობიექტის ტერიტორია ეწოდება იმ ადგილს, რომელიც ასე არის განსაზღვრული 'პროექტის კონკრეტულ პირობებში'.

(აბ) ობიექტის ტერიტორიის შესწავლის ანგარიშები ეწოდება სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ფაქტიურ და



განმარტებით ანგარიშს ობიექტის ტერიტორიის ზედაპირისა და მიწისქვეშა მდგომარეობის შესახებ.

(გგ) სპეციფიკაციები ეწოდება კონტრაქტში შეტანილ სამუშაოების სპეციფიკაციებს და ნებისმიერ შესწორებას ან დამატებას, რომელიც შეტანილია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ.

(გდ) დაწყების თარიღი მითითებულია პროექტის კონკრეტულ პირობებში. ეს არის თარიღი, როდესაც კონტრაქტორმა სამუშაოების განხორციელება უნდა დაიწყო. ეს თარიღი შეიძლება არ ემთხვეოდეს ობიექტის ტერიტორიის ფლობის/გადაცემის თარიღებს.

(გე) ქვეკონტრაქტორი წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება კონტრაქტორთან სამუშაოების ნაწილის შესრულებაზე კონტრაქტის ფარგლებში, ობიექტზე სამუშაოების ჩათვლით.

(გვ) დროებითი სამუშაო წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დაპროექტებულ, აშენებულ, დამონტაჟებულ და გაუქმებულ სამუშაოებს, რომლებიც საჭიროა სამუშაოების აშენების ან მონტაჟისათვის.

(გზ) ვარიაცია წარმოადგენს პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ განკარგულებას, რომელიც სამუშაოების ცვლილებას იწვევს.

(თთ) სამუშაო ნიშნავს იმას, რაც კონტრაქტორმა უნდა ააშენოს, დაამონტაჟოს და დამკვეთს გადასცეს კონტრაქტის მიხედვით, როგორც მითითებულია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში.

(იი) კონტრაქტორის პერსონალი ნიშნავს ყველა იმ პირს, რომელსაც კონტრაქტორი იყენებს ობიექტზე ან სამუშაოების განხორციელების სხვა ადგილას, თითოეული ქვე-კონტრაქტორის თანამშრომელთა შტატის და მუშახელის ჩათვლით

(კკ) ძირითადი პერსონალი გულისხმობს კონტრაქტორის პერსონალის იმ თანამდებობებს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მითითებულია სპეციფიკაციებში.

(ლლ) „გს“ ნიშნავს გარემოსდაცვითს და სოციალურს (სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციის და სასტიკი მოპყრობის და სქესობრივი ნიშნით შევიწროების ჩათვლით);

**“სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაცია და სასტიკი მოპყრობა”** ქვემოთმოყვანილს გულისხმობს:

**“სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაცია”** განისაზღვრება, როგორც ქვემოთმოყვანილის ნებისმიერი ფაქტიური განხორციელება, ან განხორციელების მცდელობა: დაუცველი მდგომარეობის, ძალაუფლების ან ნდობის ბოროტად გამოყენება სექსუალური მიზნებისათვის, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: სხვა პირის სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაცია მონეტარული, სოციალური ან პოლიტიკური სარგებლის მისაღებად;

**“სექსუალური ძალადობა”** განისაზღვრება, როგორც სექსუალური ხასიათის ფაქტიური ფიზიკური ხელყოფა ან მისი საშიშროება, ძალის გამოყენებით ან უთანასწორო ან იძულებითი პირობებით სარგებლობით;

**(მმ) “სქესობრივი ნიშნით შევიწროება”** განისაზღვრება, როგორც არასასურველი სექსუალური ხასიათის შეთავაზებები, სექსუალური ხასიათის მომსახურების გაწევის მოთხოვნა, და სხვა სექსუალური ხასიათის ვერბალური ან ფიზიკური ქცევა კონტრაქტორის ან დამკვეთის სხვა პერსონალის მისამართით; და

**(ნნ) “დამკვეთის პერსონალი”** გულისხმობს პროექტის მენეჯერს და პროექტის მენეჯერის და დამკვეთის ყველა სამტატო თანამშრომელს, მუშახელს და სხვა თანამშრომლებს (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ჩართულები არიან დამკვეთის მოვალეობების შესრულებაში კონტრაქტის ფარგლებში; და ყველა სხვა პერსონალს, რომელიც დამკვეთის ან პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტორისათვის შეტყობინების საფუძველზე განისაზღვრება, როგორც დამკვეთის პერსონალი.

2. ინტერპრეტაც 2.1  
ია

წინამდებარე კონტრაქტის პირობების ინტერპრეტირებისას მხოლოდითი რიცხვი ნიშნავს მრავლობითსაც, ხოლო მრავლობითი-მხოლოდითსაც, მამრობითი გრამატიკული სქესი ნიშნავს ასევე მდედრობითსა და საშუალო სქესს და პირიქით. სათაურებს არა აქვს მნიშვნელობა. სიტყვები იხმარება თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით კონტრაქტის ენაში, საგანგებოდ განსაზღვრული შემთხვევების გარდა.



პროექტის მენეჯერმა უნდა წარმოადგინოს განმარტებები წინამდებარე 'კონტრაქტის ზოგადი პირობების' შესახებ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

2.2 თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ გათვალისწინებულია ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება, მაშინ „კონტრაქტის ზოგად პირობებში“ მითითებული ობიექტი, დასრულების თარიღი და დასრულების დაგეგმილი თარიღი შეიძლება ეხებოდეს ობიექტის ნებისმიერ ნაწილს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მითითებულია მთლიანი ობიექტის დასრულების თარიღი და დასრულების დაგეგმილი თარიღი).

2.3 კონტრაქტის შემადგენელი დოკუმენტაცია ინტეგრირებული უნდა იქნას დოკუმენტების პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობის შესაბამისად:

- (ა) ხელშეკრულება,
- (ბ) მიღების წერილი,
- (გ) კონტრაქტორის სატენდერო წინადადება,
- (დ) კონტრაქტის კონკრეტული პირობები,
- (ე) კონტრაქტის ზოგადი პირობები, დანართის ჩათვლით,
- (ვ) სპეციფიკაციები,
- (ზ) ნახაზები,
- (თ) სამუშაოთა მოცულობების უწყისი 1
- (ი) „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, როგორც კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.

**3. ენა და კანონმდებლობა**

3.1 კონტრაქტის ენა და კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“.

3.2 კონტრაქტის განხორციელების პერიოდში, კონტრაქტორი დაიცავს დამკვეთის ქვეყნის აკრძალვებს საქონლისა და მომსახურების იმპორტთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ

<sup>1</sup> ფიქსირებულ ფასიან კონტრაქტში, წაშლეთ “მოცულობების უწყისი” და ჩაანაცვლეთ იგი “საქმიანობის გრაფიკით.”

(ა) კანონით ან ოფიციალური რეგულაციების თანახმად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს სავაჭრო ურთიერთობებს იმ ქვეყანასთან;

(ბ) შესატყვისობის აქტით გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებასთან, რომელიც მიღებულია გაეროს დებულების VII თავის შესაბამისად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს ნებისმიერი სახის საქონლის იმპორტს ამ ქვეყნიდან ან გადახდებს ამ ქვეყნისათვის, ან მისი ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისათვის.

- |  |  |
|--|--|
| 4. პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები | 4.1 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი მითითება, დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს პროექტის მენეჯერი, რომელიც დამკვეთის წარმომადგენელია.   |
| 5. უფლებამოსილების გადაცემა            | 5.1 კვპ-ში სხვაგვარი მითითების არარსებობის შემთხვევაში, კონტრაქტის მენეჯერს შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა (მომრიგებლის გარდა) კონტრაქტორისათვის შეტყობინების მიწოდების შემდეგ და შეუძლია ამ გადაწყვეტილების გაუქმება კონტრაქტორისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.   |
| 6. კავშირი მხარეთა შორის               | 6.1 კონტრაქტის პირობებში მითითებული კავშირი მხარეთა შორის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ ხორციელდება წერილობით. შეტყობინება ძალაშია მხოლოდ მისი მიწოდების შემდეგ.   |
| 7. ქვე-კონტრაქტორები                   | 7.1 პროექტის მენეჯერის თანხმობის საფუძველზე კონტრაქტორს შეუძლია სამუშაოების ნაწილზე ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ არა აქვს უფლება გადასცეს მას კონტრაქტი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს. კონტრაქტორმა თავის ქვე-კონტრაქტორებს უნდა მოსთხოვოს სამუშაოების განხორციელება კონტრაქტის საფუძველზე, რაც ასევე გულისხმობს შესაბამის ESMF მოთხოვნებთან და კონტრაქტის ზოგადი პირობების 26.1 ქვე-პარაგრაფში მითითებულ მოვალეობებთან შესატყვისობას. |



8. სხვა  
კონტრაქტორე  
ბი

8.1 კონტრაქტორმა უნდა ითანამშრომლოს სხვა კონტრაქტორებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, კომუნალურ სამსახურებთან და მათთან ერთად იმუშაოს ობიექტის ტერიტორიაზე „სხვა კონტრაქტორების გრაფიკში“ მითითებულ პერიოდში, როგორც „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებშია“ აღნიშნული. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მათთვის ის საშუალებები და მომსახურება, რომელიც „სხვა კონტრაქტორების გრაფიკშია“ მითითებული. დამკვეთს შეუძლია `სხვა კონტრაქტორების გრაფიკში` ცვლილებების შეტანა და მან უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი ამგვარი ცვლილებების შესახებ.



9. პერსონალი  
და  
აღჭურვილობა  
ა

9.1 კონტრაქტორმა უნდა დაიქირავოს ის ძირითადი პერსონალი და გამოიყენოს ის აღჭურვილობა, რომელიც აღნიშნულია მის სატენდერო წინადადებაში, ან პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა პერსონალი ან აღჭურვილობა. პროექტის მენეჯერი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამტკიცებს ძირითადი პერსონალის ცვლილებას, თუ შემოთავაზებული კანდიდატების კვალიფიკაცია და შემოთავაზებული აღჭურვილობის ტექნიკური მახასიათებლები არსებითად თანაბარია ან აღემატება სატენდერო წინადადებაში აღნიშნულს.

9.2 პროექტის მენეჯერს უფლება აქვს მოსთხოვოს კონტრაქტორს ობიექტიდან გაიყვანოს (ან გააყვანიოს) ნებისმიერი პირი, რომელიც ობიექტზე არის დასაქმებული, ძირითადი პერსონალის ჩათვლით (მათი არსებობის შემთხვევაში), იმ შემთხვევაში, თუ იგი:

- (ა) სისტემატიურად არის შემჩნეული არასწორ ქცევაში ან უდიერ დამოკიდებულებაში;
- (ბ) თავის მოვალეობებს არასრულად ან უგულისყუროდ ახორციელებს;
- (გ) არ შეესატყვისება კონტრაქტის დებულებებს;
- (დ) სისტემატიურად არის შემჩნეული იმგვარ ქცევაში, რომელიც საზიანოა უსაფრთხოების, ჯანდაცვის ან გარემოს დაცვის თვალსაზრისით;
- (ე) გონივრული მტკიცებულების საფუძველზე დადგენილია, რომ სამუშაოების განხორციელებისას იგი ჩართულია თაღლითობასა და კორუფციაში;
- (ვ) სამუშაოზე აყვანილი იქნა დამკვეთის პერსონალიდან;
- (ზ) თავის ქცევით არღვევს კონტრაქტორის პერსონალის ქცევის კოდექსს

შემდგომ, კონტრაქტორი საჭიროებისამებრ აიყვანს (ან ააყვანიებს) ეკვივალენტური კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე სათანადო შემცვლელს.

პროექტის მენეჯერის მოთხოვნისაგან - ჩამოაცილოს ან ჩამოაცილებინოს რომელიმე პირი, დამოუკიდებლად, კონტრაქტორი (ა) - (ზ) პუნქტებში მითითებული დარღვევის პასუხად დაუყოვნებლივ გაატარებს სათანადო ზომებს. ამგვარი დაუყოვნებელი ზომები



უნდა მოიცავდეს კონტრაქტორის იმ პერსონალის გაყვანას ობიექტიდან, ან სამუშაოების განხორციელების ნებისმიერი სხვა ადგილიდან, რომელიც ჩართულია (ა), (ბ), (გ), (დ), (ე) ან (ზ) პუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობებში, ან სამუშაოზე აყვანილი იქნა (ვ) პუნქტში მითითებულ გარემოებებში.”

### 9.3 მუშახელი

9.3.1 თანამშრომელთა შტატის და მუშახელის აყვანა. კონტრაქტორი უზრუნველყოფს და სამუშაოების განსახორციელებლად ობიექტზე დაასაქმებს იმგვარ კვალიფიციურ, ნახევრად კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშახელს, რომელიც საჭიროა კონტრაქტის სათანადოდ და დროულად განსახორციელებლად. სასურველია, რომ კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად და გონივრულ ფარგლებში დაასაქმოს სათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე კადრები ქვეყნის შიდა რესურსების გამოყენებით.

თუ კონტრაქტში სხვაგვარად არ არის გაწერილი, კონტრაქტორი პასუხისმგებელია კონტრაქტორის პერსონალის შტატის დაკომპლექტებაზე, ტრანსპორტირებაზე, დაბინავებასა და სოც-უზრუნველყოფაზე კონტრაქტის ზოგადი პირობების ქვე-პარაგრაფის 9.3.6 შესაბამისად, და ყველა შესაბამის გადახდებზე ზემოხსენებულთან დაკავშირებით.

9.3.2 შრომის პირობები. კონტრაქტორი გადაიხდის სახელფასო განაკვეთებს და სათანადო კანონმდებლობის საფუძველზე დაიცავს შრომის პირობებს. კონტრაქტორი თავის პერსონალს შეატყობინებს მათი ვალდებულების შესახებ გადაუხადონ ქვეყანას პირადი საშემოსავლო გადასახადი თავიანთი ხელფასებიდან, ანაზღაურებებიდან, დახმარებებიდან და ნებისმიერი სხვა სარგებლიდან, რომელიც მოცემულ დროს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება, და კონტრაქტორი შეასრულებს ამგვარ საგადასახადო გამოქვითვებთან დაკავშირებულ მოვალეობას, იმგვარად როგორც მას მოქმედი კანონით ევალება.

9.3.3 იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც მას მოქმედი კანონმდებლობა აძლევს, კონტრაქტორი უფლებამოსილია ქვეყანაში შემოიყვანოს ნებისმიერი

უცხოელი პერსონალი, რომელიც მას სამუშაოების განსახორციელებლად სჭირდება. კონტრაქტორი ამ პერსონალისათვის უზრუნველყოფს მოთხოვნილ საცხოვრებელ ვიზას და მუშაობის ნებართვას. კონტრაქტორის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთი დროულად ჩადებს მთელ თავის ძალისხმევას იმაში, რომ დაეხმაროს კონტრაქტორს მისი პერსონალის ქვეყანაში შემოსაყვანად საჭირო ნებისმიერი სახის ადგილობრივი, სახელმწიფო, ეროვნული ან სამთავრობო ნებართვის მოპოვებაში.

- 9.3.4 კონტრაქტორი თავის ხარჯით უზრუნველყოფს კონტრაქტის ფარგლებში მომუშავე პერსონალის თავიანთ ქვეყნებში რეპატრირაციას. იგი ასევე უზრუნველყოფს ამგვარი პირების დროებით შენახვას კონტრაქტის ფარგლებში მათი დასაქმების შეწყვეტიდან გამგზავრების დაგეგმილ დღემდე. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შეძლებს ტრანსპორტირებისა და დროებითი შენახვის ამგვარი საშუალებების უზრუნველყოფას, დამკვეთი პერსონალისათვის უზრუნველყოფს ზემოხსენებულს და შემდგომ კონტრაქტორისაგან დაიბრუნებს ამ სახსრებს.
- 9.3.5 საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. კონტრაქტის მსვლელობაში, კონტრაქტორი მუდმივად გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული უკანონო, მეამბოხე ან უწესრიგო ქმედება ან ქცევა კონტრაქტორის პერსონალის მხრიდან ან შორის.
- 9.3.6 საშუალებები თანამშრომლებისა და მუშახელისათვის. იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც სპეციფიკაციებში სხვაგვარად არის მითითებული, კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის უზრუნველყოფს და შეინახავს ყველანაირ საჭირო საცხოვრებელს და საყოფაცხოვრებო პირობებს. კონტრაქტორი ასევე დამკვეთის პერსონალისათვისაც უზრუნველყოფს სპეციფიკაციებში მითითებულ საშუალებებს.
- 9.3.7 კონტრაქტორი თავის პერსონალთან დამოკიდებულებაში სათანადოდ გაითვალისწინებს ყველა აღიარებულ საზეიმო თარიღს, ოფიციალურ დღესასწაულს, რელიგიურ და სხვა ტრადიციებს და ადათ-ჩვევებს და მუშახელის დაქირავებასთან დაკავშირებულ ყველა ადგილობრივ კანონსა და



რეგულაციას; შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ან როგორც ეს მითითებულია სპეციფიკაციებში, კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის უზრუნველყოფს ყოველწლიურ, დეკრეტულ და ავადმყოფობის გამო შვებულებებს და ასევე შვებულებას ოჯახური გარემოებების გამო.

- 9.3.8 საკვების მიწოდება. კონტრაქტის მიზნებისათვის ან კონტრაქტთან დაკავშირებით კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის უზრუნველყოფს სათანადო საკვების საკმარისი რაოდენობით გონივრულ ფასად მიწოდებას, როგორც ეს მითითებულია სპეციფიკაციებში.
- 9.3.9 წყალმომარაგება. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის უზრუნველყოფს სასმელი და სხვა სახის წყლის მიწოდებას ობიექტზე.
- 9.3.10 მწერებისა და მავნებლების საწინააღმდეგო ზომები. კონტრაქტორმა მუდმივად უნდა გაატაროს საჭირო უსაფრთხოების ზომები ობიექტზე დასაქმებული პერსონალის მწერებისა და მავნებლებისაგან დასაცავად, და მათი ჯანმრთელობის საფრთხის შესამცირებლად. კონტრაქტორი დაიცავს ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების ყველა რეგულაციას, სათანადო ინსექტიციდების გამოყენების ჩათვლით.
- 9.3.11 სპირტიანი სასმელები ან ნარკოტიკული საშუალებები. კონტრაქტორი მხოლოდ ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით განახორციელებს სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკული საშუალებების იმპორტს, გაყიდვას, გაცემას, ბარტერული წესით გაცვლას ან სხვაგვარად განკარგვას, და ასევე არ დაუშვებს ზემოხსენებულის იმპორტს, გაყიდვას, გაცემას, ბარტერული წესით გაცვლას ან სხვაგვარად განკარგვას კონტრაქტორის პერსონალის მიერ.
- 9.3.12 იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა. კონტრაქტორი არავისზე არ გასცემს, ბარტერული წესით არ გაცვლის ან სხვაგვარად არ განკარგავს არანაირი სახის იარაღსა და სამხედრო აღჭურვილობას და ასევე არ მისცემს ზემოხსენებულის უფლებას კონტრაქტორის პერსონალს.
- 9.3.13 დაკრძალვის ღონისძიებები. კონტრაქტორი ადგილობრივი რეგულაციების ფარგლებში



პასუხისმგებელია დაკრძალვის ღონისძიებების გატარებაზე თავის ნებისმიერ თანამშრომელთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა გარდაიცვალოს სამუშაოებში ჩართულობის პერიოდში.

9.3.14 იძულებითი შრომა. კონტრაქტორი, და მისი ქვე-კონტრაქტორები სამუშაოდ არ აიყვანენ ან დაიქირავებენ იძულებით მუშახელს. იძულებითი შრომა გულისხმობს ნებისმიერ სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც არანებაყოფლობით ხორციელდება, და რომელიც იძულებით, ძალადობის მუქარით ან ჯარიმით არის მოთხოვნილი ინდივიდისაგან. ზემოხსენებული მოიცავს ნებისმიერი სახის არანებაყოფლობით ან იძულებით შრომას, როგორცაა მუშაობა მოსწავლეობის ხელშეკრულების საფუძველზე, სავალდებულო შრომა და სხვა ანალოგიური შრომითი ხელშეკრულებები.

არ მოხდება ტრეფიკინგის მსხვერპლის სამუშაოზე აყვანა ან დაქირავება. ტრეფიკინგი განისაზღვრება, როგორც პირების სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, ხელის დაფარება ან მიღება მუქარით, ძალის გამოყენებით, ან ზეწოლის, მოტაცების, თაღლითობის, სიცრუის, ძალაუფლების ან დაუცველობის ბოროტად გამოყენების მეშვეობით, ან გადახდების ან სარგებლის გაცემა და მიღება, ექსპლუატაციის მიზნით იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელიც სხვა პირს აკონტროლებს.

9.3.15 ბავშვთა შრომა. კონტრაქტორი, და მისი ქვე-კონტრაქტორები სამუშაოზე არ აიყვანენ ან დაიქირავებენ 14 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვს, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე უფრო დიდი ასაკი (მინიმალური ასაკი) არის განსაზღვრული.

კონტრაქტორი, და მისი ქვე-კონტრაქტორები სამუშაოზე არ აიყვანენ ან დაიქირავებენ მინიმალური ასაკიდან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვს, იმგვარად, რომ ეს საფრთხეს წარმოადგენდეს მისთვის, ან ხელს უშლიდეს მის განათლებას, ან სახიფათო იყოს ბავშვის ჯანმრთელობისთვის, ან ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარებისთვის.



კონტრაქტორი, და მისი ქვე-კონტრაქტორები სამუშაოზე აიყვანენ ან დაიქირავენ მინიმალური ასაკიდან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს, მხოლოდ მათ მიერ რისკის სათანადოდ შეფასების შემდეგ და პროექტის მენეჯერის თანხმობით. კონტრაქტორი დაექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს პროექტის მენეჯერის მხრიდან, რაც მოიცავს ჯანმრთელობის, სამუშაო პირობებისა და სამუშაო საათების მონიტორინგს.

ბავშვებისათვის სახიფათოდ ითვლება ის სამუშაო, რომელიც თავის ხასიათით და იმ გარემოებებით, რომელშიც ის ხორციელდება, შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს ბავშვის ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისა ან მორალისათვის. ამგვარი აკრძალული საქმიანობები ქვემოთმოთმოყვანილ სამუშაოებს მოიცავს:

(ა) სამუშაო ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის ზემოქმედებით;

(ბ) მიწისქვეშა, წყალქვეშა, სიმაღლეზე ან ჩაკეტილ სივრცეებში მუშაობა;

(გ) სახიფათო ტექნიკასთან, აღჭურვილობასთან ან იარაღებთან მუშაობა ან

(დ) მძიმე ტვირთების ტრანსპორტირება;

(ე) მუშაობა არაჯანსაღ გარემოში, ბავშვების მოქცევა სახიფათო ნაერთების, რეაგენტების, პროცესების, ტემპერატურის ან ჯანმრთელობისათვის საზიანო ხმაურისა და ვიბრაციის უშუალო ზემოქმედების ქვეშ; ან

(ვ) მუშაობა მძიმე პირობებში, როგორცაა ხანგრძლივი სამუშაო საათები, ღამის საათებში მუშაობა ან იზოლაციაში ყოფნა დამკვეთის ტერიტორიაზე.

9.3.16 მუშახელის დასაქმების აღრიცხვა. კონტრაქტორი აწარმოებს მუშახელის ობიექტზე დასაქმების სრულ და ზუსტ აღრიცხვას. ჩანაწერები უნდა მოიცავდეს მუშახელის ყველა წარმომადგენლის სახელებს, გვარებს, ასაკს, სქესს, ნამუშევარ საათებს, და გადახდილ ხელფასებს. ეს აღრიცხვა ყოველთვიურად უნდა შეჯამდეს და გადაეცეს პროექტის მენეჯერს.

9.3.17 მუშახელის ორგანიზაციები. იმ ქვეყნებში, სადაც შესაბამისი შრომის კანონები მუშახელს უფლებამოსილებას ანიჭებს შექმნას ან შეუერთდეს თავის არჩეულ მუშათა ორგანიზაციებს და კოლექტიური გარიგებები დაბრკოლების გარეშე აწარმოოს, კონტრაქტორმა უნდა დაიცვას ეს კანონები. ამგვარ გარემოებებში, დაცული უნდა იყოს კანონის საფუძველზე დაარსებული მუშათა ორგანიზაციების და მუშახელის ლეგიტიმური წარმომადგენლების როლი, და მათთვის დროულად უნდა იქნას მიწოდებული მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებისათვის საჭირო ინფორმაცია. იქ, სადაც შესაბამისი შრომის კანონები არსებითად ზღუდავს ამგვარ ორგანიზაციებს, კონტრაქტორმა სამუშაო და დასაქმების პირობებთან დაკავშირებული პრეტენზიების გამოსათქმელად და უფლებების დასაცავად თავის პერსონალისათვის ალტერნატიული საშუალება უნდა უზრუნველყოს. კონტრაქტორმა ამ ალტერნატიული საშუალებების კონტროლის ან მათზე ზემოქმედების არანაირი მცდელობა არ უნდა განახორციელოს. კონტრაქტორმა არ უნდა მოახდინოს იმ პერსონალის დისკრიმინაცია ან რეპრესირება, რომელიც მონაწილეობს ან ცდილობს მონაწილეობა მიიღოს ამგვარ ორგანიზაციებში და კოლექტიურ გარიგებებში ან ალტერნატიულ მექანიზმებში. მუშათა ორგანიზაციები სამუშაო ძალაში სავარაუდოდ საკმარისად იქნება წარმოდგენილი.

9.3.18 არადისკრიმინაციული დამოკიდებულება და თანაბარი შესაძლებლობები. კონტრაქტორი არ მიიღებს თავის პერსონალის დასაქმებასა და მასთან მოპყრობასთან დაკავშირებულ იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომელიც ამ პერსონალის პიროვნულ თავისებურებებს დაეფუძნება და არა სამუშაოების მოთხოვნებს. კონტრაქტორი თავის პერსონალის დასაქმებისას იმოქმედებს თანაბარი შესაძლებლობების და მიუკერძოებელი დამოკიდებულების პრინციპის შესაბამისად და არ მოახდენს დისკრიმინაციას დასაქმების ურთიერთობის არცერთ ასპექტთან მიმართებაში, როგორცაა სამუშაოზე აყვანა და დაქირავება, კომპენსაცია (ჯამაგირის და პრივილეგიების ჩათვლით), სამუშაო და დასაქმების პირობები, ტრენინგის ხელმისაწვდომობა, სამუშაო



დავალება, დაწინაურება, დასაქმების შეწყვეტა ან დათხოვნა, და დისციპლინარული წესები.

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება წარსული დისკრიმინაციის აღმოფხვრის დამხმარე ან დამცავი სპეციალური ზომები ან კონკრეტულ სამუშაო ადგილზე შერჩევა სამუშაოს მოთხოვნების საფუძველზე. არადისკრიმინაციული დამოკიდებულების და თანაბარი შესაძლებლობების დასაცავად, კონტრაქტორი საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს დაცვასა და დახმარებას, ისეთი სპეციფიური ჯგუფებისათვის, როგორცაა ქალები, უნარშეზღუდულები, მიგრანტი მუშახელი და ბავშვები (მუშა ასაკის, როგორც ეს მითითებულია კონტრაქტის ზოგადი პირობების 9.3.15 ქვე-პარაგრაფში).

9.3.19 კონტრაქტორის პერსონალის საჩივრების მექანიზმი. კონტრაქტორს თავის პერსონალისათვის, სამუშაოსთან დაკავშირებულ პრობლემებთან გასამკლავებლად, გამართული ექნება საჩივრების მექანიზმი, და ასევე საჭიროებისამებრ გამოყენებული ექნება კონტრაქტის ზოგადი პირობების 9.3.17 ქვე-პუნქტში მითითებული მუშების ორგანიზაციები. საჩივრების მექანიზმი კონტრაქტის ხასიათის, მასშტაბის, რისკებისა და ზემოქმედების პროპორციული უნდა იყოს. მექანიზმი პრობლემებს დროულად უნდა გაუმკლავდეს, და ამისათვის გამოყენებული უნდა იყოს გასაგები და გამჭვირვალე პროცესი, რომელიც დროულ რეაგირებას მოახდენს პრობლემებზე, და დაინტერესებულ პირებს ყოველგვარი მისაგებელის გარეშე გასაგებ ენაზე მიაწვდის ინფორმაციას, და დამოუკიდებლად და ობიექტურად იფუნქციონირებს.

კონტრაქტორის პერსონალი დაკონტრაქტებისას იქნება ინფორმირებული საჩივრების მექანიზმთან და იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელიც მას ამ მექანიზმის გამოყენებისას რეპრესიებისაგან დაიცავს. გატარებული იქნება ზომები, რომელიც საჩივრების მექანიზმს კონტრაქტორისათვის მარტივად ხელმისაწვდომს გახდის.

საჩივრების მექანიზმმა ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საშუალებებზე წვდომას, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს, ან ჩაენაცვლოს კოლექტიური შეთანხმებების

საფუძველზე უზრუნველყოფილ საჩივრების მექანიზმს.

შესაძლოა საჩივრების მექანიზმისათვის გამოყენებული იქნას არსებული საჩივრების მექანიზმები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სათანადოდ არის დაგეგმილი და განხორციელებული, მყისიერ რეაგირებას ახდენს პრობლემებზე და იოლად ხელმისაწვდომია კონტრაქტორის პერსონალისათვის. არსებული საჩივრების მექანიზმები შესაძლოა საჭიროებისამებრ შევსებული იქნას კონკრეტულ კონტრაქტზე გათვლილი ზომებით.

9.3.20 კონტრაქტორის პერსონალის ტრენინგი. კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის უზრუნველყოფს კონტრაქტის გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებულ სათანადო ტრენინგს, რაც უნდა მოიცავდეს სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციისა და სექსუალური შევიწროების აკრძალვის სენსიბლიზაციას და ტრენინგს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით.

როგორც ეს მითითებულია სპეციფიკაციებში, ან პროექტის მენეჯერის ინსტრუქციის თანახმად, კონტრაქტორი ასევე უზრუნველყოფს სათანადო შესაძლებლობებს კონტრაქტორის პერსონალისათვის, რათა მათ დამკვეთის პერსონალმა ჩაუტაროს ტრენინგი კონტრაქტის გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით.

კონტრაქტორი თავის პერსონალისათვის, რომელსაც კონტრაქტორის სხვა პერსონალის ზედამხედველობა ევალება, უზრუნველყოფს ტრენინგს სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციასთან და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, ზემოხსნებულის თავიდან აცილების ჩათვლით.

## 10. დამკვეთის და კონტრაქტორის რისკები

10.1 დამკვეთს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია დამკვეთის რისკად, ხოლო კონტრაქტორს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია კონტრაქტორის რისკად.



## 11. დამკვეთის რისკები

11.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში დამკვეთის რისკებად ითვლება:

(ა) პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (სამუშაოების, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის გარდა) დაკარგვის ან დაზიანების რისკები, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

(i) სამუშაოების მიერ ან სამუშაოების მიზნებისათვის ობიექტის გამოყენება ან დაკავება, რაც სამუშაოების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს;

(ii) დამკვეთის მხრიდან ან დამკვეთის მიერ დაქირავებული ან კონტრაქტის საფუძველზე აყვანილი ნებისმიერი პირის მხრიდან (კონტრაქტორის გარდა) დაუდევრობა, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან კანონიერი უფლებების დარღვევა.

(ბ) სამუშაოების, დანადგარების, მასალებისა და აღჭურვილობის დაზიანების რისკი იმდენად, რამდენადაც ეს წარმოადგენს დამკვეთის ან მისი პროექტის ბრალს ან გამოწვეულია ომით ან რადიაციული დაბინძურებით, რომელიც განიცადა ქვეყანამ, სადაც ობიექტი უნდა აშენებულიყო.

11.2 დასრულების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში ობიექტის, დანადგარების და მასალების დაკარგვისა და დაზიანების რისკები დამკვეთის რისკებად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც დაკარგვა და დაზიანება გამოწვეულია:

(ა) იმ დეფექტით, რომელიც დასრულების დღეს არსებობდა;

(ბ) იმ მოვლენით, რომელიც დასრულების თარიღამდე მოხდა და არ ითვლება დამკვეთის რისკად;

(გ) კონტრაქტორის საქმიანობით, ობიექტის ტერიტორიაზე დასრულების თარიღის შემდგომ პერიოდში.

12. კონტრაქტორის რისკები 12.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (ობიექტის, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის ჩათვლით) დაკარგვისა და დაზიანების რისკები, რომლებიც არ წარმოადგენს დამკვეთის რისკს, ითვლება კონტრაქტორის რისკებად.
13. დაზღვევა 13.1 კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთისა და კონტრაქტორის ერთობლივი სახელით დაზღვიოს ობიექტი დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლამდე იმ თანხასა და ფრანშიზაზე, რომელიც მოცემულია 'კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში'. დაზღვევას ექვემდებარება კონტრაქტორის რისკად მიჩნეული შემდეგი გარემოებები:
- (ა) ობიექტის, დანადგარებისა და მასალების დაკარგვა ან დაზიანება;
  - (ბ) აღჭურვილობის დაკარგვა ან დაზიანება;
  - (გ) ქონების დაკარგვა ან დაზიანება (ობიექტის, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის გარდა) კონტრაქტთან დაკავშირებით;
  - (დ) ადამიანების ტრავმები ან სიკვდილი.
- 13.2 ობიექტის დაწყების თარიღამდე კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს სადაზღვევო პოლისები და სერთიფიკატები. ყველა მათგანში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაციის გადახდა იმ ვალუტაში და იმ პროპორციული ოდენობით, რომელიც საჭიროა გაწეული ზარალისა და დანაკარგის ასანაზღაურებლად.
- 13.3 თუ კონტრაქტორმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული პოლისები ან სერთიფიკატები, დამკვეთს შეუძლია კონტრაქტორის ნაცვლად თვითონ უზრუნველყოს დაზღვევა და გამოქვითოს სადაზღვევო შენატანების თანხა კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხებიდან, ან თუ ამგვარი გადახდები გათვალისწინებული არ არის, სადაზღვევო შენატანების თანხა მიჩნეული იქნება კონტრაქტორის ვალად.
- 13.4 არ შეიძლება დაზღვევის პირობების შეცვლა პროექტის მენეჯერის თანხმობის გარეშე.



- 13.5 ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს სადაზღვევო პოლისების ყველა პირობა.
14. ობიექტის მონაცემები 14.1 კონტრაქტორს შესწავლილი უნდა ჰქონდეს ობიექტის ყველა მონაცემი, რომელიც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“, რასაც ემატება პრეტენდენტისთვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია.
15. ობიექტის მშენებლობა კონტრაქტორის მიერ 15.1 კონტრაქტორმა უნდა ააშენოს და დაამონტაჟოს ობიექტი სპეციფიკაციებისა და ნახაზების შესაბამისად.
16. ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის 16.1 კონტრაქტორს შეუძლია დაიწყოს ობიექტის მშენებლობა დაწყების თარიღიდან. კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს სამუშაოები მის მიერ წარდგენილი პროგრამის შესაბამისად, რომელიც შეიძლება განახლებული იქნას პროექტის მენეჯერის თანხმობით და უნდა დაასრულოს ობიექტი დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის.
- 16.2 კონტრაქტორი ობიექტზე მობილიზაციას არ განახორციელებს პროექტის მენეჯერის ნებართვის გარეშე, ეს თანხმობა არ უნდა იქნას უმიზეზოდ გადავადებული. ზომების სახით, კონტრაქტორის შეთავაზებაში შევა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება, რაც მინიმუმ უნდა მოიცავდეს მართვის სტრატეგიების, განხორციელების გეგმების (MSIP) და კონტრაქტორის პერსონალის ქცევის კოდექსის გამოყენებას, რომელიც სატენდერო წინადადების ფარგლებში იქნება წარმოდგენილი და შეთანხმებული იქნება, როგორც კონტრაქტის ნაწილი.
- კონტრაქტორი პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად წარუდგენს ნებისმიერ დამატებით განხორციელების გეგმებს, როგორც ეს საჭიროა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში. ზემოხსენებული განხორციელების გეგმები კოლექტიურად მოიცავს კონტრაქტორის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას კონტრაქტორი პერიოდულად განიხილავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას -ის (არაუგვიანეს (6) ექვსთვიანი ინტერვალისა),

და საჭიროებისამებრ შეასწორებს მას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შევიდეს სამუშაოების შესაბამისი ზომები. შესწორებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა პროექტის მენეჯერისათვის იქნება დასამტკიცებლად წარდგენილი.

17. პროექტის მენეჯერის თანხმობა

- 17.1 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სპეციფიკაციები და ნახაზები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება დაგეგმილი დროებითი სამუშაოები.
- 17.2 კონტრაქტორი პასუხისმგებელია დროებითი სამუშაოების პროექტზე.
- 17.3 პროექტის მენეჯერის თანხმობა არ შეცვლის დროებითი სამუშაოების პროექტზე კონტრაქტორის პასუხისმგებლობას.
- 17.4 როდესაც ეს საჭიროა, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს მესამე მხარის თანხმობა დროებითი სამუშაოების პროექტებზე.
- 17.5 კონტრაქტორის მიერ დროებითი ან მუდმივი სამუშაოების მშენებლობისათვის მომზადებული ყველა ნახაზი წინასწარ უნდა იქნას დამტკიცებული პროექტის მენეჯერის მიერ, მათ გამოყენებამდე.

18. ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

- 18.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელია მის მიერ ობიექტის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქმიანობის უსაფრთხოებაზე.
- 18.2 კონტრაქტორმა უნდა:
  - (ა) დაიცვას ყველა მოქმედი ჯანდაცვის და უსაფრთხოების რეგულაცია და კანონი;
  - (ბ) შეასრულოს კონტრაქტში მითითებული ჯანდაცვის და უსაფრთხოების ყველა ვალდებულება;
  - (გ) საჭიროებისამებრ, იზრუნოს ობიექტზე და სამუშაოების განხორციელების სხვა ადგილას მყოფი ყველა პირის უსაფრთხოებაზე;
  - (დ) ამ პირების დასაცავად, თავი აარიდოს ობიექტის და სამუშაოების არასაჭირო ობსტრუქციას;
  - (ე) უზრუნველყოს ქვემოთმოყვანილის შეღობვა, განათება, უსაფრთხო მისასვლელი, დაცვა და მეთვალყურეობა:





- (i) სამუშაოები, იქამდე, სანამ მათ დამკვეთი ჩაიბარებს; და
- (ii) სამუშაოების ნებისმიერი ნაწილი, სადაც კონტრაქტორი ახორციელებს დაუსრულებელ სამუშაოებს, ან ასწორებს დეფექტებს, დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში;
- (ვ) უზრუნველყოს ნებისმიერი დროებითი სამუშაო (მისასვლელების, ბილიკების, შემოღობვის და დამცავი ბარიერების ჩათვლით) რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს სამუშაოების შესასრულებლად, საზოგადოების და მიმდებარე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების და მოსარგებლეების მიერ გამოსაყენებლად და მათ დასაცავად.

### 18.3 გარემოს დაცვა

კონტრაქტორი ყველა საჭირო ზომას გაატარებს ქვემოთმოყვანილის განსახორციელებლად:

- (ა) გარემოს დაცვა (ობიექტზე და მის შემოგარენში); და
- (ბ) დაბინძურებით, ხმაურითა და კონტრაქტორის სხვა საქმიანობებით და ოპერაციებით გამოწვეული სხვა გარემომოვებით მოსახლეობის და მათი საკუთრების დაზიანების და შეწუხების ფაქტების მინიმუმამდე დაყვანა.

კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ ემისიები, ზედაპირული ჩამონადენები, ჩამდინარე წყლები და ნებისმიერი სხვა დამაბინძურებლები, რომელიც შედეგად მოჰყვება კონტრაქტორის საქმიანობებს არ აღემატებოდეს სპეციფიკაციებში მითითებულ და მოქმედი კანონებით გაწერილ მოცულობებს.

კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, ობიექტზე ან მის შემოგარენში გარემოს, ქონების დაზიანების, ან მოსახლეობის შეწუხების შემთხვევაში, კონტრაქტორი პროექტის მენეჯერთან შეათანხმებს სათანადო ზომებსა და ვადებს, რომლის ფარგლებშიც იგი შემღებებისდაგვარად განახორციელებს დაზიანებული გარემოს აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. ამგვარ ზომებს კონტრაქტორი საკუთარი ხარჯით დაფარავს, პროექტის მენეჯერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.



19. არქეოლოგიური და გეოლოგიური აღმოჩენები

19.1 ყველა წიაღისეულის ნარჩენი (ნამარხი), მონეტები, ძველებური და ღირებული ნივთები, კონსტრუქციები, ჯგუფური კონსტრუქციები, და ობიექტზე აღმოჩენილი სხვა ნანგრევები, ან გეოლოგიური, არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული ან რელიგიური ღირებულების მქონე საგნები უნდა განთავსდეს დამკვეთის მზრუნველობის და მეურვეობის ქვეშ. კონტრაქტორმა:

(ა) უნდა გაატაროს ყველა გონივრული უსაფრთხოების ზომა აღმოჩენის არეალის ან ობიექტის შემოღობვის ჩათვლით, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ საგნებთან შეხება და კონტრაქტორის პერსონალის ან სხვა პირების მიერ ამ აღმოჩენების დაზიანება ან გადაადგილება;

(ბ) უნდა ჩაუტაროს ტრენინგი კონტრაქტორის შესაბამის პერსონალს ამგვარი აღმოჩენების შემთხვევაში გასატარებელ ზომებთან დაკავშირებით; და

(გ) უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება სპეციფიკაციების და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ამგვარი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა შეატყობინოს პროექტის მენეჯერს აღმოჩენის შესახებ, და დაექვემდებაროს პროექტის მენეჯერის ინსტრუქციებს ზემოხსენებულთან დაკავშირებით.

20. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა

20.1 დამკვეთმა ობიექტის ტერიტორია მთლიანად უნდა გადასცეს კონტრაქტორს. თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მოცემული თარიღისათვის მისი რომელიმე ნაწილი არ არის გადაცემული კონტრაქტორისათვის, მიჩნეული იქნება, რომ დამკვეთი აყოვნებს შესაბამისი საქმიანობის დაწყებას და ეს საკომპენსაციო გარემოებას წარმოადგენს.

21. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა

21.1 კონტრაქტორმა უნდა მისცეს საშუალება პროექტის მენეჯერს და პროექტის მენეჯერის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს შევიდეს ობიექტის ტერიტორიაზე ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს კონტრაქტთან დაკავშირებული სამუშაოები.



**22. მითითებები,  
ინსპექტირება  
და აუდიტი**

22.1 კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს პროექტის მენეჯერის ყველა განკარგულება, რომელიც შეესაბამება იმ ადგილის კანონმდებლობას, სადაც ობიექტი მდებარეობს.

22.2 კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს, და ყველანაირ ძალისხმევას მიმართოს რათა უზრუნველყოს, რომ მისმა ქვე-კონტრაქტორებმა და ქვე-კონსულტანტებმა აწარმოონ ზუსტი და სისტემატიური აღრიცხვა და ანგარიშები სამუშაოებთან დაკავშირებით, იმ ფორმითა და დეტალურობით, რომ ნათლად განისაზღვროს შესაბამისი ცვლილებები დროსა და ხარჯებში.

22.3 ინსპექტირება და აუდიტი ბანკის მიერ

კონტრაქტის ზოგადი პირობების ა დანართის 2.2 ე პარაგრაფის - თაღლითობა და კორუფცია თანახმად, კონტრაქტორმა ნება უნდა დართოს და უზრუნველყოს, რომ მისმა წარმომადგენლებმა (განცხადებულმა და განუცხადებელმა), ქვეკონტრაქტორებმა და ქვეკონსულტანტებმა, მომსახურების მომწოდებლებმა, მომწოდებლებმა და პერსონალმა ნება დართონ ბანკს და/ან ბანკის მიერ დანიშნულ პიროვნებას, შეამოწმოს ობიექტი და/ან კონტრაქტორის და მისი ქვე-კონტრაქტორების ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტის შესრულებასთან, სატენდერო პროცესთან, შერჩევასთან, და ჩაატაროს მათი აუდიტი ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორების საშუალებით, თუ ბანკი ამას მოითხოვს. კონტრაქტორმა და მისმა ქვეკონტრაქტორმა და ქვეკონსულტანტმა ყურადღება უნდა მიაქციონ კონტრაქტის ზოგადი პირობების 25.1 ქვე-პარაგრაფს (თაღლითობა და კორუფცია), სადაც მათ შორის, მითითებულია, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის ბანკს ჩაატაროს ინსპექტირება და აუდიტი, წარმოადგენს აკრძალულ პრაქტიკას და კონტრაქტის შეწყვეტის წინაპირობას (ასევე, გამოიწვევს არაუფლებამოსილად გამოცხადებას, ბანკის საჯარიმო სანქციების პროდუცტურების შესაბამისად).

**23. მომრიგებლის  
დანიშვნა**

23.1 დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დაასახელონ მომრიგებელი დამკვეთის მიერ გამოცემულ "მიღების წერილში". თუ "მიღების წერილში" დამკვეთი

არ ასახელებს მომრიგებელს, მან მომრიგებლის დანიშვნის თხოვნით უნდა მიმართოს “პროექტის კონკრეტულ პირობებში” დასახელებულ უწყებას, რომელმაც მომრიგებელი უნდა დანიშნოს ამგვარი თხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

23.2 მომრიგებლის გადაგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ან თუ დამკვეთი და კონტრაქტორი შეთანხმდებიან, რომ მომრიგებელი არ მოქმედებს კონტრაქტის დებულებების მიხედვით, დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დანიშნონ ახალი მომრიგებელი. თუ დამკვეთი და კონტრაქტორი 30 დღის განმავლობაში ვერ შეთანხმდნენ მომრიგებლის დანიშვნაზე, მომრიგებელს დაასახელებს “პროექტის კონკრეტულ პირობებში” მითითებული შესაბამისი უწყება რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

#### 24. დავების გადაწყვეტის პროცედურა

24.1 თუ კონტრაქტორის აზრით, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილება სცილდება კონტრაქტის ფარგლებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ან არასწორად იქნა მიღებული, პროექტის მენეჯერის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება მომრიგებელს უნდა წარედგინოს.

24.2 დავის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში მომრიგებელმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი გადაწყვეტილება.

24.3 მომრიგებელს ექნება საათობრივი ანაზღაურება “პროექტის კონკრეტულ პირობებში” მითითებული განაკვეთის შესაბამისად, და აუნაზღაურდება “საკონტრაქტო მონაცემებში” აღნიშნული ანაზღაურებადი ხარჯები. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მომრიგებელი, ზემოაღნიშნული ხარჯები თანაბრად უნდა განაწილდეს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის. მომრიგებლის მიერ წერილობითი გადაწყვეტილების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს. თუ ზემოაღნიშნული 28 დღის განმავლობაში არცერთი მხარე არ მიმართავს არბიტრაჟს, მომრიგებლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო.



24.4 არბიტრაჟი უნდა ჩატარდეს იმ უწყების მიერ გამოქვეყნებული პროცედურების შესაბამისად და იმ ადგილას, რომელიც 'კონტრაქტის კონკრეტული პირობებში' არის მითითებული.

**25. თაღლითობა და კორუფცია**

25.1 ბანკი მოითხოვს მის მიერ განსაზღვრულ ანტი-კორუფციულ პრინციპებთან და სანქციების ჩარჩო დოკუმენტში მითითებულ სანქციების პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესატყვისობას, როგორც ეს მოცემულია კონტრაქტის ზოგადი პირობების A დანართში.

25.2 დამკვეთი კონტრაქტორისაგან მოითხოვს, რომ მან გაამჟღავნოს სატენდერო პროცესთან ან კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებული შუამავლებისათვის ან სხვა მხარეებისათვის გადახდილი ან გადასახდელი ნებისმიერი სახის საკომისიოები ან ჰონორარები. გამჟღავნებული ინფორმაცია სულ მცირე უნდა შეიცავდეს შუამავლის ან სხვა მხარის დასახელებასა და მისამართს, და საკომისიოს, ანაზღაურების ან ჰონორარის დანიშნულებას.

**26. ქცევის კოდექსი** 26.1 კონტრაქტორს შემუშავებული უნდა ჰქონდეს ქცევის კოდექსი - საკუთარი პერსონალისთვის.

კონტრაქტორმა უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, რომ უზრუნველყოს თითოეული კონტრაქტორის პერსონალის ინფორმირება ქცევის კოდექსის, მათ შორის, კონკრეტული საქმიანობის აკრძალვის და მსგავსი სახის აკრძალულ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგების შესახებ.

ღონისძიებები მოიცავს კონტრაქტორისთვის გასაგები ინსტრუქციების და დოკუმენტაციის უზრუნველყოფას, ასევე ინდივიდუალური ხელმოწერების მიღებას, აღნიშნული ინსტრუქციების და/ან დოკუმენტაციის მიღების დადასტურების მიზნით, საჭიროებისამებრ.

კონტრაქტორმა ასევე უნდა უზრუნველყოს ქცევის კოდექსის ვიზუალურად ხელმისაწვდომ ადგილებზე განთავსება - საპროექტო ტერიტორიაზე და სამუშაოების წარმოების სხვა ადგილებში, ასევე საპროექტო ტერიტორიის მიღმა, ადგილობრივი საზოგადოებისთვის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის ხელმისაწვდომ

ადგილებში. ქვევის კოდექსი წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტორის პერსონალისთვის, დამკვეთის პერსონალისთვის და ადგილობრივი თემისთვის გასაგებ ენებზე.

კონტრაქტორის მართვის სტრატეგიასა და განხორციელების გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი პროცესები, კონტრაქტორის მიერ აღნიშნულ ვალდებულებებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით.

## 27. საპროექტო ტერიტორიის უსაფრთხოება

27.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელია საპროექტო ტერიტორიის უსაფრთხოებაზე და:

(ა) იმ ფაქტზე, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესვლის უფლებამოსილების არ მქონე პირები არ აღმოჩნდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე;

(ბ) უფლებამოსილი პირების წრეზე, რომელიც შეზღუდული უნდა იყოს კონტრაქტორის პერსონალით, დამკვეთის პერსონალით და სხვა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პერსონალით (მათ შორის, დამკვეთის სხვა კონტრაქტორები საპროექტო ტერიტორიაზე). აღნიშნული შეზღუდვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამკვეთის, ან პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტორის მიმართ გაცემული შეტყობინების საფუძველზე.

კონტრაქტორმა უნდა (i) შეამოწმოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების წარსული; (ii) მოამზადოს დაცვის პერსონალი შესაბამისად (ან დაადგინოს მათი სათანადო მომზადების დონე) ძალის გამოყენების (და საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების) კუთხით და კონტრაქტორის მიმართ, დამკვეთის პერსონალის და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით; და (iii) მოსთხოვოს დაცვის პერსონალს, იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და სპეციფიკაციებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

კონტრაქტორმა არ უნდა დაუშვას დაცვის პერსონალის მიერ ძალის გამოყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თავდაცვის,



ან პრევენციული მიზნით ძალის გამოყენება, საფრთხის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე.

უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების პროცესში, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ასევე შესაბამისობა სპეციფიკაციებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებთან.

## ბ. ვადების კონტროლი

### 28. პროგრამა

- 28.1. კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში მითითებულ პერიოდში, „მიღების წერილის“ თარიღის შემდეგ, კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროგრამა, რომელიც ასახავს სამუშაოთა წარმოების ზოგად მეთოდებს, ორგანიზაციას, თანმიმდევრობას და ვადებს. ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტის შემთხვევაში, პროგრამაში და საქმიანობის გრაფიკში ასახული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. პროგრამის დამტკიცება პროექტის მენეჯერის მიერ, არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს. კონტრაქტორს შეუძლია შეასწოროს პროგრამა და ნებისმიერ დროს, კვლავ წარუდგინოს იგი პროექტის მენეჯერს. კორექტირებულ პროგრამაში უნდა აისახოს ცვლილებების და საკომპენსაციო გარემოებების ზემოქმედების შედეგი.
- 28.2. განახლებული პროგრამა წარმოადგენს პროგრამას, რომელშიც ნაჩვენები იქნება თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის მოახდენს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, საქმიანობების თანმიმდევრობის ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით.
- 28.3. კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი და პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველი ანგარიში და განახლებული პროგრამა, რომელშიც ნაჩვენები იქნება რეალურად მიღწეული პროგრესი და მიღწეული პროგრესის ზეგავლენა დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, საქმიანობების თანმიმდევრობის ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით - არა უგვიანეს დროის იმ ინტერვალებისა, რომლებიც მითითებულია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მითითებულ ვადებში განახლებულ პროგრამას ვერ წარმოადგენს, პროექტის

მენეჯერს შეუძლია გადახდის შემდეგი სერტიფიკატიდან დაუკავოს კონტრაქტორს კონტრაქტის კონკრეტული პირობებით დადგენილი თანხა და დაკავებული ჰქონდეს ეს თანხა შემდეგ გადახდამდე, რომელიც პროგრამის დაგვიანებით წარდგენის თარიღის შემდეგ განხორციელდება. ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა საქმიანობის განახლებული გრაფიკი უნდა წარმოადგინოს პროექტის მენეჯერის შესაბამისი მითითების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

28.4. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხს სხვაგვარად არ განსაზღვრავს სპეციფიკაციები, სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ ყოველ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს დაცვითი და სოციალური მატრიცა, როგორც ეს დოკუმენტის მე-2 დანართშია მოცემული.

28.5. სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ ანგარიშთან ერთად, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს პროექტის მენეჯერს ობიექტზე მომხდარი ნებისმიერი ბრალდების, ინციდენტის, ან შემთხვევის შესახებ, რაც მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს, ან დიდი ალბათობით მოახდენს გარემოზე, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებზე, საზოგადოებაზე, დამკვეთის პერსონალზე, ან კონტრაქტორის პერსონალზე. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული ისეთი ინციდენტებით, ან შემთხვევებით, რაც განაპირობებს ფატალურ შედეგს, ან სერიოზულ დაზიანებას; აღნიშნული გულისხმობს ასევე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას კერძო საკუთრებაზე, ან კერძო საკუთრების მნიშვნელოვნად დაზიანებას; სექსუალური ექსპლოატაციის და ძალადობის და/ან სექსუალური შევიწროების ბრალდებას. სექსუალური ექსპლოატაციის და ძალადობის და/ან სექსუალური შევიწროების შემთხვევაში - კონფიდენციალურობის დაცვით - საჭიროებისამებრ, შესაბამის ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს ბრალდების ტიპი (სექსუალური ექსპლოატაცია, სექსუალური ძალადობა, თუ სექსუალური შევიწროება), ასევე იმ პირის სქესი და ასაკი, რომელზეც განხორციელდა აღნიშნული ინციდენტი.

კონტრაქტორმა, ბრალდების, ინციდენტის, თუ უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაუყონებლივ უნდა აცნობოს პროექტის მენეჯერს, ქვეკონტრაქტორების, ან მომწოდებლების ობიექტებზე მომხდარი ინციდენტის, ან უბედური შემთხვევის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამუშაოებთან და რაც ახდენს, ან სავარაუდოდ



მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებზე, საზოგადოებაზე, დამკვეთის პერსონალზე, ან კონტრაქტორის, მისი ქვეკონტრაქტორის და მომწოდებლების პერსონალზე. შეტყობინებაში საკმარისი დეტალური ინფორმაცია უნდა იყოს მოცემული აღნიშნული ინციდენტების, თუ შემთხვევების შესახებ. კონტრაქტორმა აღნიშნულ ინციდენტებთან, თუ შემთხვევებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია პროექტის მენეჯერს უნდა მიაწოდოს პროექტის მენეჯერთან შეთანხმებულ ვადებში.

კონტრაქტორმა უნდა მოსთხოვოს საკუთარ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს (და არა (მათი) ქვეკონტრაქტორებს), მოცემულ ქვეპარაგრაფში აღნიშნული ინციდენტების, ან შემთხვევების შესახებ კონტრაქტორის დაუყოვნებლივ ინფორმირება.

**29. ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გაგრძელება**

29.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააგრძელოს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი, თუ ადგილი ჰქონდა საკომპენსაციო გარემოებებს, ან გაცემული იქნა ცვლილების შესახებ განკარგულება, რომელთა გამო შეუძლებელი გახდა ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის კონტრაქტორის მიერ დარჩენილ სამუშაოთა დაჩქარების გარეშე, რაც გამოიწვევს კონტრაქტორის დამატებით ხარჯებს.

29.2 პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გააგრძელოს თუ არა და რა პერიოდით გააგრძელოს ობიექტის დასრულების ვადა 21 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი მიმართავს მას საკომპენსაციო გარემოებებთან ან ცვლილების შესახებ განკარგულებასთან დაკავშირებით ვადის გაგრძელების თხოვნით და წარუდგენს სრულ დამადასტურებელ ინფორმაციას. თუ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დაყოვნების შესახებ დროული გაფრთხილების წარდგენა ან ხელს არ უწყობდა ამ დაყოვნების აღმოფხვრას, ამგვარი დაყოვნება არ იქნება გათვალისწინებული ახალი დაგეგმილი დასრულების თარიღის განსაზღვრის დროს.

**30. დაჩქარება**

30.1 როდესაც დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა ობიექტი დასრულების დაგეგმილ თარიღზე ადრე დაასრულოს, პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორისაგან უნდა მიიღოს წინადადება დაჩქარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ მათი ფასების მითითებით. თუ დამკვეთი მიიღებს ამ წინადადებას, ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი შესაბამისად უნდა შესწორდეს და დამტკიცებულ იქნას როგორც დამკვეთის, ასევე კონტრაქტორის მიერ.

- 30.2 თუ დამკვეთი მიიღებს დაჩქარების ღონისძიებებისა და მათი ფასების შესახებ კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, ეს წინადადება გათვალისწინებული იქნება კონტრაქტის ფასში და ჩაითვლება ცვლილებად.
31. პროექტის მენეჯერის ბრძანებით გამოწვეული დაყოვნებები
- 31.1 პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს მითითება კონტრაქტორს სამუშაოების დაწყების დაყოვნების ან სამუშაოების ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობის დაყოვნების შესახებ.
32. ადმინისტრაციული თათბირები
- 32.1 პროექტის მენეჯერს და კონტრაქტორს შეუძლიათ მოსთხოვონ ერთმანეთს ადმინისტრაციულ თათბირებზე დასწრება. ადმინისტრაციული თათბირების მიზანია შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული გეგმების განხილვა და დროული გაფრთხილების პროცედურის შესაბამისად წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.
- 32.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეადგინოს ადმინისტრაციული თათბირის ოქმი, რომლის ასლები დაურიგდებათ თათბირზე დამსწრეებსა და დამკვეთს. ჩასატარებელი ღონისძიებების მიმართ მხარეების პასუხისმგებლობა პროექტის მენეჯერის მიერ გადაწყდება ან ადმინისტრაციულ თათბირზე ან მის შემდგომ და წერილობითი ფორმით დაეგზავნება ყველა დამსწრეს.
33. დროული გაფრთხილება
- 33.1 კონტრაქტორი ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში მოაწოდოს პროექტის მენეჯერს ინფორმაცია მოსალოდნელ მოვლენებზე ან გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედონ სამუშაოთა ხარისხზე, გაზარდონ კონტრაქტის ღირებულება ან შეაყოვნონ სამუშაოთა განხორციელება. პროექტის მენეჯერს შეუძლია მოსთხოვოს კონტრაქტორს, შეაფასოს ამგვარი მოვლენებითა და გარემოებებით გამოწვეული ზემოქმედება კონტრაქტის ღირებულებაზე ან ობიექტის დასრულების ვადაზე. კონტრაქტორმა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული შეფასება.
- 33.2 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერთან ერთად უნდა მოამზადოს და განიხილოს წინადადებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამუშაოთა რომელიმე მონაწილის მიერ ზემოაღნიშნული მოვლენებისა და გარემოებების ზემოქმედების თავიდან აცილება ან შერბილება და ხელი უნდა შეუწყოს



პროექტის მენეჯერის შესაბამისი განკარგულებების განხორციელებას.

### გ. ხარისხის კონტროლი

34. დეფექტების გამოვლენა 34.1 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის მუშაობა და შეატყობინოს მას ყველა აღმოჩენილი დეფექტის შესახებ. ამგვარი შემოწმება არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის მოვალეობებზე. პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს კონტრაქტორს მითითება გამოავლინოს დეფექტი, გახსნას და გამოსცადოს ობიექტის ნებისმიერი ნაწილი, რომელსაც პროექტის მენეჯერის აზრით რაიმე დეფექტი აქვს.
35. გამოცდა 35.1 თუ პროექტის მენეჯერი მისცემს ინსტრუქციას კონტრაქტორს ჩაატაროს გამოცდა, რომელიც არ არის სპეციფიკაციებში აღნიშნული, რათა შეამოწმოს არის თუ არა სამუშაოებში დაშვებული დეფექტი და თუ გამოცდა აჩვენებს რომ დეფექტი არსებობს, კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს გამოცდისა და ნებისმიერი ნიმუშების ხარჯები. თუ დეფექტი არ იქნა აღმოჩენილი, გამოცდა ჩაითვლება საკომპენსაციო გარემოებად.
36. დეფექტების გასწორება 36.1 პროექტის მენეჯერმა უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი დეფექტის შესახებ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე, რომელიც იწყება ობიექტის დასრულების შემდეგ და დადგენილია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი გაგრძელდება მანამ, სანამ დარჩება გასასწორებელი დეფექტები.
- 36.2 ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტორი პროექტის მენეჯერისაგან მიიღებს შეტყობინებას დეფექტების შესახებ, ის ვალდებულია გაასწოროს ეს დეფექტები იმ ვადაში, რომელიც პროექტის მენეჯერის შეტყობინებაშია აღნიშნული.
37. გასწორებელი დეფექტები 37.1 იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი არ გაასწორებს დეფექტებს პროექტის მენეჯერის შეტყობინებაში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს დეფექტების გასწორების ღირებულება და კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს იგი.

### დ. ხარჯების კონტროლი

38. კონტრაქტის ფასი<sup>2</sup> 38.1 სამუშაოთა მოცულობების უწყისი უნდა შეიცავდეს კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების განფასებულ პუნქტებს. სამუშაოთა მოცულობების უწყისი

გამოიყენება კონტრაქტის ფასის გასაანგარიშებლად. კონტრაქტორისათვის გადახდა განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, სამუშაოთა მოცულობების უწყისში თითოეულ პუნქტზე მითითებული ერთეული განფასებების საფუძველზე.

**39. კონტრაქტის ფასის ცვლილებები<sup>3</sup>**

- 39.1 თუ შესრულებული სამუშაოების საბოლოო მოცულობები 25%-ზე მეტი პროცენტით განსხვავდება სამუშაოთა მოცულობების უწყისში კონკრეტული პუნქტისათვის მითითებული მოცულობისაგან და ეს სხვაობა კონტრაქტის საწყისი ფასის 1%-ს აღემატება, პროექტის მენეჯერმა უნდა მოახდინოს ფასის კორექტირება ამ ცვლილების გათვალისწინებით. თუ კონტრაქტის საწყისი ფასი 15%-ზე მეტი ოდენობით არის გადაჭარბებული, პროექტის მენეჯერს შეუძლია მოცულობათა ცვლილების გათვალისწინებით განფასებების კორექტირება მხოლოდ დამკვეთის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.
- 39.2 კონტრაქტის მენეჯერის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორმა მას უნდა წარუდგინოს სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებული ნებისმიერი ერთეული განფასების დეტალური გაწერა.

**40. ვარიაციები**

- 40.1 ყველა ცვლილება შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მოზადებულ განახლებულ პროგრამაში<sup>4</sup>.
- 40.2 კონტრაქტის მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე, კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მას ცვლილების განფასება. კონტრაქტორმა ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ რისკებზე და ცვლილების შედეგად გამოწვეულ ზემოქმედებაზე. პროექტის მენეჯერი შეაფასებს ამ განფასებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას კონტრაქტის მენეჯერის შესაბამისი მოთხოვნიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში ან პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ცვლილების შესახებ განკარგულების გაცემამდე.
- 40.3 თუ კონტრაქტორი წარმოადგენს დაუსაბუთებელ განფასებას, პროექტის მენეჯერს შეუძლია გასცეს განკარგულება ცვლილების შესახებ და ამ ცვლილების კონტრაქტორის ხარჯებზე ზემოქმედების შესახებ საკუთარი პროგნოზის საფუძველზე შეცვალოს კონტრაქტის ფასი.



- 40.4 თუ პროექტის მენეჯერი გადაწყვეტს, რომ ცვლილების სასწრაფო აუცილებლობის გამო შეუძლებელია განფასების წარდგენა და განხილვა სამუშაოების დაყოვნების გარეშე, განფასება არ იქნება წარდგენილი და ცვლილება მიჩნეული იქნება საკომპენსაციო გარემოებად.
- 40.5 კონტრაქტორი ვერ მიიღებს დამატებით ანაზღაურებას იმ ხარჯებისათვის, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო კონტრაქტორის მხრიდან დროული გაფრთხილების შემთხვევაში.
- 40.6 თუ ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები შეესაბამება სამუშაოთა მოცულობის უწყისში მოცემულ სამუშაოთა რომელიმე პუნქტს და პროექტის მენეჯერის აზრით, სამუშაოთა იმ მოცულობის განხორციელება, რომელიც აღემატება „კონტრაქტის ზოგადი პირობებში“ 39.1 ქვე-პარაგრაფში აღნიშნულ ზღვრულ ოდენობას ან მისი განხორციელების ვადები არ გამოიწვევს ერთეული განფასების ზრდას, ცვლილების ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული უნდა იქნას სამუშაოთა მოცულობის უწყისში მითითებული ერთეული განფასება. თუ ერთეული განფასება იცვლება ან შესწორებით გათვალისწინებული სამუშაოების ხასიათი და განხორციელების ვადები არ შეესაბამება სამუშაოთა მოცულობების უწყისის პუნქტებს, კონტრაქტორის მიერ ცვლილების განფასება სამუშაოთა შესაბამისი სახეობების ახალ ერთეულ განფასებებს უნდა დაეფუძნოს<sup>2</sup>.

---

<sup>2</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებთან მიმართებაში, კონტრაქტის ზოგადი პირობების ქვეპუნქტი 38.1 უნდა შეიცვალოს შემდეგი სახით 38.1. სამუშაოების განახლებული გრაფიკები კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს პროექტის მენეჯერის მიერ შესაბამისი მითითების მიღებიდან 14 დღის ვადაში. სამუშაოების გრაფიკში წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების განფასებული აქტივობები. სამუშაოების გრაფიკის გამოყენება მიზნად ისახავს სამუშაოების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს, რის საფუძველზეც მოხდება გადახდა - კონტრაქტორის მიმართ. თუ ობიექტის მასალის ანაზღაურება ცალკე უნდა მოხდეს, მასალის ობიექტამდე მიწოდება კონტრაქტორის მიერ სამუშაოების გრაფიკში ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი.

<sup>3</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებთან მიმართებაში, კონტრაქტის ზოგადი პირობების პარაგრაფი 39 მთლიანად იცვლება ქვემოთ წარმოდგენილი ახალი, კონტრაქტის ზოგადი პირობების 39.1 ქვეპარაგრაფით:

39.1. კონტრაქტორმა ცვლილებები სამუშაოების გრაფიკში უნდა შეიტანოს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამის, ან სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგიის ცვლილების შესაბამისად. კონტრაქტორის მიერ სამუშაოების გრაფიკის შეცვლის პროცესში, სამუშაოების გრაფიკის ფასები არ უნდა შეიცვალოს.


<sup>4</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებში, „პროგრამების“ შემდეგ დამატეთ „და სამუშაოების გრაფიკები“.



<sup>5</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებში, აღნიშნული პარაგრაფი წაშალეთ.

40.7. ღირებულების ოპტიმიზაცია: კონტრაქტორმა, საკუთარი ხარჯით, შესაძლოა მოამზადოს ღირებულების ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავებული წინადადება, კონტრაქტის განხორციელების ნებისმიერ დროს. აღნიშნული წინადადება უნდა მოიცავდეს, სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

(ა) შემოთავაზებული ცვლილების (ცვლილებების) და კონტრაქტის არსებულ მოთხოვნებთან სხვაობის აღწერა;





(ბ) შემოთავაზებული ცვლილების (ცვლილებების) ხარჯების/სარგებელის სრული ანალიზი, იმ ხარჯების აღწერის და შეფასების (საოპერაციო ციკლის ღირებულებით ჩათვლით) გათვალისწინებით, რაც შესაძლოა დაეკისროს დამკვეთს, ღირებულების ოპტიმიზაციის წინადადების განხორციელების პროცესში;

(გ) შესრულებაზე/ფუნქციონირებაზე ცვლილებით გამოწვეული რაიმე სახის ზემოქმედების (ზეგავლენების) აღწერა; და

(დ) შესასრულებელი შემოთავაზებული სამუშაოების აღწერა, მისი შესრულებისთვის საჭირო პროგრამა და საკმარისი ინფორმაცია გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებზე, შესაბამისი რისკების და ზემოქმედების შესაფასებლად.

დამკვეთმა შესაძლოა დაამტკიცოს ღირებულების ოპტიმიზაციის წინადადება, თუ აღნიშნულ წინადადებაში ნაჩვენები იქნება შემდეგი ბენეფიტები:

(ა) კონტრაქტის შესრულების ვადების დაჩქარება; ან

(ბ) კონტრაქტის ფასის შემცირება, ან საოპერაციო ციკლის ხარჯების შემცირება დამკვეთისათვის; ან

(გ) ობიექტების ხარისხის, ეფექტურობის, უსაფრთხოების, ან მდგრადობის გაუმჯობესება; ან

(დ) სხვა სახის სარგებლის მოტანა დამკვეთისათვის,

სამუშაოების განხორციელებასთან მიმართებაში კომპრომისების გაწევის გარეშე.

თუ დამკვეთი დაამტკიცებს ღირებულების ოპტიმიზაციის წინადადებას, რაც გამოიწვევს:

(ა) კონტრაქტის ფასის შემცირებას; კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხა იქნება კონტრაქტის ფასის შემცირების კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში მითითებული პროცენტი; ან

(ბ) კონტრაქტის ფასის ზრდას; მაგრამ განაპირობებს საოპერაციო ციკლის ხარჯების შემცირებას, ზემოთ მითითებული (ა-დ) ბენეფიტების საფუძველზე, კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხა იქნება კონტრაქტის ფასზე დამატებული თანხა მთლიანად.

41. ფულადი  
სახსრების  
მოძრაობის  
პროგნოზი

41.1 თუ მოხდება სამუშაოთა პროგრამის<sup>6</sup> განახლება, კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს ფულადი სახსრების მოძრაობის განახლებული პროგნოზი.

42. გადახდის  
სერტიფიკატებ  
ი

42.1 კონტრაქტორმა ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს კონტრაქტის მენეჯერს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეფასების ანგარიშები იმ საერთო თანხის გამოკლებით, რომელიც ადრე იქნა სერტიფიკატებით დამოწმებული.

42.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის ყოველთვიური ანგარიშები და სერტიფიკატით დაამოწმოს კონტრაქტორისასთვის გადასახდელი თანხა.

42.3 შესრულებული სამუშაოების ღირებულებას პროექტის მენეჯერი განსაზღვრავს.

42.4 შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა მოიცავდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებულ იმ სამუშაოების ღირებულებას, რომლებიც შესრულებული იქნა;<sup>7</sup>

42.5 შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა მოიცავდეს ცვლილებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ღირებულებას.

42.6 მოგვიანებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის მენეჯერს აქვს უფლება ამოიღოს წინა სერტიფიკატით დამოწმებული ნებისმიერი სამუშაო ან შეამციროს ნებისმიერი სამუშაოს ხვედრითი წილი, რომელიც ადრე იქნა სერტიფიკატით დამოწმებული.

<sup>6</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებში, „პროგრამის“ შემდეგ დაამატეთ: „ან სამუშაოების გრაფიკი“.

<sup>7</sup> ფიქსირებული ღირებულების მქონე კონტრაქტებში, მოცემული პარაგრაფი შეცვალეთ შემდეგით: „შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში უნდა შედიოდეს სამუშაოების გრაფიკში წარმოდგენილი დასრულებული სამუშაოების ღირებულებაც“.

42.7. თუ კონტრაქტორი ვერ, ან არ ასრულებს გარემოს დაცვით და სოციალურ ვალდებულებებს, ან კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს, აღნიშნული სამუშაოების, ან



ვალდებულების ღირებულება, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოა დაკავებულ იქნას, შესაბამისი სამუშაოების, ან ვალდებულებების შესრულებამდე; და/ან (დეფექტების) აღმოფხვრის, ან შეცვლის ღირებულება, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოა დაკავებულ იქნას შესაბამისი აღმოფხვრის, ან შეცვლის სამუშაოების განხორციელებამდე. აღნიშნული შეუსრულებლობა მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:

(ა) გარემოს დაცვითი და სოციალური ვალდებულებების, ან სამუშაოთა მოთხოვნებით გაწერილი სამუშაოების შეუსრულებლობა, რაც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს: სამუშაოების წარმოება ობიექტის საზღვრებს მიღმა, ჭარბი მტვერი, საზოგადოებრივი გზების უსაფრთხო მოხმარების პირობების უგულებელყოფა, ობიექტის საზღვრებს მიღმა არსებული ვეგეტაციის დაზიანება, წყლის ნაკადების დაბინძურება საზეთი მასალით, ან სედიმენტაციით, მიწის დაბინძურება, მაგ. საზეთი მასალით, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, არქეოლოგიური, თუ კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლების დაზიანება, ჰაერის დაბინძურება არასანქცირებული და/ან არაკვალიფიციური წვის შედეგად;

(ბ) წამოჭრილი გარემოს დაცვის და სოციალური პრობლემური საკითხების, ან სავარაუდო რისკების, თუ ზემოქმედების მოგვარების მიზნით, მშენებლობის გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის (C-ESMP) რეგულარული გადახედვის და/ან დროული განახლების შეუსრულებლობა;

(გ) მშენებლობის გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის (C-ESMP) შეუსრულებლობა, მაგ. აუცილებელი სწავლების, ან სენსიბილიზაციის უგულებელყოფა;

(დ) შესაბამისი თანხმობების/ნებართვების არ ქონა, სამუშაოების, ან შესაბამისი საქმიანობის განხორციელებამდე;

(ე) გარემოს დაცვის და სოციალური ანგარიშის/ანგარიშების („ბ“ დანართის შესაბამისად) არ წარმოდგენა, ან აღნიშნული ანგარიშების წარმოდგენა დაგვიანებით; აღმოფხვრითი სამუშაოების (მაგ. შეუსაბამობის/შეუსაბამოების აღმოფხვრა) შეუსრულებლობა, პროექტის მენეჯერის მიერ მითითებულ ვადებში.

#### 43. გადახდები

43.1 გადახდები უნდა დაკორექტირდეს ავანსისა და დაკავებული თანხების გამოქვითვის გზით. დამკვეთი კონტრაქტორს გადაუხდის პროექტის მენეჯერის მიერ სერტიფიკატით

დამოწმებულ თანხებს ყოველი სერტიფიკატის გაცემის თარიღიდან 28 დღის განმავლობაში. დამკვეთის მიერ გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, კონტრაქტორი დაგვიანებაზე დარიცხულ პროცენტს მიიღებს შემდეგ გადახდასთან ერთად. აღნიშნული პროცენტი გაანგარიშდება იმ თარიღიდან, როდესაც გადახდა უნდა განხორციელებულიყო, დაგვიანებული გადახდის განხორციელების თარიღამდე. პროცენტი დაანგარიშებული უნდა იქნას კომერციულ სესხებზე არსებული განაკვეთების საფუძველზე თითოეული იმ ვალუტისათვის, რომელშიც ხორციელდება გადახდა.

43.2 თუ სერტიფიკატით დამოწმებული თანხა გაიზრდება შემდგომ სერტიფიკატში ან მომრიგებლის ან არბიტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს დაგვიანებული გადახდის პროცენტი, როგორც წინამდებარე დებულებაშია განსაზღვრული. პროცენტი უნდა გაანგარიშდეს იმ თარიღიდან, როდესაც გაზრდილი თანხა სერტიფიკატით უნდა ყოფილიყო დამოწმებული დავის არარსებობის შემთხვევაში.

43.3 თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, ყველა გადახდა და დაქვითვა უნდა განხორციელდეს დამკვეთის ეროვნულ ვალუტაში, რომელიც კონტრაქტის ფასშია წარმოდგენილი.

43.4 სამუშაოთა ის მუხლები, რომლებისთვისაც არ არის მითითებული ერთეული განფასება ან ფასი, არ ანაზღაურდება დამკვეთის მიერ და მიჩნეული იქნება, რომ ისინი სხვა ერთეული განფასებებისა და ფასების ხარჯზე დაიფარება.

#### 44. საკომპენსაციო გარემოებები

44.1 საკომპენსაციო გარემოებად ითვლება შემდეგი:

(ა) დამკვეთი არ იძლევა ობიექტის ტერიტორიის რაიმე ნაწილში შესვლის საშუალებას ტერიტორიის გადაცემის თარიღისათვის „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 20.1 ქვეპარაგრაფის შესაბამისად;

(ბ) დამკვეთი იმგვარად ცვლის სხვა კონტრაქტორების გრაფიკებს, რომ ეს გავლენას ახდენს კონტრაქტორის სამუშაოებზე მოცემული კონტრაქტის ფარგლებში;

(გ) პროექტის მენეჯერი გასცემს მითითებას სამუშაოთა დაყოვნებაზე, ან ვერ უზრუნველყოფს კონტრაქტორს საჭირო ნახაზებით, სპეციფიკაციებით ან ინსტრუქციებით, რომლებიც აუცილებელია სამუშაოს დროული შესრულებისათვის;

(დ) პროექტის მენეჯერი აძლევს მითითებას კონტრაქტორს გამოავლინოს დეფექტები ან ჩაატაროს დამატებითი



გამოცდები და აღმოჩნდება, რომ ამ სამუშაოებს დეფექტი არ გააჩნდა;

- (ე) პროექტის მენეჯერი უსაფუძვლოდ არ იძლევა ქვეკონტრაქტორის აყვანის ნებართვას;
- (ვ) ძირეული პირობები აღმოჩნდა არსებითად უფრო არასახარბიელო ვიდრე ეს გამომდინარეობდა მიღების წერილის გაგზავნამდე პრეტენდენტისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან (ობიექტის შესწავლის ანგარიშების ჩათვლით), ან საჯაროდ ცნობილი ინფორმაციიდან და სამშენებლო მოედნის ვიზუალური ინსპექტირებიდან;
- (ზ) პროექტის ხელმძღვანელი გასცემს მითითებას დამკვეთის მიზეზით გამოწვეული გაუთვალისწინებელი გარემოების მოგვარების შესახებ, ან უსაფრთხოების ან სხვა მიზნისათვის აუცილებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების შესახებ;
- (თ) სხვა კონტრაქტორები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, კომუნალური სამსახურები, ან დამკვეთი არ მუშაობენ კონტრაქტში აღნიშნული თარიღების და სხვა მითითებულ ვადების ფარგლებში, რაც იწვევს შეყოვნებას ან დამატებით ხარჯს კონტრაქტორისთვის.
- (ი) გვიანდება საავანსო გადახდა;
- (კ) დამკვეთის ნებისმიერი რისკის ზემოქმედება კონტრაქტორზე;
- (ლ) კონტრაქტის მენეჯერი უსაფუძვლოდ აყოვნებს დასრულების სერტიფიკატის გაცემას.

44.2 თუ საკომპენსაციო გარემოება გამოიწვევს დამატებით ხარჯს ან ხელს შეუშლის ობიექტის დამთავრებას ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის, კონტრაქტის ფასი უნდა გაიზარდოს და/ან უნდა გაგრძელდეს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი. პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გაიზრდება თუ არა და რამდენით გაიზრდება კონტრაქტის ფასი და გაგრძელდება თუ არა და რამდენით გაგრძელდება ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი.

44.3 როგორც კი კონტრაქტორი წარმოადგენს ინფორმაციას კონტრაქტორის ხარჯებზე, საკომპენსაციო გარემოების ზეგავლენის შესახებ, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს აღნიშნული ინფორმაცია და ამის შესაბამისად გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი. თუ კონტრაქტორის

პროგნოზი უსაფუძვლოდ იქნება მიჩნეული, პროექტის მენეჯერმა უნდა გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი საკუთარი პროგნოზის საფუძველზე. პროექტის მენეჯერი ვარაუდობს, რომ კონტრაქტორი კომპეტენტურ და ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს ამ გარემოებაზე.

44.4 კონტრაქტორს არა აქვს კომპენსაციის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, რამდენადაც შეილახა დამკვეთის ინტერესები იმის გამო, რომ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დროული გაფრთხილება ან არ ითანამაშრომლა პროექტის მენეჯერთან.

#### 45. გადასახადები

45.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი თუ გადასახადები, საბაჟო გადასახადები და სხვა მოსაკრებლები შეიცვლება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება სატენდერო წინადადებების წარდგენამდე 28 დღით ადრე თარიღიდან და მთავრდება ობიექტის დასრულების ბოლო სერტიფიკატის თარიღით. კორექტირება ასახავს კონტრაქტორის მიერ გადასახდელი გადასახადების თანხის ცვლილებას იმ პირობით, თუ ამგვარი ცვლილება უკვე არ არის ასახული კონტრაქტის ფასში ან წარმოადგენს „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 47-ე პარაგრაფში აღწერილი ფასისი კორექტირების შედეგს.

#### 46. ვალუტები

46.1 არ გამოიყენება

#### 47. ფასის კორექტირება

47.1 რესურსების ხარჯებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ფასების კორექტირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს „კონტრაქტის კონკრეტული პირობები“. ამგვარი დებულების არსებობის შემთხვევაში, გადახდის თითოეულ სერტიფიკატში დამოწმებული თანხა უნდა გაკორექტირდეს საავანსო გადახდის გამოქვითვამდე შესაბამისი კოეფიციენტის გამოყენებით გადასახდელი თანხების მიმართ:

$$P_c = A_c + B_c \cdot I_{mc}/I_{oc}$$

სადაც:

$P_c$  არის კორექტირების კოეფიციენტი, საკონტრაქტო ფასის კონკრეტულ ვალუტაში „c“ გადასახდელი ნაწილისთვის.

$A_c$  და  $B_c$  არის „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული კოეფიციენტები<sup>8</sup>, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავენ კონკრეტულ „c“ ვალუტაში გადასახდელი საკონტრაქტო ფასის არაკორექტირებად და კორექტირებად ნაწილებს;



**Imc** წარმოადგენს თვის ბოლოს პრევალირებად ინდექსს, რომელზეც იწერება ინვოისი, ხოლო **Ioc** არის სატენდერო წინადადების გახსნამდე 28 დღის ადრე, გადასახდელი ხარჯებისთვის პრევალირებადი ინდექსი; ორივე კონკრეტულ ვალუტაში „c“.

47.2 თუ ინდექსის სიდიდე შეიცვლება მისი გაანგარიშებებში გამოყენების შემდეგ, გაანგარიშება უნდა გაკორექტირდეს და ეს კორექტირება შეტანილი უნდა იქნას გადახდის შემდეგ სერტიფიკატში. ინდექსის სიდიდეში გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების მერყეობის შედეგად ხარჯებში მომხდარი ყველა ცვლილება.

---

<sup>8</sup> ორი კოეფიციენტის (Ac და Bc) თანხა ფორმულაში წარმოდგენილი იქნება, როგორც 1 (ერთი) - თითოეული ვალუტისთვის. ჩვეულებრივ, ორივე კოეფიციენტი ყველა ვალუტის ფორმულაში ერთიდაიგივე უნდა იყოს, რადგან კოეფიციენტი A - გადასახდელი თანხების არაკორექტირებადი ნაწილთან მიმართებაში, მეტად მიახლოებულ ციფრს წარმოადგენს (ჩვეულებრივ: 0.15), ფიქსირებული ღირებულების კატეგორიების, ან სხვა



48. თანხების დაკავება

- 48.1 დამკვეთი თითოეული გადახდიდან დაუკავებს კონტრაქტორს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ოდენობას, ობიექტის მთლიანად დასრულებამდე.
- 48.2 პროექტის მენეჯერის მიერ ობიექტის დასრულების სერტიფიკატის გამოცემის შემდეგ, „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 55.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, კონტრაქტორს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც პროექტის მენეჯერი სერტიფიკატით დაამოწმებს, რომ კონტრაქტორმა გაასწორა მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. კონტრაქტორს შეუძლია დაკავებული თანხები შეცვალოს „მოთხოვნამდე“ საბანკო გარანტიით.

49. ჯარიმა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისთვის

- 49.1 ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გადაცილების თითოეული დღისათვის კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა გადაუხადოს ჯარიმა „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული განაკვეთის შესაბამისად. ჯარიმის მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ განსაზღვრულ ოდენობას. დამკვეთს შეუძლია დაუკავოს კონტრაქტორს საჯარიმო თანხა მისთვის კუთვნილი გადახდიდან. ჯარიმის გადახდა არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის ვალდებულებებზე.
- 49.2 თუ ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი გაგრძელებული იქნა მას შემდეგ, რაც უკვე გადახდილი იქნა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის დაწესებული ჯარიმა, პროექტის მენეჯერმა უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორის მიერ ზედმეტად გადახდილი ჯარიმა შემდეგი გადახდის სერტიფიკატში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით. ზედმეტად გადახდილი ჯარიმისათვის კონტრაქტორს უნდა გადაეხადოს პროცენტები. ეს პროცენტები გაანგარიშდება იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება ჯარიმის გადახდის თარიღიდან და სრულდება ჯარიმის ანაზღაურების თარიღით „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 43.1 ქვე-პარაგრაფში მითითებული განაკვეთის საფუძველზე



## 50. პრემია

50.1 კონტრაქტორს უნდა გადაუხადონ პრემია ობიექტის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების ყოველი დღისათვის, (გარდა იმ დღეებისა, რომლებზედაც მას გადაუხადეს დაჩქარებისათვის) „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული განაკვეთის საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა დაამოწმოს რომ ობიექტი დაგეგმილ ვადაზე ადრე იქნა დასრულებული. პროექტის მენეჯერმა სერთიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ ობიექტი დასრულებულია, თუმცა ჯერ არ დამდგარა მისი დასრულების დაგეგმილი თარიღი.

## 51. საავანსო გადახდა

51.1 დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს ავანსი იმ ოდენობით და იმ თარიღზე, რომელიც მითითებულია „კონტრაქტის ზოგად პირობებში“, კონტრაქტორის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამკვეთისათვის მისაღები ფორმით და დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ ავანსის თანხის ოდენობით და ავანსის ვალუტაში. გარანტია ძალაში უნდა დარჩეს მანამდე, სანამ მოხდება ავანსის ანაზღაურება, ხოლო გარანტიის თანხა პროგრესულად შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი თანხების ოდენობის შესაბამისად. საავანსო გადახდაზე პროცენტი არ დაირიცხება.

51.2 კონტრაქტორმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს აღჭურვილობის, მოწყობილობების, მასალების, და მობილიზაციის მხოლოდ იმ ხარჯებისათვის, რომლებიც საჭიროა ამ კონკრეტული კონტრაქტის შესრულებისათვის. პროექტის მენეჯერისათვის ანგარიშ-ფაქტურების და სხვა დოკუმენტების ასლების წარდგენის საშუალებით კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს, რომ საავანსო გადახდა აღნიშნული მიზნებისათვის იყო გამოყენებული.

51.3 ავანსის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხების დაკავებით, გადახდის საფუძველზე ობიექტის გარკვეული პროცენტული ოდენობების დასრულების გრაფიკის მიხედვით. შესრულებული სამუშაოების ღირებულების, შესწორებების, ფასების კორექტირების, საკომპენსაციო გარემოებების, პრემიების და ჯარიმების განსაზღვრისას ავანსის თანხა და მისი ანაზღაურება არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

## 52. გარანტიები

52.1 დამკვეთს უნდა წარედგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელიც მითითებულია

„მიღების წერილში“. აღნიშნული გარანტია გაცემული უნდა იქნას „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ აღნიშნულ თანხაზე, იმ ფორმით, დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ იმავე ვალუტებსა და პროპორციებში, რომელშიც კონტრაქტის ფასი უნდა იქნას გადახდილი. საბანკო გარანტიის შემთხვევაში კონტრაქტის შესრულების გარანტია ძალაში რჩება ობიექტის დასრულების სერტიფიკატის გამოშვების თარიღიდან 28 დღის განმავლობაში, ხოლო ბონდის შემთხვევაში - ობიექტის დასრულების სერტიფიკატის გამოშვების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

**53. დღიური სამუშაოები**

53.1 იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება დამატებითი სამუშაოთა უმნიშვნელო მოცულობის შესრულების აუცილებლობა, პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია წერილობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოების დღიური პრინციპით ანაზღაურების შესახებ კონტრაქტორის სატენდერო წინადადებაში მოცემული დღიური სამუშაოების განაკვეთების საფუძველზე.

53.2. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ფორმებში უნდა აღწეროს ყველა სამუშაო, რომელიც ანაზღაურდება დღიური განაკვეთების საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს და ხელი მოაწეროს ყოველ შევსებულ ფორმას სამუშაოთა დასრულების შემდეგ 2 დღის განმავლობაში.

53.3 კონტრაქტორი მიიღებს დღიური სამუშაოების ანაზღაურებას იმ პირობით, თუ მიღებული იქნება დღიური სამუშაოების ხელმოწერილი ფორმები.

**54. სარემონტო სამუშაოების ღირებულება**

54.1 ობიექტის დაწყების თარიღსა და დეფექტების გასწორების ვადის გასვლას შორის პერიოდში ობიექტის ან ობიექტისათვის გამოსაყენებელი მასალის დაკარგვა ან დაზიანება ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მისივე ხარჯით, თუ ეს დანაკარგი ან ზიანი წარმოადგენს კონტრაქტორის მოქმედების ან შეცდომის შედეგს.

**ე. კონტრაქტის დამთავრება**

**55. ობიექტის დასრულება**

55.1 კონტრაქტორმა უნდა მოსთხოვოს პროექტის მენეჯერს ობიექტის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა და პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს ამგვარი სერტიფიკატი, როდესაც დარწმუნდება, რომ ყველა სამუშაო დასრულებულია.



56. ობიექტის ჩაბარება 56.1 დამკვეთი ჩაიბარებს ობიექტსა და ტერიტორიას პროექტის მენეჯერის მიერ დასრულების სერტიფიკატის გამოცემიდან შვიდი დღის განმავლობაში.
57. საბოლოო ანგარიშწორება 57.1 დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს დეტალური ანგარიში საერთო თანხაზე, რომელიც, კონტრაქტორის აზრით, მას ერგება კონტრაქტის მიხედვით. პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერტიფიკატი და დაამოწმოს კონტრაქტორისათვის გადასახდელი საბოლოო თანხა კონტრაქტორის ანგარიშის მიღებიდან 56 დღის განმავლობაში, თუ ეს ანგარიში სრულყოფილია და სწორი. თუ ანგარიში არასრულყოფილია ან არასწორი, პროექტის მენეჯერმა მისი მიღებიდან 56 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს გრაფიკი, რომელშიც მითითებული იქნება საჭირო შესწორებებისა და დამატებების მოცულობები. თუ ხელშეორედ წარდგენის შემდეგ საბოლოო ანგარიში მაინც არადაამაკმაყოფილებელია, პროექტის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა და გასცეს გადახდის სერტიფიკატი.
58. ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოები 58.1 თუ საჭიროა საშემსრულებლო ნახაზების და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოების წარმოდგენა, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ისინი „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ვადებში.
- 58.2 თუ კონტრაქტორი ვერ წარმოადგენს ნახაზებსა და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოებს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ვადებში „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 60.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, ან თუ კონტრაქტის მენეჯერი მათ არ დაამტკიცებს, პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხებიდან უნდა დააკავოს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული თანხები.
59. კონტრაქტის შეწყვეტა 59.1 დამკვეთს ან კონტრაქტორს შეუძლიათ კონტრაქტის შეწყვეტა, თუ მეორე მხარე დაუშვებს კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევას.
- 59.2 კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევად ითვლება (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) შემდეგი:

- (ა) კონტრაქტორი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 28 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში და არ იყო ნებადართული პროექტის მენეჯერის მიერ;
- (ბ) პროექტის მენეჯერი განკარგულებას მისცემს კონტრაქტორს სამუშაოთა დაყოვნების თაობაზე და არ აუქმებს განკარგულებას 28 დღის განმავლობაში;
- (გ) დამკვეთი და კონტრაქტორი კოტრდება ან განიცდის ლიკვიდაციას (რეორგანიზაციისა და შერწყმის შემთხვევების გარდა);
- (დ) დამკვეთი არ უხდის კონტრაქტორს პროექტის მენეჯერის მიერ სერტიფიკატით დამოწმებული გადახის თანხას ამ სერტიფიკატის გაცემიდან 84 დღის განმავლობაში;
- (ე) პროექტის მენეჯერი გამოსცემს შეტყობინებას, რომ კონკრეტული დეფექტის გაუსწორებლობა კონტრაქტის პრინციპულ დარღვევას წარმოადგენს და კონტრაქტორი ვერ შეძლებს ამ დეფექტის გასწორებას პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი გონივრული დროის მონაკვეთის განმავლობაში;
- (ვ) კონტრაქტორი არ წარმოადგენს მოთხოვნილ გარანტიას;
- (ზ) კონტრაქტორმა ობიექტის დასრულება იმდენი დღით დააგვიანა, რომ ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის გადასახდელმა ჯარიმამ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას მიაღწია.
- (თ) თუ კონტრაქტორი, დამკვეთის აზრით, გარეულია თაღლითობაში და კორუფციაში, მოცემული კონტრაქტისათვის გამართული სატენდერო ვაჭრობის ან კონტრაქტის განხორციელების დროს „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ „ა“ დანართის 2.2 პარაგრაფის შესაბამისად, დამკვეთს უფლება აქვს შეუწყვიტოს მას კონტრაქტი და გაიყვანოს ობიექტიდან, კონტრაქტორისათვის თოთხმეტი (14) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

59.3 ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დამკვეთს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს კონტრაქტი.

59.4 კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩეროს სამუშაოები, უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და დაცულობა და



მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში დატოვოს ობიექტის ტერიტორია.

59.5 იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მხარე ატყობინებს პროექტის მენეჯერს კონტრაქტის დარღვევის შესახებ, იმ მიზეზების საფუძველზე რომელიც არ არის მითითებული კონტრაქტის ზოგადი პირობების ზემოთმოყვანილ 59.2 ქვე-პარაგრაფში, პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს წარმოადგენს თუ არა ეს დარღვევა პრინციპული ხასიათის დარღვევას.

**60. გადახდა კონტრაქტის შეწყვეტისას**

60.1 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის პირობების არსებითი დარღვევების გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გამოსცეს სერტიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოსა და შეკვეთილი მასალების ღირებულება, სერტიფიკატის თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა პროცენტის გამოკლებით, როგორც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. ობიექტის დასრულების ვადის გადაცილების დამატებითი ჯარიმა ამ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც, ამ შემთხვევაში ერგება დამკვეთს, აღემატება იმ თანხას, რომელიც ერგება კონტრაქტორს, სხვაობა ჩაითვლება კონტრაქტორის დავალიანებად დამკვეთის მიმართ.

60.2 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება დამკვეთის შეხედულებისამებრ ან დამკვეთის მხრიდან კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევის გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს სერტიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოების და შეკვეთილი მასალების ღირებულება, ასევე აღჭურვილობის გაყვანის, კონტრაქტორის მხოლოდ ამ ობიექტზე მომუშავე პერსონალის უკან დაბრუნების, კონტრაქტორის მიერ ობიექტის დაცვისა და შენახვის დასაბუთებული ხარჯები, სერტიფიკატის გაცემის თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების გამოკლებით.

**61. საკუთრება**

61.1 თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მასალა, დანადგარი, აღჭურვილობა, დროებითი ობიექტები და ობიექტი რჩება დამკვეთის საკუთრებაში.

**62. კონტრაქტის შესრულების პასუხისმგებლობა**

60.1 თუ კონტრაქტი ჩაიშლება საომარი მოქმედებების დაწყების ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც არ ექვემდებარება დამკვეთის ან კონტრაქტორის მხრიდან კონტროლს, პროექტის

ობისგან  
გათავისუფლე  
ბა

მენეჯერმა სერტიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ კონტრაქტი ჩაიშალა. ამ სერტიფიკატის მიღების შემდეგ კონტრაქტორმა მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში უნდა უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და შეწყვიტოს სამუშაოები. კონტრაქტორს უნდა აუნაზღაურდეს სერტიფიკატის მიღებამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება და ასევე სერტიფიკატის მიღების შემდეგ შესრულებული იმ სამუშაოების ღირებულება, რომელთა შესახებ წინასწარი შეთანხმება არსებობდა.

63. ბანკის სესხის ან კრედიტის შეჩერება
- 63.1 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი შეაჩერებს დამკვეთზე გაცემულ სესხს ან კრედიტს, რომლისი სახსრებიდანაც ხორციელდებოდა კონტრაქტორისათვის გადახდების ნაწილი:
- (ა) დამკვეთი ვალდებულია ზემოაღნიშნული შეჩერების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კონტრაქტორს, ბანკისაგან სესხის ან კრედიტის შეჩერების შესახებ შეტყობინების მიღებიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში;
  - (ბ) თუ კონტრაქტის ზოგადი პირობების 43.1 ქვე-პარაგრაფში გათვალისწინებულ გადახდებთან დაკავშირებით, კონტრაქტორი 28 დღის განმავლობაში ვერ მიიღებს მის კუთვნილ თანხებს, მას შეუძლია დაუყოვნებლივ გასცეს 14 დღიანი შეტყობინება კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ.



## ზოგადი პირობები დანართი „ა“

თაღლითობა და კორუფცია  
(დანართის ტექსტი მოდიფიცირებას არ ექვემდებარება)

### 1. მიზანი

- 1.1. ბანკის ანტი-კორუფციული სახელმძღვანელოები და წარმოდგენილი დანართი გამოიყენება ბანკის საინვესტიციო პროექტის დაფინანსების ოპერაციების ფარგლებში მიმდინარე შესყიდვებთან მიმართებაში.

### 2. მოთხოვნები

- 2.1. ბანკის მიერ დადგენილია მოთხოვნა, რომ მსესხებლები (მათ შორის საბანკო დაფინანსების ბენეფიციარები), პრეტენდენტები (წინადადებების შემომტანი პირები), კონსულტანტები, კონტრაქტორები და მომწოდებლები; ასევე ქვე-კონტრაქტორები, ქვე-კონსულტანტები, მომსახურების მომწოდებლები, ან მომმარაგებლები; აგენტები (მიუხედავად იმისა, დეკლარირებულია ეს თუ არა) და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალი, ვალდებული არიან, დაიცვან ეთიკის მაღალი სტანდარტი შესყიდვების, შერჩევის და ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების განხორციელებისას და თავი შეიკავონ თაღლითობისა და კორუფციისგან.

- 2.2. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ბანკი:

(ა) განსაზღვრავს ტერმინებს, ქვემოთ მოყვანილი სახით:

- i. „კორუფციული ქმედება“ არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან მოთხოვნა, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;
- ii. „თაღლითური ქმედება“ არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის გაყალბება, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;
- iii. „წინასწარ განზრახული მოქმედება“ არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლზომიერი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზემოქმედების მიღწევის მიზნით;
- iv. „იძულება“ არის რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანება ან გაფუჭება ან დაზიანების და გაფუჭების მუქარა პირდაპირ ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა;
- v. „ობსტრუქციული ქმედება“ არის:  
(ა) წინასწარი შეცნობით გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მიჩქმალვა ან გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც მიზნად ისახავს ბანკის მიერ კორუფციის, თაღლითობის, წინასწარ განზრახული მოქმედების ან იძულების ფაქტების გამოძიებისათვის ხელის შეშლას; ან/და რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, დევნა ან შანტაჟი, რომელიც მიზნად ისახავს



აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა ან გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ხელის შეშლას, ან

(ა) ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის მიერ ინსპექციისა და აუდიტის განხორციელებისათვის არსებითად ხელის შეშლას ქვემოთ მოცემული 2.2 (ე) პარაგრაფის შესაბამისად.

(ბ) უკუაგდებს სატენდერო წინადადებას, თუკი ბანკი დაადგენს, რომ კონტრაქტის მინიჭებისთვის რეკომენდირებული კომპანია, ან კერძო პირი, ან მისი პერსონალის რომელიმე წევრი ან მისი აგენტი ან მისი ქვეკონსულტანტი, ქვეკონტრაქტორი, მომსახურების მომწოდებელი, მომმარაგებელი და/ან მათი თანამშრომლები, პირდაპირ ან ირიბად, შემჩნეულნი არიან კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ობსტრუქციულ საქმიანობაში, შესაბამისი კონტრაქტის მოპოვების მიზნით;

(გ) შესაბამისი იურიდიული შეთანხმებით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია სხვა შესაბამისი ზომების გატარებაც, მათ შორის, შესყიდვის გამოცხადება ბათილად, თუ ბანკი დაადგენს, რომ მსესხებლის, ან საკრედიტო სახსრების მიმღები რომელიმე მხარის წარმომადგენლები ჩართულები არიან კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით და ობსტრუქციულ საქმიანობაში, შესყიდვების, შერჩევის და/ან კონტრაქტის განხორციელების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი არ მიმართავს ბანკისათვის დამაკამაყოფილებელ დროულ და აუცილებელ ქმედებებს აღნიშნულ არამართლზომიერ მოქმედებათა აღსაკვეთად, მათ შორის, თუ იგი მყისიერად ვერ აცნობებს ბანკს აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;

(დ) ბანკის ანტი-კორუფციული სახელმძღვანელოების შესაბამისად და ბანკის პრევალირებადი სანქციების პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე, შესაძლებელია სანქციების დაწესება კომპანიის, ან კერძო პირისთვის, რაც გულისხმობს ასეთი კომპანიის, ან კერძო პირის გამოცხადებას უფლებამოსილების არმქონედ განუსაზღვრელი ვადით ან დროის დადგენილ მონაკვეთში, იმისთვის, რომ (i) მან არ მიიღოს ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტი, ან რაიმე სახის სარგებელი - ფინანსური, თუ სხვა თვალსაზრისით აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში<sup>2</sup>; და (ii) არ იყოს ნომინირებული<sup>3</sup> ქვე-კონტრაქტორის, კონსულტანტის, მწარმოებლის, ან მიმწოდებლის, ან სერვისის მიმწოდებლის სტატუსის მიღებაზე, ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტის ფარგლებში; და (iii) არ მიიღოს ბანკის მიერ გაცემული სესხიდან სახსრები, ან სხვაგვარი

<sup>2</sup> ეჭვების გასაქარწყლებლად, კონტრაქტის მინიჭებაზე სანქცირებული მხარის არაუფლებამოსილება, შეზღუდვის გარეშე, გულისხმობს არაუფლებამოსილებას: (i) წინა-საკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობაზე, ინტერესის გამოხატვაზე საკონსულტაციო მომსახურების ტენდერში, პირდაპირი, თუ ქვე-კონტრაქტორის სტატუსით, ნომინირებულ კონსულტანტობაზე, ნომინირებული მწარმოებლის, ან მიმწოდებლის სტატუსზე, ან მომსახურების ნომინირებული მომწოდებლის სტატუსზე, აღნიშნულ კონტრაქტთან მიმართებაში; და (ii) ცვლილების, ან დამატების გაფორმებაზე, რაც არსებით გავლენას მოახდენს არსებულ კონტრაქტზე.

<sup>3</sup> ნომინირებული ქვე-კონტრაქტორი, კონსულტანტი, მწარმოებელი, ან მიმწოდებელი, ან ნომინირებული მომსახურების მიმწოდებელი (ცალკეული სატენდერო დოკუმენტისთვის გამოიყენება განსხვავებული სახელწოდება) არის პირი, რომელიც: (i) პრეტენდენტის მიერ დასახელებულია წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევის ან პრეტენდენტად, რადგან ფლობს სპეციფიკურ და უმნიშვნელოვანეს გამოცდილებასა და ცოდნას, რაც პრეტენდენტს ეხმარება, დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული ტენდერისათვის; ან (ii) პირი, რომელიც დანიშნულია მსესხებლის მიერ.



მონაწილეობა, ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის მომზადებისა, თუ განხორციელების პროცესში.

(ე) მოითხოვს, რომ სატენდერო დოკუმენტებში და ბანკის მიერ დაფინანსებულ კონტრაქტში შეტანილ იქნეს ცალკე პარაგრაფი, რომელიც დაავალდებულებს (i) პრეტენდენტებს (წინადადებების შემომტან პირებს), კონსულტანტებს, კონტრაქტორებს და მომწოდებლებს, ასევე მათ ქვე-კონტრაქტორებს, ქვე-კონსულტანტებს, მომსახურების მომწოდებლებს, მომმარაგებლებს, აგენტების პერსონალს, უზრუნველყონ ბანკის შეუფერხებელი დაშვება შესყიდვების პროცესთან, შერჩევასთან და/ან კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის, ჩანაწერისა და სხვა დოკუმენტების ინსპექტირებისათვის<sup>4</sup>, და უფლება მისცენ ბანკის მიერ დანიშნულ აუდიტორს, ჩაატაროს აუდიტი.

<sup>4</sup> ინსპექტირება მოცემულ კონტექსტში ჩვეულებრივ საგამოძიებო (ე.ი. სასამართლო ექსპერტიზის) ხასიათს ატარებს, რაც გულისხმობს ბანკის, ან ბანკის მიერ დანიშნული პირების მიერ ფაქტების დადგენის მიზნით წარმოებულ საქმიანობას, გამოძიებასთან/აუდიტთან დაკავშირებული კონკრეტული და ისეთი საკითხების გარკვევის მიზნით, როგორცაა მაგალითად შესაძლო თაღლითობის და კორუფციის ბრალდების უტყუარობის შეფასება, შესაბამისი მექანიზმების გამოყენების საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: კომპანიის, ან კერძო პირის ფინანსურ ანგარიშებზე და ინფორმაციაზე წვდომა და შესწავლა, ასევე შესაბამისი ასლების გადაღება, საჭიროების შემთხვევაში; გამოძიებისთვის/აუდიტისთვის საჭირო ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტებზე, მონაცემებზე და ინფორმაციაზე (იქნება ეს მყარი, თუ ელ. ვერსია) წვდომა და მათი შესწავლა, ასევე შესაბამისი ასლების გადაღება, საჭიროების შემთხვევაში; გასაუბრება პერსონალთან და სხვა კერძო პირებთან; ფიზიკური დათვალიერება და ვიზიტები ობიექტებზე; ასევე ინფორმაციის გადამოწმება შესაბამე მხარესთან.

## დანართი ბ

### გარემოს და სოციალური საზომები პროგრესის ანგარიშებისთვის

სტანდარტული ანგარიშის საზომები:

ა. გარემო შემთხვევები ან შეუსაბამო ხელშეკრულების მოთხოვნებთან, მათ შორის კონტამინაცია, დაბინძურება ან მიწისა თუ წყლის მარაგების დაზიანება;

ბ. ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები, ინციდენტები, დაზიანებები, რომლებიც საჭიროებს მკურნალობას და ყველა ფატალური შემთხვევა;

გ. მუშაობა მარეგულირებლებთან: უწყების, თარიღების, საკითხების, შედეგების იდენტიფიცირება (შედეგების არ არსებობის შემთხვევაში უარყოფით შედეგების ანგარიშში ასახვა);

დ. ყველა ნებართვისა და ხელშეკრულების სტატუსი:

i. სამუშაო ნებართვები: საჭირო რაოდენობა, მიღებული რაოდენობა, მიუღებლობის შემთხვევაში განხორციელებული მოქმედებები;

ii. ნებართვების სტატუსი და თანხმობები:

- იმ სფეროების/ნაგებობების ნუსხა, რომლებსაც ესაჭიროებათ ნებართვები (კარიერები, ასფალტი და ცემენტის ქარხნები), განაცხადის გაკეთების თარიღი, გაცემის თარიღი (გაუცემლობის შემთხვევაში განსახორციელებელი მოქმედებები), ინჟინერისთვის მიწოდებული თარიღები, ტერიტორიის სტატუსი (ნებართვის მოლოდინში, მუშაობს, მიტოვებული მოთხოვნების გარეშე, მუშავდება ექსპლუატაციის შეწყვეტის გეგმა, და ა.შ.);

- იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც მესაკუთრესთან გაფორმებულია ხელშეკრულება (კარიერები და სამშენებლო ნარჩენების შეგროვების ადგილები), ხელშეკრულების დადების თარიღები, ინჟინერისთვის მიწოდების თარიღი;

- ანგარიშების პერიოდისთვის თითოეულ ადგილას განხორციელებული ძირითადი აქტივობები და გარემოს და სოციალური დაცვის ძირითადი ასპექტები (მიწის გაწმენდა,



საზღვრების მონიშვნა, ნიადაგის ზედა ფენის შენარჩუნება, საავტომობილო მოძრაობის მართვა, ექსპლუატაციის შეწყვეტის დაგეგმვა, ექსპლუატაციის შეწყვეტის განხორციელება);

- კარიერების შემთხვევაში: გადაადგილების სტატუსი და კომპენსაცია (დასრულებული, ან აქტივობების დეტალები და ანგარიშგების პერიოდისთვის არსებული სტატუსი).

**ე. ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზედამხედველობა:**

- i. უსაფრთხოების ოფიცერი: ნამუშევარი დღეების აღრიცხვა, სრული ან ნაწილობრივი ინსპექტირების რაოდენობა, ანგარიშები მშენებლობის/პროექტის მართვისთვის;
- ii. მუშახელის რაოდენობა, სამუშაო საათები, პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენების გაზომვა (მუშახელის პროცენტული რაოდენობა, რომელიც სრულად, ნაწილობრივ და ა.შ. არის აღჭურვილი პერსონალური დამცავი აღჭურვილობით), დარღვევები მუშების მხრიდან (დარღვევების სახეობების, პერსონალური დამცავი აღჭურვილობის და ა.შ. მიხედვით), მიცემული გაფრთხილებები, განმეორებით გაცემული გაფრთხილებები, განხორციელებული მოქმედებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**ვ. მუშახელის განთავსება:**

- i. მიგრანტების და ადგილობრივების რაოდენობა;
- ii. ბოლო ინსპექტირების თარიღი, და ინსპექტირების ძირითადი მონაცემები, მათ შორის განთავსების შესაბამისობა ეროვნულ და ადგილობრივ კანონთან და კარგ პრაქტიკასთან, მათ შორის სანიტარული კვანძები, სივრცე, და ა.შ.;
- iii. პირობების გაუმჯობესების რეკომენდირების/მოთხოვნის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.

**ზ. ჯანდაცვის მომსახურებები:**

ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერი, ინფორმაცია და/ან სწავლება, კლინიკის მდებარეობა, სამუშაოსთან კავშირის არმქონე დაავადებები ან ავადმყოფობების რაოდენობა, მკურნალობა და დიაგნოსტიკა (სახელების მითითება არ არის საჭირო);

თ. გენდერი (მიგრანტების და ადგილობრივების, ცალ-ცალკე): ქალი თანამშრომლების რაოდენობა, სამუშაო ძალის პროცენტულობა,

დაფიქსირებული და მოგვარებული გენდერული პრობლემები (საჩივრების ან სხვა ნაწილების დაკავშირება);

**ი. სწავლება:**

- i. ახალი მუშახელის რაოდენობა, იმ მუშახელის რაოდენობა, რომელიც გადის საწყის სწავლებას, სწავლების თარიღები;
- ii. უსაფრთხოების შეხვედრების რაოდენობა და თარიღები, ოკუპაციური ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მიმღები თანამშრომლების რაოდენობა (OHS), გარემო და სოციალური სწავლებები;
- iii. გადამღები დაავადებების დაცვის (მათ შორის სქესობრივი გზით გადამღები დაავადებები) და/ან სწავლებების რაოდენობა და თარიღები, სწავლებაში მონაწილე მუშახელის რაოდენობა (ანგარიშების პერიოდისთვის და წარსულში); გენდერული სენსიტიურობის, მოწინავე პირების სწავლება.
- iv. SEA და SH პრევენციის და/ან სწავლების ღონისძიებების რაოდენობა და თარიღები, მათ შორის კონტრაქტორის პერსონალის ქცევის კოდექსთან დაკავშირებულ სწავლებაში მონაწილე მუშახელის რაოდენობა (ანგარიშების პერიოდისთვის და წარსულში), და ა.შ.

**კ. გარემოს დაცვის და სოციალური ზედამხედველობა:**

- i. გარემოს დამცველები: სამუშაო დღეები, შემოწმების სფეროები და თითოეულის შემოწმების რაოდენობა (გზის მონაკვეთი, სამუშაო ბანაკი, განთავსება, კარიერები, ნარჩენების საყრდენები, ჭაობები, ტყის მონაკვეთები და ა.შ.), აქტივობების/მიგნებების მიმოხილვა (მათ შორის გარემოს და/ან სოციალური საუკეთესო პრაქტიკის დარღვევები), გარემოს დაცვის და/ან სოციალური საკითხების სპეციალისტების/მშენებლების/მენეჯმენტისთვის მიწოდებული ანგარიშები;
- ii. სოციოლოგი: სამუშაო დღეების რაოდენობა, ადგილის ნაწილობრივი და სრული ინსპექტირების რაოდენობა (სფეროების მიხედვით: გზის მონაკვეთები, სამშენებლო ბანაკები, განთავსების ადგილები, კარიერები, ნარჩენების მოგროვების ადგილები, კლინიკა, აივ/შიდსის ცენტრი, საზოგადოებრივი ცენტრები, და ა.შ.), აქტივობების მიმოხილვა (მათ შორის გარემოს და/ან სოციალური მოთხოვნების დარღვევა, განხორციელებული მოქმედებები), გარემოს დაცვის და/ან სოციალური



საკითხების სპეციალისტების/ მშენებლების/ მენეჯმენტისთვის მიწოდებული ანგარიშები; და

- iii. თემთან ურთიერთობის სპეციალისტ(ებ)ი: სამუშაო დღეების რაოდენობა (საზოგადოებრივი ცენტრების სამუშაო საათები), ადამიანების რაოდენობა, რომლებთანაც ჩატარდა შეხვედრები, აქტივობების მიმოხილვა (დაფიქსირებული პრობლემები, და ა.შ.), გარემოს დაცვის და/ან სოციალური საკითხების სპეციალისტების/მშენებლების/მენეჯმენტისთვის წარდგენილი ანგარიშები.

**ლ. საჩივრები:**

ახალი საჩივრების რაოდენობა (მაგალითად, SEA და SH ყველა ბრალდება), რომლებიც მიღებული იქნა ანგარიშგების პერიოდისთვის და გადაუჭრელი საჩივრების რაოდენობა მათი მიღების თარიღის მიხედვით, მომჩივნების ასაკი და სქესი, საჩივრის მიღების ფორმა, ვის დაევალა მოქმედების განხორციელება, პრობლემის გადაჭრა და თარიღი (დასრულების შემთხვევაში), პრობლემის მოგვარების შესახებ მომჩივნისთვის შეტყობინების მიწოდების თარიღი, დამატებით განსახორციელებელი მოქმედებები (სხვა ნაწილების მაგალითების მოყვანა):

- i. მუშახელის საჩივრები;
- ii. თემის საჩივრები.

**მ. საგზაო მოძრაობა, საგზაო უსაფრთხოება და ავტომობილები/ ალჭურვილობა:**

- i. საავტომობილო და საგზაო უსაფრთხოების შემთხვევები, რომლებიც მოიცავდა პროექტის ავტომობილებს და ალჭურვილობას: თარიღი, მდებარეობა, ზიანი, გამომწვევი მიზეზი, განხორციელებული მოქმედებები;
- ii. საავტომობილო და საგზაო უსაფრთხოების შემთხვევები, რომლებიც არ უკავშირდებოდა პროექტის ტექნიკას ან საკუთრებას (გათვალისწინებულია საზომების ფარგლებში): თარიღი, მდებარეობა, ზიანი, გამომწვევი მიზეზი, განხორციელებული მოქმედებები;
- iii. ტექნიკის/ალჭურვილობის ზოგადი მდგომარეობა (სუბიექტური შეფასება გარემოსდამცველების მხრიდან); პერიოდული შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, რომელიც აუცილებელია გარემოს და/ან უსაფრთხოების დაცვისთვის (გამონახოლქვის კონტროლი, და ა.შ.).

**ნ. გარემო შემარბილებელი მოქმედებები და პრობლემები (რა გაკეთდა):**



- i. მტვერი: მუშა ტანკერების რაოდენობა, მორწყვის რაოდენობა დღეში, საჩივრების რაოდენობა, გარემოსდამცველების გაკეთებული გაფრთხილებები, საკითხის მოგვარების კუთხით გადადგმული ნაბიჯები; კარიერებით გამოწვეული მტვრის კონტროლის მონაცემები (დამცავები, სითხეები, ოპერაციული სტატუსი); სპეციალური დამცავის მქონი ქვის/ნარჩენების სატვირთოების % რაოდენობა, დაუცველი ტექნიკის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები;
- ii. ეროზიის კონტროლი: მდებარეობის მიხედვით დანერგილი კონტროლის მექანიზმები, წყლის გადინების სტატუსი, გარემოსდამცველთა მიერ განხორციელებული შემოწმებები და შედეგები, პრობლემის მოგვარების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, ეროზიის/სედიმენტაციის კონტროლის მიზნით გადადგმული ნაბიჯები;
- iii. კარიერები, ბურღვის ადგილები, ნარჩენების მოგროვების სივრცეები, ასფალტის ქარხნები, ცემენტის ქარხნები: თითოეული შემთხვევაში ანგარიშგების პერიოდისთვის განხორციელებული მოქმედებების იდენტიფიცირება, და გარემოს და სოციალური დაცვის საკითხების ძირითადი მონაცემები: მიწის გასუფთავება, ნიადაგის ზედა ფენის შენარჩუნება, საავტომობილო მოძრაობის მართვა, ექსპლუატაციიდან ამოღების დაგეგმვა, ექსპლუატაციიდან ამოღების განხორციელება;
- iv. აფეთქებები: აფეთქებების რაოდენობა (და მდებარეობა), აფეთქების გეგმის დანერგვის სტატუსი (მათ შორის შეტყობინებები, ევაკუაცია და ა.შ.), ტერიტორიის მიღმა მიყენებული ზიანი ან საჩივრები (სხვა საკითხების მითითება საჭიროების შესაბამისად);
- v. დაღვრილი მასალის გასუფთავება, ასეთის არსებობის შემთხვევაში: დაღვრილი მასალა, მდებარეობა, რაოდენობა, განხორციელებულ მოქმედებები, მასალის მართვა (დაღვრის იმ ნებისმიერი შემთხვევის დაფიქსირება, რომელიც იწვევს წყლის ან ნიადაგის დაბინძურებას);
- vi. ნარჩენების მართვა: ნარჩენების სახეობები და მოცულობა, მართვა, მათ შორის ადგილიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა (და ვის მიერ იქნა გატანილი) ან ხელახლა გამოყენება/გადამუშავება/ადგილზე მოთავსება;
- vii. ანგარიშგების პერიოდში ხეების დარგვის და სხვა შემარბილებელი მოქმედებების დეტალები;



viii. წყლისა და ჭაობების დაცვის დეტალები, შემარბილებელი ზომები, რომლებიც მიღებული იქნა ანგარიშგების პერიოდში.

**ა. შესაბამისობა:**

- i. სამუშაოებისთვის საჭირო ყველა შესაბამისი თანხმობის/ნებართვის შესაბამისობის სტატუსი, მათ შორის კარიერებისთვის (და ა.შ.): შესაბამისობის დებულება ან პრობლემების და განხორციელებული მოქმედებების სია, რომლებიც აუცილებელია შესაბამისობის მისაღწევად;
  - ii. C-ESMP/ESIP მოთხოვნებთან შესაბამისობის სტატუსი: შესაბამისობის სტატუსი ან იმ პრობლემების და მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია შესაბამისობის მისაღწევად;
  - iii. SEA და SH პრევენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტატუსი და რეაგირების სამოქმედო გეგმა: შესაბამისობის სტატუსი ან იმ პრობლემების და მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია შესაბამისობის მისაღწევად;
  - iv. ჯანდაცვის და უსაფრთხოების მართვის გეგმასთან შესაბამისობის სტატუსი: შესაბამისობის სტატუსი ან იმ პრობლემების და მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია შესაბამისობის მისაღწევად;
- v. წინა ანგარიშგების შემდეგ გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებს: უწყვეტი დარღვევები, ტექნიკის უწყვეტი გაუმართაობა, ავტომობილების დამცავების არ არსებობა, უყურადღებოდ დატოვებული დაღვრის შემთხვევები, უწყვეტი კომპენსაცია ან აფეთქების პრობლემები, და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა საკითხებზე მითითება.



ქალაქ გორში, ახალბადის პარკის  
(ს/კ 66.45.26.323)

დეტალური საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
შედგენა – მომსახურება

დეტალური სპეციფიკაციები





## შინაარსი

შინაარსი	2
1. სამშენებლო მოედანი	4
1.1. ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზები	4
1.2. სამშენებლო მოედნის მონახულება	4
2. სამუშაოები კონტრაქტის ფარგლებში	4
2.1. ზოგადი აღწერა	4
3. პროექტის თავისებურებები	13
3.1. პროექტის ძირითადი თავისებურებების აღწერა	13
3.2. დროებითი სამუშაოები	14
4. ნახაზები	14
4.1. სატენდერო ნახაზები	14
4.2. მშენებლობისათვის განკუთვნილი ნახაზები	14
5. მასალის და აღჭურვილობის დამტკიცება	14
5.1. მასალების ხარისხი	14
5.2. ნიმუშების და მონაცემების წარდგენა	15
5.3. გამოცდა	15
5.4. ხარჯები	16
5.5. ინსპექტირება	16
5.6. დოკუმენტაცია	17
6. მშენებლობის გრაფიკი	17
6.1. წარდგენის თარიღი	17
6.2. მოთხოვნები	18
6.3. ყოველთვიური ანგარიშები	18
7. უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა	18
7.1. ზოგადი	18
7.2. უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები	19
8. მშენებლობის კომუნალური მომსახურება	19
8.1. ზოგადი	19
9. ტრანსპორტი – გზები, ხიდები	19
9.1. მისასვლელი ბილიკების, გზებისა და სხვა ობიექტების მოვლა და შენახვა	19
9.2. კომუნალური აღჭურვილობა	20
10. გარემოს დაცვა	22
10.1. ხმაური და სამუშაო საათები	22
10.2. სამუშაო საათები	22

10.3	სმაურის კონტროლი	22
10.4	მტვერი და ჰაერის დაბინძურება	23
10.5	ნარჩენებისა და დაბინძურებული მასალების გატანა	23
10.6	ეკოლოგია	24
10.7	სამშენებლო მოედნის საზღვრები/შემოღობვა	25
10.8	სამშენებლო მოედანზე მიმდინარე საქმიანობა	25
10.9	უსაფრთხოება	26
10.10	არსებული კონსტრუქციების დაცვა	27
11.	სხვა ქვეყნების სტანდარტები	27
11.1	ზოგადი	27
12.	ფოტოსურათები	28
13.	გაზომვა	29
13.1	ზოგადი	29
13.2	გაზომვები	29
13.3	წონის გაზომვა	29
13.4	წონისა და ზომის ერთეულები	30
14.	დღიური სამუშაო	30



## 1. სამშენებლო მოედანი

### 1.1. ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზები

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. გორის ცენტრალურ ნაწილში, გურამიშვილის ქუჩის გაყოლებაზე და შედგება ერთი მთლიანი სეგმენტისგან ს/კ 66.45.26.323 – (მესაკუთრე სსიპ გორის მუნიციპალიტეტი), ქალაქის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ, რომელიც ჯამში მოიცავს დაახლოებით 119618,00 კვ.მ-ს. აღნიშნული ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი იმყოფება ზღვის დონიდან საშუალოდ 590,55 მ-ზე, ხოლო სამხრეთ ნაწილი 584,60 მ-ზე.

### 1.2 სამშენებლო მოედნის მონახულება

შესრულებული სამუშაოების განსხვავებული ხასიათის გათვალისწინებით, აუცილებელია ტერიტორიის ადგილზე შესწავლა ტენდერში მონაწილეთა მიერ.

თითოეული მონაწილე ინფორმირებული უნდა იყოს სამუშაოთა ტიპებისა და მოცულობების შესახებ, რომ შემოთავაზებული ერთეული განფასებები და განაკვეთები მოიცავდეს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

## 2. სამუშაოები კონტრაქტის ფარგლებში

### 2.1 ზოგადი აღწერა

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. გორის ცენტრალურ ნაწილში, გურამიშვილის ქუჩის გაყოლებაზე და შედგება ერთი მთლიანი სეგმენტისგან ს/კ 66.45.26.323 – (მესაკუთრე სსიპ გორის მუნიციპალიტეტი), ქალაქის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ, რომელიც ჯამში მოიცავს დაახლოებით 119618,00 კვ.მ-ს. აღნიშნული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილი იმყოფება ზღვის დონიდან საშუალოდ 590,55 მ-ზე, ხოლო სამხრეთ ნაწილი 584,60 მ-ზე. პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე არსებული პარკის სრულ რეაბილიტაციასა და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას (შესასვლელი კოლონადის რეაბილიტაციას, შადრევნების რეაბილიტაციას, გარე ღობის რეაბილიტაციას, აღმინისტრაციული და სასაწყობე შენობის რეაბილიტაციას, პავილიონი №1 - ის (ყოფილი კაფე - „ოდესა“) რეაბილიტაციას, პავილიონი №2 - ის (ყოფილი ტირი) რეაბილიტაციას, არსებული ერთსართულიანი საპირფარეშოს ნაგებობის რეაბილიტაციას, საბავშვო აქტივობისა და სპორტული აქტივობის ბაქნების მოწყობას, დასასვენებელი ბაქნებისა და მათზე მდგომი ფანჩატურების მოწყობას, ამფითეატრის რეაბილიტაციას, არსებული ავტოდრომის რეაბილიტაციას, ზოოპარკის სავალი ნაწილებისა და ღობის მოწყობას, არსებული ბიუსტისა და ქანდაკების რეაბილიტაციას, ხელოვნურ ტბაზე არსებული ნაგებობების

რეაბილიტაციას, ხელოვნური ტბის მკვებავი რ/ბ-ის არხისა და ნაპირსამაგრი რ/ბ-ის ფილების რეაბილიტაციას, არსებული სპორტულ-სატრენაჟორო მოედნის რეაბილიტაციას, ასევე ახალი საფეხმავლო დამაკავშირებელი ბილიკების მოწყობას) პროექტი ასევე გულისხმობს აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობას - საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობას (ელექტრო სისტემა, სუსტი დენების სისტემა, სანიაღვრე სისტემა და წყალ-კანალიზაცია), ასევე გარე განათებას, საპარკე სკამებისა და ნაგვის ურნების განთავსებას, სათამაშო და სპორტულ ბაქნებზე შესაბამისი ფურნიტურის განთავსებას. განსაზღვრულია სარეაბილიტაციო პავლიონებისათვის №1 და №2 - ის უზრუნველყოფა ვენტილაციის, გათბობა-გაგრილების, ელექტრო და წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემებით. პროექტი ასევე ითვალისწინებს ახალი ველობილიკისა და ტერიტორიაზე სამანქანე შემოსასვლელის – ბოლარდის მოწყობას.

### საერთო სამუშაოები:

1. შესასვლელი კოლონადის რეაბილიტაცია;
2. შადრევნების რეაბილიტაცია;
3. გარე ღობის რეაბილიტაცია;
4. ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობის რეაბილიტაცია;
5. პავილიონი №1 - ის (ყოფილი კაფე – „ოდესა“) რეაბილიტაცია;
6. პავილიონი №2 - ის (ყოფილი ტირი) რეაბილიტაცია;
7. არსებული ერთსართულიანი საპირფარეშოს ნაგებობის რეაბილიტაცია,
8. საბავშვო აქტივობისა და სპორტული აქტივობის ბაქნების მოწყობა;
9. დასასვენებელი ბაქნებისა და მათზე მდგომი ფანჩატურების მოწყობა;
10. ამფითეატრის რეაბილიტაცია;
11. არსებული ავტოდრომის რეაბილიტაცია;
12. ზოოპარკის სავალი ნაწილებისა და ღობის მოწყობა;
13. არსებული ბიუსტისა და ქანდაკების რეაბილიტაცია;
14. ხელოვნურ ტბაზე არსებული ნაგებობების რეაბილიტაცია;
15. ხელოვნური ტბის მკვებავი რ/ბ-ის არხისა და ნაპირსამაგრი რ/ბ-ის ფილების რეაბილიტაცია;
16. არსებული სპორტულ-სატრენაჟორო მოედნის რეაბილიტაცია;
17. ტერიტორიის კეთილმოწყობა;
18. გარე განათების ქსელების მოწყობა;
19. გარე წყალ-კანალიზაციის ქსელების მოწყობა;
20. ექსტრემალური მოედანი N1 და N2 -ის მოწყობა.
21. ტერიტორიის ირიგაციის ქსელის მოწყობა.
22. დენდროლოგიური ნაწილი



**შესასვლელი კოლონადის სარეაბილიტაციო სამუშაოები:**

1. კოლონადის ძირის გასუფთავება ზედმეტი გრუნტისა და ნარგავებისგან;
2. არსებულ კოლონადაზე დაზიანებული ნაღესის დემონტაჟი;
3. კოლონადის თავზე მოწყობილი თუნუქის სახურავის დემონტაჟი;
4. კოლონადაზე ნაღესის აღდგენა;
5. კოლონადის არქიტექტურულ-დეკორატიული ფორმების შეფითხვა და დამუშავება;
6. სამღებრო სამუშაოების ჩატარება;
7. თუნუქის საწვეთურის მოწყობა;
8. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**შადრევნების (N1 – N2) სარეაბილიტაციო სამუშაოები:**


1. შადრევანი-1 –ის (დიდი შადრევანი) მკვებავი ქსელის რეაბილიტაცია;
2. შადრევანი-1 –ის ტუმბოს შეცვლა სათანადო სიმძლავრის ტუმბოთი;
3. შადრევანი-2 –ის (პატარა შადრევანი) მკვებავი ქსელის რეაბილიტაცია;
4. შადრევანი-2 –ის ტუმბოს შეცვლა სათანადო სიმძლავრის ტუმბოთი;
5. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**გარე ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები:**

1. გარე ღობის ნაკლული სეგმენტების აღდგენა;
2. გარე ღობის ლითონის ელემენტების სამღებრო სამუშაოების ჩატარება;
3. გარე ღობის დეკორატიული ელემენტების აღდგენა;

**ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები:**

1. არსებული სახურავის ფენილის დემონტაჟი;
2. დაზიანებული შიდა და გარე ნაღესის დემონტაჟი;
3. გარე კედლებში ღიობების ადგილას წყობის ნაწილობრივი დემონტაჟი;
4. არსებული კარებების ნაწილობრივი დემონტაჟი;
5. არსებული შეკიდული ჭერის დემონტაჟი;
6. შიდა ელექტრო ქსელების სრული დემონტაჟი;
7. არსებული იატაკების დემონტაჟი;
8. შენობის გადახურვა ახალი ფენილით;
9. სახურავზე წყალშემკრები სისტემის მონტაჟი;
10. შენობაში შიდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება;
11. გარე ლითონის კარებების მოწყობა;
12. იატაკების მოჭიმვა, ლინოლეუმის, ლამინატისა და ხის იატაკების მოწყობა;
13. შეკიდული ჭერის მოწყობა თაბაშირ-მუყაოს ფილებით;



14. ფასადის მხრიდან, სახურავის შეკიდული ჭერის მოწყობა ხის ლამფით;
15. შიდა კედლების მოპირკეთება ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ფითხითა და შემდგომი ღებვით;
16. ღია ბაქნის იატაკის მოპირკეთება ბეტონის დეკორატიული ფილებით;
17. შენობის გარე ფასადებისა მოპირკეთება შხეფითა და შემდგომი ღებვით;
18. ელ-ქსელების მოწყობა;
19. სუსტი დენების ქსელის მოწყობა;
20. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

პავილიონი №1 - ის (ყოფილი კაფე - „ოდესა“) სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. არსებული სახურავის ფენილის დემონტაჟი;
2. დაზიანებული შიდა და გარე ნაღესის დემონტაჟი;
3. არსებული ფანჯრების დემონტაჟი;
4. არსებული გარე კარებების დემონტაჟი;
5. არსებული შეკიდული ჭერის დემონტაჟი;
6. შიდა საინჟინრო ქსელების სრული დემონტაჟი;
7. არსებული იატაკების დემონტაჟი;
8. შენობის ახალი ტიხრების ამოყვანა;
9. შენობის გადახურვა ახალი ფენილით;
10. სახურავზე წყალშემკრები სისტემის მონტაჟი;
11. შენობაში შიდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება;
12. იზოლაციის პროფილების გარე ფანჯრების მოწყობა;
13. ტიხრების მოწყობა;
14. გარე ლითონის კარებების მოწყობა;
15. შიდა მდფ-ისა და ლამინირებული კარებების მოწყობა;
16. იატაკების მოჭიმვა და კერამოგრანიტის იატაკების მოწყობა;
17. ბაქანზე შეკიდული ჭერის მოწყობა ხის ლამფით;
18. სველ წერტილებში, კედლების მოპირკეთება კერამიკული ფილებით;
19. შიდა კედლების მოპირკეთება ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ფითხითა და შემდგომი ღებვით;
20. ღია ბაქნის არსებული მოზაიკური იატაკის მოხვეწვა;
21. შენობის გარე ფასადებისა მოპირკეთება შხეფითა და შემდგომი ღებვით;
22. სან-კვანძებში სავენტილაციო გამწოვების მოწყობა;
23. წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა;
24. ელ-ქსელების მოწყობა;



25. გათბობა-გაგრილების სისტემის მოწყობა;

26. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ბავილიონი №2 - ის (ყოფილი ტირის) სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. არსებული სახურავის ფენილის დემონტაჟი;
2. შიდა ტიხრების ნაწილობრივი დემონტაჟი;
3. დაზიანებული შიდა და გარე ნაღესის დემონტაჟი;
4. გარე კედლებში ღიობების ადგილას წყობის ნაწილობრივი დემონტაჟი;
5. არსებული ფანჯრების დემონტაჟი;
6. არსებული კარებების დემონტაჟი;
7. შიდა საინჟინრო ქსელების სრული დემონტაჟი;
8. არსებული იატაკების დემონტაჟი;
9. შენობის ახალი ტიხრების ამოყვანა;
10. შენობის გადახურვა ახალი ფენილით;
11. სახურავზე წყალშემკრები სისტემის მონტაჟი;
12. შენობაში შიდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება;
13. იზოლუმინის პროფილების გარე ფანჯრების მოწყობა;
14. ტიხრების მოწყობა;
15. შიდა მდფ-ს კარებების მოწყობა;
16. იატაკების მოჭიმვა, ლინოლეუმის, ლამინატისა და კერამოგრანიტის იატაკების მოწყობა;
17. შეკიდული ჭერის მოწყობა ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილებით;
18. სველ წერტილებში, კედლების მოპირკეთება კერამიკული ფილებით;
19. შიდა კედლების მოპირკეთება ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ფითხითა და შემდგომი ღებვით;
20. ღია ბაქნის იატაკის მოპირკეთება ბეტონის დეკორატიული ფილებით;
21. შენობის გარე ფასადებისა მოპირკეთება შხეფითა და შემდგომი ღებვით;
22. სან-კვანძებში სავენტილაციო გამწოვების მოწყობა;
23. წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა;
24. ელ-ქსელების მოწყობა;
25. სუსტი დენების ქსელის მოწყობა;
26. გათბობა-გაგრილების სისტემის მოწყობა;
27. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

არს. ერთსართულიანი საპირფარეშოს ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. არსებული სახურავის ფენილის დემონტაჟი;

2. დაზიანებული შიდა და გარე ნაღესის დემონტაჟი;
3. შენობის ახალი მზიდი კედლებისა ამოყვანა;
4. შენობის გადახურვა ახალი ფენილით;
5. სახურავზე წყალშემკრები სისტემის მონტაჟი;
6. შენობაში შიდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება;
7. იზოლაციის პროფილების გარე ფანჯრების მოწყობა;
8. იატაკების მოჭიმვა, კერამოგრანიტის იატაკების მოწყობა;
9. შეკიდული ჭერის მოწყობა ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილებით;
10. კედლების მოპირკეთება კერამიკული ფილებით;
11. შენობის გარე ფასადების მოპირკეთება შხეფითა და შემდგომი ღებვით;
12. სავენტილაციო გამწოვების მოწყობა;
13. ახალი წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა;
14. ელ-ქსელების მოწყობა;
15. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**საბაგეშო აქტივობისა და სპორტული აქტივობის ბაქნების მოწყობის სამუშაოები:**

1. ზედმეტი გრუნტისა მოჭრა ბაქნების რ/ბ-ის ფილის ძირის მოსაწყობად;
2. დატკეპნილი ღორღის ბალიშის მოსამზადებელი ფენის მოწყობა;
3. ბაქნების პერიმეტრზე დაძირული ტიპის ბორდიურების მოწყობა;
4. რ/ბ-ის ფილის მოწყობა;
5. რ/ბ-ის ფილაზე ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის მოწყობა;
6. თხევადი კაუნუკის საფარის მოწყობა;
7. ბაქნებზე შესაბამისი ფურნიტურის მონტაჟი;
8. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**დასასვენებელი ბაქნებისა და მათზე მდგომი ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები:**

1. ზედმეტი გრუნტისა მოჭრა ბაქნების რ/ბ-ის ფილის ძირის მოსაწყობად;
2. დატკეპნილი ღორღის ბალიშის მოსამზადებელი ფენის მოწყობა;
3. ბაქნების პერიმეტრზე დაძირული ტიპის ბორდიურების მოწყობა;
4. რ/ბ-ის ფილის მოწყობა;
5. რ/ბ-ის ფილაზე ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის მოწყობა;
6. ე.წ. „დეკინგის“ საფარის მოსაწყობად უქანგავი ლითონის კარკასის მოწყობა;
7. ე.წ. „დეკინგის“ საფარის მოწყობა;
8. პროექტის მიხედვით, ლითონის კარკასიანი ფანჩატურების აწყობა;
9. ბაქნებზე შესაბამისი ფანჩატურების მონტაჟი;



10. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**ამფითეატრის მოწყობის სამუშაოებია:**

1. არსებული ამორტიზირებული ამფითეატრის მოცულობის სრული დემონტაჟი;
2. ზედმეტი გრუნტისა მოჭრა ამფითეატრის ბაქნის რ/ბ-ის ფილის ძირის მოსაწყობად;
3. დატკეპნილი დორღის ბაღის მოსამზადებელი ფენის მოწყობა;
4. ბაქნის პერიმეტრზე დაძირული ტიპის ბორდიურების მოწყობა;
5. რ/ბ-ის ფილის მოწყობა;
6. რ/ბ-ის ფილაზე ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის მოწყობა;
7. ე.წ. „დეკინგის“ საფარის მოსაწყობად უჟანგავი ლითონის კარკასის მოწყობა;
8. ე.წ. „დეკინგის“ საფარის მოწყობა;
9. ქვიშა-ცემენტის დუღაბით, დეკორატიული ფილების დაგება;
10. დასაჯდომი ტრიბუნისთვის მონოლითური ბეტონის საძირკველის საფეხურების მოწყობა;
11. ტრიბუნის საძირკველის საფეხურების მოპირკეთება ლესვით, შხეფითა და მომდევნო ღებვით;
12. პროექტის მიხედვით, ლითონის კარკასიანი პერგოლის მოწყობა;
13. პერგოლაზე შესაბამისი ხის საწრდილობელი ძელების მონტაჟი;
14. დასაჯდომ ტრიბუნაზე, ხის ლაგების მოწყობა;
15. ამფითეატრის ხისა და ლითონის დეტალების სამღებრო სამუშაოები;
16. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**არსებული ავტოდრომის სარეაბილიტაციო სამუშაოებია:**

1. შენობიდან დაზიანებული ნაღესის მოცილება;
2. სახურავის ფენილის დემონტაჟი;
3. იატაკების დემონტაჟი;
4. არსებული ლითონის ბადის დემონტაჟი;
5. ლითონის ჯორაკების მოწყობა სახურავის ფენილისთვის;
6. გარე კედლების ლესვა, შეფითხვა და შემდგომი შეღებვა;
7. სახურავზე ვიტრაჟის მონტაჟი;
8. ლითონის დგარებს შორის მზიდი კედლის მოწყობა;
9. ფასადზე ლითონის დეტალებისა და კარკასის ღებვა;
10. ლითონის კარკასზე ხის დეკორატიული ლარტყების მონტაჟი და ღებვა;
11. სახურავის ახალი ფენილის მოწყობა;
12. ჭერის მოწყობა ხის ლამფით;
13. ლითონის დგარებს შორის ახალი ბადის მოწყობა;

14. გარე ფანჯრების, ლითონის ცხაურებისა და კარბების შეღებვა;
15. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;  
**ზოოპარკის საგალი ნაწილებისა და ღობის მოწყობის სამუშაოები:**

1. ზედმეტი გრუნტის მოჭრა ღობის წეტილოვანი საძირკვლების მოსაწყობად;
2. არსებული ბორდიურების დემონტაჟი;
3. არსებული საგალ ნაწილზე დაგებული ბაზალტის ფილების დემონტაჟი;
4. ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაძირული ტიპის ბორდიურების მოწყობა;
5. ბეტონის დეკორატიული ფილების მოწყობა;
6. ბეტონის წერტილოვანი საძირკველების მოწყობა ღობესთვის;
7. წერტილოვან საძირკველში ლითონის კარკასის მოწყობა;
8. ლითონის გლინულიანი ღობის მოწყობა;
9. ლითონის დეტალების სამღებრო სამუშაოები;
10. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**არსებული ბიუსტისა და ქანდაკების რეაბილიტაცია:**

1. ბიუსტის ბაქანზე დაზიანებული ბაზალტის საფარის დემონტაჟი;
2. დაზიანებული ბიუსტის აღდგენა;
3. ბიუსტის გაწმენდა-გასუფთავება;
4. ბიუსტის ბაქნის საფარის აღდგენა ბაზალტის ფილებით;
5. ბიუსტის ბაქანზე მდებარე საყვავილის აღდგენა;
6. ქანდაკების პედესტალის მარმარილოს ფილების გასუფთავება და დამუშავება;
7. ქანდაკების გაწმენდა და გასუფთავება;
8. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**ხელოვნურ ტბაზე არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები:**

1. არსებულ ორ შენობაზე და საპირფარეშოზე სახურავის ფენილის დემონტაჟი;
2. დაზიანებული შიდა და გარე ნაღესის დემონტაჟი;
3. ორ შენობას შორის ახალი ხის პერგოლას მოწყობა;
4. შენობების გადახურვა ახალი ფენილით;
5. სახურავზე წყალშემკრები სისტემის მონტაჟი;
6. შენობებში შიდა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება;
7. ორ ძირითად შენობაში იზოალუმინის პროფილების გარე ფანჯრების მოწყობა;
8. იატაკების მოჭიმვა, კერამოგრანიტის იატაკების მოწყობა;
9. შეკიდული ჭერის მოწყობა ნესტგამძლე თაბაშირ-მუეაოს ფილებით;



10. შიდა კედლების მოპირკეთება ქვიშა-ცემენტის ლესვითა და შეფითხვით, შემდგომი ღებვით;
11. შენობის გარე ფასადების მოპირკეთება შხეფითა და შემდგომი ღებვით;
12. ორ შენობაზე გარე ლითონის კარებების მოწყობა;
13. ახალი წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა;
14. ელ-ქსელების მოწყობა;
15. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
16. ტბაზე საფეხმავლო ხიდების საძირკვლების რეაბილიტაცია;

**ხელოვნური ტბის მკვებავი რ/ბ-ის არხისა და ნაპირსამაგრი რ/ბ-ის ფილების  
სარეაბილიტაციო სამუშაოებია:**

1. დაზიანებულ ადგილებში ზედმეტი გრუნტის მოჭრა;
2. დაზიანებული რ/ბ-ის ძირითადი მკვებავი არხის სეგმენტების დემონტაჟი;
3. დაზიანებული რ/ბ-ის სანიაღვრე არხის დემონტაჟი;
4. დაზიანებული ნაპირსამაგრი რ/ბ-ის ფილების დემონტაჟი;
5. დაზიანებული წყალმიმღების დემონტაჟი;
6. დაზიანებული წყალგამშვების დემონტაჟი;
7. რ/ბ-ის ძირითადი მკვებავი არხის ახალი სეგმენტების მონტაჟი;
8. რ/ბ-ის სანიაღვრე არხის ახალი სეგმენტების მონტაჟი;
9. ნაპირსამაგრი რ/ბ-ის ახალი ფილების მონტაჟი;
10. ახალი წყალმიმღების მონტაჟი;
11. ახალი წყალგამშვების მონტაჟი;

**არსებული სპორტულ - სატრენაჟორო მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებია:**

1. დაზიანებული ბაზალტის საფარის დემონტაჟი;
2. დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი;
3. დაზიანებული ფურნიტურის დემონტაჟი;
4. ახალი ბორდიურების მოწყობა;
5. ახალი თხევადი კაუჩუკის საფარის დაგება;
6. მოედანზე შესაბამისი სპორტული ფურნიტურის მოწყობა;

**ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებია:**

1. გარე განათების ლამპიონების მოწყობა;
2. საპარკე სკამების მონტაჟი;
3. ნაგვის ურნების მონტაჟი;



4. სათამაშო და სპორტულ ბაქნებზე შესაბამისი ფურნიტურის მონტაჟი;
5. ველობილიკისა და სარბენი ბილიკის მოწყობა;
6. ტერიტორიაზე სამანქანე შემოსასვლელის – ბოლარდის მოწყობა;
7. ადაპტირებული დასაღვევი წელის სოკოების მონტაჟი;
8. დამაკავშირებელი საფეხმავლო გადასასვლელებისა და კიბეების მოწყობა;

**გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები:**

1. გარე განათების ქსელების მოსაწყობად ტრანშეების გათხრა;
2. გარე განათების ქსელების ინსტალაცია;

**გარე წყალ - კანალიზაციის ქსელების მოწყობა:**

1. გარე წყალ - კანალიზაციის ქსელების მოსაწყობად ტრანშეების გათხრა;
2. გარე წყალ - კანალიზაციის ქსელების ინსტალაცია;

სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს წელიწადის სხვადასხვა დროს, შესაბამისად სამუშაოების სეზონური და წლიური რეჟიმი გათვალისწინებული უნდა იყოს კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ კალენდარულ გრაფიკში.

**ექსტრემალური მოედანი N1 და N2:**

1. ექსტრემალური მოედანი N1 - სკეიტპარკი. რკბ. ექსტრემალური ელემენტების მოწყობა, უუანგავი ლითონის ჩანართებით. (იხ. ნახაზები)
2. ექსტრემალური მოედანი N2 - ფამფტრეკი. ასფალტის საფარის მქონე არასტანდარტული ფორმების წრიული ველოტრასა. (იხ. ნახაზები)  
შენიშვნა : კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ზემო აღნიშნული სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგია , სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და უნდა შეთანხმდეს პროექტის მენეჯერთან და დამკვეთის წარმომადგენელთან.

**ირიგაციის ქსელის მოწყობა**

1. არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია.
2. არსებული რეზერვიუარის რეაბილიტაცია.
3. სატუმბო სადგურის მოწყობა.
4. სხვადასხვა ტიპის საირიგაციო ქსელის მოწყობა , თარგების მიხედვით. ( იხ/ნახაზები)

**დენდროლოგიური ნაწილი**

1. არსებული ნარგავების სხელა, ფორმირება კვლევის ანგარიშის მიხედვით.
2. არსებული ნარგავების ბაღის ტერიტორიაზე გადარგვა ნახაზების მიხედვით.
3. ახალი ხე-მცენარეებისა და ტბუჩქნარების დარგვა.
4. დეკორატიული ბალახის დათესვა, ჰიდროთესვის მეთოდით.



### 3. პროექტის თავისებურებები

#### 3.1 პროექტის ძირითადი თავისებურებების აღწერა

ქვემოთ მოცემული კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი ძირითადი სამუშაოების აღწერა ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს კონტრაქტის ყველა სამუშაოს და აღჭურვილობა-ნაგებობების აღწერას.

#### სამშენებლო სამუშაოები

პარკის ინფრასტრუქტურის შექმნა გულისხმობს შესასრულებელი კოლონადის რეაბილიტაციას, შადრვენების რეაბილიტაციას, გარე ღობის რეაბილიტაციას, ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობის რეაბილიტაციას, პავილიონი №1 - ის (ყოფილი კაფე - „ოდესა“) რეაბილიტაციას, პავილიონი №2 - ის (ყოფილი ტირი) რეაბილიტაციას, არსებული ერთსართულიანი საპირფარეშოს ნაგებობის რეაბილიტაციას, საბავშვო აქტივობისა და სპორტული აქტივობის ბაქნების მოწყობას, დასასვენებელი ბაქნებისა და მათზე მდგომი ფანჯატურების მოწყობას, ამფითეატრის რეაბილიტაციას, არსებული ავტოდრომის რეაბილიტაციას, ზოოპარკის სავალი ნაწილებისა და ღობის მოწყობას, არსებული ბიუსტისა და ქანდაკების რეაბილიტაციას, ხელოვნურ ტბაზე არსებული ნაგებობების რეაბილიტაციას, ხელოვნური ტბის მკეებავი რ/ბ-ის არხისა და ნაპირსამაგრი



რ/ბ-ის ფილების რეაბილიტაციას, არსებული სპორტულ-სატრენაჟორო მოედნის რეაბილიტაციას, ასევე ახალი საფეხმავლო დამაკავშირებელი ბილიკების მოწყობას

სამუშაოთა დეტალური ჩამონათვალი მოცემულია სამუშაოთა მოცულობების უწყისებში და ნახაზებზე, რომლებიც სატენდერო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

### 3.2 დროებითი სამუშაოები

#### ზოგადი

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს და ორგანიზება გაუკეთოს მშენებლობაზე ელექტრო ენერჯის და წყლის შექმნას და მიწოდებას და სხვა მომსახურებას; კონტრაქტორი პასუხისმგებელია, ოფისებისა და საწყობების მშენებლობაზე და შენახვაზე; უნდა შეასრულოს ყველა საჭირო სამუშაო სპეციფიკაციების შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი ობიექტის დასასრულებლად.

#### მშენებლობის გრაფიკი

ტენდერში მონაწილემ თავის სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მშენებლობის გრაფიკი, რომელშიც თვალნათლივ იქნება ნაჩვენები, თუ როგორ აპირებს ის სამუშაოების თანამიმდევრულად განხორციელებას.

### 4. ნახაზები

სამშენებლო ნახაზებს კონტრაქტორს გადასცემს დამკვეთი.

#### 4.1 საშემსრულებლო ნახაზები

სამუშაოთა მსვლელობის დროს კონტრაქტორმა უნდა აღნუსხოს ნახაზებზე ნაჩვენები საპროექტო გადაწყვეტილებების და გეგმების ყველა ცვლილება და შესწორება და უნდა მოამზადოს საშემსრულებლო ნახაზები. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს საშემსრულებლო ნახაზების წინასწარი ვარიანტის და ექსპლუატაციის წესების სამი ასლი. დამტკიცების შემდეგ მან დამკვეთს უნდა წარუდგინოს ერთი გასამრავლებელი ორიგინალი და ხუთი დაბეჭდილი ასლი.

### 5. მასალის და აღჭურვილობის დამტკიცება

#### 5.1 მასალების ხარისხი





ყველა მასალები, მოწყობილობები, საკომპლექტო ნაწილები, სამარაგო საგნები, მიწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს უმაღლესი ხარისხითა და კვალიფიკაციით. ამ სპეციფიკაციების რომელიმე ნაწილის შესაბამისად სამშენებლო მოედანზე მისატანი და სამუშაოებში გამოსაყენებელი მასალების ფასების მოთხოვნისას კონტრაქტორმა მწარმოებელს ან მიმწოდებელს უნდა მისცეს სრული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა წინამდებარე პარაგრაფის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, და ყველა შემთხვევაში მან ეს პარაგრაფი უნდა დაიმოწმოს ყოველ ასეთ მწარმოებელთან ან მიმწოდებელთან.

## 5.2. ნიმუშების და მონაცემების წარდგენა

კონტრაქტის დადების შემდეგ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს, დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტს მენეჯერის მიერ მითითებული ყველა იმ მექანიკური, ელექტრო და სხვა მასალებისა და აღჭურვილობის ნახაზები, კატალოგები, დიაგრამები და სხვა მონაცემები, რომელთა გამოყენებასაც კონტრაქტორი აპირებს ამ კონტრაქტის ფარგლებში. ზოგიერთი მასალებისა და აღჭურვილობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის მენეჯერის მიერ მიწოდებული დეტალური ფორმის შესაბამისად. მასალების ნიმუშები დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს, როდესაც ის ამას მოითხოვს. წარმოდგენილ ნიმუშებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ეტიკეტი, რომელზედაც აღნიშნული იქნება მიწოდების წყარო, დამამზადებელი, კონტრაქტის პუნქტის ნომერი და სხვა მონაცემები, რომელიც საჭიროა ამ სპეციფიკაციების მიხედვით. ყველა ინფორმაცია, ნიმუში და სხვა, დროულად უნდა იქნას წარდგენილი, არა ნაკლებ 60 დღით ადრე შესყიდვამდე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო განხილვა და ზომების მიღება მშენებლობის დამტკიცებული გრაფიკის შეფერხების გარეშე. დასამტკიცებლად ნიმუშების გაგზავნა კონტრაქტორისა მიერ წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი და პროექტის მენეჯერს წინასწარ წერილობით უნდა შეატყობინონ ნიმუშების გაგზავნის თაობაზე.

## 5.3. გამოცდა

### 5.3.1. მწარმოებლის შესაბამისობის სერტიფიკატი



თუ პროდუქცია სტანდარტული წარმოების, მარკირებული ნაკეთობაა, რომელსაც აქვს სპეციფიკაციების მოთხოვნათა მსგავსი დანიშნულებით არა ნაკლები ორი წლის ვადის ექსპლუატაციის დამაკმაყოფილებელი დახასიათება, პროექტის მენეჯერს შეუძლია მიიღოს მწარმოებლის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება, რომ პროდუქცია შეესაბამება სათანადო სპეციფიკაციებს.

### 5.3.2 ქარხნის სერტიფიკატი

მასალებისათვის, რომლებისათვის ასეთი პრაქტიკა მიღებულია, პროექტის მენეჯერს, შეუძლია მიიღოს მწარმოებლის ქარხნის ან ლაბორატორიის სერტიფიკატი. ასევე მითითებული უნდა იყოს მასალის სახელი და მწარმოებელი ქვეყანა.

### 5.3.3. ლაბორატორიული გამოცდის სერტიფიკატი

პროექტის მენეჯერმა შეიძლება მიიღოს სერტიფიკატი მისთვის მისაღები კომერციული საცდელი ლაბორატორიიდან, რომელშიც დამოწმებული იქნება, რომ პროდუქცია გამოცდილ იქნა პროექტის მენეჯერისათვის დამაკმაყოფილებელი პერიოდის განმავლობაში და ის შეესაბამება წინამდებარე სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

## 5.4 ხარჯები

ნებისმიერი დამატებითი ლაბორატორიული, სავლელე თუ საამქრო გამოცდის ხარჯები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ნიმუშების სპეციფიკაციებთან შეუსაბამობის გამო, უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორმა.

## 5.5 ინსპექტირება

ამ კონტრაქტის ფარგლებში მიწოდებული ყველა მასალა და აღჭურვილობა და შესრულებული სამუშაოები შემოწმდება პროექტის მენეჯერის მიერ ნებისმიერ დროს და სამუშაოთა მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც სამშენებლო მოედანზე, ასევე მის გარეთ. კონტრაქტორმა დროულად და დამატებითი თანხის მოთხოვნის გარეშე უნდა უზრუნველყოს პროექტის მენეჯერი ამ გამოცდისა და ინსპექტირების ჩასატარებლად აუცილებელი ყველა აღჭურვილობით, მუშახელითა და მასალებით, რომელსაც მოითხოვს პროექტის მენეჯერი. სამშენებლო მოედანზე შემოწმების გარდა შერჩეული მასალები და აღჭურვილობა შემოწმდება მათი მოპოვების წყაროს (წარმოების) ადგილზე, მაგალითად კარიერში ან საწარმოში. კონტრაქტორი აცნობებს პროექტის მენეჯერს, როდის არის შესაძლებელი მასალებისა და აღჭურვილობის შემოწმება. მასალებისა და აღჭურვილობის



დადებითი შეფასება ან ინსპექტირებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მისი პასუხისმგებლობისგან მიაწოდოს ისეთი მასალები და აღჭურვილობა, რომელიც აკამყოფილებს საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

## 5.6 დოკუმენტაცია

სამუშაოთა წარმოება უნდა მოიცავდეს ისეთი დოკუმენტების მომზადების, შემოწმების, შენახვისა და პროექტის მენეჯერისადმი დროულად წარდგენის სისტემას, რომლებიც დაადასტურებს სამუშაოთა ყოველი ეტაპის დასრულებას, შესაფერისი მასალების გამოყენებას, საჭირო გამოცდებისა და შემოწმების განხორციელებას და დამაკამყოფილებელი შედეგების მიღებას. აღნიშნული სისტემის საშუალებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონტრაქტორის მიერ ამ დოკუმენტების შემოწმება მათი გარკვეულობის, სისრულის, მონაცემების სარწმუნოების, დოკუმენტების სამუშაოებთან და აღჭურვილობასთან შესაბამისობისა და შედეგების მისაღებობის დასადაგენად.

დოკუმენტები, რომლებიც უნდა მომზადდეს და ინახებოდეს, მოიცავს:

1. ნედლეულის და მასალის გამოცდის საბუთი (ცემენტი, ფოლადი, ბეტონის შემავსებლები და სხვა);
2. ძირითად სამუშაოთა შემოწმების საბუთი (წყალამოღვრა, გრუნტის ამოღება, ბეტონის, ნაპირგამაგრების სამუშაოები);
3. საძიებო და დაკვალვის პროცედურები;
4. ინსპექტირებისა და გამოცდის პროცედურები;
5. ინსპექტირებისა და გამოცდის ანგარიშები;
6. მიმწოდებლის ზედამხედველობის ანგარიშები;
7. საბოლოო ინსპექტირების ანგარიშები;
8. შესაბამისობის სერტიფიკატები.
9. ფარულ სამუშაოთა აქტები

## 6. მშენებლობის გრაფიკი

### 6.1 წარდგენის თარიღი

კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს მშენებლობის პროგრამა მთელ სამშენებლო საქმიანობის მომცველ დეტალურ გრაფიკთან ერთად. მშენებლობის პროგრამა უნდა წარედგინოს პროექტის მენეჯერს მის მიერ სამუშაოთა დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების გამოცემის თარიღიდან 10 დღის განმავლობაში.

## 6.2 მოთხოვნები

წარდგენილი დოკუმენტები უნდა მოიცავდეს გრაფიკებსა და დაგეგმილი სამშენებლო პროგრამის აღწერას.

ყოველი შემაჯამებელი ან დეტალური გრაფიკი უნდა შედგებოდეს ჰისტოგრამისაგან (სვეტური დიაგრამა) და დროში გაწერილი გრაფიკისაგან. ჰისტოგრამაზე ნაჩვენები სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების ვადები უნდა შეესაბამებოდეს დროში გაწერილი გრაფიკის მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, დროებითი სამუშაოები ან შეფერხებები (სამუშაოთა წყვეტა) შეტანილ უნდა იქნეს გრაფიკში, რათა ნაჩვენები იქნეს ნაგარაუდევ თარიღებში სამუშაოების დაწყება. ყოველი ძირითადი სამუშაოსათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე დეტალური გრაფიკი.

## 6.3 ყოველთვიური ანგარიშები

კონტრაქტორმა ყოველ თვეს უნდა წარმოადგინოს ანგარშის სამი ასლი, რომელიც შედგება:

- სამუშაოთა მიმდინარე ეტაპის ჰისტოგრამების ასლები, რომლებზედაც ნაჩვენები იქნება სამუშაოთა რეალური და დაგეგმილი მიმდინარეობა;
- ანგარიში, რომელშიც განხილული იქნება გრაფიკის ყველა მნიშვნელოვანი დარღვევა და თუ საჭიროა, აღწერილი იქნება ის ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს დამტკიცებული გრაფიკის დაცვისათვის.

## 7. უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

### 7.1 ზოგადი

ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას, კონტრაქტორმა თითოეული სამუშაოსათვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. კონტრაქტორი კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც კანონითაა დადგენილი.



## 7.2 უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები.

კონტრაქტორმა სამშენებლო მოედანზე მუშაობის პერიოდში უნდა უზრუნველყოს გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო შესაბამისი ნაგებობა-მოწყობილობები სამედიცინო და ქირურგიულ აღჭურვილობასთან ერთად და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

წინამდებარე 7.2 პარაგრაფში აღნიშნული მომსახურებისათვის არ არის გათვალისწინებული რაიმე ცალკე გადახდების განხორციელება, გარდა იმ გადახდებისა, რომლებიც მოცემულია ამ კონტრაქტის დებულებებში პირველი დახმარების და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობებთან დაკავშირებით, რომლებიც კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს. მომუშავე ყველა ადამიანი უნდა იყოს დაზღვეული და ქონდეს სამედიცინო დაზღვევა.

## 8. მშენებლობის კომუნალური მომსახურება

### 8.1 ზოგადი

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს წყალი, ელექტროენერგია, ტელეფონი, განათება, შეკუმშული ჰაერი და სხვა, რაც საჭიროა მშენებლობისათვის და კონტრაქტის სამუშაოებთან დაკავშირებული სხვა მიზნებისათვის. ობიექტის საბოლოო მიღებამდე ყველა დროებითი ნაგებობა-მოწყობილობა უნდა იქნას აღებული, ან სათანადოდ დატოვებული, თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება.

## 9. ტრანსპორტი – გზები, ხიდები

### 9.1. მისასვლელი ბილიკების, გზებისა და სხვა ობიექტების მოვლა და შენახვა

კონტრაქტორმა უნდა ჩაიბაროს და პროექტის მენეჯერის მოთხოვნათა შესაბამისად გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს სამშენებლო მოედანზე არსებული მისასვლელი ბილიკები, გზები და სხვა ობიექტები იმ დრომდე, სანამ ეს გზები გადატანილი იქნება ან კონტრაქტორი რაიმე სხვა ზომებს მიიღებს, რომლებიც დააკმაყოფილებს პროექტის მენეჯერს.

კონტრაქტორმა უნდა დააყენოს და შეინარჩუნოს საგზაო ნიშნები, სატრანსპორტო ზღუდეები, ლამპიონები, მესიგნალები და სხვა საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტის უსაფრთხო და ეფექტური რეგულირებისათვის. ის პასუხისმგებელია

უზრუნველყოს, რომ გზები და სხვა დროებითი ობიექტები შესაფერისი იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა მიმართულებით უსაფრთხოდ გატარებისათვის.

## 9.2 კომუნალური აღჭურვილობა

კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო კონტრაქტის ფარგლებში, მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერჯის, ტელეგრაფის, ტელეფონის ხაზების, ბუნებრივი გაზის სადენების და სხვა კომუნალური აღჭურვილობის დასაცავად და მათზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს კონტრაქტორმა. კონტრაქტორმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისაგან, მოთხოვნისაგან, სარჩელისაგან, ზარალის ანაზღაურებისაგან და ხარჯებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოაღნიშნული ზემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში.

## 9.3 სამშენებლო ბანაკი

### 9.3.1 ზოგადი

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტის სათანადო შესრულებისათვის საჭირო ყველა ოფისის, საამქროს, საწყობის, საცხოვრებელის, სამედიცინო, დაწესებულების, მაღაზიების, დასვენების საშუალებების და სხვა მოწყობა.

### 9.3.2 სამშენებლო ბანაკისა და საამქროების ადგილმდებარეობა

სამშენებლო ბანაკი, საამქროები და სხვა დროებითი ნაგებობები განლაგებული უნდა იყოს ნახაზებზე ნაჩვენებ ფართობებზე დამკვეთის კუთვნილ ან მის მიერ განკარგულ მიწაზე. საჭიროებისამებრ, ბანაკის სხვა დამხმარე ნაგებობები აშენდება დამკვეთის კუთვნილი ქონების ფარგლებში პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ადგილებში. თუ რაიმე მიზეზით (რომელსაც ეთანხმება პროექტის მენეჯერი) კონტრაქტორი მოითხოვს თავისი ბანაკებისათვის ისეთი მიწების გამოყენებას, რომლებიც არ ეკუთვნის ან არ არის განკარგული დამკვეთის მიერ, მაშინ კონტრაქტორი უნდა შეუთანხმდეს მიწის მფლობელს (მფლობელებს) და უნდა დაფაროს იჯარისა და სხვა შესაბამისი ხარჯები.





### 9.3.3 შენობები და ბანაკები

კონტრაქტორის მიერ საცხოვრებლად აგებული ყველა შენობა, ასევე ბანაკები, საამქროები და საწყოები დაპროექტებული და აშენებული უნდა იყოს, როგორც დროებითი ნაგებობა, თუ დამკვეთი სხვაგვარად არ მოითხოვს.

კონტრაქტორის მუშაკთა საცხოვრებელი უნდა აშენდეს კონტრაქტორის საჭიროებისა მიხედვით და საქართველოს ყველა იმ სტანდარტის, კანონისა და განკარგულების შესაბამისად, რომელიც ძალაშია სატენდერო წინადადების წარდგენის თარიღისათვის, როგორც წინამდებარე დოკუმენტშია მითითებული. საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების მასალები, პროექტები და სამშენებლო სამუშაოები პროექტის მენეჯერის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული მათი საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

### 9.4. კონტრაქტორის ნაგებობების და აღჭურვილობის მოვლა და შენახვა

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, მიიღოს ყველა ზომა და განახორციელოს მის მიერ აშენებული ყველა ნაგებობის სათანადო ექსპლუატაცია, რათა შეუქმნას მუშაკებს სუფთა, მოვლილი, სასიამოვნო, ჯანმრთელი გარემო და პირობები. ყველა ფართობი უნდა იყოს სუფთა, მოსწორებული, გაწმენდილი მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან და შესაფერისად დრენირებული.

#### 9.4.1 მობილური საკომუნიკაციო სისტემა

კონტრაქტორი პასუხისმგებელი უნდა იყოს პროექტის მობილური საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფაზე.

### 9.5 კომუნალური შენობები

კონტრაქტორისათვის საჭირო კომუნალური და დროებითი შენობები, როგორცაა სასაწყობო ფარდული, დროებითი ოფისები, საამქროები და ლაბორატორიები, აგებული უნდა იქნეს მხოლოდ პროექტის მენეჯერის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. ამგვარი ნაგებობების კონსტრუქციის ტიპები წინასწარ დამტკიცებული უნდა იყოს პროექტის მენეჯერის მიერ. ის დროებითი შენობები, რომლებიც დამკვეთს არ ხჭირდება,

დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღებული მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ თავის დანიშნულებას.

## 9.6 საინფორმაციო ბანერი

კონტრაქტორმა უნდა დაამზადოს და სამშენებლო მოედანზე პროექტის მენეჯერის მიერ დადასტურებულ და დამკვეთთან შეთანხმებულ ადგილზე უნდა დააყენოს და მოუაროს ამინდის ზემოქმედებისადმი მედეგი საინფორმაციო ბანერი. საინფორმაციო ბანერზე წარწერები უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბანერი უნდა იყოს გადასაადგილებელი (დასაკეცი) ტიპის ზომით 2.5X1.5 მ. ბანერის დიზაინი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

ბანერის დამზადებასა, დაყენებასა და მოვლაზე ხარჯების ცალკე გადახდა არ განხორციელდება.

## 10. გარემოს დაცვა

### 10.1. ხმაური და სამუშაო საათები

#### 10.2. სამუშაო საათები

ჩვეულებრივ, სამუშაო საათები უნდა იყოს 07.00 - 19.00.

ეს სამუშაო საათები არ ეხება იმ ტექნიკას, რომელმაც მუდმივად უნდა იმუშაოს (მაგ. უსაფრთხოების მიზნით).

ცალკეულ სამშენებლო მოედნებზე შეიძლება შემოღებულ იქნეს განსხვავებული სამუშაო საათები. ეს საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულსა და კონტრაქტორს შორის.

ზოგადად, მუშაობა ღამის საათებში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. იმ სამშენებლო მოედნებისათვის, სადაც აუცილებელია მუშაობა ღამის საათებში, ეს საკითხი უნდა შეთანხმდეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან.

საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამატებითი ან ალტერნატიული სამუშაო საათები უნდა ეცნობოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს.

### 10.3 ხმაურის კონტროლი

კონტრაქტორი ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს ხმაურით გამოწვეული პრობლემების შესამცირებლად. ეს მოიცავს:





1. ჩვეულებრივი სამუშაო საათების დაცვას დასახლებულ ტერიტორიებზე ან მათ სიახლოვეს
2. ტექნიკა-დანადგარების კარგ მდგომარეობას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ვიბრაციის ხმაურს, ჭრიალს და სხვას.
3. ტექნიკის გამორთვას იმ შემთხვევებში, როცა მისი მუშაობა არ არის სავალდებულო (გარდა იმ ტექნიკისა, რომელმაც მუდმივად უნდა იმუშაოს).

## 10.4 მტვერი და ჰაერის დაბინძურება

### 10.4.1 მტვერი

კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა მშენებლობის და ნგრევის დროს წარმოქმნილი მტვერით გამოწვეული პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

მტვერის თავიდან აცილების ზომები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. მასალების გროვების დაფარვას ნებისმიერ დროს, ხოლო მშრალი ამინდის პირობებში გადმოტვირთვის დროს მტვერის წარმოქმნელი მასალების წყლის ჭავლით მორწყვას.
2. ტერიტორიაზე მასალების ჭრის და დაფქვის კონტროლს.
3. გრუნტის და მტვერის წარმოქმნელი სხვა მასალების გადამზიდი მანქანების სრულ გადახურვას.
4. მოუპირკეთებელი ზედაპირების და საფარის არმქონე გზების მორწყვას.
5. მანქანების სიჩქარის 35 კმ/სთ-მდე შეზღუდვას საფარის არმქონე გზებზე.

### 10.4.2 ჰაერის დაბინძურება

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები, რომ არ მოხდეს კვამლის და ჭვარტლის ამოფრქვევა სამშენებლო მოედნიდან ან საწვავის შენახვის ადგილებიდან. დანადგარები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მათ არ იმუშაონ ხანგრძლივად, როცა მათი მუშაობა არ არის აუცილებელი.

## 10.5 ნარჩენებისა და დაბინძურებული მასალების გატანა

### 10.5.1 ნარჩენები

კონტრაქტორმა, როგორც ადგილობრივი გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი, უნდა შეადგინოს მართვის გეგმა, რომელშიც დადგენილი იქნება:

- ნარჩენის კატეგორია და წარმოქმნილი მასალების რაოდენობა;



- მეორადი გადამუშავების და/ან გამოყენების შესაძლებლობა;
- გატანის მარშრუტები და სალიცენზიო მოთხოვნები.

სამშენებლო სამუშაოების დროს ამოღებულ გრუნტი, რომელიც შეფასდება "ყრილისათვის ვარგისად", შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამის შემთხვევებში.

გატანის ადგილები უნდა დაადგინოს კონტრაქტორმა განმასორციელებელ ერთეულთან კონსულტაციების საფუძველზე.

## 10.5.2 დაბინძურებული მიწა და მასალები

ნებისმიერ დაბინძურებულ მასალას კონტრაქტორი უნდა მოექცეს პროექტის განმასორციელებელი ერთეულის შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

პროექტის განმასორციელებელმა ერთეულმა უნდა დაადგინოს ის ადგილები სამშენებლო მოედნის ფარგლებში, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული. კონტრაქტორი ვალდებულია:

- შეიმუშაოს ტრანსპორტირების და სხვა სამოქმედო პროცედურები;
- უზრუნველყოს დაბინძურებული მასალების გატანის და ლიკვიდაციის პროცესის ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

## 10.6 ეკოლოგია

### 10.6.1 ზრდასრული ხეების დაცვა

სადაც ეს შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებულ ხეების ჭრა. უარყოფითი ზემოქმედება ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ მდებარე ყველა ხეზე უნდა შემცირდეს სათანადო ზომების მიღებით, რომელიც მოიცავს (არა მარტო) შემდეგს:

1. ქვედა ტოტების შერჩევით მოჭრას სათანადო მეთოდით სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მექანიკური დაზიანების შესამცირებლად;
2. ნიადაგის ტკეპნის თავიდან ასაცილებლად ხეებს ფესვთა სისტემის გარშემო სპეციალური ჭილობების დაგებას;
3. ხეების გარშემო სპეციალური ღობეების მოწყობას მექანიკური დაზიანების საწინააღმდეგოდ;
4. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოები თითოეული ხის სიახლოვეს მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რათა არ მოხდეს ხეების



ძირში ნიადაგის ზედმეტად ტკეპნა. ასეთ ადგილებში არ უნდა ხდებოდეს მძიმე მასალების შენახვა, აგრეთვე უნდა რეგულირდებოდეს სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა.

### 10.6.2 ხეების ჩანაცვლება

თუ რომელიმე ხე დაზიანდება ან მოიჭრება თანხმობის გარეშე, ან გახმება სამშენებლო სამუშაოების გამო, მის მაგივრად დარგული უნდა იქნეს შესაბამისი ზომის ნერგი პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

### 10.7 სამშენებლო მოედნის საზღვრები/შემოღობვა

კონტრაქტორმა პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან ერთად უნდა გადაწვიტოს, ტერიტორიის რომელი ადგილები (თუ ამის საჭიროება არსებობს) უნდა იყოს შემოღობილი გარეშე პირთა შემოსვლის თავიდან ასაცილებლად.

### 10.8 სამშენებლო მოედანზე მიმდინარე საქმიანობა

#### 10.8.1 სწორი სამეურნეო საქმიანობა

კონტრაქტორი ვალდებულია ყოველთვის დაიცვას "სწორი სამეურნეო საქმიანობის წესები". ეს მოიცავს (არა მარტო) შემდეგ მოთხოვნებს:

- კატეგორიულად აკრძალულია ღია კოცონები;
- ხშირად უნდა ხდებოდეს ნაგვის გატანა, ტერიტორია უნდა იყოს სუფთა და მოვლილი;
- ხშირად უნდა ხდებოდეს ღობეების შემოწმება, რემონტი და დეზუა საჭიროების შემთხვევაში;
- ტერიტორიის მთელს მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს სათანადო საპირფარეშოები. საპირფარეშოები უნდა იყოს ყოველთვის სუფთა.
- ხშირად უნდა ხდებოდეს საკვების ნარჩენების გატანა;
- ხშირად უნდა იწმინდებოდეს ავტომობილების ბორბლების სამრეცხაო;
- სატვირთო მანქანების ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლის უნდა ხდებოდეს წინა სვლით;

- სატვირთო ავტომანქანების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ავტომაგისტრალებიდან მოშორებით.

### 10.8.2. საცხოვრებელი

სამშენებლო მოედანზე არ არის ნებათართული საცხოვრებლის მოწყობა პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობის გარეშე.

### 10.8.3. სამშენებლო მოედნის დასუფთავება

სამუშაოთა დასრულების შემდეგ

კონტრაქტორმა უნდა დაასუფთაოს ყველა სამუშაო ადგილი სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის გარეთ და მათთან მისასვლელი გზები მუშაობის მიმდინარეობის პროცესში და მას შემდეგ, როცა ამ ადგილებში დამთავრდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღებულ და გატანილ უნდა იქნეს ზედმეტი გრუნტი და მასალები, დროებითი გზები, ფარდულები, სათავსოები და ღობეები, უნდა ამოივსოს ბოძების დასადგმელად გათხრილი ორმოები, ხოლო მიწის ზედაპირი უნდა მოსწორდეს, ისე, რომ მიიღოს თავისი პირვანდელი სახე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება.

### 10.8.4 მავნებლებთან ბრძოლა

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები საკვების ნარჩენების და მავნებლებისთვის მიმზიდველი სხვა მასალის რეგულარულად გასატანად, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მავნებლების მიერ დაბინძურების რისკი. თუ პარაზიტები მაინც გაჩნდებიან, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა ზომა მათთან საბრძოლველად.

## 10.9 უსაფრთხოება

### 10.9.1 კონტაქტები და პროცედურები საგანგებო შემთხვევებში

კონტრაქტორმა სამშენებლო მოედნისათვის უნდა შეადგინოს და დაიცვას საგანგებო შემთხვევის პროცედურების კრებული, რომელიც გამოკრული იქნება ყველა სამშენებლო





მოედანზე თვალსაჩინო ადგილას. ეს პროცედურები დაცულ უნდა იყოს აგარიის შემთხვევაში.

ეს პროცედურები უნდა შეიცავდეს ტელეფონის ნომრებს და ადგილობრივი ხელისუფლების/სამსახურების შეტყობინების წესს. პროცედურების ეგზემპლარები უნდა დაურიგდეს პროექტის განმახორციელებელ ერთეულსა და პოლიციას.

საავარიო ტელეფონების ნომრები, რომლებსაც იყენებს კონტრაქტორის პასუხისმგებელი მუშაკები, შეიძლება გამოიყენოს პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა.

## 10.9.2 ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება

ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება არ არის ნებადართული, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. საჭიროა პროექტის განმახორციელებელი ერთეულის წინასწარი თანხმობის მიღება.

## 10.10 არსებული კონსტრუქციების დაცვა

### 10.10.1 ინფორმაცია

კონტრაქტორი ვალდებულია ჩაატაროს საკუთარი გამოკვლევა და სათანადოდ მოექცეს არსებულ კონსტრუქციებს, შენობებს, ნაგებობებს, კედლებს, გზებს, საკანალიზაციო და სხვა გაყვანილობებს, ტექნიკას და დანადგარებს.

### 10.10.2 დაცვა

კონტრაქტორი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას ყველა შენობა, ნაგებობა, დანადგარი, კომუნიკაციები დაზიანებისგან და გაფუჭებისგან კონტრაქტის მოქმედების პერიოდში. კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა შენობების, ნაგებობების, მილსადენების, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის და სხვა კომუნიკაციების დასაცავად კონტრაქტის მოქმედების პერიოდში.

## 11. სხვა ქვეყნების სტანდარტები

### 11.1 ზოგადი

როდესაც კონტრაქტის დოკუმენტებში მოცემულია მოთხოვნები მასალებისა და აღჭურვილობის მიმართ რომელიმე ერთი ქვეყნის სტანდარტების საფუძველზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოთხოვნები მხოლოდ აღნიშნული ქვეყნის სტანდარტებით უნდა

შემოიფარგლოს. შესაძლებელია სხვა სტანდარტების (სხვა ქვეყნების სტანდარტების ჩათვლით) გამოყენება, თუ პროექტის მენეჯერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტანდარტები დოკუმენტში მოცემული სტანდარტის მოთხოვნების თანაბარია ან აღემატება მათ. კონტრაქტორმა შეიძლება პროექტის მენეჯერს შესთავაზოს დოკუმენტში მოცემულისაგან განსხვავებული სტანდარტი. ამ შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შემოთავაზებული სტანდარტის და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ინგლისური თარგმანი. მან ასევე უნდა წარმოადგინოს წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, რომ მის მიერ შემოთავაზებული სტანდარტის ყველა ძირითადი ასპექტი როგორც მინიმუმ დოკუმენტში აღნიშნული სტანდარტის ეკვივალენტურია.

სტანდარტების გამოცემები ჩვეულებრივ არ არის მოცემული სპეციფიკაციებში და არ აღინიშნება ნახაზებზე. როდესაც სტანდარტის გამოცემის თარიღი არ არის მითითებული ან აღნიშნული, სტანდარტი ძალაში იქნება სატენდერო წინადადების წარდგენამდე 28 დღით ადრე.

## 12. ფოტოსურათები

- კონტრაქტორმა კონტრაქტის პერიოდის განმავლობაში პროექტის მენეჯერს უნდა მიაწოდოს 200X250 მმ-ზე ფერადი ფოტოსურათები, რომლებიც ასახავს მიმდინარე სამუშაოებს. ფოტოსურათები გადაღებული უნდა იქნას სამუშაოს ყოველი ძირითადი კომპონენტის დაწყებისა და დასრულებისას და ასევე სხვა დროსაც პროექტის მენეჯერის მითითების მიხედვით, რათა გამოჩნდეს ობიექტზე სამუშაოთა მიმდინარეობა. მიიღება მხოლოდ მკვეთრი, ნათელი ფოტოსურათები. ყოველ ფოტოსურათზე აღნიშნული უნდა იყოს თარიღი და ადგილის სახელწოდება, ასევე მისი შინაარსისა და დანიშნულების მოკლე აღწერა.
- კონტრაქტორი ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარუდგინოს CD-ზე განთავსებული ციფრული ფოტოები.



### 13. გაზომვა

#### 13.1 ზოგადი

თუ წინამდებარე დოკუმენტში ან კონტრაქტში სხვაგვარად არ არის აღნიშნული, გადახდები და გაზომვები კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის განხორციელდება მხოლოდ სამუშაოთა მოცულობებში მოცემული მუხლების მიხედვით. თუ რაიმე სამუშაო, რომელსაც მოითხოვს ეს სპეციფიკაციები ან ნახაზები, არ არის გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობების გადახდის მუხლებში, მაშინ არ განხორციელდება ცალკე გადახდა ამ სამუშაოსათვის.

#### 13.2 გაზომვები

პროექტის მენეჯერი განხორციელებული სამუშაოების ან მიწოდებულ საქონლის რეალურ მოცულობებს გაზომავს გაზომვის დადგენილი მეთოდების შესაბამისად. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ მუხლში მოცემული მოცულობა, გაზომილი გადახდისათვის, ემიჯნება სხვა მუხლში მოცემულ გადახდისათვის გაზომილ მოცულობას, გამმიჯნავი ხაზები, რომლებიც აღნიშნავენ ყოველი მუხლის მოცულობათა დასაწყისსა და ბოლოს, უნდა იყოს ნახაზებზე აღნიშნული ან სპეციფიკაციებში დადგენილი. თუ წარმოიშევა რაიმე კითხვა ამ ხაზების განლაგებასთან დაკავშირებით, ის უნდა გადაწყვიტოს პროექტის მენეჯერმა. თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, გადახდისათვის გაზომვები განხორციელდება მხოლოდ იმ სამუშაოზე, გატანილ ან შემოტანილ მასალაზე, რომელიც საჭიროა და მიღებულია, როგორც ძირითადი სამუშაოების ნაწილი. დროებით სამუშაოებისათვის (მაგალითად კონტრაქტორის შეხედულებისამებრ რაიმე ობიექტის მშენებლობა ან სხვა) საჭირო შრომა და ხარჯები არ გაიზომება გადახდისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საჭიროა ძირითადი სამუშაოებისათვის.

#### 13.3 წონის გაზომვა

იმ მასალებისა და აღჭურვილობის წონა, რომელთა დამონტაჟება და დაყენება უნდა მოხდეს წონის საფუძველზე, განისაზღვრება პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტორისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. წონა უნდა განისაზღვროს ისე, როგორც ეს მითითებულია გაზომვისა და გადახდის შესაბამის პარაგრაფებში. თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, კონტრაქტორს არ მოეთხოვება უზრუნველყოს სასწორი ამ მასალებისა და აღჭურვილობის ასაწონად. პროექტის მენეჯერი განსაზღვრავს

შესაბამისი კომპონენტის ან მისი ნაწილის წონას პრაქტიკულად მოსახერხებელი საშუალებით და მან შეიძლება თავისი შეხედულებისამებრ ამ მიზნით გამოიყენოს რკინიგზით ტრანსპორტირების წონა, მწარმოებლის მიერ მითითებული წონა, კატალოგში მითითებული წონა, სასწორის წონა (თუ შესაძლებელია), ან გაანგარიშებული თეორიული წონა. გადახდები განხორციელდება მხოლოდ ნეტო წონაზე და ტარის, შეფუთვის და ტვირთის დასამაგრებელი დეტალების წონა გამოკლებულ იქნება. არ განხორციელდება დამატებითი თანხის გადახდა შეღებვისა და დასაფარი ფენისათვის.

### 13.4 წონისა და ზომის ერთეულები

ამ კონტრაქტის ფარგლებში გაზომვისა და გადახდებისათვის გამოყენებული იქნება ერთეულების საერთაშორისო სისტემის ერთეულები. აქედან გამომდინარე, სამუშაოთა მოცულობების პუნქტები და გადახდების პარაგრაფები ამის შესაბამისად არის შედგენილი. ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა მოხდება ACI (American Concrete Institute) კოდის თანახმად, ქვემოთ მოცემული მონაცემების შესაბამისად:

- ერთი გრძივი ფუტი = 0.3048 გრძივი მეტრი
- ერთი კვადრატული ფუტი = 0.0929 კვადრატული მეტრი
- ერთი კუბური ფუტი = 0.02832 კუბური მეტრი
- ერთი გალონი = 4.546 ლიტრი
- ერთი აშშ გალონი = 3.785 ლიტრი
- ერთი გირვანქა = 0.4536 კილოგრამი

### 14. დღიური სამუშაო

- სამუშაოთა მოცულობების დ. ქვეთაეში შეტანილია გადახდის მუხლები კონტრაქტორის მიერ დღიური სამუშაოს პირობების საფუძველზე შესრულებული დამატებითი ან გადაკეთების სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელის, კონტრაქტორის აღჭურვილობის და მასალების ხარჯების დასაფარავად.
- ყოველი მუხლის გასწვრივ კონტრაქტორმა უნდა მიუთითოს გარკვეული დღიური სამუშაოს მთლიანი ღირებულება, შესყიდული მასალების, ზედანადები ხარჯებისა და ამ მუხლთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ჩათვლით.
- მუშახელის ღირებულების მუხლი ეხება მხოლოდ იმ მუშახელს, რომელიც პროექტის მენეჯერის ნებართვით იქნება დაქირავებული დღიურ სამუშაოებზე. გადახდისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის დრო, რომლის განმავლობაშიც




მუშახელი ასრულებდა დღიურ სამუშაოს პროექტის მენეჯერის ნებართვის შესაბამისად დ. ქვეთავში მითითებული განაკვეთებით.

• დ. ქვეთავის განაკვეთები, საჭიროებისამებრ დამატებითი პროცენტის ჩათვლით, მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

1. ნებისმიერ დანამატი მუშახელის ხელფასზე მათი ცხოვრების ხარჯების და ზედმეტი სამუშაო დროის ასანაზღაურებლად ჩვეულებრივის სამუშაო კვირის განმავლობაში, პრემიები, კვება, საცხოვრებელი, დასვენების დღეები, ტრანსპორტი დღიური სამუშაოს ადგილისაკენ და უკან, ზედნადები ხარჯები, მუშათა დაქირავებასთან, ბანაკის მართვასთან, მუშათა სოციალურ უზრუნველყოფასთან და დაზღვევასთან დაკავშირებით;
2. სამუშაოთა მწარმოებლები და ბრიგადირები, რომლებიც ზედამხედველობას ახორციელებენ და სხვა სახის ზედამხედველობა;
3. მომარაგება, ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე, სამშენებლო მოედანზე არსებული და დღიური სამუშაოებისათვის საჭირო მცირე იარაღების, რომლებიც არ არის ცალკე აღნიშნული კონტრაქტორის აღჭურვილობისა და დამცავ ტანსაცმელის მუხლებში (მაგალითად, წერაქვების, ნიჩბების, ურიკების, ქაფჩების, ხელის ხერხების, ვედროების, ესტაკადას, ჩაქუნების, საჭრისების და სხვა) შეკეთება და განახლება;
4. სხვა ხარჯები, რომლებიც შეიძლება გასწიოს კონტრაქტორმა მუშების დასაქმებასთან დაკავშირებით, მოგება და ნებისმიერი სხვა ხარჯი ან ფულადი დახმარება;
5. კონტრაქტორის აღჭურვილობის შესახებ მუხლი ეხება იმ აღჭურვილობას, რომელიც პროექტის მენეჯერის ნებართვით გამოიყენება დღიურ სამუშაოებზე;

გადახდა განხორციელდება მხოლოდ იმ დროზე, რომლის განმავლობაშიც აღჭურვილობის თითოეული ერთეული რეალურად გამოიყენებოდა პროექტის მენეჯერის მიერ ნებადართული დღიური სამუშაოების შესასრულებლად, დ. ქვეთავში მითითებული განაკვეთების შესაბამისად. სამუშაოთა ხასიათით ან სამუშაოთა წარმოების დამტკიცებული მეთოდით გამოწვეული მოცდენის დროზე გადახდა განხორციელდება დ. ქვეთავში მოცემული შესაბამისი განაკვეთების განახევრების საფუძველზე. ავარიებით, წარმოების არაეფექტურობით ან არასრულყოფილებით გამოწვეული მოცდენის დრო არ ანაზღაურდება.

• დ. ქვეთავის განაკვეთები მოიცავს შემდეგ ხარჯებს: დღიური სამუშაოს ადგილზე და უკან აღჭურვილობის ტრანსპორტირების ხარჯები, ელექტროენერჯის, წყლის, საწვავის, ზეთის და სხვა მასალების, მარაგისა და აღჭურვილობის, ელექტრო კაბელების, მიმწოდი და შემწოვი მილების, გამანათებელი მოწყობილობების, ორთქლის და ჰაერის მილების და ყველა სხვა სახის საკუთნოსა და აღჭურვილობის ხარჯები, რომელიც საჭიროა ეფექტური და უსაფრთხო მუშაობისათვის, ასევე მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების (ბურღსატეხებისა და საფხვიერებელი სატეხების ჩათვლით), სარემონტო სამუშაოების, ცვეთის, დაზღვევის, ზედამხედველობის ხარჯები, ზედნადები ხარჯები, მოგება, ნებისმიერი სხვა ხარჯები, გარდა მძღოლების ხარჯებისა.



- მასალების ღირებულების მუხლი მოიცავს გადახდას შესყიდულ ან კონტრაქტორის მიერ დამზადებულ მასალებზე, რომლებიც პროექტის მენეჯერის ნებართვით გამოიყენება დღიურ სამუშაოში. ამ მასალათა ნეტო წონა და მოცულობა უნდა გაიზომოს პროექტის მენეჯერის ინსტრუქციების შესაბამისად.

სხვა მასალების შესყიდვისას გადახდილ იქნება ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული პროექტის მენეჯერის მიერ დადასტურებული წმინდა ღირებულება, რომელსაც დაემატება დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები (20%). თუ გადასახდელია საბაჟო გადასახადი, ის შეტანილ უნდა იქნეს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ წმინდა ღირებულებაში. კონტრაქტორის მიერ დამზადებულ მასალაზე გადახდა განხორციელდება დ. ქვეთავში მითითებული განაკვეთებით.

ღურსმნები, ქანები, მათული და სხვა მცირე საგნები ცალკე არ გაიზომება და მათი ღირებულება შეტანილ იქნება დამატებით პროცენტებში ან სხვა განაკვეთებში.

- დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები, რომელიც წარმოადგენს შესყიდული მასალების ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ წმინდა ღირებულებაზე დამატებული პროცენტებს, უნდა მოიცავდეს მასალების ტრანსპორტირების ღირებულებას მათი შესყიდვის ან ქვეყანაში შემოტანის ადგილიდან სამშენებლო მოედნამდე, მათი შენახვის ხარჯებს, დღიური სამუშაოს ადგილზე ტრანსპორტირების, დაზღვევის ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს, მოგებას და სხვა ხარჯები.



ქალაქ გორში, ახალბადის პარკის

(ს/კ 66.45.26.323)

დეტალური საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
შედგენა – მომსახურება

ზოგადი სპეციფიკაციები



## შინაარსი

1. ზოგადი	3
2. სამშენებლო სამუშაოები	3
2.1. მოსამზადებელი სამუშაოები	3
3. მიწის სამუშაოები	4
3.1 გრუნტის ამოღება	4
4. ბეტონისა და არმატურის სამუშაოები	9
4.1 სამუშაოთა სახეები	9
4.2 სტანდარტები	9
4.3 კონტრაქტორის მიერ წარსადგენი მასალები	12
4.4 მასალები და აღჭურვილობა	14
4.5 ხელობა	18
4.6 გამოცდა	21
4.7 გაზომვა და გადახდა	21
4.8 დეფექტური ბეტონის შეკეთება ან გამოცვლა	22
5. ფოლადისა და ლითონის კონსტრუქციები	23
5.1 ფოლადის კონსტრუქციები – ზოგადი	23
5.2 მომზადება	25
5.3 შედუღება, მოქლონვა და ჭანჭიკებით შეერთება	25
5.4 ჭანჭიკები, სარჭები, ქანჩები და ხრახნები	27
6. შედგება (კოროზიისაგან დაცვის ჩათვლით)	27
6.1 სამუშაოთა სფერო	27
6.2 გამხსნელი	28
6.3 საღებავის ტარა	28
6.4 საღებავისა და სხვა მასალების შენახვა	28
6.5 შემოწმება	29
6.6 სამუშაოთა შესრულება	29
6.7 გარანტიები	29
7. კედლების წყობა	29
8. სახურავის მოწყობა	31
9. იატაკების მოწყობა	34
10. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები	37
10.1 ჰიდროსაიზოლაციის დანიშნულება და სახეობები	37
10.2 ჰიდროსაიზოლაციო მასალების ხარისხის მოთხოვნა	38
10.3 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოება, წაცხებადი ჰიდროსაიზოლაცია	39
10.4 ჰიდროსაიზოლაციის დამცავი ღონისძიებები	42
10.5 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოება ზამთარში	43
10.6 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების მიღება	43
11. კარ-ფანჯრის ბლოკების ჩაყენება	43
12. სანტექნიკური სამუშაოები	44
13. ელექტროტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი	46
14. მილსადენების მშენებლობა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები	48
15. სარესტავრაციო მოსამზადებელი სამუშაოებისა და მასალების შესახებ	54
15.1 კირის დუღაბი	54
15.2 გადაწყობა	54
15.3 ქვის კედლის რესტავრაცია	55
15.4 ქვის სვეტებისა და სხვა დეკ. ელემენტების რესტავრაცია	55
15.5 ქვის სვეტებისა და სხვა დეკ. ელემენტების შეცვლა	55
15.6 ქვის წყობაში არსებული ბზარების ინექტირება კირის ხსნარით	55
15.7 ძველზე უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება	55
15.8 დამხმარე სამუშაოები	55
16. ფასადის მოპირკეთება ბუნებრივი ფლეთილი ქვით	56
17. მობათქაშება	56



## 1. ზოგადი

ტექნიკურ ნაწილში აღწერილია ის სამუშაოები და მასალები, რომლებიც საჭიროა პროექტის ფარგლებში სამუშაოების განსახორციელებლად ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. წინამდებარე სპეციფიკაციები ზოგადი ხასიათისაა და შეიძლება არ მოიცავდეს კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს და ნაგებობას. სამუშაოების, საჭირო მასალების და მოწყობილობების დეტალური აღწერა და სპეციფიკაციები მოცემულია სამუშაოთა მოცულობების უწყისებში და ნახაზებზე. მწარმოებლები და პროდუქციის ბრენდები, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს დოკუმენტებში არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას, მხოლოდ საცნობარო ხასიათისაა და მიუთითებს მოსაწოდებელი საქონლის დამკვეთისათვის მისაღებ ხარისხზე.

## 2. სამშენებლო სამუშაოები

### 2.1. მოსამზადებელი სამუშაოები

#### 2.1.1 სამშენებლო მოედნის შემოღობვა

შემოღობვის კონსტრუქცია უნდა აკმაყოფილებდეს სახ. სტანდარტის 23407-78 მოთხოვნებს. დამცავი ღობის (საჩეხით და მის გარეშე) პანელის სიმაღლე უნდა იყოს 2მ, დამცავი საჩეხით 2მ, საჩეხის გარეშე - 1,6 მ; სასიგნალო შემოღობვის დგარის სიმაღლე - 6მ.

საჩეხები შებოლოების თავზე დაყენებულია 20 გრადუსიანი დახრით სავალი ნაწილის მიმართულებით. საჩეხების ფართი პორიზონტალურ პროექციაში - 1,25-1,3 მ. საჩეხის დაფების სისქე - არა უმეტეს 40 მმ.

ფეხითსავალი ტროტუარის სიგანეს ადგენენ ხალხის მოძრაობის ინტენსივობის მიხედვით 0,7-დან 1,2 მ მანძილის ფარგლებში. ტრანსპორტის მოძრაობის მხარეს ტროტუარი აღჭურვილია მოაჯირით, რომელიც შედგება დგარებისაგან და სახელურისაგან. სახელურის სიმაღლე - 1,1 მ. სახელურებს დგარებზე ამაგრებენ შიდა მხარეს.

ხის შემოღობვის ელემენტები, რომლებსაც შეხება აქვთ გრუნტთან დაფარული უნდა იყოს ანტისეპტიკური ხსნარით.

შემოღობვის პანელების, საჩეხების, ტროტუარების, დგარების, მოაჯირების, საერთოებელი მუხლის დასამზადებლად გამოიყენება ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის მასალა არა უმეტეს მესამე ხარისხისა.

შემოღობვის მიღებისას ამოწმებენ მის სისწორეს და ვერტიკალურობას, დგარები არ უნდა ქანაობდეს, ხოლო მზა ელემენტები მყარად უნდა იჯდეს კონტურში.



### 3. მიწის სამუშაოები

#### 3.1 გრუნტის ამოღება

##### 3.1.1 სამუშაოთა სახეები

სპეციფიკაციების ეს პარაგრაფი მოიცავს ობიექტის საზღვრებში, კარიერების ჩათვლით, არსებული მცენარეების, ხის მორების, ლოდების მოცილებას და გადაადგილებას, ნებისმიერი გრუნტის დამუშავებას, გადაადგილებას, მუდმივ ან დროებით ყრილში მუშაობას, ასევე მოშანდაკებას და პროფილირებას იმ კონტურებისა და ნიშნულების მიხედვით, რომელიც საჭიროა მშენებლობისათვის, მოწყობილობების მონტაჟისათვის ან ობიექტის ფართობის მოწყობისათვის, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზებზე, მითითებულია წინამდებარე დოკუმენტში ან დამატებით შეიძლება მითითებული იქნეს პროექტის მენეჯერის მიერ.

გრუნტის ამოღების სამუშაოები მოიცავს: მშენებლობის დროს ქვაბულების, თხრილების და ა.შ. მოწყობა, შენარჩუნება, ამოღებული გრუნტის გადაადგილება და განთავსება;

ნებისმიერი საჭირო სამაგრების, ნარანდის კედლების, შემოზღუდვის და ფარებით გამაგრების დაპროექტება, მიწოდება ადგილზე, დაყენება, შენარჩუნება და მოხსნა;

გრუნტის ამოღების ადგილებში ნებისმიერი წყაროდან და ნებისმიერი მიხეხით გამოწვეული ზედაპირული ან გრუნტის წყლების ჩადინების ან გაუონვის კონტროლი და მათი მოცილება ყველა საჭირო მეთოდის გამოყენებით, თხრილების გაყვანის, წყლის ნაკადის გადაგდების, დაგუბების და გადატუმბვის ჩათვლით;

ამოღებული გრუნტის განთავსება პროექტის მენეჯერის მითითების მიხედვით და წინამდებარე სპეციფიკაციების შესაბამისი პარაგრაფების თანახმად.

##### 3.1.2 ზოგადი მოთხოვნები

1. გრუნტის ამოღების დაწყებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე კონტრაქტორმა წერილობით უნდა აცნობოს პროექტის მენეჯერს სამუშაოთა დაწყების შესახებ. კონტრაქტორმა გრუნტის ამოღების სამუშაოების დაწყებამდე პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სამუშაოთა პროგრამა, რომელშიც მითითებული იქნება გრუნტის ამოღების მეთოდი, სამშენებლო მოედანზე საჭირო სადრენაჟო სამუშაოები, უსაფრთხოების ზომები, აღჭურვილობის ჩამონათვალი და სხვა დეტალები.
2. კონტრაქტორმა ყველა ზომა უნდა მიიღოს და უნდა გამოიყენოს გრუნტის ამოღების ყველაზე შესაფერისი მეთოდი, რათა თავიდან აიცილოს ქანების დასუსტება ან დაშლა იმ კონტურებსა და ფარგლებს გარეთ, რომლებიც აღნიშნულია ნახაზებზე ან მითითებულია პროექტის მენეჯერის მიერ.
3. გრუნტის ამოღება უნდა განხორციელდეს იმ დონეებისა და კონტურების შესაბამისად, რომლებიც ნაჩვენებია ნახაზებზე ან მითითებულია პროექტის მენეჯერის მიერ. კონტრაქტორის მიერ გაკეთებული დროებითი თხრილები უნდა იყოს მდგრადი და წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული პროექტის მენეჯერთან.
4. გრუნტის ამოღება ისეთი მეთოდით უნდა განხორციელდეს, რომ შესაძლებელი გახდეს სამშენებლო სამუშაოთა სათანადო შესრულება. მუშაობის მეთოდი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცალკე გამოიყოს დამბების, ნაპირგამაგრების და ა.შ. მშენებლობისათვის და ბეტონის შემავსებლად გამოსადეგი მასალები.
5. გრუნტის წყლების სარკის ქვემოთ გრუნტის ამოღება მოითხოვს წყლამოდერის შესაბამის სისტემას, რომელიც დამტკიცებული იქნება პროექტის მენეჯერის მიერ.
6. როდესაც მიღწეულ იქნება გრუნტის ამოღების დადგენილი დონეები და საზღვრები, პროექტის მენეჯერი შეამოწმებს გახსნილი ქვაბულის გრუნტს თუ პროექტის მენეჯერი მიიჩნევს, რომ ამ გრუნტის რომელიმე ნაწილი მიუღებელია



- თავისი სახეობის მიხედვით, მან შეიძლება უბრძანოს კონტრაქტორს გრუნტის ამოღების გაგრძელება.
7. პროექტის მენეჯერის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ან იმის გამო, რომ გრუნტის ამოღებისას თავი იჩინა სამუშაოების მიზნებისათვის გამოუსადეგარმა სუსტმა, შლადმა ან ორგანულმა გრუნტმა, შეიძლება საჭირო გახდეს გრუნტის დამატებითი ამოღება ნახაზებზე ნაჩვენები დონეების ფარგლებს გარეთ.
  8. თუ თხრილის ძირის ან ფერდების შემადგენელი გრუნტი, რომელიც პროექტის მენეჯერმა მისაღებად მიიჩნია შემოწმების დროს, თანდათან გამოუსადეგარი გახდა ამინდის ზეგავლენის ან დატბორვის გამო, დარბილდა და გაფხვიერდა, სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში, მაშინ კონტრაქტორმა უნდა მოაცილოს ეს დაზიანებული, დარბილებული ან გაფხვიერებული მასალა და უნდა გააგრძელოს გრუნტის ამოღება დაუზიანებელ ზედაპირამდე და შემდეგ უნდა განახორციელოს გამოსადეგი მასალით შევსება საჭირო დონემდე, პროექტის მენეჯერის მითითების შესაბამისად.
  9. ყრილისათვის ან რაიმე სხვა მიზნებისათვის გამოუსადეგარი ამოღებული გრუნტი, გატანილი უნდა იქნას საყრდელის ტერიტორიაზე. კონტრაქტორმა შესაბამისი კონტურებისა და დონეების ფარგლებში უნდა მოასწოროს და უნდა მოაწესრიგოს საყრდელის ტერიტორია.
  10. კონტრაქტორმა უნდა დასვას ნაგებობები ნახაზებზე ნაჩვენებ ნიშნულებზე და გამოიყენოს დამკვეთის/პროექტის მენეჯერის/ მიერ მითითებულ რეპერები, დაკვალების ღერძები და კოორდინატები. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ყველა ნაგებობის ნიშნულების სწორ დასმაზე. კონტრაქტორმა თავისი ხარჯით უნდა განახორციელოს ნებისმიერი დამატებითი სამუშაო, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მის მიერ ნიშნულების დასმისას გამოჩენილი უგულისყურობის გამო და ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ პროექტის მენეჯერის მოთხოვნისთანავე.
  11. კონტრაქტორი პასუხს აგებს უსაფრთხოების ტექნიკის ყველა საჭირო ზომაზე. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით სამუშაოთა დაწყებიდან მათ ნაბარებამდე კონტრაქტორმა მკაცრად უნდა დაიცვას უსაფრთხოების წესები.
  12. კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა ზომა და გამოიყენოს გრუნტის ამოღების ყველაზე შესაფერისი მეთოდი, რათა თავიდან აიცილოს ქანების გაფხვიერება ან ჩამონგრევა ნახაზებზე ნაჩვენები ან პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული ხაზებისა და დონეების ფარგლებს გარეთ. თუ რაიმე მიზეზით თხრა განხორციელდა ნახაზებზე ნაჩვენები ან პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული ხაზებისა და დონეების ფარგლებს გარეთ, კონტრაქტორმა თავისი ხარჯით უნდა მიიღოს ზომები საჭირო ხაზებისა და დონეების აღსადგენად დამტკიცებული მასალის გამოყენებით (როგორცაა უკუჩაყრა ან ბეტონი) და იმ მეთოდით, რომელსაც მიუთითებს პროექტის მენეჯერი.
  13. ერთეულის ფასი უნდა მოიცავდეს გრუნტის ამოღებისათვის საჭირო ხის სამაგრების, საფარის და სხვა საყრდენებისათვის აუცილებელ ყველა მასალას, მათი დაყენების, შენახვისა და დემონტაჟისათვის გაწეულ შრომას, ასევე იმ თხრას, რომელიც საჭიროა მეწყერების საშიშროების შესამცირებლად და სხვა. თუ გრუნტის ამოღების დროს მოხდება ჩამოხვავება, გამოწვეული გრუნტის ამოღების არასწორი ან შეუფერებელი მეთოდებით წარმოების, არასაკმარისი წყალამოდვრითა და საყრდენების უგულვებლყოფით, მთელი ზარალი უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორმა თავისი ხარჯით. ამგვარი შემთხვევის შედეგად მიღებული მასალის გატანა და ნებისმიერი საჭირო უკუჩაყრა კონტრაქტორმა თავისი ხარჯით უნდა განახორციელოს.



### 3.1.3 განმარტებები

ქვემოთ, სპეციფიკაციებისათვის განმარტებულია ის მასალები, რომელიც გამოიყენება და/ან უნდა დამუშავდეს გრუნტის ამოღების დროს:

კლდოვანი ქანი  
 ისეთი სიმაგრისა და სტრუქტურის მქონე, ადგილზე მტკიცედ დამაგრებული მინერალური მასა, რომელის ხელის წერაქვით დამუშავება შეუძლებელია.

არაკლდოვანი გრუნტები

ყველა მასალა, რომელიც არ შეესაბამება ქანის ზემოაღნიშნულ განსაზღვრებას.

არაკლდოვანი გრუნტები შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. თიხა: პლასტიკური გრუნტი, რომელიც გადის №200 აშშ სტანდარტულ საცერში.
2. ლამი: არაპლასტიკური ან ძალზე მცირედ პლასტიკური გრუნტი, რომელიც გადის №200 აშშ სტანდარტულ საცერში.
1. ქვიშა: მინერალური ნაწილაკი, რომელიც გადის №4 და არ გადის №200 აშშ სტანდარტულ საცერში.
2. ხრეში: ქანის მომრგვალებული ან ნახევრად მომრგვალებული ნაწილი არა უმეტეს 7.5სმ ზომისა, რომელიც არ გადის №4 აშშ სტანდარტულ საცერში.
3. რიყის ქვა: ქანის მომრგვალებული ან ნახევრად მომრგვალებული ნატეხი, რომლის საშუალო ზომებია 7.5-30სმ.
4. კაჭარი: არა უმეტეს 0,7მ<sup>3</sup> მოცულობისა და არა უმეტეს 30სმ ზომის ქანის მომრგვალებული ან ნახევრად მომრგვალებული ნატეხი.
5. გამოფიტული ქანი: მინერალური მასალა, რომელიც საკმაოდ მტკიცეა და დამაგრებული ადგილზე და აქვს ისეთი სიმაგრე და სტრუქტურა, რომ შესაძლებელია მისი მოცილება ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენების გარეშე.
6. მიწა ან ნიადაგი: ნატანი ან მყარი ნაწილაკების სხვა არაგამკვრივებული და ფხვიერი მასა, რომელიც მიღებულია ქანების ფიზიკური და ქიმიური დაშლის შედეგად.
7. შლამი: ნიადაგისა და წყლის ნაზავი თხევად ან სუსტად მყარ მდგომარეობაში.

გრუნტების კლასიფიკაცია დამუშავების სირთულის მიხედვით  
 (გამოყენებული სამუშაოთა მოცულობებში)

№	დასახელება	საშუალო სიმკვრივე კგ/მ <sup>3</sup>	ჯგუფი დამუშავების მიხედვით		
			ექსკავატ.	ბულდოზ.	ხელით
1	<b>კენჭნარ-ხრეშოვან-ქვიშოვანი ბრუნტები, ნაწილაკების ზომით</b>				
	ა) 80 მმ-მდე	1750	I	II	II
	ბ) 80 მმ-ზე მეტი	1950	II	III	III
	გ) 80 მმ-ზე მეტი, კაჭარის შემცველობით 10%-მდე	1950	III	III	III
	დ) 80 მმ-ზე მეტი, კაჭარის შემცველობით 30%-მდე	2000	IV	IV	IV
2	<b>თიხოვანი ბრუნტები</b>				
	ა) რბილი და მაბარალასტი-კური,	1800	II	II	II



	მინარევეების ბარეშე				
	ბ) რბილი და მაბარკლასტი-კური, ლორღის, ხრეშის და კენჭების მინარევეებით 10%-მდე	1750	II	II	II
	ბ) რბილი და მაბარკლასტი-კური, მინარევეებით 10%-ზე მეტი	1900	III	II	III
	დ) ნახევრადმაბარი	1950	III	III	III
	ე) მაბარი	1950-2150	IV	III	IV
<b>3</b>	<b>მცენარეული ბრუნტი (ნიადაგი)</b>				
	ა) ხეებისა და ბუჩქების ფესვების ბარეშე	1200	I	I	I
	ბ) ხეებისა და ბუჩქების ფესვებით	1200	I	II	II
	ბ) ღორღისა და ხრეშის ჩანართებით	1400	I	II	II
<b>4</b>	<b>ქვიშა</b>				
	ა) მინარევეების ბარეშე	1600	I	II	I
	ბ) ღორღისა და ხრეშის ჩანართებით 10%-მდე	1600	I	II	I
	ბ) 10%-ზე მეტი ღორღისა და ხრეშის ჩანართებით	1700	I	II	II
<b>5</b>	<b>თიხნარი</b>				
	ა) რბილკლასტიკური მინარევეების ბარეშე	1700	I	I	I
	ბ) იბივი, ღორღისა და ხრეშის მინარევეებით 10%- მდე, მაბარკლასტიკური მინარევეების ბარეშე	1700	I	I	I
	ბ) რბილკლასტიკური 10%-ზე მეტი მინარევეებით, მაბარ- კლასტიკური 10%-მდე მინარევეებით, ნახევრადმაბარი და მაბარი მინარევეების ბარეშე	1750	II	II	II
	დ) ნახევრადმაბარი და მაბარი ღორღის, ხრეშის და კენჭების 10%-ზე მეტი ჩანართებით	1950	III	II	III
<b>6</b>	<b>ქვიშნარი</b>				
	ა) კლასტიკური, მინარევეების ბარეშე	1650	I	II	I
	ბ) მაბარი და კლასტიკური ღორღის, ხრეშის და კენჭების 10%- მდე ჩანართებით	1650	I	II	I
	ბ) კლასტიკური და მაბარი 10%-ზე მეტი მინარევეებით	1850	I	II	II



### 3.1.4 პროფილირება

დასრულებული სამუშაოსათვის, ჭრის ზედაპირის დონე გრუნტის მოხსნისას უნდა იყოს ორდინალური დონე, რომელიც მიიღწევა დანიანი გრეიდერის, სერეპერის ან ხელის ნიხბით მუშაობის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროექტის მენეჯერი ნებართვას იძლევა სხვაგვარი მეთოდის გამოყენებაზე.

მიწის სამუშაოების შემდეგ მიღებული გრუნტის ზედაპირზე ბეტონირების ან ყრილის მოწყობისას ფხვიერი და გამოფიტული მასალა მოშორებულ უნდა იქნეს ამონათხარიდან, რათა ობიექტი განლაგებული იყოს მტკიცე და სუფთა ფუძეზე ან, სადაც ეს საჭიროა, მიყრდნობილი იყოს დაშლელ ქანებზე. ამონათხარის წმენდის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოიცავდეს შეკუმშული ჰაერის ჭავლის გამოყენებას. პროექტის მენეჯერი, მიწის სამუშაოთა მიღებამდე, ამოწმებს და აღწესსავეს ფუძის გეოლოგიურ აგებულებას.

ერთეული ფასები უნდა მოიცავდეს პროფილირების ყველა ხარჯს.

### 3.1.5 გრუნტის ამოღების მეთოდები

კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს გრუნტის ღია წესით ამოღება და პროფილირება ნახაზეზე ნაჩვენები და/ან პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული პროფილების, კონტურებისა და დონეების შესაბამისად. გრუნტის ამოღება უნდა განხორციელდეს ისეთი დამტკიცებული მეთოდებით, რომელთა შედეგად მიღებული მასალა დააკმაყოფილებს მასალის მიმართ მოთხოვნებს ობიექტის იმ ადგილებისათვის, სადაც გათვალისწინებულია ამოღებული გრუნტის გამოყენება. კონტრაქტორმა, საჭიროებისამებრ, უნდა განახორციელოს გრუნტის საცდელი ამოღება, რომელიც დაადასტურებს, რომ გრუნტის ამოღების მეთოდები იძლევა საჭირო მასალის მიღების საშუალებას. პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცების მიუხედავად, გრუნტის ამოღების მეთოდის ეფექტურობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორს. სამუშაოთა მიმდინარეობისას პროექტის მენეჯერი აუწყებს კონტრაქტორს თუ რამდენად გამოსადეგია ამოსაღები ან ამოღებული და დამუშავებული მასალა დამბების და მიწაყრილების მშენებლობისათვის, რაც დამოკიდებულია მასალის მახასიათებლებზე და კონტრაქტორის მიერ გამოყენებულ გრუნტის ამოღების მეთოდების შედეგებზე, საჭიროებისამებრ დამუშავების ჩათვლით. როდესაც კონტრაქტორის საქმიანობა ამის საშუალებას იძლევა, პროექტის მენეჯერი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ჩატვირთვის ადგილზე აცნობოს კონტრაქტორს ვარგისია, თუ არა ამოღებული გრუნტი დამბებისა და ყრილებისათვის, რაც უნდა ემყარებოდეს განთავსების ადგილზე, მასალის ტრანსპორტირების წინ პროექტის მენეჯერის მიერ ჩატარებულ შემოწმებას.

### 3.1.6 ამოღებული მასალის განკარგვა

გრუნტის ამოღების პირობები უნდა მოიცავდეს ამოღებული მასალის განკარგვას ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით:

- დასრულებულ (ბეტონის) ნაგებობებთან უკუჩაყრა, გრუნტის დროებითი ყრილის და ხელახლა დატვირთვა-გადმოტვირთვის ჩათვლით.
- ამოღებული გრუნტის დატვირთვა, ტრანსპორტირება და მუდმივი ან დროებითი ყრილის ადგილას განთავსება, ფორმირების, შენახვისა და დრენირების ჩათვლით.



### 3.1.7 გაზომვები და გადახდები

თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, გრუნტის ამოღება გაიზომება, კონკრეტული სიტუაციისათვის მოსახერხებელი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კვეთების ან კვეთების გასაშუალების მეთოდის გამოყენებით, ტოპოგრაფიული დადგენილი, შეთანხმებული მიწის ბუნებრივი ზედაპირის დონეების და ნახაზებზე ნაჩვენები საპროექტო დონეების მიხედვით.

კონტრაქტორის დროებითი გზებისა და კონტრაქტორისათვის საჭირო სხვა დროებითი ობიექტებისათვის წარმოებულ გრუნტის ამოღებაზე გაზომვა და გადახდა არ განხორციელდება.

გრუნტის ამოღების ერთეული განფასებები უნდა მოიცავდეს გრუნტის ამოღებისა და ამოღებული მასალის განკარგვის ყველა ხარჯს, ყრილის მოსაწყობად ფუძის წმენდის, ამოთხრის, გრუნტის მცენარეული საფარის მოშორების, გამონგრევის, საცდელი ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების, გრუნტის ამოღების, პროფილირების, ჩატვირთვის, გაშლის, და გადადგილების, ასევე ყრილის, ამოღებული გრუნტის საყრდენების, ნიადაგური საფარისა და ამ მუხლთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩათვლით.

## 4. ბეტონისა და არმატურის სამუშაოები

### 4.1 სამუშაოთა სახეები

ეს ნაწილი მოიცავს ბეტონის დამზადებას, ტრანსპორტირებას, ჩასხმას, დამუშავებას, მოვლას და გამყარებას, არმირების დეტალური ნახაზების მომზადებას, მიწოდებას, მოღუნვას, დამაგრებას, ასევე ყალიბს, ნაკერებს, ნაკერების შემავსებელ მასალას, ნაკერების დამუშავებას და ადგილზე დამზადებულ ან ასაწყობ ბეტონთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს.

### 4.2 სტანდარტები

სპეციფიკაციებში სტანდარტები მითითებულია აბრევიატურის ფორმით (მაგალითად, BS 12). ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი სტანდარტი და სამუშაო, რომელსაც ის ეხება:

#### სტანდარტები

American Association of State Highway and Transportation Officials (AASHTO) - სახელმწიფო ავტომაგისტრალებისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობის ამერიკის ასოციაცია;

AASHTO- საავტომობილო გზების ხიდების ტექნიკური ნორმატივები;

AASHTO- საავტომობილო გზების სეისმომდებელი ხიდების დაპროექტების ტექნიკური ნორმატივები.

#### სტანდარტი

#### სამუშაო

**American Concrete Institute (ACI)** — ამერიკის ბეტონის ინსტიტუტი  
ACI 211.1 ნორმალური, მძიმე და მონოლითური ბეტონისათვის

ACI 305R პროპორციების შერჩევის დადგენილი პრაქტიკა

ACI 315 ბეტონის სამუშაოები ცხელ ამინდში

ACI 318 CI-ის დეტალური ინსტრუქცია

სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები რკინაბეტონის მიმართ

**American Society for Testing and Materials (ASTM)** — ამერიკის ბამოცლისა და მასალების საზოგადოება

ASMT A36

საკონსტრუქციო ფოლადის სპეციფიკაციები



ASTM A53	მილერის, ფოლადის, შავი და ცხელი ჩაძირვის მეთოდით დაფარული, მოთუთიეზული, შეღებულ და
ASTM A184M	მთლიანნაჭიმი მილერის სპეციფიკაციები
ASTM A185	ბეტონის არმირებისათვის პერიოდული პროფილის არმატურის ღეროების ფოლადის კარკასის სპეციფიკაციები
ASTM C31	ბეტონის არმირებისათვის ფოლადის შეღებულ გლუვი მავთულის ბადის სპეციფიკაციები
ASTM C33	საველე პირობებში ბეტონის საცდელი ნიმუშების დამზადებისა და გამყარების ინსტრუქციები
ASTM C39	ბეტონის შემავსებლების ინსტრუქციები
ASTM C88	ცილინდრული ფორმის ბეტონის ნიმუშების კუმშვისას სიმტკიცის გამოცდის მეთოდი
ASTM C94	ბეტონის შემავსებლების ვარვისიანობის გამოცდის მეთოდი ნატრიუმის სულფატის და მაგნიუმის სულფატის გამოყენებით
ASTM C117	სასაქონლო ბეტონის სპეციფიკაციები
ASTM C127	75 მმ-ზე უფრო წვრილი მასალის (№200 საცხერი) გამოცდის მეთოდი მინერალურ მინარეზების გამორეცხვის საშუალებით
ASTM C131	მსხვილი შემავსებლის კუთრი მასისა და შთანთქმის ბანსაზღვრის მეთოდი
ASTM C136	მცირე ზომის მსხვილი შემავსებლის დაქუცმაცებისადმი მდგრადობის გამოცდა ლოს-ანჯელესის აბრაზიულ ცვეთაზე გამოცდის აპარატში და ღარტყმითი ზემოქმედების საშუალებით
ASTM C142	წვრილი და მსხვილი შემავსებლების საცრის საშუალებით ანალიზის მეთოდი
ASTM C143	შემავსებლების თიხის კოშტებისა და მტვრევადი ნაწილაკების გამოცდის მეთოდი
ASTM C150	პორტლანდცემენტიანი ბეტონის ჯდენის გამოცდის მეთოდი
ASTM C186	პორტლანდცემენტის ტექნიკური ნორმატივები
ASTM C231	ჰიდრაულიკური ცემენტის ჰიდრატაციის სიბრტყის გამოცდის მეთოდი
ASTM C260	ახალ ბეტონში ჰაერის შეცვლელობის წნევით გამოცდის მეთოდი
ASTM C309	ბეტონის ჰაერშემყვანი მინარეზების სპეციფიკაცია
ASTM C311	ბეტონის გამყარების აუსკწარმოქმნელი თხევადი ნაერთების სპეციფიკაცია
ASTM C494	ბანატაცი ნაცრის ან გუნებრივი პუცოლანის ნიმუშების აღებისა და გამოცდის მეთოდი პორტლანდცემენტიანი ბეტონის მინერალურ მინარეზად გამოსაყენებლად
ASTM D1190	ბეტონის ძიმიურ მინარეზების სპეციფიკაცია
ASTM D1751	ბეტონში ნაკერებისათვის ელასტიური ცხლად-სხმული ჰერმეტიკის სპეციფიკაცია
ASTM D1850	ბეტონის ბზის საფარისა და ნაბეზობების მშენებლობისათვის ტემპერატურული ნაკერების შემსვებები (არაემსტრუდირებული და ელასტიური ბიტუმის ტიპის)
British Standards (BS) –	ბრიტანული სტანდარტები
BS 340	ბეტონის ნაკერებში ცივად ჩასახმელი ჰერმეტიკის სპეციფიკაცია
BS 368	ასაწყობი რკ/ბ ბორღიურების, ღარების, კიდის ელემენტები და კვადრატების სპეციფიკაცია
BS 1200	ასაწყობი რკ/ბ ფილები
	სამშენებლო ძვიშა გუნებრივი წყაროებიდან



BS 3148	ბეტონის დამზადებისათვის წყლის გაყოფის მეთოდები
BS 4871	შესადგენი აპარატების ტიპის დამტკიცების გამოცდა
BS 5135	შედგენის დამტკიცებულ ოპერაციებისათვის
BS 5400	ნახშირბადოვანი ფოლადისა და მანბანუმოვანი ფოლადის რკალური შედგენა ლითონის ელექტროლით
	ფოლად-ბეტონის შერეული კონსტრუქციის ხიდების პროექტი და სპეციფიკაციები
<b>U.S. Army Corps of Project Managers (US COE) – აშშ-ს არმიის მშენებლობის ხელმძღვანელთა კორპუსი</b>	
CRD C572	კოლივინილქლორიდის წყალგამტარი შეფხვიდრობის სპეციფიკაციები
<b>ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტები</b>	
GOST 26633-86	ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბეტონი
GOST 7473-76	სასაქონლო ბეტონი. ტექნიკური პირობები
GOST 10178-85	კორტლანდცემენტი და წიდაკორტლანდცემენტი
GOST 22266-76	სულფატმედიუმი ცემენტი
GOST 11052-74	ბაზარტოვებადი ცემენტი
TY 21-20-18-80	ქაბკადი ცემენტი
GOST 22237-85	ცემენტის შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება და შენახვა
GOST 22236-85	ცემენტი. მიღების წესები
GOST 310.1-76	ცემენტი. გამოცდის მეთოდები
310.4-76	
GOST 5382-73	ცემენტი. ძირითადი ანალიზის მეთოდები
GOST 10268-80	შემაჯავებელი მძიმე ბეტონისათვის. ტექნიკური პირობები
GOST 10260-74*	ლორდი საფენებლო სამშაოებისათვის
GOST 8267-82	ლორდი საფენებლო სამშაოებისათვის გუნებრივი ქვისაბან
GOST 8268-82	ხრეში საფენებლო სამშაოებისათვის
GOST 17539-72*	ბეტონის შემაჯავებელი რკ/ბეტონის და ბეტონის მიღებისათვის. ტექნიკური მოთხოვნები
GOST 8269-82	ლორდი გუნებრივი ქვისაბან, ლორდი და ხრეში საფენებლო სამშაოებისათვის. გამოცდის მეთოდები
GOST 8736-85	ქვიშა საფენებლო სამშაოებისათვის. ტექნიკური პირობები
GOST 8735-85	ქვიშა საფენებლო სამშაოებისათვის. გამოცდის მეთოდები
GOST 23732-79	წყალი ბეტონებისა და საფენებლო ხსნარებისათვის. ტექნიკური პირობები
GOST 10922-75	არმატურის ნაკეთობები და შესადგენი ჩასატანებელი დეტალები რკ/ბ კონსტრუქციებისათვის. ტექნიკური მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები
GOST 14098-85	რკ/ბეტონის ნაკეთობების და კონსტრუქციების არმატურის შედგენით შეერთება. კონტაქტური და სააბაზანო შედგენა. ძირითადი ტიპები და კონსტრუქციული ელემენტები
GOST 23858-79	რკ/ბეტონის კონსტრუქციების არმატურის პირაპირა და თ-სებრი შეერთება შედგენით. ხარისხის კონტროლის ულტრაბერითი მეთოდები. მიღების წესები
GOST 5781-82*	ფოლადის არმატურის ღეროები
GOST 8478-81	არმატურის ბადეები
GOST 6727-80*	საარმატურე მავთული



### 4.3. კონტრაქტორის მიერ წარსადგენი მასალები

#### 4.3.1 ზოგადი

ბეტონის სამუშაოებთან დაკავშირებით კონტრაქტორის მიერ წარსადგენი მასალების მიმართ მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე სპეციფიკაციების შესაბამის პარაგრაფებში. აღნიშნული მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

#### 4.3.2 სერტიფიკატები და ქარხნული გამოცდის მონაცემები

ძირითად სამუშაოებში გამოსაყენებელი მასალების და მოწყობილობების ყოველ პარტიასთან ერთად კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ან მიმწოდებლის მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი, კერძოდ შემდეგ მასალებზე:

- ცემენტი;
- პუცოლანური მასალები;
- დანამატები;
- გამამყარებელი; დანამატები პლასტიფიკატორები.
- ნაკერების შემჭიდროებები, წყალგაუმტარი სოგმანების ჩათვლით.
- არმატურა;
- არმატურის შემაერთებელი დეტალები;

კონტრაქტორმა ასევე უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის მიერ გამოცდილი ნიმუშების ქარხანაში ჩატარებული ანალიზისა და ლაბორატორიული გამოცდის მონაცემები. ქარხნის ანალიზისა და გამოცდის მონაცემები უნდა წარმოადგენდეს იმ მასალებს, რომელიც მოწოდებულ იქნა ძირითადი სამუშაოებისათვის. მწარმოებლის მიერ ნიმუშების აღებისა და გამოცდის სისწიერე უნდა პასუხობდეს შესაბამის სტანდარტებს.

#### 4.3.3 კონტრაქტორის მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგები

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს:

დამზადებული შემავსებლების გრანულომეტრიული შემადგენლობის გამოცდის ყოველდღიური და ყოველთვიური შემაჯამებელი ანგარიშები; სასწორების და სადოზატორე მოწყობილობების ყოველთვიური შემოწმების ცნობა.

#### 4.3.4 ნიმუშები

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ყველა იმ მასალის ნიმუშები, მწარმოებლის ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც გამოყენებულ იქნება ძირითად სამუშაოებში პროექტის მენეჯერის მოთხოვნისამებრ. სათანადოდ ნიშნადებული სტანდარტული ნიმუშები შესაფერის კონტეინერებში უნდა ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე.

#### 4.3.5 ბეტონის ქარხანა

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ძირითადი ინფორმაცია ბეტონის ქარხანაზე, რომელსაც ის მოაწიებს ან გამოიყენებს. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემავსებლების დამამზადებელი, სარეცხი და საცრელ-სახარისხებელი დანადგარების, ბეტონის სადოზატორო და შემრევი დანადგარების, დასატვირთი, ტრანსპორტირების, ჩასხმისა და გაცივების საშუალებების აღჭურვილობის ჩამონათვალს. ყოველი დანადგარისათვის განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს კონტრაქტორის წერილობითი წინადადება ადგილზე პროდუქციის ხარისხის კონტროლის შესახებ. ბეტონის ქარხნის აღჭურვილობასა და ხარისხის კონტროლზე წინადადების სპეციფიკაციებთან შესაბამისობა განხილული და კომენტირებული იქნება პროექტის მენეჯერის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა შეიტანოს პროექტის მენეჯერისათვის დამაკმაყოფილებელი ცვლილებები თავის წინადადებაში.



#### 4.3.6 მშენებლობის დეტალები

კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერის მიერ წინასწარ დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს თავისი დეტალური წინადადებები შემდეგ საკითხებზე:

- ბეტონის საპროექტო ნარევის რეცეპტი თითოეული კლასის ბეტონისათვის;
- ბეტონირების ნაკერების მოწყობა იქ, სადაც ისინი არ არის ნაჩვენები ნახაზებზე;
- ბეტონირების ფენების განლაგება;
- წყალგაუმტარი სოგმანები;
- არსებულ და ახალ ბეტონს შორის ნაკერების მომზადება, შემკვრელი მასალების, რემონტისათვის ბეტონის სპეციალური შემადგენლობის დეტალური აღწერის ჩათვლით;
- ბეტონის ჩასხმის თანამიმდევრობა, ცხელ ამინდში და ღამით ბეტონის ჩასხმის სპეციალური პროცედურები;
- ასაწყობი ბეტონის სამუშაოები;
- ყალიბები;
- არმატურის ღეროების დეტალური მონაცემები, ღეროების ფორმის, ჩატანების, დაანკერებისა და გადადებით შეერთებების სიგრძეების ჩათვლით.

პროექტის მენეჯერის თანხმობის მიღებამდე კონტრაქტორის მიერ სამუშაოს დაწყება დაუშვებელია.

#### 4.3.7 ბეტონის სამუშაოების აღნუსხვა

კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერთან შეთანხმებული ფორმით ყოველ დღე უნდა წარმოადგინოს ანგარიში წინა დღეს ჩასხმული ბეტონის შესახებ.

აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს (და სხვა მონაცემებსაც):

- ბეტონის შემადგენლობასთან დაკავშირებით;
- გაკეთებული ნარევის პარტიების რაოდენობა;
- გაკეთებული ნარევის რაოდენობა, საშუალო ნორმა და დასხმული ბეტონის საერთო მოცულობა;
- ფუჭად დახარჯული ან წუნდებული ნარევის რაოდენობა;
- გამოყენებული ცემენტის, ბეტონის შემავსებლების, წყლის, პუცოლანური მასალების და დანამატების საერთო წონა.

ობიექტზე ბეტონის თითოეულ ჩასხმასთან დაკავშირებით :

- ჩასხმის ადგილი;
- ბეტონის ჩასხმული ნარევი;
- ჩასხმული ბეტონის საერთო რაოდენობა და თითოეული ნარევის გამოყენებული რაოდენობა.

ამასთან ერთად, კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს მონაცემების ზუსტი და დროული აღნუსხვა, რომელშიც ნაჩვენები იქნება ობიექტის ყოველი ნაწილის ბეტონირების თარიღი, დრო, ამინდი და ტემპერატურული პირობები. პროექტის მენეჯერს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტის შემოწმების საშუალება.

#### 4.3.8 არმატურის შედუღება

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს პროექტის მენეჯერის წინასწარი თანხმობა არმატურის ნებისმიერი შედუღებისათვის. ეს თანხმობა უნდა მოიცავდეს:

- შედუღების პროცედურებს;
- შედუღებლების კვალიფიკაციას სამშენებლო მოედანზე სამუშაოდ;
- შედუღების ნაკერების შემოწმებას.

#### 4.4 მასალები და აღჭურვილობა

##### 4.4.1 ცემენტი

ობიექტზე გამოყენებული ცემენტი უნდა წარმოადგენდეს პორტლანდ ცემენტს, რომელიც პასუხობს შთ 150 ან სხვა ეკვივალენტურ დამტკიცებულ სტანდარტს. პროექტის მენეჯერმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი ბეტონის მოცილება, თუ ის დამზადებულ იქნა ისეთი ცემენტით, რომელიც არ პასუხობს წინამდებარე სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

ცემენტი – GOST 10178-85 (ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტი)

ცემენტი	სიმტკიცის ზღვარი 28 დღის შემდეგ, მპა	
	კუმშვაზე	ღუნვაზე
პორტლანდ ცემენტი 400	39.2	5.4
პორტლანდ ცემენტი 500	49.0	5.9

ცემენტის შეფუთვა და ტრანსპორტირება GOST – 22237-85.  
მიღება – GOST 22237-85.

##### 4.4.2 ბეტონის შემავსებლები

###### 4.4.2.1 ზოგადი

ბეტონის შემავსებლები უნდა დამუშავდეს და უნდა შედგებოდეს ბუნებრივი ნაწილაკებისაგან ან ბუნებრივი და ხელოვნური ნაწილაკების ნარევისაგან. ბეტონის შემავსებლები დამზადებულ უნდა იქნეს წყაროებიდან/კარიერიდან მიღებული შესაფერისი მასალებისაგან, რომელიც დამტკიცებული იქნება პროექტის მენეჯერის მიერ. რომელიმე წყაროს დაკმტკიცება, საიდანაც კონტრაქტორი აწარმოებს ბეტონის შემავსებლებს, არ გულისხმობს ამ წყაროდან მიღებული ყველა მასალის დამტკიცებას ან მიღებას.

კონტრაქტორს შეუძლია მასალის მიღება პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი წყაროდან. ამ მიზნით მან პროექტის მენეჯერს განსახილველად უნდა წარუდგინოს აღნიშნული წყაროებიდან მიღებული მასალის კვლევისა და გამოცდის შედეგები. კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული წყაროები იმავე პროცედურის მიხედვით უნდა იქნეს დამტკიცებული.

ობიექტზე წარმოებული ბეტონის შემავსებლების ხარისხის კონტროლისათვის კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მუშახელი და აღჭურვილობა და უნდა აკონტროლდეს საგამოცდო ლაბორატორია. მინიმუმ ყოველ ცვლაში ერთხელ კონტრაქტორმა უნდა აიღოს ობიექტზე წარმოებული მსხვილი შემავსებლის ნიმუში და უნდა შეამოწმოს გრანულომეტრიული შემადგენლობა. ბეტონის წვრილი შემავსებლის გრანულომეტრიული შემადგენლობა უნდა დადგინდეს წარმოების ერთი საათის განმავლობაში მინიმუმ ერთი გამცდის საშუალებით, გრდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, პროექტის მენეჯერის აზრით, გამცდის შედეგების საფუძველზე, შემავსებლის გრანულომეტრიული შემადგენლობა საკმაოდ მუდმივია და დასაშვებია მისი ნაკლები სიხშირით გამოცდა. კონტრაქტორმა ასევე უნდა აიღოს შემავსებლის ნიმუშები და გამოსცადოს ისინი გრანულომეტრიული შემადგენლობის სისწორის დასადგენად წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის და გამოყენების სხვადასხვა ეტაპებზე, პროექტის მენეჯერის მოთხოვნისამებრ. კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს ყოველდღიური ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია უნდა იყოს წარმოების მოცულობები და გრანულომეტრიული შემადგენლობის გამცდის შედეგები.

კონტრაქტორმა წარმოების პროცესში დაუყოვნებლივ უნდა გაასწოროს მსხვილი და წვრილი შემავსებლების გრანულომეტრიულ შემადგენლობაში ნებისმიერი გადახრა.



#### 4.4.3 შემავსებლების ხარისხი და გრანულომეტრიული შემადგენლობა

##### წვრილი შემავსებლები

ბეტონის წვრილი შემავსებლები უნდა შეესაბამებოდეს შთ ჩ33 ან ეკვივალენტური ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტის ხარისხის მოთხოვნებს და უნდა შედგებოდეს ბუნებრივი და/ან დამსხვრეული/დაფქული ქვიშისაგან. წვრილი შემავსებლები უნდა გაირეცხოს. ზემოაღნიშნულთან ერთად, ბეტონის წვრილი შემავსებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფიზიკურ მოთხოვნებს:

- სიმსხოს მოდული 2.50-3.0
- ნატრიუმსულფატის მედეგობა 5 ციკლი (ASTM C 88) მაქსიმუმ 10%-ის დანაკარგი
- ქვიშის ეკვივალენტი (ASTM D2419) მინიმუმ 80%

გრანულომეტრიული შემადგენლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, წვრილი შემავსებელი უნდა შემოწმდეს იმ თვალსაზრისით, რომ ათი თანამიმდევრული გამოცდის ნიმუშიდან მინიმუმ ცხრა 0.20-ზე მეტით არ უნდა განსხვავდებოდეს 10 საგამოცდო ნიმუშის საშუალო სიმსხოს მოდულისაგან.

#### 4.4.4 შემავსებლების ნიმუშების აღება და გამოცდა

##### ბეტონის შემავსებლები

ბეტონის დამზადებისას პროექტის მენეჯერი უნდა უზრუნველყოს ბეტონსარეგთან მიტანილი ბეტონის შემავსებლების ნიმუშებს, რათა დაადგინოს წინამდებარე სპეციფიკაციების მოთხოვნებთან მათი შესაბამისობა. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ნიმუშების წარდგენა და მათი გამოცდის საშუალებები. პროექტის მენეჯერის მიერ ბეტონის შემავსებლების გამოცდა არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მისი პასუხისმგებლობისაგან, რომ აკონტროლოს წვრილი და მსხვილი შემავსებლების წარმოება, შენახვა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვა წინამდებარე სპეციფიკაციების შესაბამისად.

##### შემავსებლების შენახვა

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემავსებლების შენახვის საშუალებები, რათა:

- ყოველი ნომინალური ფრაქციის მსხვილი და წვრილი შემავსებლები ყოველთვის ინახებოდეს ცალ-ცალკე;
- ყოველთვის თავიდან უნდა იქნეს აცილებული შემავსებლების დაბინძურება მიწით ან სხვა უცხო ნივთიერებებით;
- უზრუნველყოფილი იყოს შემავსებლის თითოეული გროვიდან წყლის მოცილება;

კონვეირულ სისტემაში გამოყენებული უნდა იყოს სათანადო კონსტრუქციის ქანის ტრანსპორტიორი 37.5 მმ-ზე მეტი ზომის შემავსებლების სეგრეგაციის და დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად.

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ დახარისხებული მსხვილი შემავსებლები ისე იქნეს დაყრილი, შენახული და გატანილი შენახვის ადგილიდან, რომ თავიდან იქნას აცილებული მასალის სეგრეგაცია. დაუშვებელია შენახვის გროვებზე მექანიზმების მუშაობა.

დოზატორის ან სარევი დანადგარის ბუნკერში მიტანილ წვრილ შემავსებლებს უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი, სტაბილური ტენშემცველი შემადგენლობა, რომელიც



7%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ჭარბი ტენი მოცილებულ უნდა იქნეს მექანიკურად ან დაშტაბელებით დრენირების მეთოდით. კონტრაქტორმა ავდარისაგან უნდა დაიცვას წვრილი შემავსებლების გროვები. იქ, სადაც შემავსებლები შეიძლება დაბინძურდეს ქარის მოტანილი მასალებით, საჭიროა ქარსაფარი შემოდობვის უზრუნველყოფა.

#### 4.4.5 წყალი

შემავსებლების გასარეცხი, ბეტონის მორევისა და გამყარებისათვის საჭირო წყალი უნდა იყოს სუფთა, არ უნდა შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს და უნდა შეესაბამებოდეს BS 3148-ის დანართის რეკომენდაციებს. ქლორიდებისა და სულფატების კონცენტრაცია ისეთი უნდა იყოს, რომ მთლიანობაში ბეტონის ნარევის მინერალიზაცია შეესაბამებოდეს BS 3148-ში რეკომენდირებულ ფარგლებს. ამ მიზნისათვის გამოსადეგად ითვლება არხის სათანადოდ გაფილტრული წყალი. კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები წყლის დასაცავად მზის პირდაპირი სხივებისაგან და ქარის მოტანილი მასალებით დატუჭყიანებისაგან. პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს ბრძანება წყლის ხელახალი შემოწმების შესახებ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის. ყოფილი საბჭოთა კავშირის ნორმები: გოსტ 23732-79 წყალი ბეტონებისა და სამშენებლო ხსნარებისათვის, ტექნიკური პირობები.

#### 4.4.6 დანამატები

დანამატები გულისხმობს იმ მასალებს, რომელიც ემატება ბეტონს მორევისას და მისი მიზანია ბეტონის ნარევის თვისებების შეცვლა. ისინი არ უნდა შეიცავდეს კალციუმის ქლორიდს. კონტრაქტორის მიერ ბეტონის ნებისმიერი დანამატის გამოყენება უნდა ემყარებოდეს სპეციფიკაციების მოთხოვნებს ან პროექტის მენეჯერის მითითებებს. გამათხევადებელი გამყარების შემანელებელი დანამატი უნდა შეესაბამებოდეს ASTM C494, ტიპს. თითოეულ ნარევე გამოყენებული დანამატის მოცულობა უნდა განსაზღვროს პროექტის მენეჯერმა, მაგრამ ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის ინსტრუქციებს. ის გამათხევადებელი გამყარების შემანელებელი მინარევი, რომელიც არ ყოფილა დამაკმაყოფილებელი შედეგებით გამოყენებული მსგავსი ხასიათის სამუშაოებზე, არ განიხილება დასამტკიცებლად. მწარმოებლის ტექნიკური მონაცემების ცნობა და ASTM C494, ტიპთან შესაბამისობის სერტიფიკატი მოთხოვნისას წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ, მწარმოებლის შესაბამისობის სერტიფიკატი წარმოდგენილ უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე თითოეული პარტიის მიწოდებასთან ერთად. პროექტის მენეჯერმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აიღოს გამათხევადებელი გამყარების შემანელებელი მინარევის ნიმუშები და გამოსცადოს ASTM C494 სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად. თუ გამოცდა უჩვენებს, რომ მიწოდებული მინარევი არ არის დამაკმაყოფილებელი, ის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოცლებული სამშენებლო მოედნიდან.

#### 4.4.7 ნაკერების შევსება და წყალგაუმტარი სოკმანები

ნაკერების შესავსები მასალა მოიცავს წყალგაუმტარ შემჭიდროებას, შემავსებლებს, საღებავებს, ნაკერების ამომესებ შემადგენლობებს, ჰერმტიკებს, შემკვრელ მასალებს და სხვა მასალებს, რომელიც საჭიროა ბეტონის ნაკერებისათვის. ნაკერების ამომესები მასალა შემოთავაზებულ უნდა იქნეს კონტრაქტორის მიერ და უნდა დაამტკიცოს პროექტის მენეჯერმა. ისინი უნდა ჩაიტვირთოს და გადმოიტვირთოს, გამოყენებული და შენახული იქნეს მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად.



#### 4.4.8 ეალიბი

ეალიბი უნდა მოეწიოს ხის მასალის, ლითონის ფურცლების ან სხვა დამტკიცებულ მასალისაგან, ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე და იმის მიხედვით თუ რა ფაქტურის ბეტონირების ზედაპირია მისაღები. ღია ზედაპირებისათვის კონტრაქტორმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი დამუშავების კლასის ზედაპირებისათვის დამტკიცებული მასალები. მომჭიმი ელემენტები უნდა იყოს ძელოვან-წრიულხრახუნული ან სხვა დამტკიცებული დაპატენტებული ტიპის. ჩასატანებელი დეტალების მისაღული ღერები უნდა ბოლოვდებოდეს ბეტონის ფორმირებული ზედაპირის შიგნით არანაკლებ 50 მმ სიღრმეზე. დაუშვებელია მათულის ბმების გამოყენება. წყალშემტბორ ნაგებობებში გამოყენებულ, მთელი კვეთის სიგრძეზე გამჭოლ მომჭიმებს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 50 მმ დიამეტრის და 4 მმ სისქის დიაფრაგმა, რომელიც მართობულად უნდა იყოს მიღებული მომჭიმი ელემენტის შუაში, მის გასწვრივ წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად.

#### 4.4.9 ფოლადის არმატურა

ფოლადის არმატურის ღეროები უნდა წარმოადგენდეს ცხლად გლინულ პერიოდული პროფილის არმატურის ღეროებს, რომელიც შეესაბამება ASTM A 615 სტანდარტს, 40 და 60 კლასს ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკვივალენტურ სახელმწიფო სტანდარტებს. არმატურის კარკასი უნდა შეესაბამებოდეს ASTM A 184 ან ASTM A 185 სტანდარტების და ნახაზებზე მითითებულ მოთხოვნებს. პროექტის მენეჯერის მოთხოვნით, კონტრაქტორმა უნდა აიღოს სამშენებლო მოედანზე მიტანილი არმატურის ნიმუშები და უნდა უზრუნველყოს ნიმუშების გამოცდა დამტკიცებული საგამოცდო უწყების მიერ. ამ უწყებიდან მიღებული გამოცდის შესახებ ცნობა უნდა წარედგინოს პროექტის მენეჯერს. დენადობის ზღვარი, 40 და 60 კლასის არმატურისათვის ქარხანაში გამოცდის მონაცემებით არ უნდა აღემატებოდეს 120 MPa დენადობის დადგენილ ზღვარს. გაჭიმვისას სიმტკიცის ზღვარის თანაფარდობა დენადობის ზღვართან არ უნდა იყოს 1.25-ზე ნაკლები. არმატურის ღეროები GOST 5781-82 (ყოფილი საბჭოთა კავშირის ნორმები)

არმატურის კლასი	დენადობის ზღვარი, მპა	სიმტკიცის ზღვარი, მპა	დრეკადობის მრღული, მპა
ა-I	235	373	210000
ა-II	294	490	210000
ა-III (დ=10-40მმ)	392	590	200000

არმატურის ბაღე GOST 8478-81

(დ=6-10mm ა-III GOST 5781-82; დ=3-5მმ არმატურის მავთული Bp-I GOST 6727-80)

#### 4.4.10 აღჭურვილობა

##### 4.4.10.1 ზოგადი

აღჭურვილობა-დანადგარების რაოდენობა და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც სპეციფიკაციების, ასევე მშენებლობის პროგრამის მოთხოვნებს. ბეტონის დასამზადებელი აღჭურვილობისადმი სპეციალური მოთხოვნები მოცემულია ქვემოთ.

#### 4.4.10.2 ავტობეტონსარევეები

ავტობეტონსარევეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მზა ბეტონის ტრანსპორტირებისათვის, სპეციფიკაციების მოთხოვნების შესაბამისად და იმ პირობით, რომ მიღებული იქნება დამტკიცებული ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული წყლის ჩამატება ავტობეტონსარევეში მოთავსებულ ბეტონში. ბეტონის ტრანსპორტირების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.

#### 4.4.10.3 ვიბრატორები ბეტონის გამკვრივებისათვის

ნაგებობებში ბეტონის გასამკვრივებელი ვიბრატორები უნდა იყოს მძლავრი, სიდრმული ვიბრატორები. ისინი უნდა მუშაობდეს ვიბრაციის შემდეგი სიხშირითა და ამპლიტუდით: ვიბრატორებისათვის, რომელთა თავის დიამეტრი აღემატება 75მმ-ს – არა ნაკლებ 6 ათასი იმპულსისა წუთში და 1მმ ამპლიტუდა, უფრო მცირეთავიანი ვიბრატორებისათვის კი – 7 ათასი იმპულსი წუთში და 0.5მმ ამპლიტუდა. ვიბრატორებმა უნდა უზრუნველყოს ყველა გამოყენებული სახის ბეტონისათვის გამკვრივების სათანადო ხარისხის მიღწევა. პროექტის მენეჯერმა დროადადრო უნდა გამოსცადოს ვიბრატორის სიხშირე და ამპლიტუდა მწარმოებლის სპეციფიკაციებთან შესაბამისობის დასადგენად. თუ ვიბრატორული აღჭურვილობა არ მუშაობს დამაკამოფილებლად ყოველგვარ სამუშაო პირობებში, ის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაუქმდესებული ან შეცვლილი. პროექტის მენეჯერის ან სხვა სათანადო მითითების გარეშე ზედამირული ან დასამაგრებელი ვიბრატორული აღჭურვილობის გამოყენება დაუშვებელია.

### 4.5 ხელობა

#### 4.5.1 ბეტონის დოზირება

ბეტონის თითოეული ჩასხმისას გამოსაყენებელი მასალების პროპორციები, შეთანხმებული უნდა იქნეს პროექტის მენეჯერთან. თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, ბეტონის ნარევი უნდა შედგებოდეს შემკვრელი მასალების, წყლის, წვრილი და მსხვილი შემავსებლებისაგან. მინარევებისა და დანამატების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას პროექტის მენეჯერი დაამტკიცებს. შემკვრელი მასალები შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ცემენტისაგან ან ცემენტისა და პუცოლანიანი მასალებისაგან. ეპოქსიდური ბეტონის/ხსნარის გამოყენება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის მენეჯერთან. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ეფექტური ზომები (როგორცაა შემავსებლების წინასწარი გაცივება, წყლის გაცივება, ყინულის ნატეხების ჩამატება სარევი წყლის სრულ მოცულობის ოდენობის საზღვრებში ან სხვა მეთოდები) ჩასხმისას ბეტონის დადგენილ ან დადგენილზე უფრო დაბალი ტემპერატურის შესანარჩუნებლად. ყინულის ნატეხები ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ სრულად დადნეს შერევის ყოველი ციკლის დამთავრებამდე.

#### 4.5.2 არმატურის მონტაჟი და დაფარვა

არმატურა საიმედოდ და ზუსტად უნდა იქნეს დამონტაჟებული ნახაზებზე ნაჩვენებ ადგილებში გამბჯენი ბლოკის ან ფიქსატორის საშუალებით. დეროების გადაკვეთა დამაგრებული უნდა იყოს რბილი მათეულით და ბოლოები ბეტონში უნდა იყოს ჩამაგრებული. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს არმატურის სათანადო ადგილზე შენარჩუნება. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ბეტონის დასხმის დროს.



ფილებში არმირების ზედა ზღვარი შენარჩუნებული უნდა იყოს სათანადო პოზიციაში ფიქსატორების საშუალებით, ზომების და ბიჯის დაცვით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მზიდუნარიანობა საექსპლუატაციო დატვირთვებისას.

#### 4.5.3 არმატურის შედუღება

პროექტის მენეჯერის ნებართვის გარეშე, არმატურის მონატაჟისას ურთიერთ გადამკვეთი ღეროების შედუღება დაუშვებელია. არმატურის ღეროების შედუღებადობის მახასიათებლების მოთხოვნები ამოღებულია შთ 615, 616 და 617 სტანდარტებიდან.

მიუხედავად ამისა, თუ საჭირო იქნება არმატურის ღეროების შედუღებით შეერთება, დაცულ უნდა იქნეს AWS D1.4 სტანდარტი. AWS D1.4 სტანდარტით განსაზღვრული პროცედურები მოითხოვს ნახშირბადის ექვივალენტის განსაზღვრას ASTM A 706 სტანდარტის შესაბამისად. ნახშირბადის ექვივალენტის გაანგარიშებისათვის საჭიროა შესადუღებელი ღეროების ქიმიური შემადგენლობის დადგენა, დამამზადებლისაგან მიღებული ინფორმაციის ან ნიმუშის გამოცდის საშუალებით. თუ სამუშაოები მოიცავს არმატურის ღეროების შეერთებას, მოთხოვნილი უნდა იქნეს ქარხნული გამოცდის სერტიფიკატები. ASTM A 706 სტანდარტის შესაბამისად მოწოდებული ღეროების შედუღება უნდა ემყარებოდეს AWS D1.4 მოთხოვნებს. ASTM A706 არმატურის ღეროებისათვის ნახშირბადის ექვივალენტი ლიმიტირებულია 0.55 პროცენტით. აღნიშნული ან მასზე დაბალი ნახშირბადის ექვივალენტის ღეროებისათვის AWS ნორმებით დასაშვებია მცირედ წინასწარი გახურება. ხარისხოვანი შედუღების ნაკერების მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს სათანადო სითბო და ელექტროდები. დაუშვებელია გადამკვეთი ღეროების მცირე ელექტრორკალური შედუღება ე.წ. მოსაჭიდი შედუღების ნაკერი. ამგვარმა შედუღებამ შეიძლება სერიოზულად დაასუსტოს ღერო შედუღების წერტილში. ეს ოპერაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესადუღებელი მასალა და შედუღების ოპერაცია მუდმივი კომპეტენტური კონტროლის ქვეშაა, როგორც ეს ხდება შედუღებული არმატურის მავთულის ბადის წარმოებისას.

თუ არ არსებობს პროექტის მენეჯერის სხვაგვარი ნებართვა, არმატურის ღეროების შეერთება (განსაკუთრებით გადამკვეთი ღეროების) უნდა მოხდეს მექნიკური შეერთების მეთოდით ან პირგადადებით.

#### 4.5.4 ყალიბის პროექტი და განლაგების სქემა

ყალიბი ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ დასაშვები სიზუსტის ფარგლებში დაცული იქნას ფილების, კედლების და სხვა კონსტრუქციების ზომები, განლაგება და ნიშნულები.

ყალიბი გათვლილი უნდა იყოს ყველა ვერტიკალურ და განივ დატვირთვაზე, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მანამდე, სანამ ამ დატვირთვებს თვითონ ნაგებობა ზიდავს. ყალიბის ნახაზები დამტკიცებულ უნდა იქნეს პროექტის მენეჯერის მიერ.

ყალიბის ნახაზების განხილვა/დამტკიცება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს ყალიბების სათანადოდ აშენების და შენარჩუნების მოვალეობისაგან. ყალიბებმა ჯერონად უნდა იმუშაონ ნებისმიერ შემთხვევაში.

ბეტონირებამდე პროექტის მენეჯერი ჩაატარებს აუცილებელ ინსპექტირებას და აღნუსხავს შედეგებს. ინსპექტირების დოკუმენტაციას ხელი უნდა მოაწერონ პროექტის მენეჯერმა და კონტრაქტორის წარმომადგენელმა. ინსპექტირების დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და კრიტერიუმებს:

- დაყენებული ყალიბის ზომების შესაბამისობა ნახაზებზე ნაჩვენებ ზომებთან;
- განმბრჯენების, საჭერების და სამაგრების სათანადოდ შეერთება პირაპირა შეერთებით;

ნაკერები და პირგადადებები განლაგებული უნდა იყოს საფეხურონად (კადრაკულად);



- სამაგრები უნდა დამაგრდეს ვერტიკალურად და სათანადო საყრდენით;
- გამოყენებულ უნდა იქნეს საჭირო ზომის და მზიდუნარიანობის ყალიბის შემოსაკრავი და ფიქსატორები.
- ყალიბი საკმარისად მჭიდრო უნდა იყოს ბეტონიდან სამშენებლო ხსნარის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად;
- დაყენებული და დამაგრებულ უნდა იყოს სადებები, სახელოები, ანკერები, წყალგაუმტარი შემჭიდრობა, მილები და სხვა ჩასატანებელი ნაწილები;
- ყალიბები მთლიანად უნდა იქნეს გაწმენდილი და დაფარული.

#### 4.5.5 ბეტონის ტრანსპორტირება

ბეტონი გადატანილი უნდა იქნეს ბეტონსარევიდან ობიექტზე მისი ჩასხმის ადგილას რაც შეიძლება სწრაფად ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სეგრეგაცია ან გაშრობა და უზრუნველყოფილ იქნეს ბეტონის საჭირო კონსისტენცია დასხმის დროს.

პროექტის მენეჯერის თანხმობის შემდეგ, დასაშვებია ბადიების, ლენტური კონვეირების, ღარებისა და სხვა მსგავსი აღჭურვილობის გამოყენება ბეტონის გადასატანად.

ყველა გადასატანი აღჭურვილობა და მეთოდები გაანგარიშებული უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ობიექტზე გამოყენებული ნებისმიერი შემესებლიანი და კონუსის ჯდენის (დაბალი ძვრადობის ბეტონის ჩათვლით) ბეტონის ტრანსპორტირება.

ზუსტად უნდა იყოს მითითებული ბეტონის განსხვავებული ნარევი და მათი დანიშნულება. ყოველ სატრანსპორტო ზედნადებს თან უნდა ახლდეს ბეტონის ქარხნის მონაცემების ასლი.

#### 4.5.6 ბეტონის ჩასხმა

ბეტონირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მყარი, გამძლე, მკვრივი ბეტონის მიღება, ფუჭვილების, უსწორმასწორო ზედაპირების ან სხვა ნებისმიერი დეფექტის გარეშე.

ძირითად ნაგებობაში ბეტონის დასხმამდე მინიმუმ 30 დღით ადრე კონტრაქტორი თავის სამშენებლო პროცედურებს, ბეტონის დასხმის მეთოდების აღწერის ჩათვლით, წარუდგენს პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად. სამშენებლო პროცედურებისა და ბეტონის დასხმის მეთოდების დამტკიცება არ ათავისუფლებს კონტრაქტორს მათ შესაბამისობაზე პასუხისმგებლობისაგან და ის ერთპიროვნულად პასუხისმგებელია ობიექტის დამაკმაყოფილებლად აშენებაზე.

ბეტონის თითოეული ჩასხმისათვის კონტრაქტორი წარუდგენს პროექტის მენეჯერს წერილობით შეტყობინებას, ნახაზსა და ჩასხმის წინ აუცილებელი შემოწმებების ჩამონათვალის, ხელმოწერილს კონტრაქტორის შესაბამის ზედამხედველი მუშაკების მიერ. მასში დამოწმებული უნდა იყოს, რომ ფუძის მომზადება, სამშენებლო ნაკერი, ზედაპირის წმენდა, ყალიბი, არმატურის და ჩასატანებელი ნაწილების მონტაჟი შესრულდა ნახაზების ან მითითებების შესაბამისად. ბეტონის დასხმაზე ნებართვის გაცემამდე შემოწმებების ჩამონათვალის თითოეული პუნქტი პროექტის მენეჯერის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი იმის საჩვენებლად, რომ ეს პუნქტი შემოწმდა და მისაღებია ბეტონირების დაწყებისათვის. ბეტონირება არ იქნება ნებადართული თუ, პროექტის მენეჯერის აზრით, რეალური პირობები ხელს შეუშლის ბეტონის სათანადო დასხმას, გამკვრივებას, მოპირკეთებასა და გამყარებას.

იქ, სადაც ბეტონი ეყრდნობა მიწას ან სხვა ისეთ მასალას, რომელიც ფხვიერდება და ცურდება, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები, რომ ამგვარი მასალა არ მოხვედეს ახლადდასხმულ ბეტონის ზედაპირზე.



## 4.6 გამოცდა

გამოცდა უნდა ჩატარდეს ამ ნაწილში ზემოთ მოყვანილი შესაბამისი დებულებების თანახმად.

## 4.7 გაზომვა და გადახდა

### 4.7.1 ბეტონი – ზოგადი

ქვემოთ მოცემული დებულებები ეხება ბეტონის სამუშაოების ყველა მუხლს, გარდა გაზომვისა და გადახდის დებულებებში აღნიშნული სპეციფიური მუხლებისა. ობიექტზე დასხმული ბეტონის მოცულობა უნდა გაიზომოს ნახაზებზე ნაჩვენები კონტურებისა და ღონეების, ან პროექტის მენეჯერის მითითების შესაბამისად. იქ სადაც ბეტონი დასხმულია ფუძეზე, უნდა გაიზომოს ნახაზებზე ნაჩვენები ან პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული ფუძის კონტურები და ღონეები.

#### გაზომვა

ბეტონის გაზომვა უნდა განხორციელდეს 3.7.1 პარაგრაფის დებულებების შესაბამისად.

რეზინის სადებები უნდა გაიზომოს ცალობით, როგორც მთლიანი ერთეული. სოგმანები უნდა გაიზომოს გრძივ მეტრებში.

#### გადახდა

ბეტონისათვის გადახდა უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული წესით გაზომილ კუბურ მეტრებზე, შესაბამისი მუხლის ერთეული განაკვეთის საფუძველზე. რეზინის სადებებისთვის გადახდა უნდა განხორციელდეს ცალობით. სოგმანებისათვის გადახდა უნდა განხორციელდეს გრძივი მეტრების მიხედვით.

### 4.7.2 ფოლადის არმატურა

#### გაზომვა

არმატურის ღეროები უნდა გაიზომოს როგორც ნაგებობებში ჩალაგებული ფოლადის არმატურის ღეროების ნეტო წონა მეტრულ ტონებში. ფოლადის არმატურის ღეროების ნეტო წონა უნდა გაანგარიშდეს, როგორც დამტკიცებული ნახაზების ან ღეროების უწყისების შესაბამისად განთავსებული ღეროების სიგრძე, გამრავლებული სიგრძის ერთეულის შესაბამის ნომინალურ წონაზე.

არმატურის პირგადადებები და შეერთებები, რომლებიც მოწყობილია კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა მოხერხებულად შესასრულებლად, არ გაიზომება.

მაფთული, ფიქსატორები, საყრდენები, სამაგრები და არმატურის დამაგრების სხვა საშუალებები არ გაიზომება.

#### გადახდა

გადახდა განხორციელდება ზემოაღნიშნული წესით გაზომილი მეტრული ტონების რაოდენობის მიხედვით შესაბამისი მუხლის ერთეული განაკვეთების საფუძველზე. არმატურის ერთეული განფასებები უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, არმატურის დეტალური ნახაზებისა და უწყისების მომზადების, არმატურის მიწოდების, მოღუნვისა, დამაგრების, ასევე დანაკარგების ჩათვლით და ამ მუხლთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს.

#### 4.8 დეფექტური ბეტონის შეკეთება ან გამოცვლა

დაბზარული, დანგრეული, სუსტი, ფხვიერი, გატეხილი, ფუჭვილიანი, კოროზირებული ან სხვა დეფექტების მქონე ბეტონი უნდა შეკეთდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

- შესაკეთებელი ზედაპირი კარგად უნდა მომზადდეს და დაიგრუნტოს;
- უკეთესი შედეგების მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნეს სათანადო მასალა (განსაკუთრებით ქვიშა);
- ნარევი სათანადოდ უნდა იყოს დოზირებული – მას არ უნდა ჰქონდეს ზედმეტი ცემენტი და უნდა შეიცავდეს მინიმალური რაოდენობით სარევე წყალს;
- შეკეთებული ადგილი სრულყოფილად უნდა იქნეს მოვლილი და გამყარებული;
- იმ მუშებს, რომლებიც ასრულებენ სარემონტო სამუშაოს, უნდა ჰქონდეთ სათანადო კვალიფიკაცია და კუთლსინდისიერად უნდა ეკიდებოდნენ სამუშაოს.

##### 4.8.1 მასალა

- ცემენტი: ჩვეულებრივი ან სწრაფად გამყარებადი პორტლანდცემენტი;
- ქვიშა: ნარევი 1 წილი კარგი ქვიშა, რომელიც გაიცხრილია 4.75მმ საცერში 1 წილ საბათქაშე სამუშაოების ქვიშაზე;
- ხრეში: საჭიროა მხოლოდ ღრმა ხვრელების ამოსავსებად, გამოიყენება სწორი ფორმის 6.7 მმ ნომინალური ზომის ხრეში;
- მსხვილი ხრეში ან ღორღი: შეიძლება გამოყენებული იქნეს ძალიან სქელ საკერველში, სადაც საკერველის სისქე 4-ჯერ აღემატება შემავსებლის ნომინალურ ზომას.

##### 4.8.2 ნარევი

ერთი წილი დანამატებიან ცემენტს ერევა ორი წილი დანამატებიანი ქვიშა და 6.7 მმ ხრეშის 1.5 წილი და ზუსტად იმდენი წყალი, რამდენიც საჭიროა ნარევის შესამჩნევად დასატენიანებლად. ნარევი არ უნდა იყოს სველი.

##### 4.8.3 ზედაპირის მომზადება შეკეთებისათვის

დეფექტური მასალის მოცილება. სუსტი, რბილი, ფუჭვილიანი მასალა მოცილებულ უნდა იქნეს, რათა გამოჩნდეს მაგარი, მყარი ზედაპირი. თუ შესაძლებელია, შესაკეთებელი ფართობის საზღვრები უნდა მოინიშნოს მოხერხებით. საბოლოო ჭრა უნდა მოხდეს წვეტიანი სატეხის მსუბუქი დარტყმებით, რათა თავიდან იქნეს აცილებილი დარჩენილი ბეტონის დაზიანება.

ზედაპირის გაწმენდა. იქ, სადაც მასალა ფოროვანია ან აქვს შესამჩნევი შეწოვა, ის სველი უნდა იყოს მინიმუმ 24 საათის განმავლობაში დაგრუნტვამდე. დასაშვებია ზედაპირის გაშრობა დაგრუნტვის წინ. ალტერნატივის სახით ზედაპირი შეიძლება გაშრეს პროპანის სანთურით ისე, რომ ბეტონი გაცხელდეს მხოლოდ შეხებით აღსაქმელი სითბოს ტემპერატურამდე. ძალიან მკვრივი, მცირე შეწოვის მასალები და 36 საათზე ნაკლები ხნოვანების ბეტონი, არ უნდა დასველდეს დაგრუნტვის წინ. დაგრუნტიდან ცოტა ხნის შემდეგ მცირე შეწოვა ზრდის დაგრუნტვის ზედაპირთან ბმას.

თუ გამოყენებულია დაგრუნტვისა და შემკვრელი მასალის დაპატენტებული სახეობები, ისინი დამტკიცებული უნდა იქნეს პროექტის მენეჯერის მიერ. ამგვარი მასალების გამოყენებისას საჭიროა საგანგებო ყურადღება, რადგან ისინი შეიძლება მოითხოვდნენ ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულ მოვლას.



დაგრუნტვა. დაგრუნტვა უნდა მოხდეს უშუალოდ შეკეთების დაწყებამდე. დაგრუნტვისათვის გამოიყენება საღებავით თხევადი ცემენტის ხსნარი ის საკმაოდ მაგარი ფუნჯის საშუალებით უნდა იქნეს წასმული ზედაპირზე. წასმა უნდა მოხდეს წრიული მოძრაობით, რათა სითხე ჩავიდეს ჩაღრმავებებში. შემდეგ ფუნჯით უნდა გადაიწმინდოს ისე, რომ მხოლოდ თხელი ფენა დარჩეს. ჩაღრმავებებში არ უნდა დარჩეს სითხის გუბები. ამასთან ერთად ხსნარი კიდეებისაგან შორს უნდა იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თხელი, მუქი კონტური საკერვლის ირგვლივ. ცემენტის დაგრუნტვა შეიძლება შეიცავდეს დაპატენტებულ მინარევებს ან შეიძლება გამოყენებული იქნეს დაპატენტებულ შემკვრელი მასალები. ამგვარი მასალები გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად ან ისე, როგორც პროექტის მენჯერი დაამტკიცებს.

შეკეთების მეთოდები. შესაკეთებლად გამოყენებული ხსნარი წასმულ უნდა იქნეს მაშინ, როდესაც დაგრუნტვის ფენა ჯერ კიდევ სველია. ხსნარი არა უმეტეს 30 მმ სისქის ფენებად უნდა იქნეს წასმული. ჩატკეპნისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მექანიკური სატკეპნები. ბოლო ფენის ტკეპნა უნდა მოხდეს ბრტყელი ფიცრითა და ჩაქუჩით. მიღებული უნდა იყოს ზედაპირის ისეთი ტექსტურა, როგორც გარშემო ბეტონისაა, მაგალითად ხის სახეხელათი ან ღრუბლით გახეხვის საშუალებით. თუ გამკვრივების დასრულების შემდეგ შეკეთების ზედაპირი აშკარად სველია, ხსნარი ზედმეტად სველია და შეკეთება მოცილებული/ხელახლა გაკეთებული უნდა იქნეს უფრო მშრალი ხსნარით.

შეკეთების ადგილი უნდა დაიფაროს მისი გამოშრობის თავიდან ასაცილებლად.

განსაკუთრებული შემთხვევები:

მაკავშირებელი ფენა სოფიტების შეკეთებისათვის. ცემენტ-წყლის დაგრუნტვის ხსნარის გამოყენების ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს ნაშხეფი საფარი სველი ნარევის დატანით, რომელიც შედგება 1 წილი ცემენტისა და 2 წილი მსხვილი ქვიშისაგან, რომელიც კელმით ჩაიყრება 5 მმ სიმაღლის ხაოს წარმოსაქმნელად. ის უნდა გამყარდეს 2-3 დღეში. როდესაც ხაო გამაგრდება და მყარად არის შეწყობილი, წასმულ უნდა იქნეს შეკეთების ან ბათქაში ფენა.

ყალიბის გამოყენება. თუ საჭიროა მნიშვნელოვანი სისქის შეკეთების ბეტონის დასხმა, ამოსავსები ღრმული შეიძლება ნაწილობრივ დაიხუროს ყალიბით და და შეკეთების ხსნარი დაიტკეპნოს ყალიბის ქვეშ ან ზემოთ. შესაძლებელია ყალიბის გაგრძელება შეკეთების მიმდინარეობასთან ერთად მანმდე, სანამ დარჩება შედარებით მცირე რაოდენობა, რომელიც პირდაპირი ამოკვრვით ამოივსება. ამ შემთხვევაში ყალიბის სჭირდება განსაკუთრებით ძლიერი და მყარად დამაგრებული საყრდენი.

შეკეთებული ზედაპირის დამუშავება. საჭიროებისამებრ, შეკეთებული ადგილები შეიძლება გაიხეხოს კარბორუნდის ქვით და წყლით ან შეიძლება მისი მოქლიბვა გამყარებიდან მინიმუმ 7 დღის შემდეგ.

## 5. ფოლადისა და ლითონის კონსტრუქციები

### 5.1 ფოლადის კონსტრუქციები – ზოგადი

ფოლადის კონსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნახაზები ან წინამდებარე სპეციფიკაციები სხვაგვარად მოითხოვს. დასრულებული ელემენტები არ უნდა იყოს გაღუნული, მოხრილი და არ უნდა შეიცავდეს გახსნილ ნაკერებს. მოჭიმვით შეერთების ზედაპირები დამუშავებული უნდა იყოს დიდი სიზუსტით, რათა დაყენების, შედუღების და ჭანჭიკებით ან მოქლონებით შეერთებისას უზრუნველყოფილი იყოს სრული კონტაქტი.

5.1.1 მასალების ჩამონათვალი ხარისხის მაღალი დონის მისაღწევად, ქვემოთ მოცემულია შესაფერისი მასალების ჩამონათვალი ფოლადისა და ლითონის კონსტრუქციებისათვის.

მასალა	სტანდარტი
მაღალი სიმტკიცის კონსტრუქციული ფოლადი	DIN 17100 St 37-2, St 37-3, St 52-3
დაბალი სიმტკიცის კონსტრუქციული ფოლადი	DIN 17100 St 37-2
ნაბლინი ფოლადი	DIN 17110 St 34, St 44
მოქლონებისათვის ნახშირბადოვანი ფოლადის მიღები	DIN 2440 St 33
ჩვეულებრივი მილსადენებისათვის ნახშირბადოვანი ფოლადის	DIN 1626 (2) St 37
წნევიანი მიღები ნახშირბადოვანი ფოლადი	DIN 17200 CK 35, CK 45
მანქანათ-მშენებლობისათვის ბრინჯაო საკისრებისა და	ASTM B22 Alloy E
სადეპებისათვის ფოლადი კუთხვილიანი	DIN 19704, 4D, 5D
ანკერჯანჭიკისა და ჩვეულებრივი ჯანჭიკებისათვის	
უშანგავი ფოლადის ჯანჭიკები და ქანჩები	DIN 267, Grade 4.6 and 4.8
უშანგავი ფოლადი სოგმანებისათვის	DIN 17440 Gr. 1.4305.

ნაგლინი ფოლადის ნაწარმი (ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტები)

ტიპი	GOST ან TY
თანაბართაროიანი კუთხოვანა	8509-86
არათანაბართაროიანი კუთხოვანა	8510-86
შველერის კოჭი	8240-89
ორტესებრი კოჭი	8239-89
ფურცლოვანი ფოლადი	19903-74
	5681-57
ფოლადის ზოლი	103-76
წრიული კვეთის ღეროები	2590-71
კვადრატული კვეთის ღეროები	2591-71
ამწვევა კოჭი 24, 30	19425-74, TY 14-2-427-80
ფოლადის მიღები	8732-78, 3262-75, 10704-76

საყელურები, ჯანჭიკები და ქანჩები  
ტიქნიკური მოთხოვნები \_ GOST 18123 – 79

ტიპი	GOST ან TY
საყელური	11371-78, 6402-70, 10906-78
ჯანჭიკი	7798-70
ქანჩი	5915-70



**ძირითადი მონაცემები ფოლადის კონსტრუქციებში გამოყენებულ ფოლადზე  
(ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტები)**

GOST	ნაგლინის სისქე, მმ	დენადობის ზღვარი, MPa	გლუვჯაზე სიმტკიცის ზღვარი, MPa
TY 14-I-3023-80	4-10	225	360
	11-20	235	370
GOST 380-88	41-100	205	365
	>100	185	365
GOST 19281-73 19282-73	4-15	390	530
	33-40	390	510
GOST 10706-76	4-15	235	365

**5.2 მომზადება**

**5.2.1 მასალის სწორება-შეზუსტება**

ვალცური და ბრტყელი მასალა უნდა იყოს სწორი, გამოყენებამდე უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისა და ჟანგისაგან. თუ აუცილებელია გასწორება, ეს უნდა მოხდეს იმ მეთოდებით, რომელიც არ დააზიანებს ლითონს. მჭრელი შევრილები და გადაღუნვები მასალის დაწუნების მიზეზი გახდება.

**5.2.2 ჩამოჭრა და დაჭრა**

გაზის საჭრელი სანთურათი ჩამოჭრა და დაჭრა უნდა განხორციელდეს ფრთხილად. კონსტრუქციის ის ნაწილები, რომლებიც ღია დარჩება, სუფთად უნდა იქნეს დამუშავებული. 16 მმ-ზე მეტი სისქის ფურცლის ჩამოჭრილი ან მოჭრილი ნაწილები, რომლებიც საანგარიშო დატვირთვას განიცდის, უნდა გასწორდეს 6 მმ სიღრმეზე.

ყველა სამუშაო უნდა განხორციელდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდებარე მოუსახავი ზედაპირების სათანადო მორგება. როდესაც მიმდებარე ზედაპირებს შორის დიდი შეუსაბამობაა, ისინი გათლილი და გახეხილი უნდა იქნეს გლუვი ზედაპირის მისაღებად ან უნდა დამუშავდეს მექანიკური საშუალებით სათანადო გათანაბრების მისაღწევად. მოუსახავი ზედაპირი უნდა შესაბამებოდეს ნახაზებზე ნაჩვენებ კონტურებსა და ზომებს და ისე უნდა გაითალოს ან გაიხეხოს, რომ არ ჰქონდეს ამონაშვერები და უხეში ადგილები.

**5.2.3 ზედაპირის მოსახვა**

ყველა შესაღები ზედაპირი უნდა იყოს გლუვი და არ უნდა ჰქონდეს ბზარები, კოპები ან მკვეთრი არაერთგვაროვნება. შესაღები ზედაპირის ყველა კუთხე უნდა მომრგვალდეს 3 მმ რადიუსით.

ყველა ნაწილის და კომპონენტის ზედაპირის მოსახვა უნდა პასუხობდეს სათანადო სიმტკიცის, შესატყვისობის და საექსპლუატაციო მოთხოვნებს. მექანიკურად დასამუშავებელი ზედაპირები მითითებული უნდა იყოს მუშა ნახაზებზე შესაბამისი სიმბოლოებით.

**5.3 შედუღება, მოქლონვა და ჭანჭიკებით შეერთება**

**5.3.1 ზოგადი**

ნაკერების შედუღება არ უნდა დაიწყოს მანამდე, სანამ:

- დამკვეთი/პროექტის მენჯერი არ დაამტკიცებს შედუღების შემოთავაზებულ პროცედურებს;
- დამკვეთი/პროექტის მენჯერი არ დაამტკიცებს შემდუღებლებს/ოპერატორებს.

### 5.3.2 შედუღებისათვის მომზადება

შესადუღებელი ელემენტები და ნაწილები უნდა აკურატულად დაიჭრას საჭირო ზომაზე, მათი წიბოები უნდა მოიჭრას, გაზის საჭრელი სანთურათი ჩამოიჭრას ან მექანიკურად დამუშავდეს, რათა შეესაბამებოდეს შედუღების საჭირო ტიპს და იძლეოდეს სრული ჩადუღების საშუალებას.

შესადუღებელი ელემენტების ან ნაწილების ზედაპირები არ უნდა მოიცავდეს ქანკს, საცხებ მასალას და სხვა უცხო მასალებს შედუღების ნაკერის კიდიდან მინიმუმ 50 მმ-ის მანძილზე.

### 5.3.3 შედუღების პროცედურა

შედუღება უნდა განხორციელდეს ელექტრორკალური შედუღების მეთოდით ისეთი პროცედურების საშუალებით, რომელიც მინიმუმ უთანაბრდება შედუღების ამერიკული საზოგადოების მიერ „სტანდარტული კვალიფიკაციური პროცედურის“ ბოლო გამოცემას, ან შესაბამის I სტანდარტებს.

*შენიშვნა:* პროექტის მენეჯერის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციფიკაციების მოთხოვნათა შესრულებას.

### 5.3.4 შემდუღებლების კვალიფიკაცია

კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება მისი შემდუღებელი ორგანიზაციის მიერ წარმოებული სამუშაოს ხარისხზე. სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილ ყველა შემდუღებელს და შედუღების ოპერატორს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კვალიფიკაციის გამოცდა სამუშაო პირობებში, რომელიც როგორც მინიმუმ უთანაბრდება შედუღების ამერიკული საზოგადოების მიერ „სტანდარტული კვალიფიკაციური პროცედურის“ ბოლო გამოცემაში მითითებულ გამოცდას, DIN 8560 და 8563 ან სხვა ეკვივალენტურ, პროექტის მენეჯერის მიერ ნებადართულ სტანდარტებს. შედუღების ოპერატორების კვალიფიკაციის გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი კონტრაქტორმა უნდა დაფაროს. მოთხოვნის შემთხვევაში, შემდუღებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები უნდა წარედგინოს დამკვეთს/პროექტის მენეჯერს.

### 5.3.5 შედუღების აღჭურვილობა

შედუღების ყოველგვარი აღჭურვილობა, როგორცაა შედუღების აპრარტი, ტრანსფორმატორები, კაბელები, ელექტროდები და სხვა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მოედანზე შედუღების საწარმოებლად, უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის მწარმოებლის მიერ დამზადებული და განკუთვნილი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც მას იყენებენ.

შედუღებისათვის საჭირო მასალები (მავთულები, ელექტროდები, ფლუსი, დამცავი გაზი) უნდა იყოს იმავე შემადგენლობის, რაც შედუღების პროცედურისა და შემდუღებლის გამოცდის დროს გამოყენებული. შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ეკვივალენტური შედუღების მასალების მიღება. მასალები უნდა ინახებოდეს დამაკაჟაყოფილებელ პირობებში, რომ არ მოხდეს მათი დაზიანება.

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ შენახული შედუღების ლითონი გამოსადეგია გამოსაყენებლად და მისი დენადობის ზღვარი (დენადობის პირობითი ზღვარი) არა ნაკლებია, ვიდრე 10<sup>0</sup>C ტემპერატურაზე შესადუღებელი მასალისათვის დადგენილი მინიმუმი. ნახშირბადოვანი ფოლადისათვის ფარდობითი შევიწროება არ უნდა იყოს 35%-ზე ნაკლები. შედუღებისას გამოყენებული უნდა იქნეს დაბალ წყალბადფუძიანი საფარიანი ელექტროდები.

მასალები (ელექტროდები და სხვა) შეტანილი უნდა იყოს ფასში. სხვა მასალები და იარაღები უნდა დარჩეს კონტრაქტორის საკუთრებაში.



**შენიშვნა:** ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სტანდარტები შედუღების მასალებისათვის (ელექტრორკალური შედუღების ელექტროდი, შედუღების მავთული, ფხვნილოვანი ელექტროდის მავთული, ფლუსი შედუღებისათვის, ნახშირორქანი, არგონი) – გოსტები 9467-75, 2246-70\*, 9087-81, 8050-85, 10157-79\*; შედუღების პროცედურებისათვის – გოსტები 8713-79, 5264-80, 11534-75, 11533-75, 16037-70, 23518-79, 14771-76\*, 15164-78.

#### 5.4 ჭანჭიკები, სარტები, ქანჩები და ხრახნები

მათ სტანდარტული კუთხვილი უნდა ჰქონდეთ და დამაზადებელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის ფოლადისაგან. ყველა ჭანჭიკი, ლურსმანი, ქანჩი და ხრახნი (მათი საყელურების ჩათვლით) დაცული უნდა იყოს კოროზიისაგან მათი დაყენების ადგილის მიხედვით. ქანჩები და ჭანჭიკების თავები უნდა იყოს ექვსკუთხედი და ზუსტად გამოყვანილი. ქანჩები, ჭანჭიკები და ხრახნები, რომლებმაც შეიძლება მოიშვას მუშაობის დროს უნდა დამაგრდეს თავის ადგილზე დამკვეთის/პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებული საშუალებებით. დაუშვებელია ე.წ. მოსაჭიდი მიღუღება.

მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკები, ქანჩები და საყელურები უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ სტანდარტებს. ჭანჭიკის სწორი დაჭიმვა უნდა განისაზღვროს დამტკიცებული გაზრდილი პროფილის ნაწრთობი საყელოების სისტემის გამოყენებით, რომლითა დაჭიმვის შედეგად იქმნება შემცირებული ღრეჩო საყელურსა და ჭანჭიკის თავს შორის. დატვირთვის მანუვრებილი მოწყობილობები გამოყენებული უნდა იქნეს ზუსტად მწარმოებლის ინსტრუქციების შესაბამისად. მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკები მოჭერილი უნდა იქნეს მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად და დაჭიმვა უნდა გადამოწმდეს პირველი მოჭერის შემდეგ არანაკლებ 3 საათის შემდეგ. მერე ჭანჭიკები ხელახლა უნდა იქნეს მოჭერილი თავდაპირველ დატვირთვამდე დამკვეთის/პროექტის მენეჯერისათვის დამაკმაყოფილებელი სახით.

### 6. შეღებვა (კოროზიისაგან დაცვის ჩათვლით)

#### 6.1 სამუშაოთა სფერო

მიწოდებული მასალები მოიცავს ლითონის კონსტრუქციების და ალკურვილობის ზედაპირის დამუშავების, დაგრუნტვის, კოროზიისაგან დაცვის და შეღებვის მასალებს. სამუშაო მოიცავს საამქროსა და სამშენებლო მოედანზე საფარით დაფარვას საბოლოო შეღებვის ჩათვლით. თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, საფარით დაფარვა და შეღებვა უნდა განხორციელდეს DIN 55928 სტანდარტის (ფოლადის კონსტრუქციების დამცავი დაფარვა, ინსტრუქციები) უახლესი გამოცემის შთ სტანდარტის A153, A 386, A 123 და A 120 ან სხვა ეკვივალენტური სტანდარტის შესაბამისად.

დაგრუნტვისა და შეღებვის მასალები უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ობიექტის პირობებს, ასევე იმ ზემოქმედებას, რომელსაც განიცდის შესაბამისი ალკურვილობა ფუნქციონირების დროს. პროექტის მენეჯერის მოთხოვნით წარმოდგენილი უნდა იყოს შეღებვის ნიმუშები სხვადასხვა საფარისა და ფერისათვის.

ყველა დაფარული ზედაპირი სუფთად და სასიამოვნოდ უნდა გამოიყურებოდეს.

დაგრუნტვისა და შეღებვის თითოეული ფენა უნდა შეუფერებოდეს წინა და მომდევნო ფენებს. ყველა პიგმენტირებული დაგრუნტვის მასალა და საღებავი მოტანილ უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე მწარმოებლის მიერ დაფასოებული, დალუქულ ტარაში. კონტრაქტორმა უნდა უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მოცულობით სილაჭავლური დამუშავება, დაგრუნტვა და შეღებვა განხორციელდება მის (ან ქვეკონტრაქტორის) საამქროებში სამშენებლო მოედანზე ან მონტაჟის შემდეგ. სამშენებლო მოედანზე უნდა მოეწყოს სათანადოდ ალკურვილი სამღებრო საამქრო კვალიფიციური ორგანიზაციის დახმარებით, რომელსაც ექნება სამშენებლო მოედნის პირობებში დამცავი საფარების მოშხადებისა და დატანის გამოცდილება.

მასალები საფუძვლიანად უნდა იქნეს მორეული დატანის წინ.



მნიშვნელოვანია, რომ დაგრუნტვის ან საღებავის ფენის წასმამდე, ზედაპირი სათანადოდ იყოს მომზადებული. ამგვარი მომზადება გულისხმობს წმენდას, გაგლუვებას, გაშრობას და სხვა მსგავს ოპერაციებს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს დაგრუნტვის ან საღებავის შესაბამის ზედაპირზე განსათავსებლად. გაწმენდილ ზედაპირზე აფსკის ან ცხიმოვანი ლაქების დარჩენის თავიან ასაცილებლად გამოყენებული უნდა იქნეს სუფთა ნაჭრები და სითხეები.

არცერთი ფენა არ უნდა შეიცავდეს ნაჟონს, წვეთებს, მცირე ხერხელებს, ნაოჭებს, თიას, ფუნჯის არასაჭირო მონასმს და სხვა. ყოველი ფენა გაშრობილ ან გამყარებულ უნდა იქნეს შემდეგი ფენის დასხმამდე.

თუ საჭიროა, აპარატით წასასმელი საღებავი შეიძლება გათხელებული იქნეს სათანადოდ დასატანად, მაგრამ განმზავებლის რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს.

ფოლადის კონსტრუქციებიდან, ფურცლებიდან, მილებიდან და ფოლადის სხვა ზედაპირებიდან ჟანგისა და მეორეული ხენჯის მოსაცილებლად, შესაძლებელია სილაჭავლური დამუშავების გამოყენება დაუფარავი ლითონის გასაწმენდად SIS 05.59.00-ის SA-3 სტანდარტის ("Sveriges Standardiserings Kommission") ან სხვა ეკვივალენტური დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად. სილაჭავლური დამუშავების შემდეგ ზედაპირის სიმკისე დაახლოებით 50 მიკრონს უნდა უდრიდეს.

ნაწილები, რომელთა სილაჭავლური დამუშავება შეუძლებელია, უნდა გაიწმინდოს ჟანგისა და ხენჯისაგან მექანიკური ინსტრუმენტებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ზემოაღნიშნული სტანდარტების ან ეკვივალენტური დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

სილაჭავლური მეთოდით დამუშავებული ზედაპირები დამუშავების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაიფაროს სწრაფად მშრადი მასალით. ხელით ან მექანიკური იარაღებით გაწმენდილი ზედაპირებიც ასევე უნდა დაიფაროს დაუყოვნებლივ გაწმენდის შემდეგ.

## 6.2 გამხსნელი

სამშენებლო მოედანზე უნდა ინახებოდეს გამხსნელების ცალკე მარაგი. ისინი საღებავის განმზავებლებისაგან განსხვავებულ ფერად უნდა იყოს შეღებილი. წყლიანი საღებავებისათვის გამოყენებული გამხსნელი მიწოდებული უნდა იყოს საფარი მასალის დამამზადებლის მიერ და უნდა შეეფერებოდეს დაფარვის მეთოდს.

## 6.3 საღებავის ტარა

ყველა საღებავი მიწოდებული უნდა იქნეს მწარმოებლის მიერ დალუქული ტარით. თითოეულ ტარაზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული მწარმოებლის სახელი, საღებავის ტიპი, ფერი, პარტიის ნომერი და შენახვის სპეციალურ მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

## 6.4 საღებავისა და სხვა მასალების შენახვა

საღებავი უნდა ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე, გადახურვის ქვეშ, მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულ პირობებში. საღებავი უნდა ინახებოდეს ისე, რომ ყოველი პარტია გამოსაყენებლად გაიცემოდეს მიწოდების თანამიმდევრობის შესაბამისად. სხვა მასალები უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ამას დაამტკიცებს პროექტის მენეჯერი.

ცალკე უნდა ინახებოდეს გამწმენდი გამხსნელები, რომლებიც გამოიყენება მექანიკური ფუნჯებისათვის ან სხვა სახის წმენდისათვის. ისინი არ უნდა ინახებოდეს იქ, სადაც ინახება საღებავი, საღებავის განმზავებელი ან სადაც ხდება საღებავის წასმისათვის მომზადება.

შეუფუთავი საფარი მასალები უნდა ინახებოდეს მიწისზედა, სათანადოდ აშენებულ, პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ საწყობში, აალებადი მასალების შენახვის ინსტრუქციების შესაბამისად. საფარი მასალები არ უნდა ინახებოდეს მიწის ქვეშ.



## 6.5 შემოწმება

ანტიკოროზიული დაფარვა უნდა შემოწმდეს პროექტის მენეჯერის მიერ. შემოწმება მოიცავს:

- გაწმენდილი ზედაპირების სისუფთავის შემოწმება;
  - თუთიისა და საღებავის ფენების სისქისა და შეჭიდების შემოწმება;
  - გამოყენებული მასალის ხარისხის შემოწმება.
- თუთიისა და საღებავის ფენების სისქე უნდა შემოწმდეს დაახლოებით 10 წერტილში კვადრატულ მეტრზე. მიღებისათვის გადამწვევითა ფენის გარანტირებული სისქე და არა წასმული ფენების რაოდენობა.
- მცირე ნაწილების დაფარვის სისქე და ფორების არსებობა შემოწმდება შემთხვევით შერჩევის პრინციპით სათანადო მეთოდების საშუალებით (ASTM E376).

## 6.6 სამუშაოთა შესრულება

ძირითადად სამღებრო სამუშაოები უნდა შესრულდეს კონტრაქტორის საამქროებში, გარდა საბოლოო დაფარვის ფენებისა. დაგრუნტვა და, შესაბამისად, დაფარვის პირველი ფენა ყოველთვის ფუნჯით უნდა იქნეს წასმული უკეთესი შედეგებისათვის.

ტრანსპორტირების, შენახვის და/ან მონტაჟის დროს დაზიანებული შედეგა კონტრაქტორმა სათანადოდ უნდა აღადგინოს დაზიანებული ფენის სრულად მოცილების შემდეგ. შესაკეთებელი არეს დაფარვა და შედეგა უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული სპეციფიკაციების შესაბამისად და უნდა აღწევდეს მშრალი ფენის მითითებულ მინიმალურ სისქეს.

სამღებრო სამუშაოების შესრულებისას სამუშაო ადგილას ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს და კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ვენტილატორი, კალორიფერები, სავენტილაციო მილები, მტვრის შთანთქმელები და სხვა.

კონტრაქტორმა ობიექტზე უნდა მოიმარაგოს საკმარის რაოდენობის საგრუნტი მასალა და საღებავი, საგარანტიო პერიოდის დამთავრების შემდეგ შედეგის მცირე დეფექტების შესაკეთებელი სამუშაოებისათვის.

## 6.7 გარანტიები

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაფარვა, შედეგა, დამცავი ფენა და სხვა გარანტირებული უნდა იყოს და უნდა გაძლოს შესაბამისი კონსტრუქციების და აღჭურვილობის წინასწარი მიღების შემდეგ მინიმუმ 24 კალენდარული თვის განმავლობაში.

## 7. კედლების წყობა

### ბეტონისა და კერამიკული ბლოკებისაგან

მთლიანი და ღრუტანიანი წვრილი ბლოკები მზადდება სხვადასხვა მსუბუქი ბეტონისაგან (წიდაბეტონი, კერამიციტობეტონი, პემზობეტონი და სხვა). ყველაზე გავრცელებულია ღრუტანიანი წვრილი ბლოკები გამჭოლი ან ნახევრად გამჭოლი სივარითებით. ხერხელები დასაშვებია იყოს მართკუთხა ან ოვალური ფორმის. ბლოკები ნახევრად გამჭოლი ხერხელებისგან უფრო ეკონომიურია რადგანაც წყობისას არ ითხოვს სივარითების მთლიან შევსებას, მაგალითად წილით. ნახევრად ღრუტანიანი წვრილი ბლოკები ეწყობა ხერხელებით ქვევით ისე, რომ ყოველი რიგი უნდა ქმნიდეს ჯაჭურ სისტემას. თუ კედლის სისქე ერთი ბლოკის სიგანისაა, რაც ყველაზე გავრცელებულია საქართველოში, მაშინ წყობის ყოველ შემდეგი რიგში ბლოკები ეწყობა სხვადასხვა მიმართულებით.

წყობისას პორიზონტალური და ასევე ვერტიკალური ნაკერი გულმოდგინედ უნდა იყოს შევსებული ისე, რომ მასში არ უნდა გადიოდეს შუქი. პორიზონტალური ნაკერის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 12 მმ-ს, ხოლო ვერტიკალური მიმართულებით 10 მმ-ს.



წერილი ბლოკის წყობა წარმოებს სამი ან ოთხი მუშაკისგან დაკომპლექტებული რგოლის მიერ. წყობას რომელსაც აწარმოებს რგოლი შემდგარი სამი მუშაკისაგან წარმოადგენს მაღალი კვალიფიკაციის კალატოზს და ორ დამხმარე კალატოზს ნაკლები კვალიფიკაციის მქონეს. მუშაობის სქემა შემდგენიანია პირველი დამხმარე აწყობს ბლოკებს იმ რიგთან ახლოს სადაც მას შემდგომში დაამონტაჟებენ ისე რომ ბლოკები რომლებიც მიდის განივი მიმართულებით ნახევრად ამოტრიალებულად, ხოლო ბლოკებს გრძივი მიმართულებით ფეხზე დაყენებულებს, ერთმანეთის მიმართ დაშორებით 0,25 ბლოკის სიგრძისა ფეხზე დაყენებულებს, ხოლო ნახევრად ამოტრიალებულებს 0,5 ბლოკის სიგრძით. შემდეგი მუშაკი შლის ხსნარს პორიზონტალური ნაკერისათვის ხოლო ქაფხით ადებს დუღაბს ამობრუნებულ და ფეხზე დამდგარ ბლოკებს ვერტიკალური ნაკერის წარმოსაქმნელად. მის შემდეგ მაღალი კვალიფიკაციის მქონე კალატოზი აბრუნებს ბლოკებს 90 გრადუსით და საბოლოოდ დაწოლით დებს ბლოკს თავის ადგილზე. ხსნარი რომელიც გამოიყონება ფასადის მხარეს უნდა მოცილდეს ქაფხის მეშვეობით. ყოველი რიგის სისწორე მოწმდება თარაზოს მეშვეობით, როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური მიმართულებით. იგივე პრინციპით ეწყობა კერამიკული და აგური წყობა.

სეისმური მოთხოვნებიდან გამომდინარე წყობის არმირება კედლის კუთხეებში და სვეტებთან შეერთების ადგილებში ხდება ყოველ 40-60 სმ. ხოლო დეტალიზაცია აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს კონკრეტული პროექტისათვის.

### კედლების შელესვა

დაზიანებული ბათქაშის ჩამოღება

ბათქაშის განსაახლებლად ჩამოღებული უნდა იქნას კედლის მთელი ფხვიერი მასალა. მთელი გაფუჭებული მასალა ჩამოფხეკილი უნდა იქნას შპატელის გამოყენებით. ეს მოიცავს საღებავის, ბათქაშის ფითხის ფენის და ნებისმიერი დაგრუნტვის ან ნაშხეფის ჩამოფხეკვას. ჩამოღებული უნდა იქნას ყველა სახის ფხვიერი მასალა ბათქაშის ბადემდე და მის გარშემო ზედაპირზე მყარ მასალამდე უნდა იქნას გაფხეკილი.

აქერცლილი საღებავის ჩამოფხეკვა

გასინჯეთ ამ მონაკვეთის უშუალოდ გარემომცველი საღებავის ფენა, რათა შემოწმდეს მისი სიფხვიერე. თუკი საღებავის ფენა ადვილად ჩამოდის მის ქვეშ შპატელის მოთავსებისას, იგი ჩამოღებული უნდა იქნას საღებავის დაუზიანებელ ფენამდე.

მტვერის მოშორება

მოაშორეთ ფხეკვისა და ჩამოთღვის შედეგად მიღებული მტვერი და მთელ დაზიანებულ მონაკვეთზე დაიტანეთ ფისის საფუძველზე დამზადებული საგრუნტი ფითხი ან ალქიდის კედლის საგრუნტი. წყლით დაზიანების შემთხვევაში, ამგვარი პერმეტიკა უმნიშვნელოვანესია, რათა მან დაბლოკოს ნარჩენი ტენი, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში შეაფერხებს შემადუღებელი ნაერთის შეჭიდებას. ამას კი შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ახალი შეერთების ამობურცვა.

ბათქაშის პერმეტიზაცია

დაგრუნტეთ მთელი დაზიანებული ზედაპირი, გარემომცველი კედლის საღებავის ჩათვლით. ლაქების დასაფარად და გრუნტის ზედა ფენის დატანის გასაადვილებლად გამოიყენეთ საგრუნტი ფითხი თეთრი პიგმენტის დანამატით. სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე სრულად გააშრეთ პერმეტიკი. ფისიანი საგრუნტი დაახლოებით ერთ საათში გაშრება, ხოლო ალქიდიანი საგრუნტს სრულად გაშრობისათვის 12 საათი სჭირდება.

ბათქაშის შეკეთება

ბათქაშის ზედაპირული დაზიანების გასასწორებლად საჭიროა მოსაპირკეთებელი ნაერთის რამოდენიმე თხელი ფენა, რათა შეივსოს და დაიფაროს ყველა დეფექტი. დაიწყეთ მოსაპირკეთებელი ნაერთის მცირე მოცულობის არევა და დაიტანეთ იგი



მთელ მონაკვეთზე საფითხით ზედაპირის დაფარვით, დატოვებულ დაახლოებით დიუმი ხსნარს.

მაშინვე დაუბრუნდით და მოაშორეთ ზედმეტი ხსნარი და დატოვებულ თხელი ფენა, რომელიც იწყებს დეფექტის დაფარვას. 30 კუთხით დაიჭირეთ საფითხი და ძლიერად დააწექით, თან იმავდროულად პირი პარალელურად მოუსვით მონაკვეთის ერთი მხრიდან მეორე მხარეს, შეუჩერებლად. უზულებელყოფით დანის პირისაგან განეხილეთ უსწორმასწორობები, როდესაც ხსნარი გამაგრდება, შეგიძლიათ ისინი მეორე ფენის დატანამდე ჩამოფხიკოთ.

**ჩამოფხიკვა და მოხვეწა**

მიეცით ხსნარს საშუალება რომ გამაგრდეს. საფითხის ზვეთიკენ მოსმით ჩამოფხიკეთ ყველა გამოშვებული შემადღება. მსუბუქად მოხვეწეთ მონაკვეთი უხეში ან საშუალო მინის ზუმფარით, რათა ზედაპირიდან მოაცილოთ სხვა უსწორმასწორობები. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის სრულიად გლუვი ზედაპირი, მოაშორეთ მხოლოდ ის შევრილები, რომელიც შემდეგ ფენაზე გამოიწვევს უსწორმასწორობებს.

მოაშორეთ მტვერი და ეს მონაკვეთი გაწმინდეთ სუფთა, ტენიანი ჩვრით ან ღრუბელით, რათა მოშორებული იქნას მოხვეწის შედეგად წარმოქმნილი მტვერი, იქამდე სანამ ახალ ფენას დაიტანდეთ ზედაპირზე.

**მეორე ფენის დატანა**

დაიტანეთ ხსნარის მეორე ფენა, ისეთივე გზით როგორც პირველი. მოაშორეთ ზედმეტი ხსნარი, პირველი ფენის პერპენდიკულარულად მოსმით. თუკი პირველი ფენა პორიზონტალურად იყო დატანილი, მეორე ფენა ვერტიკალური მონასმებით დაიტანეთ. ყოველი შემდგომი ფენა მიმართულების შეცვლით დაიტანეთ, რათა მოსწორდეს ნებისმიერი ტალღოვანი წარმონაქმნები და სხვა დეფექტები და მიღებული იქნას გლუვი ზედაპირი.

**მოხვეწა და შეღებვა**

მიეცით ბოლო ფენას საშუალება გამაგრდეს და გაშრეს დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, 120-იანი მინის ზუმფარით მოხვეწამდე. დაგრუნტეთ ახალი მონაკვეთი და მის ირგვლივ მდებარე საღებავი საგრუნტი ფითხით და ბოლომდე გააშრეთ იგი საღებავით მოპირკეთებამდე.

## 8. სახურავის მოწყობა

**ტექსტში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრა:**

**სახურავი-** შენობის ზედა შემომზღუდავი კონსტრუქცია, ამავედროულად მზიდი და ჰიდროიზოლაციის ფუნქციის შემსრულებელი, ხოლო უსხვენო გადახურვებში დამატებით თბოიზოლაციის ფუნქციის მატარებელი.

**ბურული-** სახურავის ზედა ელემენტი, რომელიც იცავს შენობას ატმოსფერული ნალექებისაგან.

**მოლარტყვა-** პორიზონტალური საფუძველი ბურულის ქვეშ შესაძლებელია მოეწყოს სპეციალური მოთუთიებული ლითონის პროფილისაგან ან ხისაგან. ფიცრის სისქე არ უნდა იყოს 30 მმ-ზე ნაკლები, ხოლო ძელების -50 მმ.

**კონტრმოლარტყვა-** გრძივი საფუძველი მოლარტყვის ქვეშ აუცილებელია დრენოს შესაქმნელად მოლარტყვასა და ქარდაცვას შორის კენტილაციისათვის და კონდენსატის ჩამოღინებისათვის.

**ქარდაცვა-** გადამღობი მათბუნებელი აფსკი გარედან სინესტის შეღწევის ასაცილებლად. ქარდასაცავი ღენტა შეიძლება იყოს ორთქლშეღწევადი ან არა.

**ორთქლიზოლაცია-** გადამღობი მათბუნებელი აფსკი შენობის შიგნიდან თბილი ნესტიანი ჰაერის შესაღწევად დამათბუნებლის შიგნით კონდენსატის წარმოქმნის ასაცილებლად.

**ლაგარდანის ნაშვერი-** სახურავის ქვედა მხარე რომელზეც შეიძლება დამაგრდეს წყალსადინარი ღარი და თოვლდამჭერი.



**ლაგვარდანის სასულე- ხერელი ლავგარდანში ჰაერის ასაღებად.** უზრუნველყოფს კეხის სასულესთან ერთად სახურავის ქვეშა სივრცის განთავსებას. ლავგარდანის სასულეს ფართი უნდა შეადგენდეს სახურავის ფართის 2-5%.

**კეხის სასულე- წყვეტა ქარდამცავი აფსკის სახურავის კეხში სახურავის ქვეშა სივრცის გასანთავსებად.** კეხის სასულეს ფართი უნდა შეადგენდეს სახურავის ფართის 2-5%.

**• საერთო რეკომენდაციები სამუშაოს დაწყების წინ**

სამუშაოს დაწყების წინ აუცილებლად უნდა დავრწმუნდეთ, რომ სახურავის სიბრტყეს არ გააჩნია შესამჩნევი ჩაღუნვები, რამდენადაც ჩაღუნვები მეტალოკრამიტის სახურავზე მკაფიოდ ჩანან მისი რეგულარული სტრუქტურის გამო. ამავდროულად მიხედვით აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ დაქანების სწორკუთხეობას.

სახურავის მინიმალური დახრა უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 14 გრადუსს (1:4). სახურავი 14 გრადუსზე ნაკლები დახრით არ უნდა მოეწყოს ცალკეობითი მასალისაგან რამდენადაც ნაკერებმა შეიძლება წყალი გაუშვან.

სახურავის წყალგაუმტრობისათვის სამთრის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს სახურავის ექსპლუატაციისას ტემპერატურული რეჟიმის დაცვას. თუ სახურავის დათბუნება არასაკმარისია მაშინ მასზე ჩნდება ლოლუები და მინაყინები. ისინი დაბრკოლებას უქმნია წყლის ბუნებრივ დინებას დათბობის პერიოდში და იწვევენ წყლის ჩამოდინებას, რამდენადაც წყალი იწვევს ჩაუონვას სახურავის ფურცლების ნაკერებს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოგვიწიოს სახურავის დათბუნება ელექტრომეთოდით, რათა თავიდან ავიცილოთ შედეგები გამოწვეული საპროექტო და დათბობის მონტაჟის შეცდომებისაგან.

სახურავის სამუშაოების დაწყებამდე სახურავის გამჭოლად გაყვანილ უნდა იქნეს ყველა სავენტილაციო, საკვამლე და სხვა გაყვანილობები. ამის გარდა არასასურველია სახურავის სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდეს ფასადის სამუშაოები, რამდენადაც საღებავის ან ხსნარის ნაშხეფმა შეიძლება დააზიანოს სახურავის გარეგნული შეხედულება, ხოლო მისი მოცილების შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს მეტალოკრამიტის დამცავი ფენა.

**• მოლარტყვის და კონტრმოლარტყვის მონტაჟი**

მანამდე სანამ დაიწყება მოლარტყვის მონტაჟი, უნდა შესრულდეს ყველა სამუშაო დაკავშირებული ლავგარდანის ნაშეერის მოწყობასთან, რადგან ლავგარდანის ნაშეერის ხაზი საბაზისოა მოლარტყვის მონტაჟისათვის.

თუ ნივნივის ბიჯი არ იძლევა ქარის დაცვის და კონტრმოლარტყვის მოწყობის საშუალებას ნივნივებზე, მაშინ ამ ოპერაციების მოსაწყობად საჭიროა ნივნივებზე დაიგოს შავი მოლარტყვა, რომელის შეასრულებს ქარის დაცვისა და კონტრმოლარტყვის საფუძველის მოვალეობას.

კონტრმოლარტყვა ეწყობა ნივნივების გასწვრივ ბიჯით არა უმეტეს 700 მმ. ამასთან სახურავის ნაპირები გამოსასვლელები და წყლის სადინარის დარები ცალკე ფორმდება ისე, რომ არსად არ გაჩნდეს მნიშვნელოვანი კონსოლები მოლარტყვის დროს.

მოლარტყვა ეჭელება მოთუთიებული ლურსმნებით სიგრძით 100 მმ ბიჯით 60 მმ, ან დაკეჭნილი ლურსმნებით სიგრძით 90 მმ, დაჭელების შემდეგ ლურსმის წვეროები უნდა მოიღუნოს ქვემოდან.

მოლარტყვის პირველი ფიცარი ეჭელება ზუსტად ლავგარდანის ნაშეერის გასწვრივ, ისე რომ ის არ გამოეშვიროს მისგან. პირველი ფიცარის სისქე 12 მმ მეტი უნდა იყოს მოლარტყვის სხვა ლარტყვების სისქეზე. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ შესაბამისი სისქის შუასაღებები, რომელიც მიეჭელება ფიცრის განაპირა გვერდზე. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოვახდინოთ კომპენსირება სხვაობისა პირველ და შემდგომ მეტალოკრამიტის მოდულის საყრდენ წერტილებს შორის.

მოლარტყვის მეორე ფიცარი მიეჭელება პირველის პარალელურად მეტალოკრამიტის მოდულის სიგრძის შესაბამისად. ამასთან მანძილი იზომება ლავგარდანის ნაშეერიდან მოლარტყვის ფიცრის შუამდე.

ცნობისათვის, რეკომენდირებული სიდიდეები კრამიტის ნაშეერების მოყვანილია ქვემოთ:



სიდიდე კრამიტის ნაშვერისა ლავგარდანის გარეთ წყალამრიდი ტიხრების გარეშე მინიმ 40 მმ.

სიდიდე კრამიტის ნაშვერისა, საკიდი წყალამრიდი ღარების არსებობის შემთხვევაში და 40 გრადუსამდე დახრილობის დროს 70 მმ.

სიდიდე კრამიტის ნაშვერისა, საკიდი წყალამრიდი ღარების არსებობის შემთხვევაში და 40 გრადუსზე მეტი დახრილობის დროს 100 მმ.

მაგ. კრამიტისათვის ბიჯით 350 მმ, 30 გრადუსიანი ქანობის დროს საკიდი წყალამრიდი ღარების არსებობის შემთხვევაში, ბიჯი მოლარტყვის პირველ და მეორე ფიცარს შორის შეადგენს 280 მმ.

პირველ და მეორე ფიცარს შორის მანძილის სისწორის შესამოწმებლად საღირთა მიწაზე დავაწყით ფიცრის ორი ნაჭერი პარალელურად განსაზღვრული დაშორებით. დადვდოთ მასზე კრამიტის ფურცელი და განვსაზღვროთ საკმარისია თუ არა კრამიტის ნაშვერი წყლის ნორმალური დინებისათვის. ძალიან მაღალი ნაშვერი კრამიტისა მიგვიყვანს იქამდე, რომ წყალი გადმოიდვრება ღარის თავზე, ხოლო ძალიან პატარა ნაშვერის დროს კი წყალი ჩამოიდვრება შუბლის ფიცარზე.

ყველა შემდგომი ფიცარი მოლარტყვისა უნდა მოეწყოს კრამიტის მოდულის (ჩვეულებრივ 350 მმ) შეასბამის მანძილზე. ყველა მონიშვან წარმოებს რულეტკის მეშვეობით. გამოყენება დაკალიბრებული ჩართვებისა ფიცრებს შორის დაუშვებელია.

კეხის ქვეშ რეკომენდირებულია ორი დამხმარე ფიცრის დაყენება ორივე მხარეს 50 მმ მანძილზე ერთმანეთსაგან. ეს გააიოლებს კეხის მოწყობას და საშუალებას იძლევა შევქმნათ

“საჰაერო კლიტე” სახურავის ქვეშა სივრცის განიაგებისა კეხვის ქვეშ თოვლის მოხვედის საშიშროების გარეშე.

- **ლავგარდანის ნაშვერის კონსტრუქციის თავისებურებანი**

სახურავის ლავგარდანის ნაშვერის ფუნქციაა ჩამომდინარე წყლების მოცილება კედლიდან. ორგანიზებული წყლის შემკრების მოწყობისას ლავგარდანის კონსტრუქცია ასრულებს მზიდ ფუნქციას წყალსადინარი ღარებისთვის. ამის გარდა ლავგარდანის ნაშვერიდან ხდება ჰაერის აღება სახურავის ქვეშა სივრცის გასანიავებლად. ყველა ეს თავისებურება განსაზღვრავს ლავგარდანის ნაშვერის კონსტრუქციას.

სახურავზე წყალსადინარი ღარების ჩამოკიდებისას პრობლემა წარმოიშეება ხოლმე ღარის კაკვის დამაგრებისას. არსებობს დამაგრების ორი ვარიანტი— დამატებითი სამაგრი ელემენტების გამოყენებით, რომელიც მაგრდება შეფიცვრაზე ან ნივინვაზე და კაკვის დამაგრება უშუალოდ შუბლის ფიცარზე. პირველი მეთოდი შედარებით უნუგერსადურია, მაგრამ ძვირია. მეორე მეთოდი იაფია, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ლავგარდანის შუბლის ფიცრის სისქე 30 მმ ნაკლები არ არის.

- **წყალსადინარი სისტემის დაყენების წესი**

წყალსადინარი სისტემის ღარი დგება დახრილად 0,5-0,7 მმ გრძივ მეტრზე. კაკვი მონტაჟდება ბიჯით 0,6-0,8 მეტრი ღლითონის წყალსადინარი ღარებისთვის და 0,6 მ პლასტმასის წყალსადინარი ღარებისთვის.

ღარების დაყენების წინ აუცილებლად უნდა განისაზღვროს წყალმიმღები ძაბრების დაყენების ადგილი. ეს არის ღარის ყველაზე დაბალი წერტილი. წყალსადინარი მილების დაყენების ადგილის განსაზღვრის წინ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მათ არ შემოსაზღვრონ ფანჯრები და კარებები, ასევე სახურავზე მოგროვილი წყალი არ მოხედეს შენობის ქვეშ.

წყალსადინარი მილების დაყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ მილის ზედა კაკვი უნდა მდებარეობდეს ზედა მუხლის და მილის შეპირაპირების ადგილას. ხოლო ქვედა კაკვი კი მილის და ქუსლისა შეპირაპირების ადგილას. სამაგრებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 1900 მმ. მანძილი და შეპირაპირების ადგილი უნდა იყოს 150 მმ ნაკლები. მანძილი მილის ქვედა ბოლოს და მიწას შორის უნდა იყოს მინიმუმ 300 მმ.



წყალსადინარი მიღების აწობის საერთო წესი : ყველა ელემენტი წყალსადინარი სისტემის, რომელიც იმყოფება ზევით იდგმება მასში, რომელიც იმყოფება ქვევით.

- **სახურავის სამუშაოების წარმოება ზამთრის პირობებში**  
იმისათვის, რომ მაღალი ხარისხით ჩატარდეს ზამთრის პირობებში სახურავის სამუშაოები, ყველა სტადიაზე საჭიროა ყურადღებით ჩატარდეს კონტროლი.  
უარყოფით ტემპერატურაზე შეიძლება სახურავი დაიფაროს კრამიტით, მეტალოკრამიტით და ფურცლოვანი ფოლადით. ამისათვის გულმოდგინედ ამოწმებენ მასალების სისუფთავეს და საფუძველს თოვლისაგან და მინაყინისაგან.
- **სახურავის სამუშაოების მიღება**  
დამთავრებულ სახურავს ერთეული მასალისაგან შეიძლება ქონდეს პროექტიდან გადახრა არა უმეტეს 5%.  
დამთავრებული სახურავის მიღებისას, ყურადღებით ათვალიერებენ მის ზედაპირს, განსაკუთრებით ძაბრებთან, ენდაობთან და შენობის გამოშვებულ ნაწილებთან შეხების ადგილებში. სახურავის წყალგაუმტარობას ამოწმებენ ხელოვნურად წყლის დასხმით, თითქოს ნახულობენ მას წვიმის შემდეგ.  
შემოსვა ძაბრებთან, ენდაობთან, შენობის გამოშვებულ ნაწილებთან და კონსტრუქციებთან უნდა იყოს პროექტთან სრულ შესაბამისობაში.  
სახურავის სამუშაოების მიღებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გამოყენებული მასალების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიული მონაცემები.  
მიღებულზე კომისია ადგენს სპეციალურ აქტს, რომელსაც თან უნდა სამუშაოების მიღების ერთოდეს შუალედური აქტები, გამოყენებული მასალების გამოცდის შედეგები და აქტები ინსტუმენტალური შემოწმებისა.

## 9. იატაკების მოწყობა

იატაკის თითოეული ელემენტის მოწყობა (ჰიდროიზოლაცია, მოჭიმვა, შუაშრე და საფარი) უნდა მოხდეს მხოლოდ წინა შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დეტალური შემოწმების და შესრულებულ ფარულ სამუშაოებზე აქტების გაფორმების შემდეგ.

ხის იატაკების და ცემენტის მოჭიმვის მოწყობა დასაშვებია ყველა იმ სამუშაოების დასრულების შემდეგ, რომელიც დაკავშირებულია იატაკების დატენიანებასთან (ლესვა, ღებვა). ღინოლეუმის მოწყობა კი დასაშვებია მხოლოდ ყველა სამშენებლო, სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ.

იატაკების მოწყობა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იატაკის დონეზე ჰაერის ტემპერატურა არაუმცირებს 5°C-ია.

გაყინულ გრუნტზე იატაკის დაგება არ არის დაშვებული.

იატაკები შედგება კონსტრუქციული ელემენტებისაგან, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ფუნქცია:

საფარი - იატაკის ზედა ელემენტი, უშუალოდ არის ექსპლუატაციის ზემოქმედების ქვეშ;

შუაშრე - დამაკავშირებელი ფენა საფარსა და იატაკის საფუძვლის ან გადახურვას შორის;

მოჭიმვა - ფენა, რომელსაც გააჩნია მაგარი ან მკვრივი ზედაპირი ფოროვანი გადახურვის ელემენტებზე. მოჭიმვა ეწყობა ასევე გადახურვის ან იატაკის არათანაბარი ზედაპირის გასასწორებლად, ან ზედაპირისათვის აუცილებელი დახრის მოსაწყობად.

იატაკების კონსტრუქციას შეიძლება დაემატოს შემდეგი ელემენტები:

ჰიდროიზოლიაცია - იატაკიდან წყლის გაჟონვის ხელისშემშლელი ფენა;

თბოიზოლაცია - იატაკის დამცავი ფენა, რომელიც ხელს უწყობს სითბოს შენარჩუნებას;

ხმის საიზოლაციო ფენა.



საცხოვრებელ სახლებში და სოციალურ ობიექტებზე იატაკები იკება ძირითადად ჩვეულებრივი ხისგან, პარკეტისგან, ლინოლეუმისგან და სხვადასხვა ხელოვნური ან ბუნებრივი ქვისაგან, ან სხვა ხელოვნური ან ბუნებრივი მასალისგან. კონსტრუქციული მოთხოვნა, რომელიც არის გათვალისწინებული თითოეული სახის იატაკების მოსაწყობად, გათვალისწინებულია მუშა ნახაზებით და ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს.

- **კერამიკული იატაკები**

იატაკების მოსაწყობად გამოიყენება კერამიკული ფილები. ფორმა და ზომები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ფილების ზედაპირის ხარისხის შემოწმების მიზნით ყოველი პარტიიდან იღებენ ნიმუშისათვის 50 ცალ ფილას. გარეგანი შესახედაობით ვარგისად მიჩნეული ფილებიდან იღებენ ნიმუშის სახით 20 ცალ ფილას მისი ზომების, სიმრუდის და ირიბკუთხობის დასადგენად. თერმული მდგრადობის, წყალშთანთქმის, ღუნვის ზღერული გამძლეობის და მოჭიქვის სამაგრისათვის- 5-5 ცალს.

იმ შემთხვევაში, როდესაც გარჩეული ნიმუშებიდან 4% ვერ აკმაყოფილებს ნორმატიულ-ტექნიკურ პირობებს, მაშინ ხდება განმეორებითი შემოწმება უკვე გაორმაგებულ ნიმუშებზე.

განმეორებითი შემოწმების შემდეგ თუ არ იქნება დაკმაყოფილებული შედეგები, მასალების პარტია მიღებას არ ექვემდებარება.

ფიგურული ფილების ნომინალური სისქე უნდა შეადგენდეს 6-8 მმ-ს. ერთიდაიგივე პარტიაში არსებული ფილების სიგრძესა და სიგანეში დასაშვები გადახრა შეადგენს მაქსიმუმ 1,5მმ-ს, სისქეში -1 მმ-ს.

ფილას უნდა ჰქონდეს მკვეთრი კუთხეები და წიბოები წაღმა მხრიდან. წყალშთანთქმა - არაუმეტეს 16%.

ფილის უკანა ზედაპირი უნდა იყოს დადარული. ღარის სიმაღლე არაუმცირეს 0.3 მმ.

იატაკზე ფილების მოსაწყობად საჭიროა მკვრივი და მაგარი საფუძველი. ასეთ საფუძველად ჩვეულებრივად ითვლება ქვიშა-ცემენტის 100 მარკიანი ხსნარით მოჭიმვა სართულშუა გადახურვაზე.

იატაკის დაგება უნდა დაიწყოს მას შემდეგ, როდესაც მზად იქნება მოსამზადებელი ფენა საპროექტო ნიშნულების მიხედვით, ასევე დამონტაჟებულ იქნება სანიტარულ-ტექნიკური გაყვანილობები, ტრაპები, აბაზანები, პირსაბანები და ა.შ. მნიშვნელოვანია აქტი შესრულებული ჰერმეტიზაციის სამუშაოებზე, ამიტომ აუცილებელია მოხდეს ჰიდროიზოლაციის ხარისხის შემოწმება სველ წერტილებში. ასევე აუცილებელია იატაკის კორიზონტალური საფუძვლის მოწყობის შემოწმება ორმეტრიანი საკონტროლო ლარტყით.

ფილების დაგების დროს შენობის კუთხეებში აყენებენ ნიშნულებს. საჭირო ხარისხის მისაღებად ფილების დაგებისას გამოიყენება ნიშნულებს შორის თოკის გაჭიმვა.

კერამიკული იატაკების დაგებისას ზამთრის პერიოდში შენობაში ტემპერატურა არ უნდა იყოს 80მ-ზე დაბალი.

დაგებული კერამიკული იატაკების ზედაპირი უნდა იყოს სწორი (თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული პროექტით), საკონტროლო ლარტყით შემოწმებისას საშუქი/ღრეჩო არ უნდა აღემატებოდეს 4 მმ-ს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს ფილების შეჭიდებას შუაშრესთან, რასაც ამოწმებენ ფილაზე დაკაკუნებით. გარდა ამისა, ფილები არ უნდა იყოს გაბზარული, ჩამომტვრეული კუთხეები და გვერდები და სხვა დეფექტები. ნაკერები ფილებს შორის უნდა იყოს სწორხაზოვანი და შევსებული ცემენტის ხსნარით. გადახრა სწორი ხაზიდან არ უნდა იყოს 10 მმ-ზე მეტი ყოველ 10 გრძივ მეტრში.



- ლამინირებული პარკეტის იატაკები

სამშენებლო მოედანზე პარკეტის იატაკის შემოტანის შემდეგ უნდა მოხდეს ძირეული კონტროლი არა მარტო მისი ხარისხის, არამედ მკაცრად უნდა იქნეს დაცული მისი შენახვის რეკომენდაციები. უნდა ინახებოდეს მშრალ, თბილ და ვენტილირებულ შენობებში, პარკეტის ერთი და იგივე ტემპერატურაზე, სადაც სინოტივე არ აღემატება 60%-ს. დაუშვებელია ლამინირებული პარკეტის შენახვა იმ შენობებში, სადაც კედლები ახლად შელესილია და არ არის გამშრალი.

საკონტროლო შემოწმება; თვითეული შემოსული ლამინირებული პარკეტის პარტიიდან იღებენ პარკეტის 3%-ს. აღებული ნიმუშები ექვემდებარება საცალო გაზომვას, დათვალიერებას და ფიზიკურ-მექანიკურ გამოცდას.

ლამინირებული პარკეტი ივება სილა-ცემენტის მოჭიმვის თავზე წინასწარ დაფენილი თავისივე საღებზე (როგორც ეს გათვალისწინებულია მუშა ნახაზებით).

პარკეტის დაგება შეიძლება უშუალოდ რკინა-ბეტონის გადახურვის ფილებზე მოწყობილ სილა-ცემენტის მოჭიმვაზე

პარკეტის დაგების დაწყებამდე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საფუძველზე ხდება მისი დაგება, ზედაპირი გაწმენდილი უნდა იყოს მტვრისაგან, ნაგავისგან და ა.შ.

პარკეტის დაგების დაწყებამდე აუცილებელია შემოწმდეს პარკეტის დაგების სახეობა და გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

სამუშაოების წარმოების დროს და შემდგომ პერიოდში ოთახებში, სადაც სრულდება ან უკვე შესრულებულია ლამინირებული პარკეტის დაგების სამუშაოები, ტენიანობა უნდა იყოს 50-60%-ის ფარგლებში. დაუშვებელია იატაკების დატენიანება.

- ცემენტის იატაკები

ცემენტის იატაკების საფუძვლის გარეცხვის და გაწმენდის შემდეგ კედლის სიგრძის პარალელურად აწყობენ ხის ძელებს კვეთით 70X30X3500მმ. ლარტყის პირველი რიგი (ნიშნულის ლარტყა) ეწყობა 0.5-0.6 მეტრის დაშორებით კედლიდან, შემდგომი ყოველ 2-2.5 მეტრში, პირველის პარალელურად.

ლარტყების დაწყობის შემდეგ (ნაწილობრივ ან იატაკის მთელ ფართობზე) საფუძველზე ახდენენ მოგრუნტვას ცემენტის ხსნარით, აწყობენ სივრცეს ლარტყებს შორის ავსებენ მზა ხსნარით. შევსება ხდება ხდება თითო ზოლის გამოტოვებით.

შევსებულ ზოლებს ასწორებენ სწორი ლარტყით. ამკვრივებენ ვიბრო-ლარტყით ან ელექტროზედაპირიანი ვიბრატორით. მოსწორების შემდეგ ზემოდან ფარავენ ცემენტის თხელ ფენით.

ცემენტის იატაკის სისქე (ხსნარის მარკა 100) უნდა იყოს არაუმცირეს 25 მმ. ცემენტის მარკიდან გამომდინარე, ხსნარს ღებულობენ ცემენტისა და სილის შემდეგი თანაფარდობით (მოცულობით): მარკა 600-1:4,5. მარკა 500 1:4, მარკა 400-1:3.

- გარე კერამიკული იატაკი

კერამიკული ფილები ხანდახან გამოიყენება გარეთ დასაგებად. ფორმა და ზომები შესატყვისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. ფილებს უნდა ჰქონდეს ემალის ინსტიტუტის რეიტინგი და მიეკუთვნებოდეს "PEI Class 4" ან "PEI Class 5." ამგვარი რეიტინგის მქონე კერამიკული ფილები იმგვარი სიხისტისაა, რომ გაუძლოს გაყინვისა და ღებობის ციკლებს და დაბზარვის ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე უფო დაბალი რეიტინგის მქონე ფილებს. ფილას უნდა ჰქონდეს ხორკლიანი ზედაპირი. სველი კერამიკული ფილა ძალიან დაბალი მოჭიდებისაა. ხორკლიანი ზედაპირის მქონე – უფრო მაღალი მოჭიდებისაა და შესაბამისად უფრო უსაფრთხოა.

კერამიკული ფილები ივება B 15 წვრილფრაქციულ ბეტონის საფუძველზე ან M100 ცემენტის ხსნარზე, ყველაფერი ხორციელდება საპროექტო სპეციფიკაციების შესაბამისად. ბეტონის საფუძვლის სისქე, რომელზეც კერამიკული ფილა ივება მინიმუმ 10 სმ სისქის უნდა იყოს. მოაცილეთ ქვიშის, ტალახის, საღებავის, ცხიმის და ნებისმიერი სხვა სახის ყველანაირი მცირე ნაწილაკები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ქვედა ფენის მემბრანის სრულად ბმას ბეტონის ზედაპირთან. მოაწყვეთ ქვედა ფენის მემბრანა. ეს მემბრანა საჭიროა კერამიკული ფილის დაბზარვის თავიდან ასაცილებლად. ეს მემბრანა გადაადგილდება გაყინვისა და ღებობის ციკლების



პერიოდში და ხელს უწყობს კერამიკული ფილის გადაადგილების ან დაბზარვის თავიდან აცილებას. ფილის დასაგებად საჭირო არ არის დაველოდოთ სანამ მემბრანის წებო სრულიად გაშრება. გამოიყენეთ თხელი ხსნარი, რომელიც თქვენ უკვე გამოიყენეთ ქვედა ფენის მემბრანის დასაგებად. ამ ტიპის ხსნარი მცირედ გაიწვეს გაყინვისას, რაც ფილებს გადაადგილების ან დაბზარვისაგან გადაარჩენს. დაახლოებით თხელი ხსნარის ფენა, იმდენი რაც საჭიროა დაახლოებით 45 წუთში ფილების დასაგებად, ან სანამ ხსნარზე წარმოიშეება აფსკი, რომელიც ხელს შეუშლის ხსნარისა და ფილის შეჭიდებას. დააგეთ ფილა. გარე კერამიკულ ფილებზე მუშაობისას, ფილები უფრო მჭიდროდ დააგეთ, ვიდრე ამას გააკეთებდით შენობაში დასაგები ფილების შემთხვევაში. ეს შეამცირებს ხსნარის საერთო ფართობს და შესაბამისად შეამცირებს ფილებში წყლის შეწოვის რისკს და გაყინვის შემთხვევაში მათ დაბზარვას. დააცადეთ ხსნარს გაშრობა, ჩვეულებრივ დაახლოებით 24 საათის განმავლობაში. როდესაც ხსნარი გაშრება, დაახლოებით თხევადი დუღაბი. გამოიყენეთ გარე სამუშაოებისათვის განკუთვნილი თხევად დუღაბი. თხევადი დუღაბი წარმოადგენს ფილებში ტენის გაჟონვისაგან დაცვის პირველ ხაზს, რაც მათ დაბზარვას გამოიწვევს გაყინვის დროს გაფართოებისას. ხსნარის ფილებს შორის ჩასატენად გამოიყენეთ დუღაბის ქაფა. ნარჩენი დუღაბი ღრუბლით მოწმინდეთ. დუღაბი 48 საათის განმავლობაში დატოვეთ, და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ნებადართული ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა ფილებზე.

## 10. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები

### 10.1 ჰიდროსაიზოლაციის დანიშნულება და სახეობები.

ჰიდროსაიზოლაციის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სამშენებლო კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა წყლისა და ნესტისაგან. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები - ქვა, ბეტონი - მათთვის დამახასიათებელი ფოროვანების გამო, ტენს იწოვენ, ხოლო გარკვეული დაწვევის შემთხვევაში შესაძლებელია კონსტრუქციაშიც გაატარონ. ამას გარდა, კედლების მიერ უმცირესი კაპილარებისა და ფორების საშუალებით შეწოვილი წყალი მიწის დონეზე ან მის ქვევით, შესაძლებელია ავიდეს საკმაოდ მაღლა, თუ მისი ეს მოძრაობა არ იქნა გადაკეტილი რაიმე მტკიცე წყალგაუმტარი მასალით - ჰიდროსაიზოლაციით.

ჰიდროსაიზოლაციის სახეობა, მასალები და მისი მოწყობის თანმიმდევრობა გათვალისწინებული უნდა იქნას ასაშენებელი ნაგებობის პროექტში. აუცილებელია ყურადღებით ვადევნოთ თვალყური ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების ხარისხს, მათი პროექტთან თანხვედრას, რადგან ჰიდროსაიზოლაციის მოწყობისას დაშვებულ მცირე უზუსტობასაც კი, შესაძლებელია მოჰყვეს მშენებარე ობიექტის საექსპლუატაციო ხარისხის დაქვეითება. აღნიშნულის აღმოფხვრა ძალიან რთული, რიგ შემთხვევაში კი შეუძლებელიცაა.

აუცილებელია, რომ ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების დაწყებამდე საცხოვრებელი შენობების სარდაფის სათესებში გრუნტის წყლების ნიშნული მინიმუმ 50სმ-ით დაბლა იყვეს ჰიდროსაიზოლაციო ფენაზე. ეს დონე მუდმივად უნდა იქნას შენარჩუნებული ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების დაწყებიდან დამთავრებამდე. რისთვისაც იღებენ ზომებს წყლის დონის დასაწევად საქანებისა და დრენაჟის მოწყობით. მექანიკური ქაჩის შემთხვევაში აუცილებელია გრუნტის წყლების დონის მკაცრად თვალყურისდევნა და მისი დაფიქსირება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც თან ახლავს შესრულებული სამუშაოების მიღების აქტს. წყლის ამოქაჩვა, თუ ამ დროს წყალთან ერთად გრუნტიც გაედინება, დაუშვებელია. ზედაპირული წყლების მოსარიდებლად, ტერიტორია მშენებარე ობიექტის ირგვლივ აუცილებლად თავიდანვე უნდა იქნას დაგეგმარებული იმგვარად, რომ წყალი არ მოხვდეს ქვაბულში ან თხრილში. ქვაბულების ამოსაშრობად სპეციალურ თხრილებს და ორმოებს აწყობენ, ამოსაშრობი მოედნის აუცილებელი ქანობის დაცვით.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების მოსამზადებელ ფაზაში აუცილებელია ყურადღების გამახვილება, რომ ჩასატანებელი ნაწილები (ყველა სახის მიღგაყვანილობა), დროულად იქნას მოწყობილი იქ, სადაც პროექტის მიხედვითაა



გათვალისწინებული, მათი ნიშნულებისა და ადგილმდებარეობის გადამოწმებით. ასევე უნდა გადამოწმდეს საიზოლაციო ნაგებობის სადეფორმაციო ნაკერების პროექტთან შესატყვისობა და მოწყობის სისწორე.

საიზოლაციოდ გათვალისწინებული ნაგებობების სადეფორმაციო ნაკერები უნდა ამოივსოს ელასტიკური მასტიკით (რეზინა-ბიტუმის ნარევი, ადვილადდნობადი ბიტუმის შემავსებლით), რომელიც შემდეგ დაიფარება პროექტით გათვალისწინებული მასალით. ვერტიკალური სადეფორმაციო ნაკერი უნდა შეივსოს ნელ-ნელა (50სმ-იანი სიმაღლეებით), კონსტრუქციების აშენებასთან ერთად.

## 10.2 ჰიდროსაიზოლაციო მასალების ხარისხის მოთხოვნა

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებისათვის გამოიყენება ცხელი და ცივი ბიტუმის მასტიკები, რულონური ბიტუმისა და სხვა მასალები.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოებისას უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოყენებული მასალების ხარისხზე. გამოყენებულ მასალებს უნდა ჰქონდეს ქარხნის პასპორტი. პასპორტის არ ქონის შემთხვევაში, აუცილებელია ერთ-ერთი ეკსპლარის გაგზავნა სამშენებლო ლაბორატორიაში, სადაც დადგინდება საქონლის ხარისხი Γ Cთ -ით გათვალისწინებული მეთოდის გამოყენებით.

ბიტუმის საცხის შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მისი გაღვობის ტემპერატურა 20-25 გრადუსით მაღალი იყოს იზოლირებად ზედაპირზე ან გარემოზე, ამასთან არაუმდაბლეს 40 გრადუსისა. შემავსებლად გამოიყენება ნებისმიერი მარკის ცემენტი, კარგად გაფხვიერებული მინერალური ფხვნილი (მაგ. დაფქვილი კირი, ნაცარი თქმ), რომელთა ნაწილაკები 0,15 მმ-ს არ აღემატება.

ფართოდ გამოიყენება ასევე ცივი ბიტუმის მასტიკები, რომელთა ემულგატორად გამოიყენება დაფქვილი კირი, კალციუმის და მაგნიუმის ორჟანგები არანაკლებ 67%-ისა, პლასტიური თიხა, ტრეპელი და სხვა. ცივი მასტიკები უნდა იყოს ერთგვაროვანი, ბიტუმით გაუჯერებელი შემავსებლის გარეშე, იმგვარი შესქელებების გარეშე, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია მასტიკის მორევიტ.

გრუნტის წყლების დონის მაღალი ნიშნულის შემთხვევაში, სარდაფის კედლებისა და ფუნდამენტებისათვის გათვალისწინება გასაკრავი ჰიდროსაიზოლაცია, რომელიც ეწყობა რამოდენიმე ფენა რულონური მასალისაგან: ჰიდროსაიზოლი, იზოლი, რუბეროიდი, სახურავის ტოლი ქვიშის ნაფრქვევით ან უზედაპიროთი, და სხვა მასალები არააღობად საფუძველზე. უცილებელია ყველა ამ მასალის ხარისხის კონტროლი. თოლი, რუბეროიდი, პერგამინი და ჰიდროსაიზოლი უნდა იყოს შეფუთული შესაბამისი ქაღალდით და ეტიკეტით. თითოეული რულონი ერთიანი უნდა იყოს - სიგრძით 20 მ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რულონურ მასალათა შენახვას. ტოლი, რუბეროიდი, პერგამინი და ჰიდროსაიზოლი დახურულ, გაუთბობ სათავსებში, ან გადახურულში ინახება. დაუშვებელია ამ მასალათა შენახვა ღია მოედნებზე, აგრეთვე ადვილადააღებად მასალებთან ერთად. რუბეროიდის, ტოლის და პერგამინის რულონები უნდა იქნას სორტირებული მარკის მიხედვით, და დაწყობილი ვერტიკალურად, არაუმეტეს ორი რიგისა. ჰიდროსაიზოლის რულონები შესაძლებელია დაიწყოს ჰორიზონტალურად არაუმეტეს ხუთი რიგისა სიმაღლეში. 35 გრადუსის ზემოთ ჰიდროსაიზოლაციო მასალები შესაძლებელია ერთმანეთს შეეწეოს. ამის გამო ზაფხულობით ისინი უნდა მოვარიდოთ მზის სხივებს. 0 გრადუსის ქვემოთ ტოლი და რუბეროიდი იწყებენ დატეხვას, ამდენად დაბალ ტემპერატურაზე ტოლისა და რუბეროიდის გაშლა არ არის რეკომენდირებული. აუცილებელია მათი გათბობა წინდაწინ თბილ სათავსში.

რულონური მასალების გამოყენებამდე აუცილებელია მათი ხარისხის შემოწმება. ბიტუმირებული რულონური მასალები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

არ უნდა ჰქონდეს ბიტუმით გაუქვლეთავე ღია ფერის ფენები.

არ უნდა იყვნენ რულონში ერთმანეთს ჩაწებებულნი.

ადვილად უნდა იშლებოდეს და არ უნდა უჩნდებოდეს ბზარები.

უნდა ახლდეს მანველებლები სიმტკიცეზე, მოქნილობაზე, კარტონის და გაუქვლეთილობის წონაზე, არანაკლები რაც მითითებულია ჩთ-ში.



### 10.3 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოება. წაცხებადი ჰიდროიზოლაცია.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს პროექტის მოთხოვნების ზუსტი დაცვით.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოების პროცესში უნდა შემოწმდეს გამოყენებული მასალები, სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და უკვე მზა ჰიდროიზოლაცია მისი მოწყობის სხვადასხვა ეტაპზე. შემოწმების შედეგები შეაქვთ უურნალში, სადაც ფიქსირდება დაშვებული უზუსტობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები, ხოლო დაფარულ სამუშაოებზე დგება აქტი.

წაცხებადი ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები სრულდება ცხელი ბიტუმის, ბიტუმის მასტიკის, გამდნარი ბიტუმის ან სინთეტიური ფისისა და პლასტმასის საფუძველზე დამზადებული მასალების წაცხებით საიზოლაციო ზედაპირზე. აუცილებელია ყურადღება მიექცეს, რომ მზა ემულსია ერთგვაროვანი იყოს და არ აქონდეს შესქელებები, ბიტუმის ძაფები. ემულსიის შემადგენლობაში წონის მიხედვით წყლის რაოდენობისა და წებოვნების ნორმისაგან გადახვევა არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს. ბიტუმის ემულსია ინახება დადებით ტემპერატურაზე, მჭიდროდ დახუფვულ ჭურჭელში. დიდი ხნის განმავლობაში მისი შენახვისას აუცილებელია მისი თვეში 1-2-ჯერ გადარევა. ემულსიის პასტები, ცხელი ბიტუმის მასტიკები და სხვა მასალები გამოყენებამდე ლაბორანტის მიერ უნდა იქნას შემოწმებული ვიზუალურად და ლაბორატორიულად.

წაცხებადი ჰიდროიზოლაციის სიმტკიცე და საიმედოობა უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში თუ იგი საკმაოდ ღრმად არის შეღწეული სამშენებლო მასალის ფოროვან საფუძველში. მიტომაც ჰიდროსაიზოლაციო ფენის დატანამდე აუცილებელია რკინაბეტონის და ქვის კონსტრუქციების ზედაპირები სათანადოდ იქნას გაწმენდილი მტვერისა და ჭუჭყისაგან, ნესტიანი ადგილები უნდა იქნას გამომშრალი.

წაცხებადი ჰიდროიზოლაცია დაიტანება თანმიმდევრულად ორ ან უკეთესი სამ ფენად (გრუნტირების გარდა), სისქით 0,5-2მმ ყოველი. ყოველი შემდეგი ფენა დაიტანება მხოლოდ ქვედა ფენის გამაგრებისა და მისი ხარისხის შემოწმების შემდეგ. ჰიდროსაიზოლაციო ფენის სისქე განისაზღვრება პროექტით.

წაცხებადი ჰიდროსაიზოლაციო ფენის დატანისას ვერტიკალურ ან ვერტიკალურს მიახლოებულ ზედაპირებზე, ფენის სისქე დამოკიდებულია კონსტრუქციის სახეობაზე, მის მასალასა და ჰაერის ტემპერატურაზე. ჰიდროსაიზოლაციო ფენის სისქე პორიზონტალურ, მცირედ დახრილ მონაკვეთებში შესაძლებელია გაზრდილი იქნას, თუკი არსებობს ჰიდროსაიზოლაციო ფენის მთლიანობის დარღვევის საშიშროება სამუშაოთა წარმოებისას. მოხრილობების, გადაკვეთების ან სადუფორმაციო ნაკერებზე აუცილებელია წაცხებადი ჰიდროიზოლაციის გაძლიერება, რისთვისაც გამოიყენება ბადეები, შუშის ქსოვილი და სხვა მასალები.

წაცხებადი ჰიდროიზოლაციის დატანისას გამოიყენება სპეციალური "კბილანიანი" დგუშები და აპარატები, რომლებიც შეკუმშულ ჰაერზე მუშაობენ. ხელით დატანისას გამოიყენება (ძენძის და რაგოყის ფუნჯები არ უნდა იქნას გამოყენებული). იმისათვის, რომ სითხე სრულად იქნას გამოყენებული და ჩამოღვენილები არ დაიკარგოს, წაცხება უნდა მიმდინარეობდეს 1-2მ-ის სიგანის ზოლებად, ზემოდან ქვემოთ. გვერდიგვერდ ზოლები ერთმანეთს უნდა გადაეფაროს 20-25სმ-ით.

ჰიდროსაიზოლაციო ფენის ხარისხის შემოწმებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს, რომ მის ზედაპირზე არ იქნეს ნაბზარები, გამობერილობები და შესქელებები. დეფექტური ადგილები უნდა იქნას კარგად გაწმენდილი ჰიდროიზოლაციისაგან, და სათანადო გაშრობის შემდეგ უნდა დაიფაროს იმავე მასალის რამოდენიმე ფენით.

#### • ცივი ასფალტის მასტიკის ჰიდროიზოლაცია.

ჰიდროიზოლაციის ეს ტიპი გამოიყენება შენობების იმ ნაწილებისათვის, რომლებიც დაცულია ატმოსფერული ზემოქმედებისა და მზის პირდაპირი სხივებისაგან. ამ ტიპის მასტიკების მახასიათებლებიც, წყალმდეგობისა და წყალშეუვალობის, თერმომდეგობისა და მექანიკური ზემოქმედების წინააღმდეგობის თვალსაზრისით, უნდა იქნას დადგენილი სამშენებლო ლაბორატორიის მიერ, შერევის მეთოდით.



ცივი მასტიკის დატანამდე იზოლირებადი კონსტრუქციების ზედაპირები ისევე უნდა გაიწმინდოს, როგორც ცხელი მასტიკის დატანის შემთხვევაში. ამას გარდა შენობის ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ გრუნტის წყლების ნიშნულის ზემოთ მდებარეობს (სარდაფის კედლები, ფუნდამენტები), უნდა დასველდეს, რისთვისაც წყლის დასხმა შესაძლებელია შლანგითაც და დგუშითაც.

ცივი ასფალტის მასტიკები დაიტანება ვერტიკალურ ზედაპირზე ორ-სამ ფენად 5-7მმ სისქით თითოეული, ქვემოდან ზემოთ ზოლებად 2,5მ-ის სიმაღლეზე. პორიზირებული ზედაპირზე ფენებად 7-10მმ-ს სისქით. იარუსებისა და ზოლების გადაფარვით არანაკლებ 20სმ-სა.

მასტიკის ყოველი შემდეგი ფენა დაიტანება წინა ფენის არასრულად გაშრობამდე, რომელიც ხასიათდება ერთის მხრივ იმით, რომ მას ხელი არ ეწებება, და მეორეს მხრივ საკმაო წებოვნება აქვს შემდეგი ფენის ფენის მასტიკის შესაწებებლად, რისთვისაც ცხელ ამინდში საკმარისია 1-2სთ, ხოლო 5-10 გრად. და მაღალი ტენიანობისას - 24სთ.

ცივი მასტიკის პიდროზოლაციის მოწყობისას დაუშვებელია დიდ ხნიანი შესვენებები და მოცდენები, რომლის დროსაც მასტიკის ფენა შესაძლებელია დაჭუჭყიანდეს. არ არის რეკომენდირებული შემდეგი ფენის დატანა სრულად გამშრალ წინა მასტიკის ფენაზე, რადგან ამ დროს მათი შეჭიდულობა ძლიერ მცირდება. ასეთ შემთხვევაში გამაგრებული ფენა უნდა მოიფხიკოს და შემდეგ კვლავ უნდა იქნას დატანილი მასტიკა საპროექტო სისქით.

პიდროზოლაციის მოწყობის ხარისხი მოწმდება მისი გაშრობის შემდეგ. დათვალეირებით მოწმდება მისი ფენის უწყვეტობა და ვიზუალური დეფექტები (ბზარები, მექანიკური დაზიანებები, ნაღვენი). ფენის სისქე მოწმდება სპეციალური ე.წ. "შუკებით" - ერთი ჩხვლეტა ყოველ 25-30მ<sup>2</sup>-ზე, ხოლო ხის ჩაქუჩის დაკაკუნებით მოწმდება ფენების ერთმანეთთან კავშირი.

- **გაკვრადი პიდროზოლაცია.**

გაკვრადი იზოლაცია უფრო ხშირად გამოიყენება შენობის მიწისქვეშა ნაწილებისათვის. იზოლირებად ზედაპირზე წებდება რულონური პიდროსაიზოლაციო მასალების რამოდენიმე ფენა (რუბეროიდი, ტოლი, პიდროზოლი, იზოლი, ბრიზოლი). დაწებებამდე ყურადღებით უნდა შემოწმდეს რულონური მასალა და უნდა შეირჩეს რამოდენიმე მათგანი ლაბორატორიული შემოწმებისათვის.

აუცილებელია რულონური მასალა დაწებებამდე მომზადდეს სპეციალურ მოედანზე: რულონები უნდა გაიშალოს და გაიწმინდოს მოყრილი ზედაფენისაგან. ტაღკის მონაყარი უნდა ჩაიტკეპნოს რუბეროიდის ზედა ფენაში, მისი დამუშავებით მწვანე ხეთით ან ნავთით, რომელიც დაიტანება პულვიზატორით. მსხვილმარცვლოვანი ზედა ფენა შორდება ხის "შტაპელებით", ან მეკრივი ჯაგრისით წინასწარი სპეციალური მომზადების შემდეგ გამხსნელით, რომელიც რულონის დაწებებამდე უნდა აორთქლდეს. დაჭუჭყნული ადგილები უნდა დაუთოვდეს, ხოლო შემთხვევითი დეფექტები საფარ ფენაში შედნობით უნდა აღმოიფხერას.

გამოსაყენებლად გამზადებული ასაკრავ მასალას ახვევენ რულონად დამუშავებული ზედაპირით ზემოთ იმგვარად, რომ ზედაპირები ერთმანეთს არ ეხებოდეს, და შეკრულ და ვერტიკალურ მდგომარეობაში ინახავენ.

პიდროსაიზოლაციო სამუშაოების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეთა მწარმოებელი სამშენებლო ლაბორატორიის თანამშრომელთან ერთად შეამოწმებს საიზოლაციო კონსტრუქციების ზედაპირებს.

საიზოლაციო კონსტრუქციების ზედაპირი სწორი უნდა იყოს, გაწმენდილი მტვრისა და ჭუჭყისაგან. ზედაპირის სისწორე მოწმდება მასზე ორმეტრიანი საკონტროლო ლარტყის დადებით. თუ ლარტყასა და საფუძველს შორის განიხილი დრიტო 10მმ-ზე ნაკლები სიგრძის ჩაზნექები შესაძლებელია მოსწორდეს ცხელ მასტიკაზე რულონური მასალის დაწებებით ამ ადგილზე, ხოლო უფრო დიდი ჩაზნექების მოსწორება დასაშვებია ცემენტის ხსნარით.

საფუძვლის სათანადო სიმშრალე მოწმდება საცდელი გაკვრებით 2-3 რულონური ნაჭრისა 1მ<sup>2</sup> ზედაპირზე, და შემდეგ ამ ნაჭრების აგლეჯვით მასტიკის გაკვრის შემდეგ. საფუძველი ითვლება მშრალად, თუ ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებისას რულონური ნაჭრები იხევა.



გვერდიგვერდ არსებულ ზედაპირებს შორის წარმოქმნილი სწორი ან მახვილი კუთხეები უნდა შერბილდეს ნაზოლით (ე. წ. "ფასკებით") ან მომრგვალდეს 10 სმ-იანი რადიუსით.

საცხოვრებელი უსარდაფო შენობების შენებისას, კედლების კაპილარული დატენიანების თავიდან ასაცილებლად, აწყობენ უმარტივეს პიდროიზოლაციას: ფუნდამენტსა და ცოკოლს შორის აწყობენ ორ ფენა რუბეროიდს, პიდროიზოლს ან სხვა რომელიმე რულონურ მასალას მასტიკაზე, ასევე 100-150მმ-ით გადახურვის ქვემოთ ცოკოლის ნაწილში.

სარდაფის არსებობის შემთხვევაში საცხოვრებელ სახლებში, რომლის იატაკის ნიშნული გრუნტის წყლების ნიშნულის ქვემოთაა, ეწყობა საძირკვლისა და სარდაფის იატაკის პიდროიზოლაცია.

გაკვერადი პიდროიზოლაციის ფენათა რაოდენობას განსაზღვრავს პროექტი, და დამოკიდებულია გრუნტის წყლების პიდროსტატიკურ წნევაზე, ნაგებობის კონსტრუქციათა ხასიათზე, პიდროსაიზოლაციო მასალათა ხარისხზე, ჰაერის ტემპერატურაზე, წყლის მოცილების მეთოდსა და სხვა პირობებზე. ამ ტიპის პიდროიზოლაცია სრულდება 2-5 ფენა რულონური ან ფურცლოვანი პიდროსაიზოლაციო მასალისაგან მასტიკის გამოყენებით. ცხელი საწევი მასტიკები გამოიყენება იმ ტიპისა, რაც გამოყენება წაცხებადი პიდროიზოლაციის მოწყობისას. ცხელი მასტიკის ფენის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 1,5-2მმ-ს. რულონური მასალის გასაკრავად პორიზონტალურ ზედაპირზე, დასაშვებია ცივი გადახურვის მასტიკების გამოყენება, რომლის ფენის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 1მმ-ს.

გაკვერადი პიდროიზოლაციის მოწყობა რეკომენდირებულია მშრალ ამინდში. არანაკლებ 5გრად. ჰაერის ტემპერატურით. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ რულონური მასალები გაიკრას ერთმანეთის გადაფარვით გრძივად არანაკლებ 100მმ-ისა, და გრძივად 150-200მმ-ისა. ნაკერები დამატებით უნდა შეიფითხნოს მასტიკით, რომელიც გამოიწურება თითოეული ზოლის დაწევისას. დაუშვებელია რულონური მასალის გაკვრა ურთიერთპერპენდიკულარულად. ნაკერები არ უნდა იქნას განთავსებული უშუალოდ ერთიმეორეზე. მათი გაკერისას, რულონური მასალები გულდასმით უნდა იქნას მიბჯენილი ზედაპირს და ადრე გაკრულ შრეს სპეციალური ხელჯოხით. პორიზონტალური პიდროიზოლაციის მოწყობისას ასევე უნდა იქნას გამოყენებული 80-100კგ-იანი გორგოლაჭი ("კატოკი") რბილი ზედაპირით. ვერტიკალურ საიზოლაციო ზედაპირზე უნდა გაიკრას წინდაწინ დაჭრილი რულონური მასალის ნატრები 1,5-2მ-ის სიგრძისა, რომელიც უნდა გაიკრას ქვემოდან ზემოთ, გულდასმით გასწორებით. თავდაპირველად მასტიკა დაიტანება საიზოლაციო ზედაპირზე, ხოლო შემდეგ რულონურ მასალაზე.

განსაკუთრებულად გულდასმით უნდა შესრულდეს პიდროიზოლაცია გვერდიგვერდ განთავსებული საიზოლაციო ზედაპირების შემთხვევაში, პიდროსაიზოლაციო ფენის მიბჯენისას კომპესატორებთან და ჩასატან დეტალებთან. ამ ადგილებში უნდა გაიკრას დამატებითი ფენები, რომლის ზოლის სიფართოა არაუმეტეს 15სმ. შესაბამისი რულონური მასალები, აგრეთვე ლითონის ფურცლები და ბადეები იზოლაციის გასაძლიერებლად გადაეკვრება ან ჩაიდუნება ადგილზე, მათთვის მოცემული ფორმის მისაცემად. იმ შემთხვევაში, როცა გაკვერადი

იზოლაცია გადადის პორიზონტალურიდან ვერტიკალურ ზედაპირზე, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ პორიზონტალური რულონური პიდროიზოლაციის ბოლოები აეწეოს დროებით დამცავ კედლებს 1,2-1,5მ-ის სიმაღლეზე, რომელიც შენობის მთელ პერიმეტრზე უნდა იყვეს მოწყობილი მზიდი კედლების მოწყობამდე. მზიდი კედლების აშენების შემდეგ შემდეგ აღნიშნული დამცავი კედლების ზედა ნაწილები უნდა მოირღვეს და იზოლაცია უნდა გაგრძელდეს უკვე მზიდ კედლებზე. რულონური მასალების გადაბმა იზოლაციის გაგრძელებისას, უნდა მოეწყოს ფენებად საფეხურების სახით- 15სმ-იანი გადაფარვით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბოლო ფენის ხარისხს და მის ზედაპირულ დამუშავებას. აღნიშნული ბოლო ფენა ბიტუმის რულონური მასალებისა უნდა დაიფაროს 2-2,5მმ სისქის ცხელი ბიტუმის მასტიკის მთლიანი ფენით, ხოლო შემდეგ უნდა მოიყაროს მშრალი ცხელი ქვიშა, რომელის პორიზონტალური ზედაპირის შემთხვევაში უნდა ჩაისრისოს.

აუცილებელია ყურადღება მიექცეს, რომ ნაკევები, ჰაერის ბუშტულები, დაზიანებები, რომელიც შესაძლებელია აღმოჩნდეს მოსწორების შემდეგ.



აღმოფხვრილი იქნას. ამისათვის დაზიანების ადგილას, ჯვარედინად უნდა გაიჭრას პიდროსაიზოლაციო ფენა, გაჭრილი ნაწილები უნდა გადაიკეცოს და დაწუპდეს. შეკეთებულ ადგილას აწეკებენ რულონური მასალის ნაჭერს იმ ზომისას, რომ მან გადაფაროს ზემოთაღნიშნული ჭრილები 20სმ-ით ყოველი მიმართულებით.

- **ქვიშა-ცემენტის პიდროიზოლაცია.**

ამ ტიპის პიდროიზოლაცია რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას მაღალი ტენიანობის მქონე სათავსების კედლებისა და ჭების მოპირკეთებისას (მაგ. შან. კვანძებში, აბაზანებში, სამზარეულოში, სამრეცხაოში), აგრეთვე საძირკვლების, რეზერვუარების, მიმღებების დასაცავად.

წყლის დაწნევის არ არსებობის შემთხვევაში, ქვიშა-ცემენტის პიდროიზოლაცია შესაძლებელია მოეწყოს საიზოლაციო კონსტრუქციის როგორც შიდა, ისე გარე ზედაპირებზე. ხოლო დაწნევის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად პიდროიზოლაცია საჭიროა მოეწყოს დაწნევის მხრიდან.

სან. კვანძების მოწყობისას საცხოვრებელ შენობებში ფართოდ გამოიყენება ქვიშა-ცემენტის პიდროიზოლაცია პიდროფობიზირებადი და გამამკვრივებადი დამატებებით (მაგ. ნატრიუმის ალუმინატი, ქლოროვანი რკინა), აღნიშნული დანამატებით გაჯერება ქვ. ცემენტის ხსნარისა რეკომენდირებულია მოხდეს მცირე ულუფებად სამუშაო ადგილთან ახლოს.

ქვიშა ცემენტის ხსნარის მოსამზადებლად გამოიყენება პორტლანდცემენტი 300 და 400 მარკით და ჩვეულებრივი ქვიშა (საშუალო სიდიდის). ქვიშა-ცემენტის ხსნარი პროპორციით 1:3 უნდა გაჯერდეს 3%-იანი ნატრიუმ ალუმინატის ან რკინის ქლორიდის ხსნარით. ქვ. ცემენტის ხსნარის სამუშაო მოძრაობა უნდა იყოს დაახლოებით 2-4 სმ. წყალგაუმტარი მოჭიმვა უნდა მოეწყოს გასუფთავებულ და წყლით დანამულ ბეტონის საფუძველზე 3სმ სისქის ფენილით, კედლებზე ასვლით 10-12სმ-ის სიმაღლეზე.

სან. კვანძებში პიდროსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს, რომ ქვ. ცემენტის მოჭიმვაზე პირველი სამი დღის განმავლობაში პერიოდულად წყალი მოისხას. ფილების დაგებისას აუცილებელია მოჭიმვის დაცვა დაზიანებისაგან. პიდროსაიზოლაციო მოჭიმვის ხარისხის შესამოწმებლად სან. კვანძებში ხორციელდება წყლის დასხმით (2-3სმ-ის სიმაღლეზე) და შემდეგ დაკვირვებით პიდროიზოლაციაზე რაიმე დაზიანების აღმოჩენის მიზნით.

#### **10.4 პიდროიზოლაციის დამცავი ღონისძიებები.**

პიდროიზოლაციის ხანმდეგობა და მაღალი ხარისხის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი დამცავი ღონისძიებების დროული ჩატარებით. პიდროიზოლაციის დაცვა ხდება უშუალოდ გაკვრადი და წაცხებადი პიდროიზოლაციის ხარისხის შემოწმების შემდეგ. ამ მიზნით, ჩვეულებრივ პორიზონტალურ ზედაპირზე ეწყობა ცემენტის (შემადგენლობა 1:3-1:4) ან ასფალტის მოჭიმვა სისქით 2-3სმ. ვერტიკალურ ზედაპირებზე წინდაწინ ქვიშის მოყრა ხდება, ხოლო შემდეგ ილესება ცემენტის ხსნარით 2მ-ის სიმაღლეზე. 2მ-ის ზემოთ ილესება ლითონის ბადის გამოყენებით, რომელიც კონსტრუქციის ზემო ნაწილში მაგრდება და სწორდება ხალიჩაზე ბიტუმის ან მასტიკის მივლესვით.

კონსტრუქციის გარე კონტურებზე პიდროიზოლაციის დასაჭერად და შესანარჩუნებლად გაითვალისწინება აგურის ან რკინაბეტონის პლიტების დამცავი კონსტრუქციები. მანძილი პიდროიზოლაციასა და დამცავ კედელს შორის უნდა შეივსოს წყობის ხსნარით 50 მარკისა. შემდეგ დამცავ კედელს აყრიან მიწას შრეებად სისქით 10-12სმ, ყოველი შრის გულდაგულ გამკვრივებით.

შიდა პიდროიზოლაციის დაჭერა და დაცვა, ხორციელდება რკინაბეტონის პერანგით. პორიზონტალური პიდროიზოლაციის ზედაპირის დაცვა ხდება მისი ზემოდან 5-15მმ. ხრეშის მოყრით, რომელიც დრენაჟად გამოიყენება. აღნიშნული ფენის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 50მმ. ხრეშის ფენის მოწყობა უშუალოდ პიდროიზოლაციის ხალიჩაზე დამცავი მოჭიმვის მოწყობის გარეშე დაუშვებელია.





## 10.5 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოება ზამთარში.

ზამთარში ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოებისას უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საწყობისა და მოწყობილობების მაქსიმალურად დაახლოება სამუშაო ადგილთან. აკვრადი ქვ. ცემენტის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების წარმოება დასაშვებია არაუმეტეს 5 გრად. წაცხებადი ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები უნდა შეწყდეს, რადგან ამ პირობებში შესრულებული სამუშაოები დაბალი ხარისხის იქნება.

ზამთარში აუცილებელია ყურადღება მიექცეს საიზოლაციო კონსტრუქციების გათბობას დადებით ტემპერატურამდე. დაუშვებელია გრუნტირების მოწყობა და მასტიკის წაცხება, ასევე რულონური მასალების გაკვრა სველ, გაყინულ ან თოვლისაგან გაუწმენდავ ზედაპირზე.

რულონური მასალებს ამყოფებენ თბილ სათავსებში, დადებით ტემპერატურამდე მათ გასათბობად და ამუშაებენ ძნელად აორთქლებადი ხსნარებით. უცილებელია ჰიდროსაიზოლაციო ხსნარების ტემპერატურის კონტროლი მათი როგორც დამზადების, ისე გამოყენებისას. ზამთარში დამცავი კედლები უნდა დაიფაროს მშრალი გრუნტით.

## 10.6 ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების მიღება

ჰიდროსაიზოლაციის ხანმედგობა დიდწილადაა დამოკიდებული მისი შესრულების ხარისხზე. ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ყველა ეტაპზე ფარულია, რის გამოც მისი მიღება ხდება ყოველი დასრულებული ეტაპის დამოუკიდებლად მიღებით, და შესაბამისი აქტის გაფორმებით. ამ აქტში აღინიშნება სამუშაოების ხარისხი და დასტურდება დეფექტების არ არსებობა. წინასწარი მიღებისას თავდაპირველად მოწმდება საიზოლაციოდ გამზადებული კონსტრუქციების ზედაპირები, ხოლო შემდეგ ყოველი ფენა ცალ-ცალკე განსაკუთრებულად უნდა შემოწმდეს სადეფორმაციო ნაკერების კომპლექტორები, რომელთა მიღება სპეციალური აქტით ხდება.

შესრულებული სამუშაოების მიღებისას მოწმდება იზოლაცია, განსაკუთრებით შეერთებებისა და გადაბმების ადგილას, იქ სადაც მილსადენები გადის. მოწმდება გამოყენებული მასალების ხარისხი ლაბორატორიული გამოკვლევებით. აუცილებლობის შემთხვევაში ხდება იზოლაციის ამოჭრილი ნაწილის შემოწმება ინსტრუმენტულად.


საბოლოო მიღებისას მოწმდება: კონსტრუქციის იდენტურობა პროექტთან; საიზოლაციო ფენების მთლიანობა; საიზოლაციო ფენის ზედაპირთან მიკვრის სიმტკიცე, ამასთან ყოველი ფენისა ერთმანეთთან; საპაერო გამონაბერების არ არსებობა; შეერთების ადგილების ჰერმეტიკულობა; მექანიკური დაზიანებების არ არსებობა;

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების საბოლოო მიღება ხდება წინასწარი აქტების, ლაბორატორიული კვლევის შედეგების, დეფექტების აღმოფხვრის აქტების შეჯერების შემდეგ.

## 11. კარ-ფანჯრის ბლოკების ჩაყენება

ქვის (ბლოკი, აგური) შენობებში კარ-ფანჯრის ბლოკების ჩაყენება ხდება წყობის პროცესში ჰორიზონტალური და ვერტიკალური დონეების დაცვით. მათი მონტაჟი ხდება სამონტაჟო ქაფის გამოყენებით. ყველა ბლოკი თანაბრად უნდა იყოს დაშორებული კედლის გარე ზედაპირიდან. ხის და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის ბლოკების გარე კედლებთან შეხების ადგილები მუშავდება საიზოლაციო პასტით და მათი დაცვა ხდება ჰიდროსაიზოლაციო შუასადებებით (ტოლი, პერგამინი). ღრიტოები ჩარჩოსა და გარე კედლებს შორის საიმედოდ იგმანება თბოსაიზოლაციო მასალებით, ხოლო ღრიტოები ჩარჩოსა და შიგა კედლებს შორის ბგერა საიზოლაციო მასალებით.

კარ-ფანჯრის ჩარჩოებს ქვის კედლებში ამაგრებენ სპეციალური სამაგრებით, რომლებსაც ჭედავენ წყობაში წინასწარ ჩატოვებულ ხის ანტისეპტირებულ საცობებში ჩარჩოების გვერდითა ხის ვერტიკალურ ძელებს ამაგრებენ სპეციალური სამაგრებით არანაკლებ 1.5 მ სიმაღლეზე.





კარ-ფანჯრის ბლოკების ჩაყენება შიგა შეღესილ კედლებში და ტიხრებში, როცა ღიობებს უკეთდება საპირეები, ჩარჩოები უნდა გამოიწიოს კედლის ზედაპირიდან ღესვის სისქეზე, რათა საპირე მჭიდროდ ეხებოდეს ჩარჩოს გარე საზღვარს და შეღესილ კედელს.

გარე საწვიმელი კეთდება ცემენტის ხსნარით ან მოთუთიებული თუნუქით ქვიშა-ცემენტის მომზადებულ ზედაპირზე. საწვიმელი უნდა გამოიწიოს კედლის ვერტიკალური ზედაპირიდან 40 მმ-ზე საცრემლე ღრუბელის („გუბკის“) მოწყობით.

- **ფანჯრის რაფების დაყენება**

ფანჯრის რაფები ქვის (ბლოკი, აგური) კედლების ღიობებში ეწყობა შეღესილი სამუშაოების დაწყების წინ. ანჯრის რაფების ფიცრები სიგანით 12 სმ-ზე მეტი ეწყობა აუცილებლად სიგანეზე ფიცრით სისქით 54მმ და სიგანით 10სმ-ზე ნაკლები ერთმანეთთან ერთდება სოგმანებით წებოზე. რაფის სიგრძე განისაზღვრება შეღესილი ღიობის სიგანით. რაფები ეწყობა უმნიშვნელო ქანობით შიგა სათავსოსაკენ (0.01) რაფის ქვედა ზედაპირი იფარება ანტისეპტირებული ლაქით. რაფები იდება ტოლის ქვესადებზე, წყობაში მოყოლილი რაფის ნაწილები იფუთება ტოლით. ფიცრის ბოლოების წყობაში შესული ადგილები იგმანება ალიბასტრით. შენობის ერთ სათავსოსში მოწყობილი რაფები განლაგებული უნდა იყოს ერთ ღონეზე.

## 12. სანტექნიკური სამუშაოები

- **სანტექნიკური სისტემების მონტაჟი**

შიდა სანტექნიკური სისტემების მონტაჟის დაწყებამდე უნდა შესრულდეს შემდეგი სამუშაოები:

სამშენებლო კონსტრუქციების მონტაჟი (გადახურვა, კედლები, ტიხრები), რომლებზეც შემდგომში დამონტაჟდება სანტექმოწყობილობები;

კანალიზაციის გამყვანებისათვის შენობიდან პირველ ჭამდე ტრანშეის მოწყობა; გარე სანტექნიკური სისტემების კომუნიკაციების შენობაში შემყვანების მოწყობა;

შენობის სამშენებლო კონსტრუქციებში ხერხელების, ღარების და ნიშების მოწყობა მილსადენების და ჰაერსატარების მოსაწყობად;

ფანჯრების ბლოკების და რაფების მოწყობა;

სანიტარული და გასათბობი ხელსაწყოების მოწყობის ადგილებში უნდა გაიღესოს კედლები და ნიშები;

სამშენებლო კონსტრუქციებში ჩასატანებელი დეტალების მოწყობა მილსადენების, ჰაერსატარების და დანადგარების დამაგრებისათვის;

ყველა ოთახში გარე და შიდა კედლებზე დატანილ იქნას იატაკიდან 500მმ ნიშნული.

სანტექნიკური სისტემების მონტაჟის დროს არ დაიშვება ადრე შესრულებული ზედაპირის დაზიანება.

კვანძები და დეტალები სანტექნიკური სისტემებისათვის უნდა იქნას ტრანსპორტირებული კონტეინერებით და თან უნდა მოყვებოდეს თანდართული დოკუმენტაცია შესაბამისი მარკირებით.

გათბობის, თბომომარაგების, შიდა ცივი და ცხელი წყალსადენის სანტექნიკური სისტემების კვანძები, ვენტილები, ონკანები, ურდულეები, ელევატორები და სხვა უნდა იქნას გამოცდილი ჰერმეტიულობაზე მათი დამზადების ადგილზე შესაბამისად სახ. სტ. 25136 – 82 და სახ. სტ. 24054 – 80.

ფოლადის მილების და მათგან დამზადებული კვანძების მიერთება უნდა შესრულდეს შედუღებით, კუთხვილით, ქანჩით ან მილტუჩით. მოთუთიებული ფოლადის მილების, კვანძების და დეტალების მიერთება როგორც წესი სრულდება ხრახნით მოთუთიებული მისაერთებელი ნაწილების ან არამოთუთიებული ნაჭელი თუჯისაგან, ქანჩებით და მილტუჩით. მოხვევებს მილსადენებზე ასრულებენ:



- თბომეურნეობის და გათბობის სისტემებში მიღების მოღუნვით ან უნაკერო ნახშირბადოვანი ფოლადის წამგვარის მეშვეობით (отвод) შესაბამისად სახ. სტ. 17357 - 83, რომლის ღუნვის რადიუსი 40მმ -მდე დიამეტრის მიღებისათვის უნდა იყოს არა ნაკლებ გარე დიამეტრის (D) 2.5, 40 - 50მმ - 3.5 (D);

- ცივი და ცხელი წყალმომარაგების სისტემებში მუხლის დაყენებით შესაბამისად სახ. სტ. 8946 - 75, წამგვარის ან მიღების მოღუნვით (100მმ - ზე მეტ დიამეტრისათვის - მხოლოდ წამგვარიანი მიღების მოღუნვა). ღუნვის რადიუსი - არა ნაკლებ 1.5 მილის პირობითი გატარებისა.

- შენადული მიღების მოღუნვის დროს ნაკერი უნდა იყოს გარე მხრიდან 45 გრადუსით ღუნვის სიბრტყესთან.

მილის კუთხვილის მიერთებების შემჭიდროებას ასრულებენ სითბოს შემცველის 378K (105° C) ტემპერატურაზე ლენტით „ფტოროპლასტიური“ სამჭიდროებელით („фторопластовый уплотнитель - ФУМ“) ან სელის წნით, გაუქვნილი ახელილი ოლიფაში ტყვიის სურინჯით.

როცა სითბოს შემცველის ტემპერატურა აღემატება 378K საკონდენსაციო ხაზებისათვის - ლენტით. სამჭიდროებელი ზედდება თანაბარი ფენით კუთხვილის მიმართულებით და არ უნდა ჩანდეს მილის შიდა და გარე მხრიდან.

მისაერთებელი მილტუნას შეერთება სრულდება როცა სითბოს შემცველის ტემპერატურა 423K (150° C) ნაკლებია 2-3მმ სისქის პარონიტით ან 4მმ ფტოროპლასტიტით; 403K (130° C) - თერმოგამძლე რეზინის შუასაღებით.

მილტუნას აერთებენ მილთან შედუღებით. მილტუნის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი ხიწვის გარეშე. ჭანჭიკის თავებს ათავსებენ ერთი მხრიდან (ვერტიკალურ მონაკვეთებზე ზევიდან). ჭანჭიკის ბოლოები არ უნდა ცდებოდნენ ქანჩს ჭანჭიკის 0.5 დიამეტრზე მეტს, ხოლო საერთებელი მილტუნის შუასაღებებში - გადახურონ ნახერეებები ჭანჭიკისათვის.

თუჯის საკანალიზაციო მიღების შემჭიდროებას ასრულებენ სელის ბაგირით შესაბამისად სახ. სტ. 483 - 75 ან გაუქვნილი ძენძის ლენტით შესაბამისად სახ. სტ. 16183 - 77 შემდგომში მისი თხევადი გოგირდით შევსებით შესაბამისად სახ. სტ. 127 - 76 გამდიდრებული კოალინის დამატებით შესაბამისად სახ. სტ. 19608 - 84, ან თიხამიწოვანი თაბაშირის საფართოებელი ცემენტით.

ჰაერსატარები და სავენტილაციო სისტემების დეტალები მზადდება მუშა დოკუმენტაციის შესაბამისად:

11. სამონტაჟო - შედუღების სამუშაოების შესრულებისას:

მილსაღებებზე გასართი მიერთებები სრულდება არმატურასთან, რომელიც ექსპლუატაციისათვის მისადგომად ადვილია;

12. დგარის გადახრა ვერტიკალურად დაშვებულია ყოველ 1 მეტრზე 2მმ-ზე ნაკლები;

13. მანძილი გაღესილი ან მოპირკეთებული ზედაპირიდან არაიზოლირებული მილის ღერძამდე, რომლის პირობითი დიამეტრი 32 მმ-მდეა უნდა იყოს 35 - 55მმ, 40 - 50მმ დიამეტრისათვის - 50მმ-დან - 60მმ - მდე, ხოლო დიამეტრისათვის 50მმ - ზე მეტი - პროექტის შესაბამისად.

14. არ დაიშვება სამაგრის ამოვსება ხის საცობით, აგრეთვე მილის მიღუღება სამაგრი საშუალებებთან;

15. მანძილი პორიზონტალური თუჯის საკანალიზაციო მიღების სამაგრების საშუალებების შორის უნდა იყოს 2მ - ზე ნაკლები, ხოლო ვერტიკალური - ერთი სამაგრი სართულზე.

16. სამაგრი საშუალებები თავსდება მილძაბრის ქვეშ;

17. გასათბობი ხელსაწყოების მიმყვანებს სიგრძით 1500მმ - ზე ზევით ესაჭიროება სამაგრი;

18. სანტექნიკურდანიადგარებს და ხელსაწყოებს აწყოვენ შვეულით და თარაზოთი.

სანიტარული ხელსაწყოების და წყალსადები არმატურეს დამაგრების სიმაღლე იხ. ცხრილი 1  
ცხრილი 1



დასახელება	სუფთა იატაკის ღონიდან ზედა ქიმაძღე	სანიტარული ხელსაწყოების ზედა ქიმიდან წყალსადები არმატურის ღერძამდე
პირსაბანები	80 - 20	
იგივე, საერთო შემრევის აბაზანისათვის და პირსაბანისათვის დაყენების შემთხვევაში	850 - 20	
ნიჟარები და სამრეცხაო ზევით განთავსებული ჩამრეცხი ავზაკი უნიტაზისათვის (ავზაკის ძირამდე)	850 - 20	
წყალსადები ონკანები და პირსაბანების შემრეველები	-	250 - 20
იგივე, სამრეცხაო	-	
ტუალეტის ონკანები და პირსაბანების შემრეველები	-	200 - 20
შემრეველები აბაზანისათვის	-	200 - 20
საერთო შემრეველები აბაზანისათვის და პირსაბანებისათვის	-	800 - 20
შემრეველები შხაპისათვის	-	1100 - 20
საშხაპე ბადეები (ბადის ძირამდე)	-	1200 - 20
		2100 - 2250

შიდა კანალიზაციის და წყალსადენის მონტაჟის დროს მილის და ფასონური ნაწილების მილდაბრები უნდა იყოს მიმართული წყლის დინების საწინააღმდეგ. უნიტაზის გამომშვებებს უერთებენ უშუალოდ გამყვანი მილის მილდაბრთან ან გამყვანი მილით თუჯის, პოლიეთილენის მილდენით ან რეზინის ქუროთი. უნიტაზი მავრდება იატაკზე შურუპით ან იწებება წებოთი. უნიტაზის შურუპით დამაგრების შემთხვევაში უნიტაზის ძირის ქვეშ ათავსებენ შუასადენს.

### 13. ელექტროტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი

- მოსამზადებელი სამუშაოები

გენმოიჯარადე ობიექტის საამშენებლო ნაწილს, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებისათვის აბარებს აქტით. საცხოვრებელ სახლებს სექციებად, საზოგადოებრივ შენობებს - სართულბად (ან შენობებად). სამონტაჟოდ გადასაცემად გამზადებულ შენობებში, გადახურვის ფილებს, საკედლე პანელებს და ტიხრებს უნდა ჰქონდეს არხები (მილები) სადენების ჩასაწობად. ნიშები, ბუდეები, შტეფსელების, ამომრთველების და გამანაწილებელი კოლოფების ჩასაყენებლად, ზარის და ზარის დილაკებისათვის. არხებისა და ჩამონოლითებული არამეტალური მილების გამსვლელი კვეთების განსხვავება საპროექტოსთან არ უნდა აღემატებოდეს 15% -ს. ბუდეებისა და ნიშების გადადგილება, სამშენებლო კონსტრუქციების შეერთების ადგილებში, დასაშვებია არა უმეტეს 40 მმ-ისა.

სადირკვლებში, კედლებში, ტიხრებში, გადახურვებში და სახურავებში მოწყობილი უნდა იყოს საპროექტო ხვრელები (დიამეტრით 30 მმ. მეტი), ღარები, ნიშები, ბუდეები. აგრეთვე ხვრელები, ბეტონის ლუსმნის, სარჭის და საყრდენ-დამჭერი კონსტრუქციების პალოებისათვის 30 მმ-ზე ნაკლები დიამეტრით. ტექნოლოგიური პირობებით გაუთვალისწინებელ სამუშაოებს ასრულებს ელექტრო მამომტაჟებელი ორგანიზაცია სამუშაოთა წარმოების ადგილზე. გენმოიჯარადე ვალდებულია შეასრულოს: ხვრელების, არხების, ნიშებისა და ბუდეების ჩალესვა. საყრდენი კონსტრუქციების მონტაჟი ხორციელდება ჩასატანებელ დეტალებთან ან სამაგრ ნაკეთობებთან ( ბეტონის ლუსმნებთან, პალოებთან და სარჭებთან) შედუღებით. დამაგრების ხერხები მიეთითება პროექტით.



საცხოვრებელ სახლებში - უჯჯაჲწწო კაბელი და ყველა სადენი უწკავ კედლებში (ტიხრებში) და სართულშუა გადახურვებში ეწყობა მიღების ნაჭრებში (ხანძარსაშიშ კედლებსა და გადახურვებში – მხოლოდ ფოლადის მიღებში). გარსაცმი მიღები სადენების ჩაწყობის შემდეგ თავსა და ბოლოში იკოლება ადვილადმოცილებადი ცეცხლმედეგი მასით, რომელიც უზრუნველყოფს კონსტრუქციის შესაბამის ცეცხლმედეგობას.

- **სადენების ღია და ფარული გაყვანილობის მოწყობა**

ასეთი გაყვანილობის მოწყობა დასაშეგბია მხოლოდ +15 გრადუს ტემპერატურაზე.

ღია ჰორიზონტალური გაყვანილობის შემთხვევაში სადენები ეწყობა კედლებზე, კედლებისა და ჰყერის გადაკვეთის ხაზის პარალელურად ისე, რომ მანძილი ჰყერამდე ან კარნიზამდე იყოს არანაკლებ 100 მმ-ისა და არა უმეტეს 200 მმ-ის.

	<p>სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირება შესაძლებელი იქნება შემდეგი ძირითადი პირობების დაცვით: სამშენებლო ტერიტორიის შემოღობვა და სათანადო ნიშნების დაყენება მთელ პერიმეტრზე, ნარჩენების სათანადო მართვა და მუდმივი მონიტორინგი, სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული მექანიზმების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, სამშენებლო სამუშაოებისთვის ნაკლებად სენსიტიური პერიოდის (დღის განმავლობაში) შერჩევა, საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობამ უნდა მიიღოს შესაბამისი განმარტებები.</p> <p>პერსონალის მთელ შემადგენლობას მკაცრად ეკრძალება პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დეკორატიული ნარგავების მოჭრა/დაზიანება. სამშენებლო საქმიანობის წარმოების სიახლოვეს და აღნიშნული სამუშაოების წარმოების ტერიტორიის ფარგლებში არსებული დიდი ხეები უნდა მოინიშნოს და დაცული უნდა იქნას შემოღობვით, აუცილებელია ასევე მათი ფესვთა სისტემის დაცვა და ხეების ნებისმიერი სახის დაზიანების თავიდან აცილება.</p> <p>საზოგადოებრივი ტუალეტიდან და სხვა ობიექტებიდან ჩამდინარე წყლის დაცლა მოხდება ქალაქის ქსელში.</p> <p>მიწის სამუშაოების წარმოების დროს შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ</p>
--	--



	<p>უნდა შეწყვიტოს ფიზიკური სამუშაოები და აცნობოს მგფ-ს. მგფ თავის მხრივ დაუყონებლივ აცნობებს აღნიშნულის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას შემდგომი საქმიანობის შესახებ. სამუშაოების აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სააგენტოს წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამინისტროს წერილობითი ნებართვის საფუძველზე.</p> <p>ზოოპარკის მუშაობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შერბილების მიზნით უნდა მოხდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენება: დისტანციის დაცვა ბარიერებიდან და ნიშნებიდან ცხოველებსა და ვიზიტორებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბარიერებზე ასვლა, მათზე ბავშვების განთავსება, საგნების სროლა შემოდობილ ტერიტორიაზე და ა.შ.; უნდა მოხდეს ვიზიტორების მონიტორინგი, რათა თავიდან იქნას აცილებული მათ მიერ ცხოველების გამოკვება, შეწუხება, ან გაღიზიანება; ბავშვების (14 წლის ქვემოთ) მუდმივი ზედამხედველობა; ზოოპარკის ვეტერინარმა რეგულარულად უნდა შეამოწმოს ცხოველები და ავადობის, ტრავმის, ან ანომალური ქცევის დაფიქსირების შემთხვევაში, აცნობოს პარკის მენეჯერს.</p> <p>რეგულარულად უნდა მოხდეს ინტერიერების და ექსტერიერების, სერვის ტერიტორიების და ცხოველების სიახლოვეს არსებული საჯარო სივრცეების დასუფთავება;</p>
--	--

	<p>ტექნიკურად კომპეტენტური ვეტერინარების და დამხმარე პერსონალის ადეკვატური რაოდენობის შენარჩუნება.</p> <p>ექსპლოატაციის ეტაპზე წარმოქმნილი მყარი ნარჩენების და კანალიზაციის სათანადო მართვა ხელს შეუწყობს გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას და/ან მინიმუმამდე დაყვანას.</p> <p>კონტრაქტორი დანიშნავს კონკრეტულ პირს (ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტს), რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამუშაო ტერიტორიის უსაფრთხოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აზბესტის შემცველი ნარჩენების უსაფრთხო მართვას. გატარდება პრევენციული ღონისძიებები იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული საზოგადოების უარი მსგავსი ნარჩენების გადაყრაზე და ეს მიღწეული იქნება დროული კომუნიკაციით და აზბესტის შემცველი საგნების ხელახალი გამოყენების საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.</p>
<p><b>წარსულში</b> განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (მგფ) გააჩნია ფართო გამოცდილება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამუშაო და დიდი მასშტაბის შენობების და სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტების განხორციელებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ქვე-პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ პარკის რეაბილიტაცია გორში, არამედ ასევე საზოგადოებრივი ტუალეტების და გარე განათების მოწყობა,</p>



	<p>რაც შესაძლებელს გახდის პარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებას როგორც დღის, ასევე ღამის განმავლობაში.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა ონლაინ, ზუმის აპლიკაციის გამოყენებით გაიმართა 2020 წ. 21 სექტემბერს. აღნიშნული სახით შეხვედრის გამართვა მოხდა ქვეყანაში COVID-თან დაკავშირებული პანდემიის გამო და გორში ახალბადის პარკის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ეკოლოგიური და სოციალური საკითხების განხილვის მიზნით.</p> <p>ინფორმაცია თარიღის/დროის და მდებარეობის (ონლაინ) შესახებ წარმოდგენილი იყო მგფ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. განცხადებები განთავსდა ქ. გორის მერიის ოფისში და ახალბადის პარკთან ახლოს. ამასთან, მგფ ტელეფონით დაუკავშირდა ძირითად ბენეფიციარებს და აცნობა მათ ონლაინ შეხვედრის თარიღის/დროის და აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობისთვის საჭირო ონლაინ პროცედურების შესახებ. შეხვედრის დაწყებისას, Facebook-ში ძალიან შეზღუდული რაოდენობის პირი შემოვიდა. ეს პრობლემა სწრაფად გადაიჭრა Zoom აპლიკაციაზე გადართვის მეშვეობით, ეს აპლიკაცია დასწრების მსურველთათვის უფრო ხელსაყრელი გამოდგა.</p>



(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგების საფუძველზე,

ქვე-პროექტი განეკუთვნება გარემოს დაცვით შემდეგ კატეგორიას:

- A
- B
- C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

- 1. ქვე-პროექტი უარყოფილია
- 2. ქვე-პროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

- 1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას
- 2. ეკოლოგიურ და სოციალურ შესწავლას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით





სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბედელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა

5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	√	
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას <b>OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			

პარკის არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო ინფორმაცია; 66.45.26.366; 116517 კვ.მ.) რეგისტრირებულია მუნიციპალურ საკუთრებად. სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება დაგეგმილია აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (7.5 ჰა).

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2008 წ. 04 მარტის #03/36 ბრძანების თანახმად, გორის ახალბარის პარკს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ქონების სტატუსი, რადგან ის გამორჩეულია, როგორც მეზღობის ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის ნიმუში. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსის მქონე ობიექტები საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელსაც გასცემს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ. დეტალური ტექნიკური პროექტი შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.



ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის  
გეგმა

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია

მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, დეცენტრალიზაციის და რეგიონული განვითარების კუთხით არსებული გამოწვევების მოგვარების პროცესში. აღნიშნული მხარდაჭერა გამოიხატება რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე მიმდინარე პროექტის (SRMIDP) განხორციელებით - 2014 წლიდან. 2020 წელს, საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა განაცხადა თანხმობა, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) და მსოფლიო ბანკი შეთანხმდნენ, რომ რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების ფარგლებში, დაცული იქნება დამტკიცებული კონცეფცია და რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) ტექნიკური პროექტი.

პროექტის განვითარების მიზანია ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ხარისხიან მუნიციპალურ სერვისებზე და ინფრასტრუქტურაზე. პროექტი შედგება ორი ნაწილისაგან (ნაწილი „ა“ და ნაწილი „ბ“).

**ნაწილი „ა“**

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია, პროექტის მართვა და მონიტორინგი (i) ეხმარება შერჩეულ მუნიციპალიტეტებს, რომ ამ უკანასკნელებმა უზრუნველყონ ძირითადი მუნიციპალური სერვისები და ინფრასტრუქტურა, ურბანულ თემებსა და სოფლებში; (ii) ჩამორჩენილ რეგიონებში მცხოვრებ თემებს, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულები ეკონომიკურ აქტივობებში, შესაძლებლობა ეძლევათ, რომ მიიღონ ძირითადი სერვისები და ისარგებლონ ინფრასტრუქტურული ობიექტებით; (iii) ხელი შეუწყონ კერძო კაპიტალის მობილიზაციას შერჩეულ ქალაქებსა და სოფლებში - საჯარო-კერძო ინიციატივის (PPI) ფარგლებში დამატებითი რესურსების მინიჭების შესაძლებლობით.

**ნაწილი „ბ“**

კომპონენტი 2: გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე საპასუხო რეაგირება წარმოადგენს ახალ კომპონენტს, რომელიც დაემატა პროექტს, დამატებითი დაფინანსების შემდეგ. აღნიშნულ

კომპონენტზე ამჟამად ნულოვანი (სახსრებია) გამოყოფილი, თუმცა შესაძლებელია საპროექტო სახსრების სწრაფი წესით გადანაწილება სხვა კომპონენტებიდან, მთავრობის მიმართ სასწრაფო საპასუხო რეაგირების მიზნით, საქართველოში კრიზისის, ან საგანგებო მდგომარეობის დადგომის შემდეგ.

გორის ახალბადის პარკის რეაბილიტაციის პროექტი რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების II პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების ნაწილია. ის მომზადებული, განახლებული და დამტკიცებულია და მისი განხორციელება მიმდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.

### 1.2. ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში „მგფ“) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ფინანსური რესურსების ინვესტირებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სერვისებში და ძირითადი ეკონომიკური და სოციალური სერვისების გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის (თემებისთვის), მდგრად საფუძველზე. მგფ წარმოადგენს რეგიონული განვითარების პროექტის (RDP) განმახორციელებელ ორგანიზაციას და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, ისევე როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის პოლიტიკის გამოყენებაზე.

მგფ, ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშებს (SAR), გარემოს დაცვის თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, მოამზადებს და წარუდგენს მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად. აღნიშნული გარემოსდაცვითი დოკუმენტები, საჭიროებისამებრ, შესაძლოა მოიცავდეს ეკოლოგიურ და სოციალურ მიმოხილვას (ESR), გარემოს დაცვით და სოციალური მართვის გეგმასთან (ESMP) (აღნიშნული დოკუმენტი (ESMP) მომზადებული უნდა იყოს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიის გამოყენებით) და განსახლების სამოქმედო გეგმასთან ერთად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და გორის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას შორის გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების შეთანხმების მიხედვით, რეაბილიტირებული ობიექტების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გორის მუნიციპალიტეტს. პარკი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და დეტალური



ტექნიკური პროექტი შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

### 1.3. კანონმდებლობა და რეგულაციები

საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის (2017) თანახმად, ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) მომზადებას და გარემოსდაცვითი დასკვნის მიღებას.

ქვე-პროექტით ამოქმედებულია გარემოსდაცვითი შეფასებით (OP/BP 4.01) და ფიზიკური კულტურული რესურსებით (OP/BP 4.11) განსაზღვრული სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა. ხსენებული პოლიტიკის და აღნიშნული პროგრამისთვის (SRMIDP) შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი განეკუთვნება B (+) კატეგორიას, რაც მოითხოვს ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვის (ESR) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მომზადებას, გარემოს დაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

## 2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს გორის ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს არსებულ დასასვენებელ საზოგადოებრივ პარკს, შესაბამისი ობიექტებით. აქ არის დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული ატრაქციონები (მათ შორის ავტოდრომი ბავშვებისათვის), სხვადასხვა სახის და მცირე ზომის არქიტექტურული ნაგებობები, შადრევნები, მწყობრიდან გამოსული ღია სცენა, ამფითეატრი, ადმინისტრაციული შენობა, კაფე („ოდესა“), ტუალეტი, პატარა ზოოპარკის ფრინველთა ვოლიერები, მცირე მოცულობის ხელოვნური ტბა, კოლონადები. გურამიშვილის ქუჩიდან პარკამდე არის რამდენიმე მისასვლელი.

პარკის არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო ინფორმაცია; 66.45.26.366; 116517 კვ.მ.) რეგისტრირებულია მუნიციპალურ საკუთრებად. სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება დაგეგმილია აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (7.5 ჰა).

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- არსებული დაზიანებული კონსტრუქციების და მწყობრიდან გამოსული ატრაქციონების დემონტაჟი;
- ახალი ღობის მოწყობა პარკის მთელი პერიმეტრის გარშემო;

- საინფორმაციო ბანერის განთავსება ახალბადის პარკის შესასვლელში;
- ამფითეატრის რეკონსტრუქცია;
- ხელოვნური პატარა ტბის და შემაერთებელი არხების რეაბილიტაცია;
- ბავშვებისთვის განკუთვნილი ავტოდრომის ატრაქციონის რეაბილიტაცია;
- ველოსიპედების ბილიკების რეკონსტრუქცია;
- ველოსიპედებისათვის ბილიკის მოწყობა, პატარა ხიდზე;
- საზოგადოებრივი ტუალეტის რეკონსტრუქცია, მათ შორის, ინფრასტრუქტურის დამხმარე ელემენტების მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, მათ შორის, აზბესტო-ცემენტის მასალით გადახურული სახურავის (144 მ2) შეცვლა;
- ღია ცის ქვეშ არსებული პლატფორმის/სცენის და კაფე „ოდესას“ (ამჟამად არ ფუნქციონირებს) რეაბილიტაცია;
- ავტოდრომის, კოლონადების, იოსებ სტალინის ძეგლის და ნიკო ლომოურის ბიუსტის რეაბილიტაცია;
- პლატფორმების მოწყობა პატარა ხელოვნური ტბის სიახლოვეს;
- მცირე საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაცია ხელოვნურ ტბაზე;
- ღია ცის ქვეშ სავარჯიშო ობიექტების, ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების და სამაგიდო თამაშებისთვის სივრცეების მოწყობა;
- პავილიონების, კაფის და საზოგადოებრივი ტუალეტის სავენტილაციო სისტემის მოწყობა;
- გარემო ტერიტორიის კეთილმოწყობა: ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა;
- ღობის მოწყობა პატარა ზოოპარკთან;
- ფეხბურთის პატარა სტადიონზე (ფუნქციონირებს) მაყურებელთა ტრიბუნების მოწყობა;
- გარე განათების მოწყობა ქვე-პროექტის მთელ ტერიტორიაზე;
- ე.წ. ფამფთრექის და სკეიტპარკის მოწყობა სპორტის ექსტრემალური სახეობის მოყვარულთათვის;

ე.წ. ფამფთრექი წარმოდგენს 2.5 მ. სისქის დატალღულ ასფალტის ბილიკს (ასფალტის სისქე 5სმ). სკეიტპარკი წარმოადგენს ბეტონის მოედანს, რომელიც ოთხ ძირითად დონედ არის დანაწევრებული. სკეიტპარკის მოწყობა გულისხმობს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის მოსამზადებელ სამუშაოებს - ტერიტორიის დასუფთავება, გრუნტის მომზადება, საყრდენი კედლის და ფუნდამენტის მოწყობა,



ყალიბებისა და ლითონის სამუშაოები, ზადისა და არმატურის მოწყობა, და ბოლო ეტაპზე ბეტონის ჩასხმა და გაშრობა.

- პარკის გამწვანების სამუშაოები

გათვალისწინებულია გამწვანების შემდეგი სამუშაოები: არანაკლებ 115 სახეობისა და ჯიშის მცენარის დარგვა, 12530 კვ. მ. გაზონის გაშენება, არანაკლებ 16 სახეობის 82 ერთეული დეკორატიული ხის დარგვა, არანაკლებ 45 სახეობის 3156 ერთეული დეკორატიული ბუჩქის დარგვა, მათ შორის ცოცხალი ღობის გაშენება, არანაკლებ 31 სახეობის 4702 ერთეული დეკორატიული მრავალწლოვანი ზალახოვანი მცენარის დარგვა, არანაკლებ 10 სახეობის 103 ერთეული მხვიარა დეკორატიული მცენარის დარგვა, არანაკლებ 13 სახეობის 1750 ერთეული დეკორატიული ერთწლოვანი ზალახოვანი ყვავილდეკორატიული მცენარის დარგვა.

გამოვლენილი ზეხმელი, ხმობადი და/ან ფუნქციურ-ესთეტიურად შეუსაბამო მიზეზით, იგეგმება 70 ერთეული ხის და 2 ერთეული ბუჩქის მოჭრა (მათ შორის ისეთი სახეობები როგორცაა ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), თუთა შავი (*Morus nigra*) და თუთა (*Morus alba*), ქლიავი (*Prunus domestica*), თეთრეკალა (*Lycium barbatum*), ალვის ხე (*Populus nigra italica*), ბუჩქნარი ძირითადად ასკილი (*Rosa sp.*), ნაძვი ვერცხლისფერი (*Picea oungens*), პირშუშხა (*Spartium junceum*), თეთრი ხვალო (*Populus alba*), ალუბალი (*Prunus cerasusu* - ეს სახეობები არ წარმოადგენენ წითელი ნუსხის სახეობებს) და 215 ერთეული ხისა და 286 ერთეული ბუჩქის გადარგვა. ასევე იგეგმება ხეების სხვლა-ფორმირების სამუშაოები.

- გამწვანების ავტომატური სარწყავი სისტემის მოწყობა;

სარწყავი სისტემის წყაროს წარმოადგენს არსებული Ø110მმ მილი, რომელიც მდებარეობს ტერიტორიაზე არსებულ ცენტრალურ შადრევანთან. გარდა ამისა, დამატებით წყაროს წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული Ø300მმ-იანი ჭაბურღილი, რომელშიც უნდა დამონტაჟდეს ჭაბურღილის ტუმბო მაჩვენებლებით: (Ø150მმ, Q=42 მ3/სთ, H=46მ, N=7.5 კვტ.)

სარწყავი წყლის ორივე წყარო წყალს მიაწვდის პარკის ტერიტორიაზე მდებარე ლითონის ავზს, რომლიდანაც სატუმბო სადგურის მეშვეობით მოხდება წყლის მიწოდება სარწყავ ქსელში. სატუმბო სადგურში დამონტაჟდება ტუმბოების 2 კომპლექტი - ერთი მუშა, მეორე სათადარიგო. სარწყავი სისტემა უზრუნველყოფს მწვანე საფარის როგორც წვეთოვან, ასევე ხელით მორწყვას.

ობიექტები დაუერთდება წყალმომარაგების და კანალიზაციის ცენტრალურ სისტემებს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და გორის მუნიციპალიტეტის თვით-მმართველობას შორის გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების შეთანხმების მიხედვით, რეაბილიტირებული ობიექტების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გორის მუნიციპალიტეტს. პარკი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და დეტალური ტექნიკური პროექტი შეთანხმებულია და დამტკიცებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

### 3. გარემო პირობები

ქალაქი გორი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონულ დედაქალაქს. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 48,143 მოსახლეს. აქ აღინიშნება მეზობელი კონფლიქტური ზონიდან - სამაჩაბლოდან/სამხრეთ ოსეთიდან შემოსული იძულებით გადაადგილებული პირების დიდი კონცენტრაცია.

ახალბადის პარკს გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მდებარეობს ქალაქის ცენტრში. პარკი წარმოადგენს საზოგადოებრივ ობიექტს და ძირითად სარეკრეაციო ტერიტორიას, შესაბამისად, პარკი პოპულარული ადგილია როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ვიზიტორებსა და ტურისტებს შორის. ისტორიულად, პარკი წარმოადგენდა ადამიანების შეკრების, გართობის, დასვენების და კომფორტის ტერიტორიას. ქვე-პროექტის ტერიტორიასთან ახლოს მდინარე ლიახვი უერთდება მდინარე მტკვარს.

ქვე-პროექტით დაგეგმილი რეაბილიტაცია დაფინანსდება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების II პროექტის (SRMIDP) ფარგლებში და აღნიშნული პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს გორის ახალბადის პარკის იმიჯს მთლიანად, რის შედეგადაც პარკი, ისევე როგორც ძირითადი ატრაქციონები უფრო კომფორტული და მიმზიდველი იქნება როგორც ვიზიტორებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ პარკი საჭიროებს რეაბილიტაციას, ის მაინც იღებს დაახლოებით 30,000 ვიზიტორს წელიწადში.



ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გურამიშვილის ქუჩის გასწვრივ (გურამიშვილის ქუჩიდან რამდენიმე შესასვლელია პარკში). მიწა ეკუთვნის გორის მუნიციპალიტეტს. ძირითადად, ტერიტორია განთავსებულია სწორ რელიეფზე. უმნიშვნელო ქანობი აღინიშნება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

არსებული მდგომარეობა: ქვე-პროექტი მოიცავს პარკის ტერიტორიას, სადაც განთავსებულია მძიმე მდგომარეობაში და რეაბილიტაციის საჭიროების მქონე შემდეგი ობიექტები: ძველი რკინის კარუსელები, სხვადასხვა სახის და მცირე ზომის არქიტექტურული ნაგებობები, ორი შადრევანი, ატრაქციონი/ბავშვებისთვის, დაზიანებული ღია სცენა, ამფითეატრი, ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობები, ერთ-სართულიანი საზოგადოებრივი ტუალეტი, კაფე, ღია ვოლიერები, ხელოვნური მცირე ტბა/რეზერვუარი, მის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურით, შესასვლელი კოლონადა (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) და სხვა მცირე არქიტექტურული ობიექტები. პარკის ძირითადი ტერიტორია საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტის თანახმად, არსებული დაზიანებული ინფრასტრუქტურა (მათ შორის, გარე შემოღობვა), შემორჩენილ არა-უსაფრთხო კონსტრუქციასთან/ობიექტებთან ერთად, მთლიანად მოიხსნება, ხოლო პარკის ძირითადი ტერიტორია დაექვემდებარება რეაბილიტაციას. მთლიანი ტერიტორია საჭიროებს სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, მათ შორის: შესასვლელი კოლონადის და მისი დეკორატიული განათებების რეაბილიტაციას; შადრევნის რეაბილიტაციას; მწყობრიდან გამოსული კაფის და გასართობი სასროლი სტენდის (პავილიონები #1 და #2) რეაბილიტაციას; არსებული ერთსართულიანი საზოგადოებრივი ტუალეტის შენობის რეაბილიტაციას; ბავშვების გართობისა და სპორტული აქტივობებისთვის პლატფორმების მოწყობას; დასასვენებელი პლატფორმების/ადგილების და შესაბამისი ფანჩატურების მოწყობას; ამფითეატრის რეაბილიტაციას; ბავშვების არსებული ატრაქციონების ადგილების რეაბილიტაციას; იოსებ სტალინის ძეგლის და ნიკო ლომოურის ბიუსტის რეაბილიტაციას; წყალმომარაგების რკინა/ბეტონის არხის და ტბის გვერდითი კედლის რკინა ბეტონის ფილის რეაბილიტაციას; არსებული ღია სპორტული/ფიტნეს სივრცის რეაბილიტაციას; ახალი შემაერთებელი საფეხმავლო/სასეირნო ბილიკების მოწყობას; ადმინისტრაციული და სასაწყობე ობიექტების რეაბილიტაციას; არსებული ფანჩატურების რეაბილიტაციას, ასევე დამატებითი ფანჩატურების მშენებლობას - ვიზიტორებისთვის დამატებითი დასასვენებელი სივრცეების და ობიექტების შექმნის და არსებული

მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით. ქვე-პროექტით ასევე გათვალისწინებულია აღნიშნული ტერიტორიის სრულად კეთილმოწყობა, მათ შორის, საინჟინრო კომუნიკაციების (დრენაჟი, კანალიზაცია), განათების ბოძების, სკამების და სანაგვე ურნების მოწყობა. გათვალისწინებულია ასევე პლატფორმებზე შესაბამისი ავეჯის მოწყობა სპორტული აქტივობებისთვის და ბავშვებისთვის. ქვე-პროექტი ასევე ითვალისწინებს ზემოთ ხსენებული პავილიონებისთვის (პავილიონი #1 და პავილიონი #2) ელ. გათბობის, ვენტილაციის, საჰაერო კონდიციონერების და წყალმომარაგების-კანალიზაციის სისტემების მოწყობას. ქვე-პროექტითა დაგეგმილია ასევე ახალი ველო-ბილიკების მოწყობა.

პარკის ტერიტორიაზე მოქმედ პატარა ზოოპარკს ემსახურება ორი მომვლელი და ერთი ვეტერინარი. ვეტერინარები ამოწმებენ ცხოველებს და აწარმოებენ ცხოველების რეგულარულ შემოწმებას, ხოლო მომვლელები პასუხისმგებლები არიან ცხოველების სისუფთავეზე, მათ გამოკვებაზე, მოვლაზე და ა.შ. მომვლელები კვებავენ ცხოველებს, ვეტერინარები კი უზრუნველყოფენ ვეტერინარული სერვისების მიწოდებას. ცხოველებზე ზრუნვა ზოოპარკში ხორციელდება თბილისის ზოოლოგიური პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით. ვიზიტორების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ვოლიერის გარშემო არსებული ვოლიერი და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

ცხოველების სახეობები და რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

სახეობა	რაოდენობა
დათვი	1
მელა	1
ტურა	1
თხა (Cameroon Goat)	6
სვავი	1
ხოხობი	2
დეკორატიული ქათამი	6



მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს ზოოპარკის მართვას და პასუხისმგებელი იქნება ზოოპარკის მართვასა და მოვლა-პატრონობაზე. ზოოპარკის დასუფთავება მოხდება ყოველდღიურად და ცხოველების ვაქცინაცია ჩატარდება არსებული სტანდარტების შესაბამისად.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ყველა ცხოველის დროებითი გადაყვანა მოხდება თბილისის ზოოლოგიურ პარკში (იხ. დანართი 4).

გორის ახალბაღის პარკის ქვეშ არსებულ მიწის ნაკვეთს უკავია 11,96 ჰექტარი და რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტის სახელზე. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია ინტერვენცია მხოლოდ 7,5 ჰექტარზე, რაც პარკის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 62%-ს შეადგენს.

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2008 წ. 04 მარტის #03/36 ბრძანების თანახმად, გორის ახალბაღის პარკს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ქონების სტატუსი, რადგან ის გამორჩეულია, როგორც მებაღეობის ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის ნიმუში. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსის მქონე ობიექტები საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელსაც გასცემს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ.

#### 4. პოტენციური ზემოქმედება

##### 4.1. მშენებლობის ფაზა

##### 4.1.1. სოციალური ზემოქმედება

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** რეაბილიტაციით და მშენებლობით განპირობებული მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე ან ბიზნესებზე.

- მშენებლობაზე დასაქმების შესაძლებლობის შექმნასთან დაკავშირებული დადებითი ზემოქმედება: მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე დადებითი ზეგავლენა - ოპერირების ფაზაში.
- სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება: ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო საქმიანობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობა.
- უსაფრთხოება და წვდომა: ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას არ შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი და პოტენციურად საფრთხე არ დაემუქრება ტრანსპორტის მოძრაობას და ფეხით მოსიარულეებს.

#### 4.1.2. ზეგავლენა ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე

ახალბადის პარკს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, კულტურულის და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2008 წ. 04 მარტის #03/36 ბრძანების საფუძველზე.

აღნიშნული ქვე-პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკია მისი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის აუთენტურობის, ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების, ასევე მისი კონსტრუქციული დაზიანება, ისტორიულ პარკში არასათანადოდ დაგეგმილი და/ან განხორციელებული სამუშაოების შედეგად. თუმცა, სამუშაოების შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში, აღდგენითი სამუშაოები დაიცავს პარკს შემდგომი დაზიანებისაგან.

პარკის რეაბილიტაციის ტექნიკური პროექტის თანახმად, შენარჩუნდება არსებული ლანდშაფტი და მცენარეები, პარკის აუთენტურობის და ისტორიული ღირებულების შენარჩუნების მიზნით. ქვე-პროექტით პარკის ტერიტორიაზე არსებული ხეების, ან ბუჩქების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. ისტორიულ პარკში დასამატებელი ინფრასტრუქტურა (დეკორატიული საფეხმავლო ბილიკები, ქვების ბაღი, შადრევანი და ზაფხულის სახლი) მაქსიმალურად არის ჰარმონიზებული არსებულ ისტორიულ-კულტურულ სივრცესთან. პარკის ტერიტორიაზე დასარგავი მცენარეების სახეობების შერჩევა მოხდა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

ისტორიული ღირებულების დაკარგვის და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის უნებლიე დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აღდგენითი სამუშაოების პროექტის და მეთოდოლოგიის



დამუშავება მიმდინარეობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შანსი ნაკლებად არსებობს, თუმცა, მიწის სამუშაოების წარმოების დროს შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს ფიზიკური სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ.

ექსპლოატაციის ფაზაში, ტურისტების გაზრდილმა ნაკადმა შესაძლოა მოახდინოს არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე: ნარჩენების წარმოქმნა, ვანდალიზმი და ა.შ.

#### 4.1.3. ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე

##### *ნიადაგის დაბინძურება*

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შედეგად ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- საწვავის, ზეთების, საპოხი მასალის, ჰიდრავლიკური სითხის, ანტიფრიზის, ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- საშენებლო მასალები (მაგ. ცემენტი და ბეტონი);
- საშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის და ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

##### *წყლის დაბინძურება*

წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა წყაროებით, ქვემოთმოყვანილის ჩათვლით:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის დროს;
- ლამიანი წყლის გამოთავისუფლება მიწის სამუშაოების შედეგად;
- ლამით ამღვრეული ჩამონადენი წყალი („მშენებლობის წყალი“);

- სატრანსპორტო საშუალებების ან აღჭურვილობის რეცხვა;
- დაბინძურებული მიწის და გრუნტის წყლების ზემოქმედება.

შესაძლებელია, რომ დაღვრილი სითხეები ძალიან სწრაფად ჩაედინოს დაღმართში და წყალსატევში ან მდინარის კალაპოტში მოხვდეს. წყლის ნაკადში მოხვედრის შემდეგ, შესაძლოა რთული იყოს დაბინძურების შეკავება, რაც შემდგომ ზემოქმედებას მოახდენს ქვედა ბიეფში არსებულ დიდ არეალზე. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მყისიერი რეაგირება მოხდეს წყლის დაბინძურების ნებისმიერი პოტენციური ინციდენტის შემთხვევაში.

ნიადაგის ზედა ფენის სამუშაო სისქის მოხსნის შემდეგ, ხდება ნიადაგის ქვედა ფენის გაშიშვლება. წვიმიან ამინდში მიწის სამუშაოების წარმოებისას, შესაძლოა მოხდეს შეწონილი ნივთიერებების უკონტროლო გამოთავისუფლება სამუშაო ტერიტორიიდან.

#### ***ჰაერის დაბინძურება და ხმაური***

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ექსპლუატაციამ და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებამ.

- მძიმე ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვები (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულდოზერებიდან, ექსკავატორებიდან, და ა.შ.)
- მტვერი (სატრანსპორტო საშუალებებიდან);
- კვამლის და აირების პრობლემა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მასალების მოწოდებასა და ტრანსპორტირებასთან.

#### ***სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული სამშენებლო ნარჩენები***

##### ***ინერტული სამშენებლო ნარჩენები***

ზემოხსენებული საქმიანობების წარმოების შედეგად სავარაუდოდ წარმოიქმნება შემდეგი ტიპის ინერტული და არა-სახიფათო სამშენებლო ნარჩენები:

- არსებული შენობის დემონტაჟის და შადრევნის მოწყობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული მასალა, როგორცაა მაგ. გრუნტი, კლდოვანი გრუნტი, ბეტონი, აგურები და მეტალი;
- არა-სახიფათო ნივთიერებებით ან საგნებით დაბინძურებული ნიადაგი;



- შესაფუთი მასალები.

**სახიფათო სამშენებლო ნარჩენები**

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შედეგად. რამდენიმე სახის სახიფათო ნარჩენი, რომელთა წარმოქმნაც შესაძლებელია:

- თხევადი საწვავი;
- საპოხი მასალა, ჰიდრავლიკური ზეთები;
- ქიმიკატები, როგორცაა ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- დაღვრის დროს გამოყენებული მასალა, რომელიც გამოიყენება ზეთებისა და ქიმიკატების დაღვრების შესაწოვად;
- მექანიზმების/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ჩვრები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.).

**ტრანსპორტთან დაკავშირებული ზემოქმედება**

შესაძლებელია შემდეგი სახის ზემოქმედების გენერირება:

- ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება;
- საცობები (დაბრკოლება);
- ჰაერის დაბინძურება;
- ტალახი გზებზე;
- სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა, ტექნომსახურება და რეცხვა და შესაბამისი რისკები ნიადაგის და წყლის დაბინძურების თვალსაზრისით.

**ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო**

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩარეცხვა მისი არასათანადოდ შენახვისა და აღდგენის გამო;
- ლამის ჩადინება წყალსატევებსა და მდინარის კალაპოტებში;
- დაბინძურებული ნიადაგის ზემოქმედება.

მცენარეულობა და ლანდშაფტი

მოცემული ქვე-პროექტით ტყის გაჩეხვა, ან ბუჩქების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. ქვე-პროექტი ასევე არ ითვალისწინებს ლანდშაფტის რაიმე სახით ცვლილებას.

#### 4.2. ექსპლუატაციის ფაზა

რეაბილიტირებული პარკის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ზემოქმედება შესაძლოა იყოს შემდეგი:

- ტურისტების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს ნარჩენების და ხმაურის ზრდას;
- ცხოველებთან კონტაქტის შედეგად ტრავმების და ინფექციური დაავადებების/ინფექციების გადადების რისკი, ზოოპარკის ცხოველებსა და ვიზიტორებს შორის დისტანციის დაუცველობის გამო, ან შესაბამისი ზომების დარღვევის მიზეზით; ვიზიტორების მიერ ცხოველების მიმართ ცუდი მოპყრობის რისკი;
- პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება სატრანსპორტო მოძრაობის ზრდა, რაც გამოიწვევს როგორც ადგილობრივი გამონაბოლქვის და ხმაურის დონის ზრდას, ასევე სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ზემოქმედების შერბილების მიზნით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მიიღებს შემდეგ შემარბილებელ ზომებს:

- რეგულარულად გაიტანს ტერიტორიიდან მყარ ნარჩენებს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე - ნარჩენების მართვის მუნიციპალურ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე;
- არ დაუშვებს ნარჩენების დაწვას ღია ცის ქვეშ;
- უზრუნველყოფს კანალიზაციის კოლექტორი სისტემების და ტუალეტების კარგ ტექნიკურ მდგომარეობას;
- დაიცავს დისტანციას ბარიერებიდან და ნიშნებიდან ცხოველებსა და ვიზიტორებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბარიერებზე ასვლა, მათზე ბავშვების დასმა, საგნების სროლა შემოღობილ ტერიტორიაზე და ა.შ.;
- განახორციელებს ვიზიტორების მონიტორინგს, რათა თავიდან იქნას აცილებული მათ მიერ ცხოველების გამოკვება, შეწუხება, ან გაღიზიანება;
- განახორციელებს ბავშვების (14 წლის ქვემოთ) ზედამხედველობას მუდმივად.



დადებითი სოციალური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ტურისტული ინფრასტრუქტურის ზრდასთან, რაც დადებით ზემოქმედებას მოახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე, დასაქმების თვალსაზრისით.

#### 5. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) მოცემული ქვე-პროექტისთვის მომზადდა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საფუძველზე. წარმოდგენილი ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა (ESR), გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) ჩათვლით, სამშენებლო კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) მოთხოვნების შესრულება კონტრაქტორის ვალდებულებას წარმოადგენს.

კონტრაქტორს მოეთხოვება ქვემოთმოყვანილი:

1. სამშენებლო მასალების შექმნა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
2. კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შექმნისა);
3. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს სურს საკუთარი ბეტონის ქარხნით სარგებლობა (შესაბამისი მასალის სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;
4. სამშენებლო ნარჩენები გატანილი უნდა იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, წერილობითი შეთანხმების შესაბამისად;
5. იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში და ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

6. აზბესტის გადახურვის მასალის დემონტაჟი მოხდება უსაფრთხოების კონვენციური წესების მიხედვით და გატანა მოხდება უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, საქართველოს მთავრობის #145 (2016 წ. 29 მარტი) ბრძანებით განსაზღვრული წესების და ნორმების და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად;
7. თუ პროექტის განხორციელების პროცესში საჭირო გახდება ხეების ჭრა ან გადარგვა, მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტორი განახორციელებს მოსაჭრელი ან გადასარგავი ხეების ინვენტარიზაციას და გარემოს დაცვის სამინისტროს (წითელ ნუსხაში შეტანილ ხეთათვის) და ქ. გორის მერიას (იმ ხეთათვის, რომელიც არ არის შეტანილი წითელ ნუსხაში) წარუდგენს მას, ხეების ჭრის ნებართვის მოსაპოვებლად. სანებართვო დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს საკომპენსაციო ზომებს, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. საკომპენსაციო ხარჯების დაფარვა პროექტის ფარგლებში მოხდება, ხოლო საკომპენსაციო საქმიანობას განახორციელებს მშენებელი კონტრაქტორი. ხეების ჭრაზე ზედამხედველობას განახორციელებს უფლებამოსილი სპეციალისტი.

მასალების მოპოვების ლიცენზიების ასლები (საჭიროებისამებრ), ბეტონის ქარხნის საექსპლუატაციოდ საჭირო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (საჭიროებისამებრ), და ნარჩენების განკარგვის შესახებ შეთანხმება მგფ-ში სამუშაოების დაწყებამდე უნდა იქნას წარმოდგენილი.

სავალდებულოა სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) დაცვა.



გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
<b>მშენებლობის წინა ფაზა</b>			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამის ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	<p>შემდეგი ნებართვები, ლიცენზიები და შეთანხმებები მოპოვებული უნდა იქნას მშენებელი კონტრაქტორის მიერ და წარდგენილ იქნას მფ-სათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელშეკრულება ნარჩენი გრუნტის განკარგვის შესახებ</li> <li>- ლიცენზიები ინვერტული მასალის მოპოვებისათვის</li> <li>- იმგვარი სამშენებლო მასალების წარმოების ნებართვები, რომელთა დაკავშირებული საქმიანობაც ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება</li> <li>- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ტექნიკური ანგარიში და შეთანხმება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან</li> <li>- შეთანხმება სამეურნეო და სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე გატანის შესახებ</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
ადგილობრივი თემის ინფორმირება მომავალ საქმიანობებთან დაკავშირებით	საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამის ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	საინფორმაციო ბანერის განთავსება სამშენებლო ობიექტზე. ბანერზე მოცემული იქნება ინფორმაცია მფ-ში საკონაქტო პირების, მშენებლობის ზედამხედველი კომპანიის, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შესახებ, რომლებსაც ხალხმა უნდა მიმართოს გარემოს დაცვასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრებით. ბანერი უნდა დამზადდეს ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ	მშენებელი კონტრაქტორი

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
<b>მშენებლობისწინა ფაზა</b>			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	<p>შემდეგი ნებართვები: ლიცენზიები და შეთანხმებები მოპოვებული უნდა იქნას მშენებელი კონტრაქტორის მიერ და წარდგენილ იქნას მფ-სათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელშეკრულება ნარჩენი გრუნტის განკარგვის შესახებ</li> <li>- ლიცენზიები ინერტული მასალის მოპოვებისათვის</li> <li>- იმგვარი სამშენებლო მასალების წარმოების ნებართვები, რომელთა დაკავშირებული საქმიანობაც ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება</li> <li>- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ტექნიკური ანგარიში და შეთანხმება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან</li> <li>- შეთანხმება სამეურნეო და სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე გატანის შესახებ</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
ადგილობრივი თემის ინფორმირება მომავალ საქმიანობებთან დაკავშირებით	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა	საინფორმაციო ბანერის განთავსება სამშენებლო ობიექტზე. ბანერზე მოცემული იქნება ინფორმაცია მფ-ში საკონაქტო პირების, მშენებლობის ზედამხედველი კომპანიის, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შესახებ, რომლებსაც ხალხმა უნდა მიმართოს გარემოს დაცვასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრებით. ბანერი უნდა დამზადდეს ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ	მშენებელი კონტრაქტორი



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		მედეგი მასალისაგან. ზანერზე წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს შესრულებული.	
გარემოსდაცვითი ზომების განხორციელების სტრუქტურა	საქართველოს კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსატყვისობა არსებითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება	<ul style="list-style-type: none"> <li>- სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.</li> <li>- მუშახელისათვის ტრეინინგის ჩატარება განსახორციელებელი სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების კუთხით</li> <li>- დაგეგმილი შემარბილებელი ზომების განსახორციელებლად საჭირო რესურსების მიწოდება</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
<b>მშენებლობის ფაზა</b>			
სამშენებლო სამუშაოები, ქვემოთმოყვანილის ჩათვლით: <ul style="list-style-type: none"> <li>- სამშენებლო ობიექტების მოშადება</li> <li>- მიწის საბუშაოები</li> <li>- ნაგებობების მონტაჟი</li> <li>- ტექნიკის ოპერირება</li> </ul>	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> <li>- უნდა განხორციელდეს ყველა სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობა, რათა არ მოხდეს მუშახელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვებით.</li> <li>- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი, რათა აღმოიფხვრას დაზიანებული ნაწილებით გამოწვეული გადაძებული ხმაური;</li> <li>- დიზელის მრავების რეგულარული ტექნომსახურება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამონაბოლქვების მინიმუმამდე დაყვანა, მაგალითად, საწვავის ინჟექტორების გაწმენდით, ობიექტზე გამოყენებული ყველა დანადგარი</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
- ტრანსპორტირების ოპერაციები		<p>რეგულარულად უნდა დაექვემდებაროს ტექნოლოგიურ განვითარებას, მუდმივად გამოთვლიდეს მუშაობის უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პოტენციურად დამაბინძურებელი გამოწვევების ემისია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შევსება უნდა ხდებოდეს ისეთი წესით, რომ ატმოსფერულ ჰაერში აქროლადი ორგანული ნაერთების მოხვედრა სამშენებლო მოედნიდან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც მიიღწევა საწვავის საცემებისა და ტუმბოების და დახურული ცისტერნების გამოყენებით (საწვავის შესანახად ღია ცისტერნების გამოყენება დაუშვებელია);</li> <li>- მასალების გადახურვა/დანამვა ტრანსპორტირებისას, მტერის შესამცირებლად. სამშენებლო ტერიტორიის და გზის მორწყვა მშრალ ამინდებში</li> <li>- დამცავი ადჟურვილოზის უზრუნველყოფა მუშაბელისათვის, საჭიროებისამებრ;</li> <li>- სანგრევი სამუშაოების წარმოებისას, დანამვა წყალშიდით სასურებლებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა მტერის დამწერი ვერანები;</li> <li>- მიმდებარე ტერიტორიის (ტროტუარების, გზების) გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან, მტერის დონის მინიმუმამდე დასაყვანად;</li> <li>- მიწის სამუშაოების შეწყობა ძლიერი ქარის შემთხვევაში;</li> <li>- სამშენებლო მასალების და ზვინულების გადახურვა;</li> </ul>	



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- მოჭრილი ნიადაგის/ დამუშავებული გრუნტის სათანადოდ შენახვა;</li> <li>- დაუშვებელია სამშენებლო ნარჩენი მასალის დია წვა ობიექტზე;</li> <li>- სამშენებლო ტექნიკის უქმი სვლის მინიმუმამდე დაყვანა სამშენებლო მოედანზე;</li> <li>- სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე, ქვე-პროექტის ტერიტორიის აღდგენა პირვანდელი სახით.</li> </ul>	
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> <li>- საცხოვრებელი ზონის მახლობლად ტექნიკის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა;</li> <li>- მანქანა-დანადგარების ტექ. გამართულობის უზრუნველყოფა;</li> <li>- სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება მხოლოდ დღის საათებში;</li> <li>- დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის უქმი სვლა. ტექნიკისათვის გამოყენებული უნდა იქნას სათანადო მანქანები;</li> <li>- ტექნიკის კონტროლი და ტექმოშახორება</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამშენებლო ტერიტორიის და მისასვლელი გზების დემარკაცია სამუშაოების დაწყებამდე;</li> <li>- დემარკაციის შედეგად განსაზღვრული ობიექტის საზღვრების დაცვა ოპერირებისას;</li> <li>- საშუალო უბნებიდან ნიადაგის საფარის ცალკე მოხსნა (შედლებისდაგვარად) მიწის სამუშაოების დაწყებამდე და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის,</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<p>გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად;</p> <p>– ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არაუმეტეს 2 მ სიმაღლის და მაქსიმუმ 45° კანობიანი ფერდების მქონე შეკვრებად უნდა დასაწყობდეს, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი პირობები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამ დანიშნულებით გამოყენებული უნდა იქნას სპეციალურად განსაზღვრული სასაწყობე ადგილები, რაც თავიდან აგვაცილებს შეკვრების დატკეპნას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად ან მათ დაზიანებებს სხვა მასალებით;</li> <li>• ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა გამოცალკევდეს ქვენიადაგის შეკვრებისაგან;</li> <li>• დაუშვებელია მასალის შენახვა დატბორვის პოტენციალის მქონე ადგილებში;</li> <li>• დაუშვებელია მასალის დასაწყობება მდინარიდან ნაკადულებიდან 25 მ მანძილზე ახლოს, კონკრეტული ობიექტის ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით;</li> </ul>	



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- დაუმეგებელია ნიადაგის საფარის მოხსნა წვიმიან ამინდებში;</li> <li>- შენახული ნიადაგის ნაყოფიერი ფენით ტერიტორიის რეკულტივაცია სამუშაოების დასრულებისთანავე, კერძოდ კი ნიადაგის საფარის აღდგენა და გამწვანება, საჭიროებისამებრ, ეს შეიძლება მოიცავდეს მიწის ზედაპირის მოსწორებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენას და მცენარეულობის ზრდის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებას; ობიექტზე მოჭრილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც რეკულტივაციას არ ექვემდებარება აკურატულად გადანაწილდება მიმდებარე ტერიტორიაზე;</li> <li>- იმ შემთხვევაში, თუ შეკვრები მნიშვნელოვან ეროზიას დაექვემდებარება, კონტრაქტორს მოეთხოვება განხორციელოს გამასწორებელი ზომები, როგორცაა ეროზიისაგან დამცავი ჭილოფების მოწყობა შეკვრების თავზე, თუ ზედაპირის შემდგომი მოსწორება და ან ნიადაგის ნაყოფიერი ფენის თესვა შედეგს არ გამოიღებს, ირგვლივ ბერძემბის ან მისი ანალოგის მოწყობის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, კონტრაქტორი შეკვრებს დაიცავს დატბორვისა და ჩამონადენისაგან;</li> <li>- ქვენიადაგი არაუმეტეს 3 მ სიმაღლის და მაქსიმუმ 60° კანობიანი ფერდობის მქონე შეკვრებად უნდა დასაწყობდეს, ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას სპეციალურად განსაზღვრული სასაწყობე ადგილები, რაც თავიდან აგვაცილებს შეკვრების დატკეპნას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად ან მათ დაზიანებებს სხვა</li> </ul>	

საკმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
	<p>წყლისა და ნიადაგის დაზინძურება</p>	<p>მასალებით; ქვენიდაგი უნდა გამოვალკვედეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეკვრებისაგან.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თანამშრომლების უზრუნველყოფა საპირფარეშოებითა და საბაზანოებით, წარმოებული ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული გადაღვრა საკანალიზაციო სისტემაში, შეძლებისდაგვარად, ან დროებითი კონსტრუქციების მონტაჟი;</li> <li>- ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა;</li> <li>- ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავწოდებით, ამასთან სავალდებულოა წვეთშემკვრებების გამოყენება;</li> <li>- ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მოწყობილია ხრემის საფარი; საპოხ-საზეთი მასალის, საწვავის და გამხსნელების შენახვა მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას; დაუშვებელია საპოხ-საზეთი მასალის, საწვავის და გამხსნელების შენახვა და საწვავით გამართვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სახლოვეს;</li> <li>- სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ და დროებით აშენებულ სასაწყობე სივრცეებში;</li> <li>- ყველა სახიფათო და ტოქსიური ნივთიერების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერში, რომელზეც მითითებული იქნება ნაერთის შემადგენლობა.</li> </ul>	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი დონისიბიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<p>მახასიათებლები და ინფორმაცია ექსპლაცაციის შესახებ; ობიექტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დადგრის შემავსებელი მასალები (სორბენტები (შემწოვი მასალა), ქვიშა, ნახერხი, ნაფხეენი და ა.შ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საწვავის, ან სხვა დაღვრების შემთხვევაში დადგრის დაუყოვნებლივ აწმენდა, დაბინძურებული წიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა</li> <li>- დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩადინება მდინარის კალაპოტებში, ნაკადებში, გუბურებში ან თხრილებში.</li> <li>- სამუშაოების დასრულებისთანავე ქვე-პროექტის ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან.</li> </ul>	
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	<ul style="list-style-type: none"> <li>- დაუშვებელია ნარჩენების დაწვა</li> <li>- დაუშვებელია ტოქსიკურ ინგრედიენტებიანი ან გამსხნელებიანი და ტყვიისშემცველი საღებავების გამოყენება.</li> <li>- სხვადასხვა ტიპის ნარჩენებია (სამშენებლო, სახიფათო, სამეურნეო) ცალ-ცალკე შეგროვება; ნარჩენების განთავსებისათვის განსაზღვრული უნდა იქნას კონკრეტული უბნები და იქ უნდა გატარდეს დაბინძურების საინააღმდეგო ზომები;</li> <li>- ინერტული სამშენებლო ნარჩენების და ნარჩენი გრუნტის გატანა გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე ან გორის მუნიციპალიტეტში არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე;</li> </ul>	შქნებელი კონტრაქტორი



საკმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<ul style="list-style-type: none"> <li>- ექველ საზიფათო და ტოქსიური ნივთიერების დროებითი შენახვა უსაფრთხო კონტეინერში, რომელზეც მითითებული იქნება ნაერთის შემადგენლობა, მახასიათებლები და ინფორმაცია ექსპლატაციის შესახებ; დაუშვებელია საზიფათო ნარჩენების უკონტროლო შენახვა სამშენებლო ობიექტზე; დაღვრისა და გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, საზიფათო ნაერთების კონტეინერების მოთავსება ჰერმეტიკულ კონტეინერებში; საზიფათო ნარჩენების გადაცემა ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;</li> <li>- მშენებლობისას წარმოქმნილი ნებისმიერი სახის სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენები ხშირად გატანა სამშენებლო ობიექტიდან;</li> <li>- ნარჩენების განკარგვისთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმება ნარჩენების გატანის დაწყებამდე;</li> <li>- ნარჩენების მართვის რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება, ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი მოძრაობის აღსარიცხად.</li> </ul>	



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი დონისიძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
	ტოქსიკური მასალების წარმოქმნა (აზბესტის განკარგვა)	<ul style="list-style-type: none"> <li>- თუკი აზბესტი განთავსებულია ობიექტზე, მასზე ნაილად უნდა იქნას მითითებული, რომ იგი სახიფათო მასალაა;</li> <li>- აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას დალუქული და იზოლირებული რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ზემოქმედება.</li> <li>- გატანამდე, აზბესტი სათანადოდ უნდა დატენიანდეს აზბესტის მტერის მინიმუმამდე დასაყვანად;</li> <li>- აზბესტის გატანა და გადაყრა უნდა განხორციელდეს უნარიანმა და გამოცდილმა პროფესიონალმა პერსონალური დამცავი აღჭურვილობით;</li> <li>- თუკი აზბესტის მასალა დროებით არის დასაწყობებული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული ჩაკტილ კონტეინერებში და სათანადოდ იქნას ნიშანდებული.</li> <li>- გატარებული უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ.</li> <li>- აზბესტის განყოფილებით გამოყენება დაუშვებელია.</li> <li>- აზბესტის საბოლოო გატანა უნდა მოხდეს უახლოეს აფიციალურ ნაგავსაყრელზე, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის და 2016 წლის 29 მარტის მთავრობის #145 განკარგულების საფუძველზე</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა	მშენებელი კონტრაქტორი



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი დონისიხებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
	<p>ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები ადგილობრივი თემებისათვის</p>	<p>- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით</p> <p>- ტექნიკის მოძრაობის სისწორის შეზღუდვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:</li> <li>• დამონტაჟებულია მაჩვენებლები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები: ნიშნები ნათლად ხილულია და საზოგადოება გაფრთხილებულია ყველა შესაძლო საფრთხის შესახებ;</li> <li>• სამშენებლო მოედანი და ყველა თხრილი სათანადოდ შემოღობილი და დაცულია არასანქცირებული პირების შესვლისაგან (განსაკუთრებით, ზეშვების);</li> <li>• უზრუნველყოფილია სათანადო განათება;</li> <li>• სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის გაზრდით შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილდება პირუტყვის გადაადგილების საათებში;</li> </ul>	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სამშენებლო ტექნიკისათვის სიჩქარის შეზღუდვის დაწესება;</li> <li>▪ ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით.</li> </ul>	
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით</li> <li>- ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა</li> <li>- მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება კონტრაქტორის მიერ</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	<p>ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საჩივრების/პრეტენზიების მიღება და მათზე რეაგირება. პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იქნება საკონტაქტო პირი გორის მუნიციპალიტეტიდან და ასევე მგფ-დან. პირველ ეტაპზე, საჩივრებს მიიღებს და გადაწყვეტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირი.</li> <li>- თუ ვერ მოხერხდება საჩივრის დაკმაყოფილება ადგილობრივ დონეზე, ის მგფ-ში იქნება შეტანილი (მეორე ეტაპი).</li> <li>- მგფ დაარეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს და კომენტარს და იმას, თუ როგორ მოხდა საჩივარზე რეაგირება.</li> <li>- საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობა</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი, ადგილობრივი მმართველობა, მგფ.



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		ინფორმირებული იქნება საჩივრების დაკმაყოფილების საკითხებთან და საკონტაქტო პირებთან დაკავშირებით.	
	შრომის პიგიენასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით (სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი წარმოებისას)</li> <li>- საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) და მათი გამოყენების უზრუნველყოფა</li> <li>- ტექნიკის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა</li> <li>- გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე</li> <li>- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	- სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მგფ-ს და კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		- ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე	
სოციალური რისკის მართვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>- ადგილობრივი მკვიდრი პირის გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე;</li> <li>- კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებელსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით;</li> <li>- ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლის (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სქესობრივი გზით გადაემცემა დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში;</li> <li>- მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;</li> <li>- სამშენებლო საქმიანობის შეზღუდვა დამით, აუცილებლობის შემთხვევაში, დამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და</li> </ul>	მშენებელი კონტრაქტორი

საკმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი დონისიძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		<p>მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება;</p> <p>- მინიმუმ ხუთი დღით ადრე, მოსახლეობის ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერჯის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე ზიზნეს ობიექტებზე;</p>	
	<p>შრომითი ურთიერთობების მართვა</p>	<p>ა) შექმნის დავაგარად, სამუშაო ბანაკები განთავსდეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოშორებით;</p> <p>ბ) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განხორციელდეს მუშობელ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე;</p> <p>გ) არა-კვალიფიციური, ან ნახევრად-კვალიფიციური მუშახელის დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშახელისათვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი;</p> <p>დ) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კანძების ობიექტების (ტუალეტების და დასაზანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სეპტიკური აუზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა</p>	<p>მსენებელი კონტრაქტორი</p>



საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
		გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება; ე) მუშახელის ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქვეყნის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური გარიშხების დაკისრებას.	
<b>ექსპლუატაციის ფაზა</b>			
პარკის ექსპლუატაცია	გარემოს დაბინძურება მკარი ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით	<ul style="list-style-type: none"> <li>- მკარი ნარჩენების რეგულარულად გატანა ობიექტიდან მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ნარჩენების განკარგვის მუნიციპალურ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე;</li> <li>- დაუშვებელია ნარჩენების დაწვა;</li> <li>- საკანალიზაციო კოლექტორების და ტუალეტების გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება.</li> </ul>	გორის მუნიციპალიტეტი
მცირე ზოომპარკის ექსპლუატაცია	ინფექციური დაავადებების პარაზიტების შექმნა და ტრავმის მიღება დამთვალიერებლების მიერ, ცხოველების არასათანადო მოვლა-პატრონობის და/ან ცხოველთა და დამთვალიერებელთა შორის დისტანციის დაუცველობის გამო.	<ul style="list-style-type: none"> <li>- ცხოველებსა და დამთვალიერებლებს შორის დისტანციის დაცვა ზარიერებითა და ნიშნებით, რათა თავიდან იქნას აცილებული მარიერებზე გადაძვრომა, მათზე ბავშვების დასმა, სხვადასხვა ნივთების ჩაყრა ვოლიერებში, და ა.შ.;</li> <li>- დამთვალიერებლების მონიტორინგი, რათა თავიდან იქნას აცილებული ცხოველთა კვება, შეწუხება ან გაღიზიანება;</li> <li>- 14 წელს ქვემოთ ასაკის ბავშვების მუდმივი ზედამხედველობა;</li> </ul>	გორის მუნიციპალიტეტი

საკმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი დონისიბიებები	განხორციელებაზე პასუხისმგებელი
	ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა დამთვლიერებლების მიერ	<ul style="list-style-type: none"> <li>- ქველა ცხოველის რეგულარული ინსპექტირება მათი მოვლისას, და მენეჯერისა და ვეტერინარის მიმართ ანგარიშგება ცხოველებს ავადმყოფობის, ტრავმის ან არაზუნებრივი ქცევის შემთხვევების გამოვლენისას;</li> <li>- ცხოველების ვოლიერების მიმდებარე ექსპონატების ინტერიერის და ექსტერიერის, სერვისის და საზოგადოებრივი ზონების რეგულარული დასუფთავება.</li> <li>- ტექნიკური კომპეტენციის მქონე ვეტერინარების და საჭირო პერსონალის სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფა</li> <li>- სრული და გამოყენებადი სამედიცინო აღრიცხვის სისტემის წარმოება.</li> </ul>	





## 6. მონიტორინგი

მგვ პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგზე. სამუშაოების ზედამხედველობისთვის დაქირავებული კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს მიმდინარე სამუშაოების შესაბამისობას გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო სია და თან დაერთვება ფოტომასალა. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთმოყვანილი გეგმის შესაბამისად.

ESMP -ის განხორციელების აღწერითი ანგარიში ჩართული იქნება მგვ-ის ყოველთვიურ და ყოველკვარტალურ სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშში. მგვ-მა კონტრაქტორისგან უნდა მიიღოს ის ნებართვები, ლიცენზიები და წერილობითი შეთანხმებების ასლები, რაც კონტრაქტორს საქართველოს კანონმდებლობით მოეთხოვება მასალის მოპოვების, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განთავსებისათვის.

## 7. ESMP -ის დარღვევასთან დაკავშირებული ზომები

მგვ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელია კონტრაქტორის შესატყვისობაზე კონტრაქტის პირობებთან, რაც ასევე მოიცავს ESMP-ის დაცვას.

კონტრაქტორი ვალდებულია თავის საქმიანობა საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს, ხოლო ნებისმიერი სახის შეუსატყვისობის აღმოჩენისას საკუთარი სახსრებით დაფაროს ზარალის სალიკვიდაციო ხარჯები.

## 8. განხორციელების ხარჯები

შემოთავაზებული შემარბილებელი ზომების განხორციელების ხარჯები მცირეა და რთულია მათი სამშენებლო ხარჯებიდან გამოცალკევება. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ სამუშაოთა მოცულობებში გათვალისწინებული იყოს ნარჩენების და მონარჩენი მასალების განკარგვის ცალკე პუნქტი. მიღებულ გარემოსდაცვით პრაქტიკასთან და წინამდებარე ESMP-სთან შესატყვისობის დანარჩენი ხარჯები ინტეგრირებული უნდა იქნას სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების განფასებაში.

## 9. საჩივრების მოგვარების მექანიზმი

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე რეაგირების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად. გორის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - ერასტი ელიჯარაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, რომელიც მიიღებს, განიხილავს და მოახდენს რეაგირებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე (ტელ: 555 42 45 55; ელ. ფოსტა: [er.elijarashvili@yahoo.com](mailto:er.elijarashvili@yahoo.com)).

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; [feedback@mdf.org.ge](mailto:feedback@mdf.org.ge); მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.





გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგგ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო შექმნილობის გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება	გაუფრთხოვნილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის	მგგ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	გადაზიდავა დაზარალებული მანქანებით;  ტრანსპორტირებისათვის დადგენილი დროისა მარშრუტების დაცვა.				შეწუხების შეზღუდვა;  ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ნათხარი მასალის დროებით დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ადგილას;  ნათხარი მასალის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა ოფიციალურად განსაზღვრულ ადგილებში;	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება მუდმივი მეთვალყურეობა არქეოლოგების მიერ	მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას	სამშენებლო მოედნის და მისი შემოგარენის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება;  ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
					დანაკარგის თავიდან აცილება	
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შემენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და</p>	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადირების შეზღუდვა;</p> <p>მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა</p>					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება</p>	<p>სამშენებლო მოედანი;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.					
აზბესტის განკარგვა	<p>აზბესტის შემცველი ნარჩენების სათანადოდ შენახვა და ნიშნდება, როგორც სახიფათო მასალის;</p> <p>აზბესტის შემცველი მასალის სათანადოდ დატენიანება დატვირთვა-გადმოტვირთვისას;</p> <p>აზბესტის შემცველ მასალასთან კონტაქტში მყოფი პერსონალის აღჭურვა უნიფორმებით, რესპირატორებით და დამცავი სათვალურებით;</p> <p>გატარებული უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები აზბესტის შემცველი მასალის ობიექტიდან</p>	სამშენებლო მოდანზე	დეკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობისას	ტოქსიკური მასალებით დაზინძურების თავიდან აცილება, მუშახელის ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ; ნარჩენები უნდა დაილუქოს და ნათლად იქნას ნიშნადებული, როგორც სახიფათო მასალა;  მოხსნილი აზბესტის შემცველი სახურავის მასალა სწრაფად უნდა იქნას გატანილი უახლოეს ნაგავსაყრელზე, საზედამხდევლო კომპანიის წარმომადგენლების ზედამხედველობის ქვეშ.					
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;	სამშენებლო მოედანზე და მის ირგვლივ	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლების	მფ. მშენებლობის ზედამხედველი



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიმოსვლის შეზღუდვა	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.				შეწუხების შეზღუდვა:	
მუშახელის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;  მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე	სამშენებლო მოედანზე	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
ინფორმაციის გაზიარება და საჩივრების მოგვარება	ადგილობრივი მოსახლეობის (კერძოდ კი, ობიექტის მიმდებარე მიწების მფლობელების) ინფორმირება სამშენებლო სამუშაოების დაწყების თაობაზე. საჩივრების მოგვარებასთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაციის შეტყობინება; შემოსული საჩივრების რეგისტრაცია.	სამშენებლო მოედანი და/ან მიმდებარე დასახლებები და შენობები.  სამშენებლო მოედანი მიმდებარე დასახლებები და შენობები	პირადად, ელ. ფოსტის, ტელეფონის ან სხვა საშუალებით (აღრიცხვით). საჩივრების მოგვარების შექანიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსება ხელმისაწვდომ ადგილას. საჩივრების რეგისტრაციის და მათზე დროული რეაგირების/გად	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (მინ. 2 კვირით ადრე). ქვე-პროექტის მიმდინარეობის პროცესში.	ადგილობრივი მოსახლეობის შეწყობის მინიმუმამდე დაყვანა, შეკითხვების დასმის და უკუკავშირის შესაძლებლობის მიცემა. შეკითხვებსა და საჩივრებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფა.	მგვ  ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
			აწყვეტის მტკიცებულება			
შემთხვევითი ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია	სათანადო კომპენსაციის უზრუნველყოფა ან ზიანის ანაზღაურება მფლობელებისათვის, რომელთაც სამშენებლო სამუშაოების შედეგად განიცადეს მოსავლის, ნაგებობების ან სხვა აქტივების დანაკარგი ან დაზიანება.	სამშენებლო მოედანი	საზედაშუდველო ანგარიშების და ობიექტზე გასვლების მეშვეობით, მიყენებული ზიანის დადასტურება და კომპენსაციის/ან აზღაურების მტკიცებულების წარმოდგენა მგფ-ს მიერ	მთელი ქვე-პროექტის მსვლელობისას	პროექტის არეალში მყოფი მოსახლეობის აქტივების და საარსებო წყაროების გაუმჯობესება, ან მინიმუმ პროექტისწინა დონეზე აღდგენა.	მგფ, ზედამხედველი კონსულტანტი
ექსპლუატაციის ფაზა						

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მყარი ნარჩენების განკარგვა	სანაგვე ურნების მოწყობა ობიექტზე და ნარჩენების დროული და რეგულარული გატანის უზრუნველყოფა ობიექტიდან	რეაბილიტირებულ ობიექტი	ინსპექტირება	ობიექტის ექსპლუატაციის დროს	ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილება	გორის მუნიციპალიტეტი
ობიექტის მოვლა-პატრონობა და დაცვა რეაბილიტაციის შემდეგ	გორის პარკში დაუშვებელია უკანონო მშენებლობა და არაფორმალური მიწათსარგებლობა	რეაბილიტირებულ ობიექტი	ინსპექტირება	ობიექტის ექსპლუატაციის დროს	ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და ესთეტიური ღირებულების დაკარგვა	გორის მუნიციპალიტეტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
წყალმომარაგების და კანალიზაციის	გაჭონვების არარსებობა წყალმომარაგების სისტემაში და უწყვეტი წყალმომარაგება	მოწყობილი საშუალებები	ინსპექტირება	საშუალებების ექსპლუატაციის დროს	წყლის დანაჯარგის და ობიექტის წყლით დატბორვის თავიდან აცილება	გორის მუნიციპალიტეტი



საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სისტემების მომსახურება					ზედაპირული და გრუნტის წყლების ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან აცილება	
მცირე ზოომარკის ექსპლუატაცია	ცხოველების ჯანდაცვის ადევკატური მომსახურების (იმუნიზაცია, კონტროლი, კვება) რეგულარულად უზრუნველყოფა  ცხოველთა ვოლიერების ადევკატურად დისტანცირება დამთვალეერებლებისაგან და გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა	მცირე ზოომარკი პარკის ტერიტორიაზე	ინსპექტირება რეგისტრირებული დოკუმენტების შემოწმება	ზოომარკის ექსპლუატაციის პროცესში	დამთვალეერებლებს ის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა  ზოომარკის ცხოველების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვა	გორის მუნიციპალიტეტი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ცხოველების შენახვა კარგ პირობებში (სივრცე, ვოლიერების მოვლა-პატრონობა, და ა.შ.) და დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან.					













დანართი 2. ფოტოები და რენდერები




50mL



*50mL*







*Handwritten signature in blue ink.*




Handwritten signature in blue ink, possibly reading 'S.M.L.' or similar.





A handwritten signature in blue ink, appearing to be 'S.M.L.' or similar, enclosed in a circular flourish.

სკეიტპარკი







**დანართი 3. საჯარო კონსულტაციის ოქმი**

**2020 წლის 21 სექტემბერი  
გორის მუნიციპალიტეტი**

**შეხვედრის ოქმი**

**რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის  
(SRMIDP) დამატებითი დაფინანსება (AF)**

**ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში**

**საჯარო კონსულტაცია გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშთან და  
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმასთან დაკავშირებით**

2020 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ საჯარო კონსულტაცია, რომელიც Zoiom აპლიკაციის მეშვეობით განხორციელდა, ამის მიზეზს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაცია. შეხვედრა მიზნად ისახავდა გორის ახალბაღის პარკის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის პროექტის განხილვას.

საჯარო კონსულტაციის ონლაინ შეხვედრის ჩატარებამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკონტაქტო პირმა ბენეფიციარებისაგან შეაგროვა ინფორმაცია მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ონლაინ ფორმის შესახებ და შესაბამისად შერჩეული იქნა Facebook-ის აპლიკაცია. თარიღთან/დროსთან და (ონლაინ) ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მგფ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთა. განცხადებები განთავსდა ქალაქ გორის მერიის ოფისში და ახალბაღის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამის გარდა, მგფ ტელეფონით დაუკავშირდა ძირითად დაინტერესებულ პირებს და მიაწოდა მათ ინფორმაცია ონლაინ შეხვედრის თარიღთან/დროსთან და ვირტუალურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო მნიშვნელოვან პროცედურებთან დაკავშირებით. შეხვედრის დაწყებისას, Facebook-ში ძალიან შეზღუდული რაოდენობის პირი შემოვიდა. ეს პრობლემა სწრაფად გადაიჭრა Zoiom აპლიკაციაზე გადართვის მეშვეობით, ეს აპლიკაცია დასწრების მსურველთათვის უფრო ხელსაყრელი გამოდგა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებთან, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელ უარყოფით/დადებით ზემოქმედებასთან და მათი თავიდან აცილების გზებთან და საშუალებებთან დაკავშირებით.



**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

**ადგილობრივი მოსახლეობიდან:**

1. დათო გუდაძე
2. გიორგი ჯოხაძე
3. გვანცა ხაბელაშვილი
4. გვანცა მჭედლიშვილი
5. დალი ტლაშაძე
6. ოლეგ ხუბულური
7. მალხაზ ლალევაშვილი
8. ბაჩანა ღვინიაშვილი
9. სიმონ გულედანი

**გორის მერის პირველი მოადგილე:** ერასტი ელიჯარაშვილი (საკონტაქტო პირი ადგილობრივი თვითმმართველობიდან)

**გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ახალბადის დასასვენებელი პარკის განყოფილების ხელმძღვანელი:** იოსებ კაპანაძე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:**

პროექტის მენეჯერი – მარიამ გვაზავა

სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი – ნონა ჭიჭინაძე

ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი (საკონტაქტო პირი საჩივრების მოგვარების მექანიზმის ფარგლებში) – ნუცა გუმბერიძე

ინჟინერი – ზვიად ჭურჭელაური

შეხვედრა გახსნა მარიამ გვაზავამ, მან დამსწეთ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის და შეხვედრის დანიშნულების შესახებ. მან მოკლედ გააცნო აუდიტორიას, თუ რას ითვალისწინებს პროექტი.

ნუცა გუმბერიძემ აუდიტორიას მოახსენა მგფ-ში მოქმედი საჩივრების მოგვარების მექანიზმის პროცედურებისა და მნიშვნელობის შესახებ. ასევე გაუზიარა ინფორმაცია კომუნიკაციისათვის საჭირო საკონტაქტო პირების შესახებ, იმ შემთხვევისათვის თუ სახეზე იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრები და/ან გაჩნდება კომენტარების ან წინადადებების გამოთქმის სურვილი. მან მონაწილეებისათვის უზრუნველყო ბუკლეტები, სადაც მითითებულია ყველაწარმომადგენელი საკონტაქტო ინფორმაცი (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და ასევე მგფ-ს წარმომადგენლები).

ნუცა გუმბერიძემ მიმოიხილა ქვე-პროექტისათვის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP). მან განმარტა მსოფლიო ბანკის დაფინანსებული პროექტებისათვის გამოყენებული სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და ისაუბრა მოგემული პროექტისათვის გამოსაყენებელ გარემოსდაცვით და

სოციალურ მოთხოვნებზე. ასევე განხილული იქნა პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ზომები, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში. მან აღნიშნა, რომ ESMP არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. მან ასევე განიხილა გარემოსდაცვითი მონიტორინგის კრიტერიუმები, გარემოსდაცვით ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი მხარეები და საანგარიშგებო პროცედურები ქვე-პროექტის განხორციელებისას.

ნონა ჭიჭინაძე დამსწრეებს ესაუბრა მუნიციპალიტეტის სოციალური ანგარიშვალდებულების, საზოგადოების ჩართულობის და გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მან შეამოწმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ქვე-პროექტის პროექტირების სტადიაზე და ქვე-პროექტის ბენეფიციარებსა და ქალაქის მერიას შორის ურთიერთქმედების საშუალება. ქალაქის მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის ატარებდნენ შეხვედრებს მოსახლეობასთან და უკვე შეატყობინეს მათ ქვე-პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვირტუალური შეხვედრის მონაწილე გორის მოსახლეობამ აღნიშნა, რომ იწონებს დაგეგმილ პროექტს და რომ პარკის რეაბილიტაცია არა მხოლოდ ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის არის მნიშვნელოვანი.

ზვიად ჭურჭელაურმა საერთო ევრანზე წარმოადგინა ქვე-პროექტის ნახაზები და ჩანახატები და დეტალურად განმარტა დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხასიათი და მასშტაბი.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

<b>შეკითხვები და შენიშვნები</b>	<b>პასუხები და კომენტარები</b>
როდის გამოცხადდება ტენდერი?	მსოფლიო ბანკის თანხმობის მიღებისთანავე
რა სახის რეაბილიტაციას დაექვემდებარება სტადიონი?	ქვე-პროექტი ითვალისწინებს ტრიბუნების რეაბილიტაციას
მოეწყობა თუ არა პარკში ახალი ატრაქციონები?	დიახ, მუნიციპალიტეტმა უკვე შეისყიდა გარკვეული ატრაქციონები
როდის დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები?	გამარჯვებულ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმებისთანავე. სატენდერო/დაკონტრაქტების პროცესი ორ თვეს საჭიროებს.




შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი 2020 წლის 24 სექტემბერს მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომლის ნუცა გუმბერიძის მიერ.



ფოტომასალა:



A handwritten signature in blue ink, appearing to be 'S.M.L.', located in the bottom right corner of the page.





## შპს „AWARD“-ის პერსონალის

### ქცევის კოდექსი

ჩვენ წარმოვადგენთ კონტრაქტორს, შპს „AWARD“. ჩვენ გავაფორმეთ კონტრაქტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან „ახალბაღის პარკის რეაბილიტაცია ქალაქ გორში“ პროექტის შესახებ. ხსენებული სამუშაოები განხორციელდება ქალაქ გორში. აღნიშნული კონტრაქტი ჩვენგან მოითხოვს სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დასაძლევად ზომების განხორციელებას, რაც ასევე მოიცავს სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციისა და სასტიკი მოპყრობის და სექსუალური შევიწროების რისკებს.

წინამდებარე ქცევის კოდექსი წარმოადგენს ჩვენს ღონისძიებათა ნაწილს, რომელიც შემუშავებულია სამუშაოებთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან გასამკლავებლად. იგი გამოიყენება ჩვენი თითოეული თანამშრომლისათვის, მუშახელისა და სხვა პერსონალისათვის, რომელიც სამშენებლო მოედანზე ან სამუშაოების სხვა ობიექტზე მუშაობს. იგი, ასევე, ვრცელდება თითოეული ქვე-კონტრაქტორის პერსონალზე და სამუშაოების განხორციელებაში დამხმარე ნებისმიერ პერსონალზე. ყველა ამგვარი პირი მოიხსენიება როგორც “კონტრაქტორის პერსონალი” და ექვემდებარება წინამდებარე ქცევის კოდექსს.

მოცემული ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ქცევის წესებს, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ კონტრაქტორის მთელი პერსონალისაგან.

ჩვენი სამუშაო ობიექტი წარმოადგენს გარემოს, სადაც დაუშვებელია სახიფათო, შეურაცხმყოფელი, ძალადობრივი ან არაჰუმანური ქცევა და სადაც ყველა ადამიანს შეუძლია შიშისა და რეპრესიების გარეშე, მარტივად წამოჭრას ნებისმიერი საკითხი ან პრობლემა.

#### მოთხოვნილი ქცევა

კონტრაქტორის პერსონალს მოეთხოვება შემდეგი:

1. საქმიანობის კომპეტენტურად და გულმოდგინედ განხორციელება;
2. წინამდებარე ქცევის კოდექსის და ყველა შესაბამისი კანონის, რეგულაციის და სხვა მოთხოვნების დაცვა, კონტრაქტორის დანარჩენი პერსონალის და სხვა პირების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დაცვის მოთხოვნების ჩათვლით;
3. უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნება, ქვემოთმოყვანილის მეშვეობით:
  - 3.1 სამუშაო ადგილის, ტექნიკის, აღჭურვილობის და თითოეული პირის კონტროლის ქვეშ მყოფი პროცესის უსაფრთხოების დაცვა და ჯანმრთელობის რისკების თავიდან აცილება;
  - 3.2 მოთხოვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარება;
  - 3.3 სათანადო ზომების გატარება ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნივთიერებებთან და რეაგენტებთან მიმართებაში; და
  - 3.4 შესაბამისი საგანგებო საოპერაციო წესების დაცვა.
4. ანგარიშგება იმგვარ სამუშაო სიტუაციებთან დაკავშირებით, რომელიც მისი აზრით, არ არის უსაფრთხო ან ჯანსაღი და თავის არიდება იმგვარი სამუშაო სიტუაციებიდან, რომელიც მისი



- გონივრული შეხედულებით, გარდაუვალ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მისი ჯანმრთელობისათვის;
5. სხვა პირებთან პატივისცემით მოპყრობა, და არადისკრიმინაციული დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფების მიმართ, როგორცაა ქალები, უნარშეზღუდულები, მიგრანტი მუშახელი ან ბავშვები;
  6. სქესობრივი ნიშნით შევიწროებაში ჩაურთველობა, რაც გულისხმობს არასასურველ სექსუალური ხასიათის შეთავაზებებს, სექსუალური ხასიათის მომსახურების გაწევის მოთხოვნას, და სხვა სექსუალური ხასიათის ვერბალურ ან ფიზიკურ ქცევას კონტრაქტორის ან დამკვეთის სხვა პერსონალის მისამართით;
  7. სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციაში ჩაურთველობა, რაც გულისხმობს ქვემოთმოყვანილის ნებისმიერ ფაქტიურ განხორციელებას, ან განხორციელების მცდელობას: დაუცველი მდგომარეობის, ძალაუფლების ან ნდობის ბოროტად გამოყენებას სექსუალური მიზნებისათვის, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: სხვა პირის სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაცია მონეტარული, სოციალური ან პოლიტიკური სარგებლის მისაღებად;
  8. სექსუალურ ძალადობაში ჩაურთველობა, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის ფაქტიურ ფიზიკურ ხელყოფას ან მის საშიშროებას, ძალის გამოყენებით ან უთანასწორო ან იძულებითი პირობებით სარგებლობით;
  9. 18 წელზე ახალგაზრდა ინდივიდებთან სექსუალურ ურთიერთობაში ჩაურთველობა, არსებული ქორწინების შემთხვევის გამოკლებით;
  10. შესაბამისი ტრენინგის კურსის გავლა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კონტრაქტის გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხებს, სექსუალურ ძალადობას, სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციასა და შევიწროებას;
  11. წინამდებარე ქცევის კოდექსის დარღვევებთან დაკავშირებული ანგარიშგება; და
  12. რეპრესიების არ-გამოყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ან დამკვეთის შეტყობინებას მოახდენს წინამდებარე ქცევის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით, ან კონტრაქტორის პერსონალისათვის გამოიყენებს საჩივრების მექანიზმს ან პროექტის საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმს.

### პრობლემების წამოჭრა

თუ ნებისმიერი ადამიანი შენიშნავს ქცევას, რომელიც მისი აზრით, შესაძლოა წინამდებარე ქცევის კოდექსის დარღვევას წარმოადგენდეს, ან სხვა მხრივ იწვევს მის შემფოთებას, მან დაუყოვნებლივ უნდა წამოჭრას ეს საკითხი. ამისათვის ორი გზა არსებობს:

1. წერილობით მიმართვა კონსტანტინე ხაჭაპურიძეს, შემდეგ მისამართზე: თბილისი, მარი ბროსეს №6 ან ტელეფონით, შემდეგ ნომერზე - 995551484848 ან პირადად ან
2. ზარის განხორციელება შპს „AWARD“-ის ცხელ ხაზზე (032 2 19 21 20) და შეტყობინების დატოვება.

ამ პირის პირადი მონაცემები კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს, იმ შემთხვევის გამოკლებით, თუ ქვეყნის კანონმდებლობით, ბრალდებების შესახებ შეეტყობინება სავალდებულოა. ასევე, შესაძლებელია ანონიმური საჩივრების წარმოდგენა, შემდგომ მათი დროულად და სათანადოდ განხილვისათვის. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით ყველა შეტყობინებას შესაძლო გადაცდომის შესახებ, თითოეულ მათგანს ვიძიებთ და სათანადო ზომებს







კონტრაქტორის პერსონალის სახელი: გიორგი ციმაკურიძე

ხელმოწერა: გიორგი ციმაკურიძე

თარიღი: 19 აპრილი 2021 წელი: \_\_\_\_\_

კონტრაქტორის პერსონალის სახელი: გიორგი ფერაძე

ხელმოწერა: გიორგი ფერაძე

თარიღი: 19 აპრილი 2021 წელი: \_\_\_\_\_

კონტრაქტორის პერსონალის სახელი: კონსტანტინე ხაჭაპურიძე

ხელმოწერა: კონსტანტინე ხაჭაპურიძე

თარიღი: 19 აპრილი 2021 წელი: \_\_\_\_\_

კონტრაქტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: ამირან ლანჩავა

ხელმოწერა: ამირან ლანჩავა

თარიღი: 19 აპრილი 2021 წელი: \_\_\_\_\_

დანართი 1: ქვევა, რომელიც წარმოადგენს სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციას და სასტიკ მოპყრობას და სექსუალურ შვიწროებას.

ამირან ლანჩავა

## ქცევის კოდექსის ფორმის დანართი 1

ქცევა, რომელიც წარმოადგენს სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციას და სასტიკ მოპყრობას და სექსუალურ შევიწროებას

ქვემოთმოყვანილი არასრული ნუსხა გამიზნულია აკრძალული ქცევის ტიპების საილუსტრაციოდ:

1. სქესობრივი ნიშნით ექსპლუატაციის და სასტიკი მოპყრობის მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთმოყვანილით:
  - კონტრაქტორის პერსონალი თემის მოსახლეს ეუბნება, რომ შეუძლია მისთვის (მაგ. მზარეულის ან დამლაგებლის) სამსახურის შოვნა სამშენებლო ობიექტზე, სქესობრივი ურთიერთობის სანაცვლოდ.
  - კონტრაქტორის პერსონალი, რომელსაც ელექტროობა შეჰყავს სახლებში, ქალი მარჩენალის მყოფ ოჯახებს ეუბნება, რომ მათი ქსელზე დაერთება შეუძლია სქესობრივი ურთიერთობის სანაცვლოდ.
  - კონტრაქტორის პერსონალი აუპატიურებს, ან სხვა სახით სექსუალურად ავიწროებს თემის მოსახლეს.
  - კონტრაქტორის პერსონალი არ უშვებს პირს ობიექტზე, თუ იგი მას არ გაუწევს სექსუალური ხასიათის მომსახურებას.
  - კონტრაქტორის პერსონალი ეუბნება პირს, რომელიც კონტრაქტის ფარგლებში დასაქმებისათვის მიმართავს მას, რომ იგი მხოლოდ სქესობრივი ურთიერთობის შემთხვევაში დასაქმებს მას.
2. სამუშაო გარემოში სექსუალური შევიწროების მაგალითები:
  - 2.1 კონტრაქტორის პერსონალი კომენტარს (დადებითს ან უარყოფითს) აკეთებს კონტრაქტორის სხვა პერსონალის გარეგნობასთან და სექსუალურ მიმზიდველობასთან დაკავშირებით.
  - 2.2 როდესაც კონტრაქტორის პერსონალი ჩივის კონტრაქტორის სხვა პერსონალის მიერ მის გარეგნობაზე გაკეთებულ კომენტართან დაკავშირებით, კონტრაქტორის პერსონალის სხვა წარმომადგენელი ეუბნება, რომ მან „ეს მოითხოვა“ თავის ჩაცმულობით;
  - 2.3 კონტრაქტორის ან დამკვეთის პერსონალს დაუკითხავად ეხება კონტრაქტორის პერსონალი.
  - 2.4 კონტრაქტორის პერსონალი ეუბნება კონტრაქტორის სხვა პერსონალს, რომ ხელფასს მოუმატებს, ან დააწინაურებს მისი შიშველი ფოტოების სანაცვლოდ

